გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

# პროფესიული უნარები

თბილისი 2011

გამოცდების ეროვნული ცენტრი,  კვლევის დეპარტამენტი

როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

# პროფესიული უნარები

***საკონსულტაციო საბჭო:*** *გივი ქორია,  დალი ფარჯანაძე,  ქეთევან მაყაშვილი,*
*ნინო გორდელაძე*

# შესავალი

პედაგოგთა პროფესიული უნარების ტესტი ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. სტანდარტში დეტალურადაა აღწერილი მასწავლებლის პროფესიული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთაც უნდა ფლობდეს პედაგოგი.

პროფესიული უნარების ტესტი მიზნად ისახავს იმის შეფასებას, თუ რამდენად აკმაყოფილებს პედაგოგი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რამდენად შეუძლია მას სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვა, მოსწავლეთა სწავლით დაინტერესება და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ურთიერთობებისა და კლასში ეთიკური ღირებულებების დამკვიდრება. მასწავლებლის პროფესიული უნარების გამოცდა იმის ერთგვარი წინაპირობაა, რომ სკოლებში იმუშავებენ პედაგოგები, რომელთაც არა მარტო შესაბამისი საგნის საფუძვლიანი ცოდნა ექნებათ, არამედ პროფესიისათვის აუცილებელი უნარებიც; ამიტომაც პროფესიული უნარების გამოცდა სავალდებულოა ყველა საგნის მასწავლებლისთვის.

2011 წელს უკვე მეორედ ჩატარდა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები. პროფესიული უნარების გამოცდაში მონაწილეობა მიიღო 18 263-მა პედაგოგმა. მათგან 5655-მა წარმატებით ჩააბარა გამოცდა, რაც შარშანდელზე მაღალი მაჩვენებელია.

ნებისმიერ შემთხვევაში, გამოცდა გარკვეულ სტრესთან არის დაკავშირებული და, ამდენად, შეიძლება ყველამ ვერ შეძლო საკუთარი პროფესიული კომპეტენციის გამოვლენა, მით უმეტეს, როცა სასერტიფიკაციო გამოცდებში საკმაოდ მაღალი სტანდარტია დაწესებული. სერტიფიცირების მიზანი მასწავლებლის პროფესიული განვითარების სტიმულირებაა. ამიტომ პედაგოგები უნდა შეეცადონ, გაიაზრონ საკუთარი შედეგები და გააგრძელონ ზრუნვა კვალიფიკაციის მუდმივ ზრდასა და დახვეწაზე.

იმისათვის, რომ დაგეხმაროთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადების პროცესში, გამოცდების ეროვნული ცენტრი გთავაზობთ კრებულს **„როგორ მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის -** პროფესიული უნარები". კრებული მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას ***პროფესიული უნარების ტესტის*** შესახებ. მასში მოცემულია 2011 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტები, განხილულია ტესტური დავალებები და შეფასების კრიტერიუმები. ამ კრებულის დახმარებით შეძლებთ, გაეცნოთ შეფასების პრინციპებს, ასევე, მასწავლებლების მიერ დაშვებულ ტიპურ შეცდომებსა და შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებიც დაგეხმარებათ, უკეთ მოემზადოთ პროფესიული უნარების სასერტიფიკაციო გამოცდისათვის.

**გისურვებთ წარმატებას!**

## შ ი ნ ა ა რ ს ი


I თავი

პროფესიული უნარების ტესტი

1.1. ტესტის სტრუქტურა ———------------------------------------------------------------------------ 7

1.2. ტესტის ნიმუში ———---------------------------------------------------------------------------- 9

II თავი

ტესტურ დავალებათა ტიპები

შეფასების პრინციპები, განმარტებები, რეკომენდაციები

2.1. დავალებები ღია დაბოლოებით ———————————————————— 41

2. 2. დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“ —————————————— 99

2.3. არჩევითპასუხიანი დავალებები ———————————————————— 106

2.4. შესაბამისობის დავალებები ———————————————————— 111

2.5 როგორ მოვემზადოთ პროფესიული უნარების გამოცდისათვის ———————— 113

დანართი №1

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ———————————————— 117

დანართი № 2

საგამოცდო პროგრამა ———————————————————————— 125

დანართი № 3

პროფესიული უნარების ტესტი (II და III ვარიანტი) ———————————— 135

დანართი № 4

შეფასების სქემა ————————————————————————— 201

# I თავი

# პროფესიული უნარების ტესტი

ტესტის სტრუქტურა

ტესტის ნიმუში

# 1.1. პროფესიული უნარების ტესტის სტრუქტურა

პროფესიული უნარების ტესტი, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, სამი ნაწილისაგან (სუბტესტისაგან) შედგება: (1) სწავლება და შეფასება, (2) განვითარებისა და სწავლის თეორიები და (3) პროფესიული გარემო.

(1) **სწავლება და შეფასება.** ტესტის ეს ნაწილი პედაგოგის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პროფესიულ უნარებს აფასებს და ამის გამო სასერტიფიკაციო ტესტში ყველაზე ვრცლადაა წარმოდგენილი. ამ სუბტესტში წარმოდგენილი დავალებები მთლიანი ტესტის 65%-ს შეადგენს და აფასებს, რამდენად შეუძლია მასწავლებელს სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვა და წარმართვა, კლასში ჯანსაღი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.

(2) **განვითარებისა და სწავლის თეორიები**. ტესტის ამ ნაწილში წარმოდგენილი დავალებები მთლიანი ტესტის 20%-ს შეადგენს. ეს სუბტესტი ადგენს, რამდენად იცნობს მასწავლებელი ბავშვის ასაკობრივი განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, ამასთანავე, აფასებს, როგორ იყენებს პედაგოგი ამ ცოდნას სწავლებისა და აღზრდის პროცესში.

(3) **პროფესიული გარემო**. ტესტის ამ ნაწილში წარმოდგენილი დავალებები მთლიანი ტესტის 15%-ს შეადგენს. ეს სუბტესტი ამოწმებს, რამდენად იცნობს მასწავლებელი საკუთარ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებს და შეუძლია თუ არა მათი პრაქტიკაში გამოყენება.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70. პედაგოგმა სერტიფიკატის მოპოვებისათვის თითოეულ სასერტიფიკაციო გამოცდაში უნდა დააგროვოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი – მან პროფესიული უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის 70-დან 43 ქულა მაინც უნდა მიიღოს. გამსვლელი ქულა განისაზღვრა ქართველი ექსპერტების მიერ სასერტიფიკაციო გამოცდებში აპრობირებული სამეცნიერო მეთოდოლოგიის –

სტანდარტის დადგენის პროცედურის – გამოყენებით (**Angoff Standard-Setting Procedure**).

პროფესიული უნარების ტესტში ხუთი განსხვავებული ტიპის დავალებაა: არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის, ე.წ. სიმულაციური დავალება – დავალება ღია დაბოლოებით და დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“.

არჩევითპასუხიანი, შესაბამისობისა და „ჭეშმარიტია–მცდარია“ ტიპის ტესტური დავალებები ფასდება თითო ქულით. ღია დავალებებს სხვადასხვა მაქსიმალური ქულა აქვს. მაქსიმალური ქულა მითითებულია ყოველი დავალების გასწვრივ.

2011 წლის სასერტიფიკაციო ტესტი პროფესიულ უნარებში 35 დავალებას მოიცავდა. 2012 წლისათვის ტესტში დავალებათა რაოდენობა და ტესტის ფორმატი არსებითად არ შეიცვლება.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ეს კრებული მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას ***პროფესიული უნარების ტესტის*** შესახებ. კრებულში წარმოდგენილია:

- 2011 წლის მასწავლებელთა პროფესიული უნარების საგამოცდო ტესტები;
- ტესტის შეფასების სქემები;
- რამდენიმე ტიპური დავალების დეტალური განხილვა;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- საგამოცდო პროგრამა.

ყურადღებით გაეცანით მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და საგამოცდო პროგრამას, რომელსაც ეყრდნობა პროფესიული უნარების ტესტი. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და საგამოცდო პროგრამა ამ კრებულში დანართის სახითაა მოცემული (დანართი 1, 2). ტესტზე სრულ წარმოდგენას 2011 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტები შეგიქმნით. ამ თავში მოცემულია საგამოცდო ტესტის I ვარიანტი, მასში შემავალ ტესტურ დავალებათა შეფასების ნიმუშები და განმარტებები. მას შემდეგ, რაც გაეცნობით კრებულში მოცემულ რეკომენდაციებს, იმუშავეთ ტესტის II და III ვარიანტზე. ტესტის II და III ვარიანტები და შეფასების სქემები მოცემულია დანართის სახით (დანართი 3).

# 1.2. პროფესიული უნარების ტესტი

2011 წელი , I ვარიანტი

## სწავლება და შეფასება

### დავალება №1

*საშინაო დავალება* სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება, თვითდისციპლინისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარების ხელშეწყობა.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის/პირობების გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი სწავლების დაწყებით და საბაზო საფეხურებზე საშინაო დავალების პოზიტიური ეფექტის გაძლიერებისათვის?

I. საშინაო დავალების შესრულება უნდა მოითხოვდეს იმდენ დროსა და ძალისხმევას მოსწავლეებისაგან, რომ მათ შესაძლებლობა მიეცეთ ჩაერთონ კლასგარეშე თუ სპორტულ აქტივობებშიც.
II. საშინაო დავალებაზე უკუკავშირის მიწოდება უნდა მოხდეს არა მხოლოდ ნიშნით, არამედ დეტალური ახსნა-განმარტების სახით, რომ მოსწავლეებისათვის ნათელი გახდეს, დავალების რა ნაწილი იყო სწორად შესრულებული, და რა – შეცდომით.
III. საშინაო დავალება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მასალას, რომელიც მასწავლებლის მიერ განხილული იყო წინა გაკვეთილზე, რათა მოსწავლეებმა განიმტკიცონ გაკვეთილზე ნასწავლი მასალა.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ III
გ) მხოლოდ I და II
დ) მხოლოდ II და III

### დავალება №2

მოზარდებისათვის ხშირად დამახასიათებელია არაგონივრული, ხანდახან გამომწვევი ქცევა, რაც კლასში დისციპლინის დარღვევასა და სასწავლო პროცესის შეფერხებას იწვევს. ამგვარი ქცევის კორექციისათვის ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის დამოკიდებულებას მოსწავლის ქცევის მიმართ.

ჩამოთვლილთაგან რომელია მოზარდის ასეთი ქცევისადმი მასწავლებლის <u>ყველაზე მიზანშეწონილი</u> პოზიცია?

ა) ასეთი ქცევა არის ნიშანი უფროსებისათვის, რომ მოზარდს მკაცრი კონტროლი სჭირდება.
ბ) ეს ქცევა მიანიშნებს, რომ მოზარდს სჭირდება თანადგომა და მისი პრობლემებისადმი ყურადღება.
გ) ეს ქცევა მიანიშნებს, რომ მოზარდი არ არის კარგად აღზრდილი.
დ) ასეთი ქცევა ასაკისათვის დამახასიათებელი სირთულეა, რომელიც დაიძლევა დროთა განმავლობაში.

## დავალება №3

მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის გარეშე რთულია სასწავლო პროცესის შედეგიანად წარმართვა. შესაბამისად, პედაგოგი სათანადო პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ პროცესს და იზრუნოს საკუთარი კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე.

ჩამოთვლილი პრაქტიკული რეკომენდაციებიდან რომელი დაეხმარება პედაგოგს კლასში მოსწავლეებთან კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესებაში?

ა) საუბრისას თავი აარიდეთ კლასში მოძრაობას და შეეცადეთ, გაკვეთილის მსვლელობისას იდგეთ დაფასთან, რათა ყველა მოსწავლისათვის ადვილი იყოს თქვენი დანახვა.

ბ) გარკვეულ თემაზე საუბრისას ეცადეთ, მოსწავლეებს გააცნოთ  თქვენი პოზიცია, ამ პოზიციის შესაძლო ნაკლოვანებები; მოიყვანოთ თემასთან დაკავშირებული არგუმენტები და კონტრარგუმენტები, რათა მოსწავლეები მეტი ნდობითა და ყურადღებით ჩაერთონ კომუნიკაციის პროცესში.

გ) შეეცადეთ, ისაუბროთ სწრაფად, რომ  მოახერხოთ შეზღუდულ დროში დიდი მოცულობის ინფორმაციის გადაცემა.  იყავით ემოციური, ეს მეტ დამაჯერებლობას შესძენს თქვენს საუბარს მოსწავლეების თვალში.

დ) მასალის ახსნის პროცესში  მოსწავლეებს ინფორმაცია მიაწოდეთ დასრულებული სახით; შეკითხვები დასვით მხოლოდ საკითხის ახსნის შემდეგ. ეს დაეხმარება მათ, მასალა  ერთიანობაში აღიქვან.

## დავალება №4

ტესტური მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა დაიცვას  შეფასების ძირითადი პრინციპები: სანდოობა, ვალიდობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

ჩამოთვლილთაგან  რომელი აქტივობით შეიძლება შეფასდეს ტესტის  ვალიდობა?

ა) მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს ტესტის შეფასების მექანიზმსა და კრიტერიუმებს.

ბ) პედაგოგი კოლეგებთან  ერთად აფასებს,  რამდენად შეესაბამება ტესტი დასახულ მიზანს – მოწმდება  თუ არა ტესტით ის, რისი შემოწმებაც განისაზღვრა.

გ) ტესტირების შედეგებს ასწორებს რამდენიმე მასწავლებელი და შემდეგ ადარებს არის თუ არა განსხვავება მათ შეფასებებში.

დ) მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას ტესტის შეფასების კრიტერიუმების დადგენასა და შეფასების სქემის შემუშავებაში.

## დავალება №5

განასხვავებენ სასწავლო გარემოს სამ ფორმას – დამოუკიდებელს, კონკურენტულსა და თანამშრომლობითს. მასწავლებლის მიერ მათი ადეკვატურად გამოყენება ზრდის სწავლის ეფექტიანობას და ეხმარება მასწავლებელს მიაღწიოს სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის მიერ სასწავლო გარემოს შერჩევის ადეკვატური მაგალითი?

ა) პედაგოგი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ყოველთვის ორიენტირებულია თანამშრომლობითი გარემოს შექმნაზე, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი სასწავლო ატმოსფეროს ჩამოყალიბებასა და მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარების განვითარებას.

ბ) პედაგოგი ქმნის მხოლოდ იმ სასწავლო გარემოს, რომელიც შეესაბამება კლასში უმრავლესობის შესაძლებლობებს, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მოსწავლეთა უნარების გამოვლენასა და საკლასო მიღწევების გაუმჯობესებას.

გ) პედაგოგი უპირატესობას ანიჭებს დამოუკიდებელ სასწავლო გარემოს, ამით ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას, რაც მაღალი აკადემიური მიღწევის წინაპირობაა.

დ) პედაგოგი საგაკვეთილო მიზნიდან გამომდინარე იყენებს სასწავლო გარემოს სამივე ფორმას, რაც თითოეულ მოსწავლეს აძლევს თანაბარ შესაძლებლობას, გამოავლინოს საკუთარი ძლიერი მხარეები და დაძლიოს ხარვეზები.

## დავალება №6

გადაჭარბებულმა სიმორცხვემ შეიძლება შეაფერხოს ბავშვის სოციალური განვითარება. პედაგოგმა დიდი სიფრთხილით უნდა შეარჩიოს ამგვარ მოსწავლესთან მუშაობის სტრატეგია.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია არ არის რეკომენდებული მორცხვ ბავშვთან ურთიერთობის დროს?

ა) მორცხვი მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად პედაგოგმა ხშირად უნდა შეაქოს იგი.

ბ) სტრესული სიტუაცის ასარიდებლად მორცხვი მოსწავლე პედაგოგმა მეგობრულ ბავშვთან უნდა დასვას.

გ) მოსწავლის ადაპტაციის ხელშესაწყობად პედაგოგმა ხშირად უნდა შეუქმნას მოსწავლეს მისთვის უჩვეულო და მოულოდნელი ახალი სიტუაცია.

დ) პედაგოგმა მორცხვ მოსწავლეს უნდა დააკისროს ისეთი ფუნქციები, რომელიც თანაკლასელებისგან გარკვეული ინფორმაციის მიღებას ან მათთვის გადაცემას მოითხოვს.

## დავალება №7

მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ფორმას იყენებენ. მათ შორის გამოყოფენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, რომლებიც, თავის მხრივ, მიმდინარე და შემაჯამებელ შეფასებად იყოფა. შეფასების ჩამოთვლილი ფორმებიდან რომელია *საგანში მოსწავლის წლიური აკადემიური მოსწრების ნიშნით* შეფასება?

ა) შემაჯამებელი განმავითარებელი
ბ) მიმდინარე განმსაზღვრელი
გ) შემაჯამებელი განმსაზღვრელი
დ) მიმდინარე განმავითარებელი

## დავალება №8

ახალი მასალის მიწოდების ორი ტრადიციული მეთოდი არსებობს – დედუქციური და ინდუქციური.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასალის მიწოდების ინდუქციური მეთოდი?

ა) მასწავლებელი განმარტავს ცნებას და მისი ახსნის პროცესს ამდიდრებს ანალოგიებით.
ბ) მასწავლებელი განმარტავს ცნებას და შემდეგ აცნობს მოსწავლეებს კონკრეტულ მაგალითებს.
გ) მასწავლებელი მასალას შლის ნაწილებად ისე, რომ მოსწავლეებს მიეცეთ მათი ერთმანეთთან შედარების საშუალება.
დ) მასწავლებელი განიხილავს მაგალითებს და შემდეგ ამის საფუძველზე განაზოგადებს წესს ან განმარტავს ცნებას.

## დავალება №9

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობები იქნება ყველაზე შედეგიანი დისკუსიის მეთოდის ეფექტური გამოყენებისთვის?

I. მასწავლებელი დისკუსიას გეგმავს სადისკუსიო საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეთა ცოდნის დონის გათვალისწინებით.

II. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს დისკუსიის წესებს.

III. დისკუსიის პროცესში მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა მსჯელობას და ცდილობს მათი შეხედულებების კორექციას.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ I და II
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №10

მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია მასწავლებელმა დროულად აღმოაჩინოს მოსწავლის საჭიროებები და ადეკვატური უკუკავშირი მიაწოდოს მას.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობაა ყველაზე ეფექტიანი იმისათვის, რომ იგი დროულად გამოეხმაუროს თითოეული მოსწავლის კონკრეტულ საჭიროებას?

ა) მასწავლებელი ყოველი ახალი თემის დასრულების შემდეგ ატარებს განმსაზღვრელ შეფასებას და აცნობს მოსწავლეებს მათი მიღწევების მიხედვით შედგენილ რეიტინგულ სიას.

ბ) მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეზე აწარმოებს დაკვირვებას, რის საფუძველზეც აკეთებს ჩანაწერებს სპეციალურ ცხრილში და ინდივიდუალურად განიხილავს მოსწავლესთან ერთად.

გ) მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას, რომელიც ანალიტიკურ აზროვნებასა და პრობლემის გადაჭრას მოითხოვს, ამოწმებს დავალებას და ურთავს კომენტარს.

დ) მასწავლებელი მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით ატარებს დისკუსიას და მოსწავლეებთან ერთად შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით აფასებს მათ.

## დავალება №11

სწავლების შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე ახერხებს ერთ სიტუაციაში ნასწავლის სხვა სიტუაციაში გადატანასა და გამოყენებას. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პროცესს ტრანსფერს უწოდებენ.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის/პირობების დაცვაა აუცილებელი, რომ მოსწავლემ მოახერხოს მიღებული ცოდნის სხვა სიტუაციაში გადატანა და გამოყენება?

I. ინფორმაცია უნდა იყოს მიზეზშედეგობრივი მიმართების შემცველი და მოსწავლეს უნდა ესმოდეს ამ მიმართების არსი.

II. სწავლების პროცესში პედაგოგმა უნდა შექმნას ისეთი სასწავლო სიტუაცია, რომელშიც მოსწავლე თავად აღმოაჩენს ამოცანის გადაჭრის ძირითად პრინციპს.

III. სწავლების პროცესში პედაგოგი ძირითადად ფოკუსირებული უნდა იყოს მოსწავლის მიერ თეორიული და ფაქტობრივი ცოდნის დაგროვებაზე.

ა) მხოლოდ II

ბ) მხოლოდ III

გ) მხოლოდ I და II

დ) მხოლოდ I და III

## დავალება №12

ახალი თემის ათვისებისა და თემასთან დაკავშირებული საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაკვეთილის დასაწყისშივე მოახერხოს მოსწავლეების თემით დაინტერესება.

წარმოიდგინეთ, რომ მასწავლებელმა კლასს უნდა აუხსნას ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“. ახალი საკითხის მიმართ მოსწავლეებში ინტერესის გასაღვივებლად მასწავლებლის რომელი ქმედებაა ყველაზე ეფექტური?

გაკვეთილის დასაწყისში:

ა) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაიწყონ პოემის ტექსტის კითხვა და დააკვირდნენ ლექსიკას.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს შეკითხვებით ახსენებს რომანტიზმისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

გ) მასწავლებელი აცხადებს: „დღეს ჩვენი გაკვეთილის მიზანია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისას“ გაცნობა“.

დ) მასწავლებელი სვამს კითხვას: „გაიხსენეთ ისტორიიდან, რატომ გახდა ერეკლე II იძულებული, მფარველობა რუსეთისთვის ეთხოვა?“

## დავალება №13

სკოლაში მოსწავლე სწავლობს როგორ მართოს საკუთარი ქცევა. ქცევის თვითმართვის ჩვევის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს ე.წ. „სამიზნე ქცევა“, რომლის ჩამოყალიბებაც არის განზრახული.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის/პირობების დაცვაა აუცილებელი „სამიზნე ქცევის“ განსაზღვრისათვის?

„სამიზნე ქცევის“ განსაზღვრაში უნდა მონაწილეობდეს:

I. მოსწავლე, რაც გაზრდის მის ძალისხმევას, შეცვალოს არაეფექტური ქცევა და მიაღწიოს დასახულ მიზანს.

II. მასწავლებელი, რადგან მისი ხელშეწყობით უნდა შეიქმნას კლასში პირობები განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

III. მშობელი, რომელიც უკეთ იცნობს საკუთარი შვილის შესაძლებლობებს და განსაზღვრავს, რამდენად რეალურია დასახული მიზანი.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ III

გ) მხოლოდ I და II

დ) მხოლოდ II და III

## დავალება №14

იმისათვის, რომ მასწავლებელმა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ადეკვატური თვითშეფასების ფორმირებას, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იცოდეს რა ფაქტორები ახდენენ მასზე ზეგავლენას.

ჩამოთვლილთაგან რომელია თვითშეფასების ფორმირების შესახებ მართებული მსჯელობა/მსჯელობები?

I. მოსწავლეთა თვითშეფასება ფარდობითია, ის ყალიბდება არა აკადემიური მიღწევის რაიმე აბსოლუტურ სტანდარტთან მიმართებაში, არამედ თანაკლასელების აკადემიურ დონესთან შედარებით.

II. აკადემიური მოსწრება და თვითშეფასება დამოუკიდებელი ცვლადებია. აკადემიური მოსწრება არ ახდენს გავლენას თვითშეფასებაზე.

III. მოსწავლეთა თვითშეფასება კავშირშია ასაკთან, ადრეულ ასაკში ბავშვს ჯერ კიდევ არა აქვს უნარი ადეკვატურად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, ასაკის მატებასთან ერთად თვითშეფასება უფრო ადეკვატური ხდება.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ I და III
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №15

მოსწავლეთა მობილიზებისა და მათი პროდუქტულობის ამაღლების მიზნით რეკომენდებულია მათთვის მაღალი, თუმცა ადეკვატური მოთხოვნების წაყენება.

იმისათვის რომ მოსწავლე მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს მოთხოვნებს, მასწავლებელმა უნდა დაანახოს მას, რომ:

I. ამ მოთხოვნების შესრულება მნიშვნელოვანია წარმატების მისაღწევად და მოსწავლეს შესწევს უნარი, დაძლიოს ისინი.

II. მოთხოვნის შესრულების მხოლოდ ერთი სწორი გზა არსებობს და ალტერნატიული გზის ძიების საჭიროება არ დგას.

III. მასწავლებელს სჯერა, რომ მოსწავლე აუცილებლად შეასრულებს ამ მოთხოვნებს.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ I და III
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №16

ქვემოთ მოცემულია საგაკვეთილო პროცესის მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებლის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. შეაფასეთ, აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა დასახული მიზნის მისაღწევად, თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარება.

აქტივობა: მასწავლებელმა მოსწავლეებს ერთ-ერთი ისტორიული მოვლენის შესახებ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისა და დისკუსიის შესაძლებლობა მისცა. ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით კლასში გამოითქვა სახელმძღვანელოში მოცემული პოზიციისაგან განსხვავებული მოსაზრებები, ზოგიერთი მოსწავლე არათანმიმდევრულად და ზედაპირულად მსჯელობდა. მიუხედავად ამისა, პედაგოგს მოსწავლეების მსჯელობისათვის ხელი არ შეუშლია, მოსწავლეებს მოუსმინა და დისკუსია შეაჯამა.

აღნიშნული აქტივობა დასახული მიზნის:

ა) ადეკვატურია. პედაგოგმა უნდა მისცეს მოსწავლეებს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, არ უნდა შეუშალოს მსჯელობას ხელი, თუნდაც მოსწავლეთა მოსაზრებები არ შეესაბამებოდეს სახელმძღვანელოში მოცემულ პოზიციას.

ბ) არაადეკვატურია. მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლე მყარ ცოდნას შეიძენს, რაც გამორიცხავს მოსწავლეთა ზედაპირულ მსჯელობასა და მოჩვენებით ორიგინალობას.

გ) ადეკვატურია. მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა, თუმცა საჭიროა გააკრიტიკოს და შესაბამისად შეაფასოს საზოგადოებისათვის მისაღები პოზიციისაგან განსხვავებული მოსაზრებები.

დ) არაადეკვატურია. მასწავლებელი უნდა ეყრდნობოდეს სახელმძღვანელოში აღწერილ პოზიციას და ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეების მიერ ამ პოზიციის გაზიარებას, აზრთა სხვადასხვაობის გამოწვევის გარეშე.

## დავალება №17

პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება სწავლების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. თითოეული მეთოდის ეფექტურობას მისი საგაკვეთილო მიზანთან შესაბამისობა განსაზღვრავს.

შეუსაბამეთ A სვეტში მოცემულ ყოველ სასწავლო მიზანს B სვეტში მოცემული სწავლების ის მეთოდი, რომელიც ყველაზე ეფექტურია ამ მიზნის მისაღწევად.

| სასწავლო მიზანი (A) | სწავლების მეთოდი (B) |
|---|---|
| I. მოსწავლის ანალიზის უნარის განვითარება. | ა) პირდაპირი |
| II. მოსწავლის კვლევა-ძიების უნარის განვითარება. | ბ) არაპირდაპირი |
| III. მოსწავლისათვის ინფორმაციის სწრაფი გადაცემა. | |

✍ ჩაწერეთ:

| სასწავლო მიზანი **(A)** | I | II | III |
|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდი **(B)** | | | |

**დავალება №18**

მეოთხე კლასის ბუნების მასწავლებელმა, მაგნიტის თვისებების ახსნის შემდეგ, მოსწავლეებს ასეთი პრაქტიკული დავალება მისცა: შუშის ქილაში ერთი და იმავე ზომის ხის და რკინის ბურთულები ჩაყარა და შესაძლებლობა მისცა მოსწავლეებს, მაგნიტის დახმარებით ისინი ერთმანეთისაგან გამოეცალკევებინათ. პრაქტიკული სამუშაოს შეჯამების შემდეგ, მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, დაესახელებინათ მაგნიტის ყოველდღიურობაში გამოყენების ერთი მაგალითი.

აღწერეთ მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის დადებითი შედეგები. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

✍ *ჩაწერეთ:*

**დავალება №19** *მაქსიმალური ქულა – 4*

მასწავლებელი სასწავლო პროცესს ისე უნდა წარმართავდეს, რომ საგნობრივი ცოდნის გაღრმავებასთან ერთად ხელს უწყობდეს მოსწავლეთა სააზროვნო, შემეცნებითი უნარების განვითარებას, ამასთან, ეხმარებოდეს მოსწავლეს, ახალი მასალის ათვისებისას სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებაში.

მოსწავლეთა უმრავლესობა, მასალის სირთულის მიუხედავად, ძირითადად სწავლის პრიმიტიულ სტრატეგიებს მიმართავს, მაგალითად, გაკვეთილის სწავლის დროს მასალას მრავალჯერ კითხულობს და იმეორებს. მაგრამ ეს არ არის ახალი მასალის სწავლის საუკეთესო გზა. ეფექტური სწავლა მასალის აქტიურად გააზრებასა და გადამუშავებას მოითხოვს.

- აღწერეთ ერთი პრაქტიკული სტრატეგია, რომლის საშუალებითაც პედაგოგი დაეხმარება მოსწავლეს ახალი მასალის ათვისებისას სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ადეკვატურობა.
- სასურველი შედეგის მისაღებად ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას გარკვეული პირობების დაცვაა საჭირო. დაასახელეთ ერთი წინაპირობა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის.

✍ *ჩაწერეთ:*

## დავალება №20

არსებობს მოსაზრება, რომ რაც უფრო მკაცრი და მომთხოვნია მასწავლებელი – რაც უფრო იშვიათად წერს იგი მაღალ შეფასებას, მით მეტად ცდილობენ ბავშვები უკეთესად ისწავლონ. მასწავლებლის ასეთ სიმკაცრეს უარყოფითი მხარეებიც ახლავს, განსაკუთრებით, დაწყებით კლასებში.

იმსჯელეთ მოსწავლეთა შეფასებისადმი ამგვარი მიდგომის უარყოფით შედეგებზე. შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- აღწერეთ დაწყებით კლასებში მასწავლებლის გამოკვეთილი სიმკაცრის ერთი უარყოფითი შედეგი, რომელიც აისახება სწავლის შედეგზე.
- აღწერეთ დაწყებით კლასში მასწავლებლის გამოკვეთილი სიმკაცრის ერთი უარყოფითი შედეგი, რომელიც აისახება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.
- დაასაბუთეთ თითოეული პასუხი.

*ჩაწერეთ:*

## დავალება N21

*მაქსიმალური ქულა - 17*

პედაგოგთა ინიციატივით ინტერნეტსივრცეში საგანმანათლებლო ვებგვერდი შეიქმნა, სადაც თავმოყრილია საინტერესო სტატიები და სასარგებლო რესურსები. ვებგვერდი ინტერაქტიულია – ინტერნეტფორუმის საშუალებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია არა მხოლოდ ინფორმაციის მიღება, არამედ საკუთარი მოსაზრებებისა და გამოცდილების სხვებისთვის გაზიარებაც.

ვებგვერდის დამფუძნებლების აზრით, ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, აგრეთვე, პრაქტიკოს პედაგოგებსა და ექსპერტებს შორის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას.

ვებგვერდმა მოკლე დროში მოიპოვა პოპულარობა, მას მშობლები და უფროსკლასელი მოსწავლეებიც სტუმრობენ. ფორუმზე აქტიური დისკუსიები იმართება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მიერ წამოჭრილ პრობლემებზე.

ქვემოთ მოცემულია ამონარიდები ფორუმზე განთავსებული წერილებიდან. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული წერილი და გაიაზრეთ მათში აღწერილი პრობლემის არსი.

წარმოიდგინეთ, რომ პედაგოგის, მშობლის ან მოსწავლის მიერ წამოჭრილი პრობლემები თქვენს კლასს ეხება. აღწერეთ, რას გააკეთებდით თქვენ, როგორც პედაგოგი ამ პრობლემის მოსაგვარებლად. შეეცადეთ, პასუხი იყოს კონკრეტული და ამომწურავი.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- აღწერეთ ერთი კონკრეტული სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის მართებულობა – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

თითოეული წერილი დასათაურებულია. <u>სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს</u>.

მიაქციეთ ყურადღება:

- ⇨ დავალება 21.3. თქვენგან პრობლემის გადაჭრაზე მიმართული აქტივობის აღწერის ნაცვლად მოითხოვს არგუმენტების დასახელებას.
- ⇨ დავალება 21.4. ორ პრობლემას ეხება, შესაბამისად, თქვენ გევალებათ თითოეულის გადაჭრის სტრატეგიის აღწერა და დასაბუთება.

# ამონარიდები ფორუმზე შემოსული წერილებიდან:

## დავალება №21.1

### სწავლების ახალი მეთოდის შეფასება

განათლება -> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
| --- | --- |
|  მომხმარებელი: ნინო<br>სტატუსი: მასწავლებელი | მეექვსე კლასის მათემატიკის მასწავლებელმა მოსწავლეთა საგნისადმი ინტერესის გაღვივებისა და სწავლების ხელშესაწყობად მათემატიკის სწავლების განსხვავებული მეთოდიკა შეიმუშავა. მეთოდიკა საინტერესო და სახალისოა. ჩვენივე სკოლაში მათემატიკის კათედრამ იმის შესაფასებლად, როგორ იმუშავებს ის პრაქტიკაში, ერთ-ერთ მეექვსე კლასში სწავლების ახალი მეთოდის აპრობაცია დაგეგმა. სასწავლო წლის ბოლოს ახალი მეთოდით სწავლების ეფექტიანობის შეფასება მე დამევალა, მაგრამ არც გამოცდილება მაქვს და არც მკაფიო წარმოდგენა, როგორ განვსაზღვრო ახალი მეთოდის ეფექტიანობა. რა აქტივობები უნდა გამოვიყენო ამ მეთოდით სწავლების შედეგების შესაფასებლად? |

## დავალება №21.2

### პასუხისმგებლობის დელეგირება მოტივაციის ასამაღლებლად

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
| --- | --- |
|  მომხმარებელი: თამარი<br>სტატუსი: მასწავლებელი | თქვენს ფორუმზე ვნახე საინტერესო სტატია მოტივაციაზე. სტატიაში ამოვიკითხე, რომ მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას მათთვის პასუხისმგებლობის დელეგირება და კონტროლის უფლების მინიჭებაც უწყობს ხელს. გამოცდილებითაც ვიცი, როდესაც მოსწავლეებს საკლასო ნორმების შემუშავებაში ვრთავ, მათი თანამონაწილეობით შექმნილ ნორმებს ისინი უფრო იცავენ, თუმცა სწავლის მოტივაციაზე ეს არსებითად არ აისახება.<br>მაინტერესებს, რა შემთხვევაში იყენებენ პასუხისმგებლობის დელეგირების სტრატეგიას გამოცდილი პედაგოგები. ცხადია, იმ აქტივობებს ვგულისხმობ, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლის საგნით დაინტერესებასა და სწავლის მოტივაციის ზრდას. |

## დავალება№21.3

**ინკლუზიური განათლების დადებითი ეფექტი „ჩვეულებრივი“ ბავშვებისათვის**

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
| <br>მომხმარებელი: ნინო<br>სტატუსი: მშობელი | ჩემი შვილის დამრიგებელმა მშობელთა კრებაზე გამოაცხადა, რომ კლასში ახალი მოსწავლე გადმოყავთ ცერებრული დამბლის დიაგნოზით. მასწავლებელმა გვითხრა, რომ ამგვარი ბავშვების განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის ძალიან სასარგებლოა ჩვეულებრივ და არა სპეციალურ სკოლებში მათი სწავლა. წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ჯანმრთელი ბავშვების პოზიციაც გასათვალისწინებელია – ჩემი შვილი ჯერ 10 წლისაა და ჩამოუყალიბებელია. ამ ასაკის ბავშვისთვის დიდი სტრესი იქნება სავარძელს მიჯაჭვული ბავშვის ყურება და ეს შეიძლება უარყოფითად აისახოს მის ფსიქიკაზე. როცა ეს მოსაზრება მასწავლებელს გავუზიარე, მან მითხრა, რომ ამგვარ მოსწავლესთან ურთიერთობა სხვა ბავშვებისთვისაც მნიშვნელოვანია, თუმცა მასწავლებლის არგუმენტები ამასთან დაკავშირებით ვერ მოვისმინე. არ მესმის რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს ჩემს შვილს ასეთ ბავშვთან ურთიერთობამ? |

## დავალება №21.4

21.4.1. **ზაზას „მსოფლმხედველობა“**
21.4.2. **ღირებულებათა კონფლიქტის მოგვარება**

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
| <br>მომხმარებელი: ელენე<br>სტატუსი: მასწავლებელი | ერთი მოსწავლე მყავს, ზაზა, რომელიც კარგად სწავლობს, კლასისთვის ავტორიტეტია... მოკლედ, კარგი ბიჭია.. მაგრამ მისი მსჯელობა ბოლო ხანებში ძალიან მაშფოთებს: ამასწინათ თანაკლასელს უმტკიცებდა, რომ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად ადამიანმა უკან არაფერზე უნდა დაიხიოს, ზოგჯერ სასტიკიც უნდა იყოს, რომ არ დაიჩაგროს...<br>დავინტერესდი, რას ფიქრობენ დანარჩენი მოსწავლეები ამ საკითხზე და კლასში დისკუსია გავმართე. აღმოჩნდა, რომ კლასის დიდი ნაწილი ზაზასავით ფიქრობდა. როცა განსხვავებული აზრიც გამოითქვა, კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო, შეხედულებების მიხედვით კლასი ორად გაიყო. ვატყობ, დაპირისპირება უკვე სხვა თემებზე მსჯელობის დროსაც აშკარად ვლინდება, ამას სხვა საგნის მასწავლებლებიც ხედავენ.<br>შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ორი რამ მაწუხებს: ზაზას პრობლემა – ასეთი ნიჭიერი და ჭკვიანი ბიჭი ამგვარად რომ მსჯელობს...<br>და მეორე: არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმ შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტის საფუძველი მოსწავლეთა განსხვავებული ღირებულებებია. |

## დავალება №21.5

### გაკვეთილის დაგეგმვა

განათლება -> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
|  მომხმარებელი: მარინა<br>სტატუსი: მასწავლებელი | ფორუმზე ძალიან ბევრ კომენტარს გავეცანი და გაოცებული ვარ, სულ პრობლემებზე წერენ. ნუთუ სკოლაში კარგი არაფერი ხდება?! |
|  მომხმარებელი: ნინო<br>სტატუსი: მოსწავლე | მაგალითად, მე მომწონს ჩემი დამრიგებელი!<br>ქიმიის მასწავლებელია და მის გაკვეთილზე შესვლა მთელ კლასს უხარია. |
|  მომხმარებელი: მარინა<br>სტატუსი: მასწავლებელი | ასეთს რას აკეთებს, მეგობრულია? |
|  მომხმარებელი: ნინო<br>სტატუსი: მოსწავლე | ძალიან! ჩვენ მისი პირველი სადამრიგებლო კლასი ვართ. იმასაც ძალიან ვუყვარვართ. შეგვიძლია ყველაფერი მოვუყვეთ, ხანდახან ნახევარი გაკვეთილი ისე გადის ჩვენთვის საინტერესო თემაზე საუბარში, ვერც ვიგებთ.. |
|  მომხმარებელი: მარინა<br>სტატუსი: მასწავლებელი | ნახევარ გაკვეთილს საუბარში თუ ატარებთ, საგანს როდისღა სწავლობთ? როგორი შედეგები გაქვთ? |
|  მომხმარებელი: მაკა<br>სტატუსი: მშობელი | დიდი ბოდიში, თქვენს დიალოგში უნდა ჩავერთო, ნინო ჩემი შვილის კლასელია და კარგად ვიცი, რა შედეგი აქვთ ბავშვებს ქიმიაში. ამასწინათ სკოლაში ჩატარებულ სასკოლო წერაზე ამ კლასმა პარალელურ კლასებს შორის ყველაზე დაბალი შედეგი აჩვენა. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ გაკვეთილებს ძირითადად სხვა თემაზე საუბარში ატარებენ. |
|  მომხმარებელი: მარინა<br>სტატუსი: მასწავლებელი | როგორც ჩანს, პედაგოგი ახალბედაა და კარგი იქნება, სკოლის გამოცდილმა პედაგოგებმა ურჩიონ, როგორ დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი. |

ყოველი დავალებისათვის განკუთვნილ არეში აღწერეთ მასწავლებლის ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც იქნება მასწავლებლის, მშობლის თუ მოსწავლის მიერ წამოჭრილი პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა. დაასაბუთეთ, თუ რატომ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი თითოეული სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, თუ სად უნდა ჩაიწეროს თქვენი პასუხი თითოეულ წერილთან დაკავშირებით.

*ჩაწერეთ:*

დავალება 21.1

დავალება 21.2

დავალება 21.3

დავალება 21.4.1.

დავალება 21.4.2

დავალება 21.5

## ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №22

ბრუნერის თეორიის თანახმად, ეფექტური სწავლებისათვის აუცილებელია ე.წ. „სპირალური კურიკულუმის“ გამოყენება, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის ისე აგებას, რომ ყოველი ახალი ცოდნა უკვე დასწავლილ მასალას, მოსწავლის გამოცდილებას ეფუძნებოდეს. ბრუნერის მოსაზრებით, „სპირალური კურიკულუმის“ ეფექტურად დანერგვისათვის მნიშვნელოვანია გარკვეული ფაქტორების გათვალისწინება.

ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორი წარმოადგენს ე.წ. „სპირალური კურიკულუმის“ ეფექტურობის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ელემენტს ბრუნერის თეორიის მიხედვით?

ა) შინაარსის ფლობა – მოსწავლის საბაზო ცოდნა საკითხის შესახებ.

ბ) მოტივაცია – მოსწავლის სურვილი, ჩაერთოს სასწავლო პროცესში, შეიძინოს ახალი ცოდნა.

გ) ასაკი – მოსწავლის გონებრივი მოწიფულობის დონე, ხარისხი.

დ) კრიტიკული აზროვნება – მოსწავლის უნარი, მიუკერძოებლად, სიფრთხილით გაანალიზოს ახალი ინფორმაცია.

## ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №23

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიული თეორიის მიხედვით, რომელი მოთხოვნილება/მოთხოვნილებები აქვს დაკმაყოფილებული მოსწავლეს, რომლისთვისაც აქტუალურია აღიარების მოთხოვნილება?

I. ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის მოთხოვნილება
II. თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება
III. უსაფრთხოების მოთხოვნილება

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ I და III
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №24

კოგნიტური სქემების ცნებას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს პიაჟეს თეორიაში. მისი აზრით, შესაბამისი კოგნიტური სქემის არსებობის გარეშე ადამიანისთვის შეუძლებელია გარე სამყაროსთან ადაპტაცია და ადეკვატური (სიტუაციის შესაბამისი) ქცევის განხორციელება.

ჩამოთვლილთაგან რომელშია სწორად მოცემული კოგნიტური სქემის არსი პიაჟეს თეორიის მიხედვით?

ა) კოგნიტური სქემების რაოდენობა და სტრუქტურა არ იცვლება განვითარების პროცესში. კოგნიტური სქემები ადამიანს დაბადებიდან აქვს მოცემული. ამა თუ იმ ქცევის განხორციელებისათვის მათი ამოქმედება თანმიმდევრობით ხდება მარტივიდან რთულისკენ.

ბ) განვითარების პროცესი გულისხმობს კოგნიტური სქემების რაოდენობის ზრდას. დაბადებისას ადამიანს მხოლოდ ერთი კოგნიტური სქემა აქვს, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ამ სქემების რაოდენობა.

გ) კოგნიტური სქემების რაოდენობა და სტრუქტურა იცვლება განვითარებასთან ერთად. არსებული გამოცდილებისა და ახალი ინფორმაციის შერწყმის გზით ხდება როგორც არსებული სქემების სტრუქტურის გართულება, მათი გამდიდრება, ისე ახალი სქემების ფორმირება.

დ) განვითარების პროცესი გულისხმობს კოგნიტური სქემების სტრუქტურის ცვლილებას. დაბადებიდან ადამიანს აქვს განსაზღვრული რაოდენობის კოგნიტური სქემები. გამოცდილებასთან ერთად ხდება მხოლოდ მათი გართულება და გამდიდრება.

## დავალება №25

აზროვნების იერარქიული მოდელის (ბლუმის ტაქსონომია) ჩამოთვლილი დონეებიდან რომელთანაა ყველაზე მეტად დაკავშირებული *კრიტიკული აზროვნება*?

ა) გაგება
ბ) გამოყენება
გ) ცოდნა
დ) შეფასება

**დავალება №26** და **დავალება №27** შემდეგ პიროზას ეყრდნოზა:

დაწყებით კლასში ორი ახალი მოსწავლე გადმოვიდა. მათი ცოდნის დონის დასადგენად და სასწავლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, მათემატიკის პედაგოგმა მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ უკვე განვლილ მასალაზე *ტესტი* მისცა შესასრულებლად. ბავშვებმა ტესტი წარმატებით შეასრულეს.

ამის შემდეგ მასწავლებელმა ბავშვებს ახალი მასალა აუხსნა – წილადების არსი და მათზე ოპერაციების განხორციელების თეორიული წესები და დაფაზე შემდეგი *დავალება* დაწერა:

$$\frac{10}{12} - \frac{7}{12} =$$

მოსწავლეებს გაუჭირდათ მისი ამოხსნა, ამიტომ მასწავლებელმა შემდეგი *კონკრეტული მაგალითი* გამოიყენა: *„წარმოიდგინეთ, რომ დაბადების დღეზე დედამ თორმეტნაჭრიანი ტორტი გამოგიცხოთ. თეფშზე 10 ნაჭერზე მეტი არ ეტევა. რამდენი ნაჭერი დარჩება თეფშზე თუ 7 ნაჭერს გადაიღებთ?“*

ორივე მოსწავლემ ერთხმად წამოიძახა სწორი პასუხი: 3!

შემდეგ მოსწავლეებმა დაფაზე დაწერილი მაგალითიც ამოხსნეს.

## დავალება №26

ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, რომელი შეესაბამება მოსწავლეების განვითარების აქტუალურ ზონას?

I. ტესტირება
II. დავალება ახალი მასალიდან
III. კონკრეტული მაგალითი

ა) მხოლოდ II
ბ) მხოლოდ III
გ) მხოლოდ I და II
დ) მხოლოდ I და III

## დავალება №27

ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, რომელ შემთხვევაში იყენებს მასწავლებელი ხარაჩოს მეთოდს?

I. ტესტირება
II. დავალება ახალი მასალიდან
III. კონკრეტული მაგალითი

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ III
გ) მხოლოდ I და II
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №28

ბიჰევიორისტული თეორიის თანახმად, მოსწავლის ქცევის ფორმირების პროცესში დიდი როლი აკისრია გარეგან განმამტკიცებელ სტიმულებს. სასურველი ეფექტის მისაღწევად აუცილებელია განმამტკიცებელი სტიმულის სწორი გამოყენება.

ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა/მსჯელობებია მართებული ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით?

I. მოსწავლისთვის ახალი ქცევის განმტკიცება აუცილებელია ყოველ ჯერზე, სისტემატურად. განმამტკიცებელი სტიმული უნდა გამოიყენებოდეს მანამ, სანამ გარკვეული შედეგი არ იქნება მიღწეული.

II. განმამტკიცებელი სტიმული მხოლოდ იმ შემთხვევაშია ეფექტური, თუ ის ნათლად არის დაკავშირებული ქცევასთან და მოსწავლემ ზუსტად იცის, რომელ ქცევას მოჰყვება დასჯა და რომელს - წახალისება.

III. არსებობს უნივერსალური განმამტკიცებელი სტიმულები, რომლებიც ეფექტს იძლევიან ნებისმიერ შემთხვევაში და არ არის აუცილებელი მათი გამოყენების დროს მოსწავლის ინდივიდუალობის გათვალისწინება.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ III
გ) მხოლოდ I და II
დ) მხოლოდ I და III

## დავალება №29

მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები საუბრობენ:

*გურამი: ლევან, კლასელებმა გადავწყვიტეთ ბიოლოგიის გაკვეთილიდან „შატალოზე“ წასვლა.*

*ლევანი: კარგით რა, რას ერჩით ამ ბიოლოგიის მასწავლებელს... მოდით, ნუ წავალთ...*

*გურამი: ჰმ.... მოკლედ, ჩვენ გადავწყვიტეთ და ყველანი მივდივართ...*

*ლევანი: შეურაცხმყოფელი არ არის, მოსწავლეების ნაცვლად მასწავლებელს კლასში ცარიელი მერხები რომ დახვდება? მე არ წამოვალ....*

მოსწავლეები ბიოლოგიის გაკვეთილიდან „შატალოზე“ მაინც წავიდნენ. კლასში მხოლოდ ლევანი დარჩა, თუმცა იცოდა, რომ კლასელებთან ურთიერთობა გაუფუჭდებოდა.

კოლბერგის თეორიის მიხედვით, მორალური განვითარების რომელ საფეხურს შეესაბამება ლევანის მსჯელობა?

ა) პრეკონვენციურს – ორიენტირებულია მორჩილებასა და დასჯაზე.
ბ) კონვენციურს (I საფეხური) – მასწავლებლის თვალში სურს ავტორიტეტის მოპოვება.
გ) კონვენციურს (II საფეხური) – უპირობოდ ემორჩილება სკოლის შინაგანაწესს.
დ) პოსტკონვენციურს – იცავს უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებს.

## დავალება №30

კონსტრუქტივისტული თეორიის მიხედვით, სწავლების რომელი ფორმაა ნაკლებად ეფექტური მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობისათვის?

ა) ლექცია
ბ) ჯგუფური დისკუსია
გ) სიტუაციის/შემთხვევის ანალიზი
დ) საგანმანათლებლო თამაში

## დავალება №31

განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ბავშვი, ჩვეულებრივ, თავისი ასაკისთვის შესაბამისი სირთულის შემეცნებით აქტივობებს მიმართავს. ცხრილში მოცემული შემეცნებითი აქტივობები დაალაგეთ იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მიმართავს მათ მოსწავლე თავისი ასაკობრივი განვითარების შესაბამისად – „დაბლიდან მაღლისაკენ".

| შემეცნებითი აქტივობა |
|---|
| ა) ცნებების, ინფორმაციის შემადგენელი ნაწილების ახალ სტრუქტურაში გაერთიანება. |
| ბ) მოცემული ინფორმაციის შემადგენელი ნაწილების დიფერენცირება, მათი თვისობრივი განხილვა. |
| გ) ფაქტის, ცნების, განმარტების, შინაარსის სწორად გახსენება. |

✍ ჩაწერეთ:

| სირთულის დონე | I – დაბალი | II- საშუალო | III - მაღალი |
|---|---|---|---|
| შემეცნებითი აქტივობა | | | |

## დავალება №32

გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის მიხედვით, განსხვავებული ინტელექტის მქონე მოსწავლეებს, სასურველია, სწავლის ხელშესაწყობად მასწავლებელმა შესაბამისი გარემო და აქტივობები შეურჩიოს.

ცხრილის A სვეტში მოცემული აქტივობები შეუსაბამეთ B სვეტში ჩამოთვლილ ინტელექტის ტიპებს.

| აქტივობა (**A**) | ინტელექტის ტიპი (**B**) |
|---|---|
| I. ჰიპოთეზების ფორმულირება და გამოცდა. | ა) ინტერპერსონალური<br>ბ) სხეულებრივ-კინესთეტიკური<br>გ) ლოგიკურ-მათემატიკური<br>დ) მხედველობით-სივრცითი<br>ე) ინტრაპერსონალური<br>ვ) მუსიკალური |
| II. ფიგურის მოდელირება წარმოსახვაში. | |
| III. სხვისი გუნება-განწყობის ინტერპრეტაცია სახის გამომეტყველების მიხედვით. | |
| IV. ცეკვა, ქსოვა, ქარგვა. | |

შესაბამისობები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში. (*შენიშვნა: მეოთხე აქტივობის შესაბამისი პასუხი უკვე ჩაწერილია ცხრილში*)

✍ *ჩაწერეთ:*

| აქტივობა (**A**) | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ინტელექტის ტიპი (**B**) | | | | ბ |

*გაკვეთილზე მოსწავლე ხშირად ხელს უშლის მასწავლებელს – ხმაურობს, ელაპარაკება თანაკლასელებს და უადგილოდ ხუმრობს. მოსწავლის ქცევის კორექციის მიზნით მასწავლებელი ხშირად აძლევს შენიშვნას, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, როგორც წესი, მოსწავლეს საკლასო ოთახის დატოვებას სთხოვს.*

მოსწავლე მიზანს აღწევს და კმაყოფილი გაკვეთილის დარჩენილ დროს სკოლის ბუფეტში ან ეზოში ატარებს.

გაანალიზეთ აღწერილი სიტუაცია და სკინერის თეორიაზე დაყრდნობით:

- ახსენით, რატომ არ ჰქონდა ეფექტი მოსწავლის ქცევაზე პედაგოგის რეაქციას, რატომ ვერ მიაღწია პედაგოგმა სასურველ შედეგს?
- აღწერეთ მასწავლებლის ერთ-ერთი აქტივობა, რომლის შედეგადაც შესაძლებელია მოსწავლის ამგვარი ქცევის კორექცია.
- ახსენით თქვენი პასუხი.

****იმ შემთხვევაში თუ სკინერის თეორიას არ იცნობთ, ან გიჭირთ მისი ამ კონტექსტში გამოყენება, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.***

✍ *ჩაწერეთ:*

## ინსტრუქცია (დავალება №34 და №35)

ყურადღებით გაეცანით სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, საკმარისია, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში რაიმე კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ.
- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორად — მოქმედი კანონის შესაბამისად.

### დავალება №34

სასწავლო წლის ბოლოს დირექტორმა სკოლის პედაგოგებთან თათბირი ჩაატარა. მან მოკლედ შეაჯამა განვლილი წელი და გააცნო მათ მომდევნო წლისათვის დაგეგმილი სიახლეები. თათბირზე ასევე განიხილეს შემდეგი ორი საკითხი:

(1) პედაგოგებმა დირექციისაგან მოითხოვეს თანხა ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს შესაძენად, რათა კათედრის წევრებს ჰქონდეთ საშუალება, გაეცნონ თითეულ მათგანს და ისე შეარჩიონ სახელმძღვანელო. დირექტორმა პედაგოგებს უარი უთხრა და განუმარტა, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ყველა გრიფირებულ სახელმძღვანელოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში; სკოლის ბიუჯეტი კი არ იძლევა ყველა სახელმძღვანელოს შეძენის შესაძლებლობას — სკოლა გამოყოფს თანხებს მხოლოდ იმ სახელმძღვანელოების შესაძენად, რომლებიც უკვე შერჩეული და დამტკიცებულია.

(2) დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლას ავტორიტეტს ულახავს ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთი მასწავლებელი, რომლის ბოლო ლექსების კრებული სკაბრეზული (უწმაწური, უხამსი ლექსიკის შემცველი) შინაარსის გამო საჯაროდ გააკრიტიკეს ერთ-ერთ პოპულარულ ჟურნალსა და სატელევიზიო გადაცემაში. დირექტორმა მოითხოვა მისი ლექსების კრებულის სკოლის ბიბლიოთეკიდან ამოღება, რათა ის არ იყოს ხელმისაწვდომი მოსწავლეთათვის და პედაგოგს მოსთხოვა, მომავალში აღარ გამოაქვეყნოს მსგავსი ლექსები.

34.1 მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, სკოლას უფლება აქვს, უარი უთხრას პედაგოგებს ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს შეძენაზე და გამოყოს თანხები მხოლოდ საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეული კონკრეტული სახელმძღვანელოებისათვის.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.2 ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სახელმძღვანელოებს ამტკიცებს საგნობრივი კათედრა.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.3 ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლის მიერ სახელმძღვანელოების შერჩევა უნდა მოხდეს 3 წლის ვადით, ამავდროულად ერთი სკოლის ფარგლებში პარალელურ კლასებში შესაძლებელია სხვადასხვა სახელმძღვანელოს გამოყენება.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.4 ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, საჯარო სკოლის დირექტორს არა აქვს უფლება „პოეტ პედაგოგს" აუკრძალოს სკაბრეზული ლექსების წერა და ან გამოცემა სკოლის პრესტიჟის შენარჩუნების მოტივით.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.5 მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, სკოლას უფლება აქვს, დააწესოს რაიმე ტიპის შეზღუდვა სკოლის ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურაზე.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

## დავალება №35

საახალწლო არდადეგების დაწყებამდე სკოლის დირექტორმა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლებისაგან რამდენიმე მოთხოვნა/საჩივარი მიიღო.

(1) მშობელთა უმეტესობა ითხოვდა დაწყებით საფეხურზე ინგლისური ენის პარალელურად გერმანული ენის სწავლების შემოღებასაც. მშობლებს სურდათ, რომ ბავშვებს მეორე უცხო ენის შესწავლაც ადრეული ასაკიდანვე დაეწყოთ. ისინი მზად იყვნენ, ყოველთვიურად შეეგროვებინათ თანხა გერმანული ენის მასწავლებლის დაქირავებისა თუ სხვა თანმხლები ხარჯების დასაფარად.

(2) მშობელთა ერთი ჯგუფი მოითხოვდა ძლიერი მოსწავლეებისათვის მათემატიკაში სპეციალური, გაძლიერებული კლასების გახსნას. მათი აზრით, ეს თანაბრად სასარგებლო იქნება როგორც ძლიერი, ისე სუსტი მოსწავლეებისათვის - ძლიერ მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, დაჩქარებულად გაიარონ მასალა და კიდევ უფრო გააუმჯობესონ საკუთარი აკადემიური მიღწევები, შედარებით სუსტ მოსწავლეებს კი მასწავლებლები უფრო მეტ დროს და ყურადღებას დაუთმობენ და ექნებათ მათთვის გაუგებარი საკითხების ხელახალი განხილვის შესაძლებლობა.

(3) ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი პრეტენზიას გამოთქვამდა მისი ბავშვის საახალწლო ზეიმში მონაწილეობის თაობაზე. ზეიმის ერთ-ერთი ნომერი საშობაო გალობა იყო, რომელშიც სხვებთან ერთად, დამრიგებლის გადაწყვეტილებით, ჩართულნი იყვნენ განსხვავებული აღმსარებლობის მოსწავლეებიც. დამრიგებელს ეს გადაწყვეტილება მშობლებთან არ შეუთანხმებია. მშობელი დირექტორისგან მომხდართან დაკავშირებით სათანადო რეაგირებას ითხოვდა.

დირექტორი გაეცნო შემოსულ წერილებს და შეატყობინა მშობლებს, რომ გადაწყვეტილებას თითოეულ საკითხთან დაკავშირებით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ უმოკლეს ვადაში მიიღებდა.

35.1 მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეხვედრაზე მშობლების მიერ წამოყენებული პირველი (1) და მესამე (3) საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება განეკუთვნება სკოლის დირექტორის კომპეტენციას, ხოლო მეორე (2) საკითხის შესახებ კი გადაწყვეტილება აუცილებელია შეთანხმდეს სამეურვეო საბჭოსთან.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

35.2 ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლას უფლება აქვს, დაამატოს გერმანული ენის შესწავლა დაწყებით საფეხურზე, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით ამ საფეხურზე მეორე უცხო ენის სწავლება არ არის გათვალისწინებული.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

35.3 ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სკოლას აქვს უფლება, გამოიყენოს მშობლების მიერ შემოწირული თანხები გერმანული ენის პედაგოგის სამუშაოს ანაზღაურებისათვის.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

35.4 ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლას არ აქვს უფლება, გაანაწილოს მოსწავლეები სხვადასხვა კლასებში მათემატიკაში მათი შესაძლებლობების თუ აკადემიური მოსწრების მიხედვით.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

35.5 კლასის დამრიგებელს ჰქონდა განსხვავებული მრწამსის მოსწავლის საშობაო გალობაში ჩართვის უფლება (მშობლის თანხმობის გარეშეც), ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი იყო საკონცერტო ნომერზე, რომელიც თეატრალიზებული საღამოს ნაწილია და არა რელიგიური რიტუალი.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

შეფასების სქემა იხილეთ დანართში N 3

# II თავი

## ტესტურ დავალებათა ტიპები

შეფასების პრინციპები

განმარტებები

რეკომენდაციები

# 2.1. დავალებები ღია დაბოლოებით

თქვენ უკვე გაეცანით 2011 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებულ პროფესიული უნარების ტესტს, რომელშიც განსხვავებული ტიპის დავალებებია გამოყენებული: *არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის, "ჭეშმარიტია/მცდარია" ტიპისა და დავალებები ღია დაბოლოებით.* ტესტირების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ დავალებათა შორის გამოსაცდელ პირებს, ანუ აპლიკანტებს ყველაზე მეტი სირთულე ღია დავალებებზე მუშაობისას შეექმნათ. ღია დავალებებზე მუშაობის სპეციფიკაში უკეთ გარკვევის მიზნით, მათზე განსაკუთრებულად გავამახვილებთ ყურადღებას.

ღია დავალების პირობა შედგება ორი ნაწილისაგან: **წარმოდგენილი სიტუაცია და შესაბამისი შეკითხვა**, რომელსაც არა აქვს თანდართული სავარაუდო პასუხები, აპლიკანტს ევალება, თავად იმსჯელოს დავალებაში გამოკვეთილ პრობლემაზე. მოთხოვნა შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე მითითებას. მითითება ეხმარება აპლიკანტს, კარგად გაიაზროს პირობა და განსაზღვროს, რა მიმართულებით უნდა წარმართოს მსჯელობა.

ღია დავალების ნიმუში

პირობა:

| | |
|---|---|
| 1. სიტუაცია | დამწყებ პედაგოგს მეცხრე კლასში დისციპლინის პრობლემები შეექმნა. ამ პრობლემების მოსაგვარებლად მან გადაწყვიტა კლასში მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავება და რჩევისთვის თქვენ მოგმართათ. |
| 2. მოთხოვნა/ მითითება | - მიეცით პედაგოგს ორი რჩევა, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავებისას.<br>- ახსენით, როგორ დაეხმარება თქვენი რჩევა დამწყებ პედაგოგს დისციპლინის პრობლემების მოგვარებაში. დაასახელეთ თითოეული რჩევის დადებითი შედეგი. |

დავალება ღია დაბოლოებით, ჩვეულებრივ, მოითხოვს **სიტუაციის ანალიზს, არგუმენტაციას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, პრობლემის პრევენციაზე ან დაძლევაზე ორიენტირებული აქტივობების აღწერასა და მათი შესაძლო შედეგების**

**შეფასებას**. ამ ტიპის დავალებას არა აქვს ერთი სწორი პასუხი, რადგან შეიძლება დავალებაში აღწერილი პრობლემა სხვადასხვა კუთხით გაანალიზდეს ან ერთი და იგივე პრობლემა განსხვავებული გზით დაიძლიოს. სწორედ ამიტომ, თითოეული ღია დავალებისათვის წინასწარ არის შემუშავებული შეფასების სქემა, რომელშიც განხილული და დასაბუთებულია ყველა შესაძლო „სწორი პასუხი". შეფასების სქემაში დეტალურადაა აღწერილი, რა შემთხვევაში ფასდება აპლიკანტი „ნაწილობრივი" ან მაქსიმალური ქულით. სწორედ სქემაში აღწერილი შეფასების საერთო პრინციპისა და შინაარსის ადეკვატურობის გათვალისწინებით ფასდება თითოეული აპლიკანტის ნაშრომი. იმისათვის, რომ დავალება სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული, ამასთან, პასუხი არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს.

ღია დავალების შეფასებისას ხშირად გამოიყენება შეფასების რუბრიკები. რუბრიკა შეფასების სქემის გზამკვლევია. შეფასების რუბრიკა შეიძლება იყოს **ჰოლისტური, ანუ მთლიანი და ანალიტიკური. ჰოლისტური რუბრიკა** ნამუშევარს აფასებს მთლიანობაში, თუ როგორ არის შესრულებული ნამუშევრები ზოგადად, ხოლო **ანალიტიკური რუბრიკა** – ცალკეულ კომპონენტებს. პროფესიული უნარების ტესტში ღია დავალებების შეფასებისას გამოყენებულია როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური რუბრიკა.

შეფასების სქემა ჰოლისტური რუბრიკის სახით ასახავს ნებისმიერი ღია დავალების შეფასების ძირითად პრინციპს, ჰოლისტური რუბრიკის ნიმუში წარმოდგენილია №4 დანართში (გვ. 202)

პედაგოგთა ნამუშევრების თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინილი ხარვეზების საილუსტრაციოდ გთავაზობთ 2011 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ზოგიერთი ღიადაბოლოებიანი დავალების პასუხების ნიმუშებს თანდართული განმარტებებით. ნიმუშები აღებულია პროფესიული უნარების ტესტის I ვარიანტიდან.

## დავალება №18

*მაქსიმალური ქულა - 3*

| |
|---|
| მეოთხე კლასის ბუნების მასწავლებელმა მაგნიტის თვისებების ახსნის შემდეგ მოსწავლეებს ასეთი პრაქტიკული დავალება მისცა: შუშის ქილაში ერთი და იმავე ზომის ხის და რკინის ბურთულები ჩაყარა და შესაძლებლობა მისცა მოსწავლეებს, მაგნიტის დახმარებით ისინი ერთმანეთისაგან გამოეცალკევებინათ. პრაქტიკული სამუშაოს შეჯამების შემდეგ, მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, დაესახელებინათ მაგნიტის ყოველდღიურობაში გამოყენების ერთი მაგალითი.<br>აღწერეთ მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის დადებითი შედეგები. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი. |

***რას ვაფასებთ.*** ამ დავალებით ფასდება ის, თუ რამდენად ესმის მასწავლებელს პრაქტიკასა და თვალსაჩინოებაზე აგებული სწავლების მნიშვნელობა სასწავლო შედეგების მიღწევისათვის. მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, მასწავლებელი კარგად იცნობდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და ისე შეარჩიოს აქტივობები, რომ ხელი შეუწყოს მათ მიერ მასალის უკეთ გააზრებასა და ათვისებას. როგორც ცნობილია, „კეთებით“, „საკუთარი აღმოჩენების“ შედეგად დასწავლილი მასალა მოსწავლეებისთვის არა მხოლოდ სახალისოა, არამედ მამოტივირებელი და ინტერესის აღმძვრელიცაა. გააზრებულად ნასწავლი ხანგრძლივად რჩება მეხსიერებაში, მოსწავლეებს უადვილდებათ მიღებული ცოდნის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება და წარმატებით იყენებენ სხვა სიტუაციაში. ამასთან, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია ასახსნელი მასალის თვალსაჩინოდ ილუსტრირება. პედაგოგი, რომელიც იყენებს გაკვეთილზე პრაქტიკულ სავარჯიშოს, ეხმარება მოსწავლეებს მასალის აქტიურ დასწავლაში.

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) **უნდა აღწეროს მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის დადებითი შედეგები და** (2) **დაასაბუთოს საკუთარი პასუხი – ახსნას, კონკრეტულად რა ფაქტორები განაპირობებს მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობის დადებით ეფექტს. შესაბამისად,** მაქსიმალური – 3 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და პასუხი გაცემულია ყველა მითითებაზე; აღწერილია

მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის მინიმუმ ორი დადებითი შედეგი, ამასთან, პასუხი გამყარებულია დამაჯერებელი არგუმენტებით (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. გვ 203 დანართი 4).

მე-18 დავალების შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად, გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან აღებულ ზოგიერთ ნიმუშს.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



***განმარტება***. აპლიკანტის პასუხი  სრულია, ის აღწერს მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობის ორზე მეტ დადებით შედეგს (მასალის კარგად გააზრება, ჩართულობა, მოტივაციის ამაღლება, მყარი ცოდნის შეძენა) და ადეკვატურად ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას. კერძოდ, აპლიკანტის მსჯელობიდან ჩანს, რომ მას კარგად ესმის თვალსაჩინოების გამოყენების ეფექტიანობა მოსწავლეთა განვითარების ამ ეტაპზე. აპლიკანტი ადეკვატურად აფასებს ასევე „კეთებით სწავლის“ მნიშვნელობას როგორც მოსწავლეთა მოტივაციის, ჩართულობის ზრდის, ასევე მასალის ადვილად აღქმისა და მისი ხანგრძლივი დროით დამახსოვრებისათვის თვალსაზრისით. შესაბამისად, აპლიკანტის პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 3 ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით*



***განმარტება.*** აპლიკანტის პასუხი არასრულია, ის აღწერს მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობის მხოლოდ ერთ დადებით შედეგს (*მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება გაკვეთილის თემის მიმართ)* და ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას. აპლიკანტი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ თვალსაჩინოება ამრავალფეროვნებს გაკვეთილს, სწორედ ამის საფუძველზე ხდება ინტერესის გაღვივება, რაც მასალის გაგებისა და დამახსოვრების წინაპირობაა. ვინაიდან აპლიკანტი აღწერს და ასაბუთებს მხოლოდ ერთ დადებით შედეგს, მისი პასუხი შეფასებულია 2 ქულით.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*

**18.**



***განმარტება.*** აპლიკანტის პასუხი არასრულია, ის ასახელებს მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობის სამ დადებით ეფექტს (ჩართულობა, მოტივაციის ზრდა და მიზნის მიღწევა, რომელშიც, სავარაუდოდ, აპლიკანტი გულისხმობს მოსწავლეების მიერ მასალის გაგებასა და ათვისებას), მაგრამ არც ერთ მათგანს არ განმარტავს; არ ასაბუთებს, რით არის განპირობებული დადებითი ეფექტები. მიუხედავად იმისა, რომ სამივე დადებითი ეფექტი სწორად არის დასახელებული, ნაშრომი ფასდება 1 ქულით, რადგან შეფასებისას დიდი მნიშვნელობა სწორედ პასუხის არგუმენტირებას ენიჭება. არგუმენტირების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რამდენად აქვს გააზრებული აპლიკანტს მოცემული საკითხი.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*

18. მასწავლებელმა აქტიური გაკვეთილში გამოიყენოს მიზნობრიობის ერთ ერთი ასეთი საკითხი, რომ სტუდენტის ხასიათის შედეგადად შეიძლება სტუდენტი ერთმანეთის მიზნობრივ არც შეესწავლოს.

**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*

18. დადებითი: მასწავლებელმა ჩაატარა პრაქტიკული სამუშაო.

მასწავლებლისგან უფრო მეტ შედეგს ვღებულობთ პრაქტიკული სამუშაოს შესრულებით, ვიდრე ზეპირი სიტყვიერებით.

***განმარტება.*** ნიმუში №4 და ნიმუში №5 შეფასებულია 0 ქულით, რადგან პასუხები არარელევანტურია. ნიმუში №4-ის ავტორი არ ასახელებს არც ერთ დადებით შედეგს, პასუხის სახით გვთავაზობს მხოლოდ დავალების პირობის პერიფრაზს. აპლიკანტმა სწორად ვერ გაიაზრა დავალების პირობა და, შესაბამისად, ვერ უპასუხა დავალების მითითებებს.

ნიმუში №4-ის ავტორისგან განსხვავებით, მე-5 ნიმუშის ავტორი ცდილობს, უპასუხოს დავალებაში დასმულ საკითხს, მაგრამ არასწორად: პირველ რიგში, აპლიკანტი დადებით ეფექტად ასახელებს თავად მასწავლებლის მიერ განხორციელებულ სასწავლო აქტივობას (*პრაქტიკული სამუშაო*), ამასთან, მის მიერ წარმოდგენილი ზოგადი არგუმენტიც ვერ ჩაითვლება დასაბუთებად, რადგან აპლიკანტი არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს ფრაზაში – *„უფრო მეტ შედეგს ვღებულობთ“*. შესაბამისად, ნაშრომი ფასდება 0 ქულით.

**დავალება № 18-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები**

- დადებითი შედეგების აღწერის ან დასახელების ნაცვლად აპლიკანტები ხშირად საკუთარი სიტყვებით გადმოსცემდნენ დავალების პირობის შინაარსს. მაგალითად: *„ბევრი დადებითი შედეგი მოჰყვება ისეთ აქტივობას, როდესაც მოსწავლე მაგნიტის დახმარებით რკინის და ხის ბურთულებს ერთმანეთისგან გამოაცალკევებს.“* მსგავსი პასუხი დავალების პირობის პერიფრაზია და ვერ ჩაითვლება დადებითი შედეგის აღწერად. შესაბამისად, ამ კომპონენტში ნაშრომი ფასდება 0 ქულით.
- ხშირად აპლიკანტები სწორად ვერ ასახელებდნენ უნარებს, რომელთაც ავითარებს დავალების პირობაში მოცემული აქტივობა. მაგალითად: *„დადებითი შედეგი ისაა, რომ მოსწავლეებს უვითარდებათ ანალიზის, კრიტიკული აზროვნების უნარები.*“ ასეთი პრაქტიკული სავარჯიშოები ხელს უწყობს **ცოდნის** შეძენას, მასალის **გაგებას** და შეძენილი ცოდნის **გამოყენების** უნარს სხვა სიტუაციებში. რაც შეეხება **ანალიზს**, **კრიტიკულ აზროვნებას**, ეს უფრო მაღალი დონის სააზროვნო უნარებია და აღწერილი აქტივობის გამოყენებით ვერ მიიღწევა. (იხ. „როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის – პროფესიული უნარები“; გამოცდების ეროვნული ცენტრი 2008წ. გვ. 131-136.)
- მიუხედავად იმისა, რომ ეს დავალება არ ისახავდა მიზნად აპლიკანტების თეორიული ცოდნის შემოწმებას, ხშირ შემთხვევებში ისინი ცდილობდნენ, საკუთარი პასუხი გაემყარებინათ თეორიული საფუძვლებით, ასეთ მცდელობებს რამდენიმე ტიპის ხარვეზები ახლდა: (1) უმეტეს შემთხვევაში, აპლიკანტი ავლენდა თეორიის გაუაზრებელ ცოდნას, რასაც ადასტურებდა პასუხში მოყვანილი არაადეკვატური მაგალითები: *„მოსწავლე კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე იმყოფება, ამ ასაკში მას შეუძლია კლასიფიკაციის, ტრანსფორმაციის, შექცევადობის უნარის განსაზღვრა“*; (2) აპლიკანტი უშვებდა უხეშ ფაქტობრივ შეცდომას (მაგ., *„კონკრეტულოპერაციულ სტადიაზე მყოფ ბავშვებს უკვე შეუძლიათ აბსტრაქტული აზროვნება“*); ან (3) იმდენად განაზოგადებდა პასუხს, რომ უფრო ხშირ შემთხვევაში სცილდებოდა დასმულ საკითხს და შედეგად მსჯელობას მოსდევდა არასწორი დასკვნა.

**რეკომენდაციები**

მასწავლებლებს ვურჩევთ, „კეთებით სწავლისა“ და თვალსაჩინოების მნიშვნელობის უკეთ გასააზრებლად წაიკითხონ: „სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 3-8), „ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 5-22).

**დავალება №19** *მაქსიმალური ქულა – 4*

მასწავლებელი სასწავლო პროცესს ისე უნდა წარმართავდეს, რომ საგნობრივი ცოდნის გაღრმავებასთან ერთად ხელს უწყობდეს მოსწავლეთა სააზროვნო, შემეცნებითი უნარების განვითარებას, ამასთან, ეხმარებოდეს მოსწავლეს ახალი მასალის ათვისებისას სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებაში.

მოსწავლეთა უმრავლესობა, მასალის სირთულის მიუხედავად, ძირითადად სწავლის პრიმიტიულ სტრატეგიებს მიმართავს, მაგალითად, გაკვეთილის სწავლის დროს მასალას მრავალჯერ კითხულობს და იმეორებს. მაგრამ ეს არ არის ახალი მასალის სწავლის საუკეთესო გზა. ეფექტური სწავლა მასალის აქტიურად გააზრებასა და გადამუშავებას მოითხოვს.

- აღწერეთ ერთი პრაქტიკული სტრატეგია, რომლის საშუალებითაც პედაგოგი დაეხმარება მოსწავლეს ახალი მასალის ათვისებისას სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ადეკვატურობა.
- სასურველი შედეგის მისაღებად ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას გარკვეული პირობების დაცვაა საჭირო. დაასახელეთ ერთი წინაპირობა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის.

***რას ვაფასებთ.*** ამ დავალებით ფასდება, რამდენად აქვს მასწავლებელს გააზრებული ის გზები და საშუალებები, რომლებიც მოსწავლეებს სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებაში დაეხმარება. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებას. პედაგოგმა სასწავლო პროცესი ისე უნდა წარმართოს, რომ საგნობრივი ცოდნის გადაცემასთან ერთად ხელი შეუწყოს ამ უნარების განვითარებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მოსწავლეების მიერ საკუთარი აზროვნების პროცესების მართვას. მოსწავლის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აქვს მას გაცნობიერებული, რა და როგორ ისწავლა, ანუ რამდენად ფლობს სწავლის ეფექტიან სტრატეგიებს. "აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ", რომელიც მოსწავლეს სასწავლო მიზნების დაგეგმვასა და სწავლის პროცესის მართვაში ეხმარება, მეტაკოგნიციის სახელითაა ცნობილი. მეტაკოგნიტური უნარები რომ განუვითაროს მოსწავლეს, პედაგოგი თავად კარგად უნდა იცნობდეს და იყენებდეს ამ უნარის ხელშემწყობ სტრატეგიებს.

***შეფასების კრიტერიუმები.*** ეს დავალება 4-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად, სამ მითითებას უნდა უპასუხოს: (1)აღწეროს ერთი პრაქტიკული სტრატეგია, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებაში, (2)დაასაბუთოს აღწერილი სტრატეგიის ადეკვატურობა და (3)დაასახელოს წინაპირობა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. გვ 205 დანართი 4).

მაქსიმალური 4 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და სრულყოფილადაა გაცემული პასუხი სამივე მითითებაზე. **პასუხი არის სრული, არგუმენტირებული,** მსჯელობა ყველა საკითხზე დასაბუთებულია, არის თანამიმდევრული, ლოგიკური და მკაფიო. აპლიკანტს ესმის, რომ დასმული პრობლემა უკავშირდება მოსწავლის **მეტაკოგნიტური უნარების** განვითარებას და ავლენს ამ საკითხის გარშემო გააზრებულ, დამაჯერებელ და სრულყოფილ ცოდნას, კერძოდ:

1. აღწერილია ადეკვატური სტრატეგია (მაგალითად, ინფორმაციის ორგანიზება, ცოდნის კონსტრუირება, ინფორმაციის გადამუშავება, ჩანაწერების გაკეთება, შეკითხვების დასმა და სხვა);
2. დასაბუთებულია, რატომ და როგორ განუვითარებს აღწერილი სტრატეგია მოსწავლეს მეტაკოგნიტურ უნარებს (მაგალითად, ინფორმაციის ორგანიზების სხვადასხვა ხერხი ვიზუალურად უჩვენებს მოსწავლეს ცნებებს შორის მიმართებას. ისინი იაზრებენ, რა კავშირშია ახალი ცნებები შესწავლილთან, არსებულ ცოდნასთან, ახდენენ მასალის ვიზუალურად კოდირებას, რაც ღრმა გააზრებასა და ხანგრძლივ დამახსოვრებას უზრუნველყოფს);
3. დასახელებულია სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის აუცილებელი წინაპირობა (ეს შეიძლება იყოს არსებული ცოდნის დადგენა და გააქტიურება, აზრის თავისუფლად და შეუზღუდავად გამოთქმის სტიმულირება და სხვ.).

სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ დავალების შესრულება პედაგოგებს გაუჭირდათ. პასუხებიდან ჩანს, რომ მასწავლებლების დიდმა ნაწილმა ვერ გაიაზრა დავალების პირობა. ისინი ან ***მხოლოდ ასახელებენ*** და ***არ აღწერენ*** სტრატეგიას, ან აღწერენ, მაგრამ ***ვერ ასაბუთებენ.*** პრობლემური აღმოჩნდა იმის გააზრებაც, თუ რა იგულისხმება წინაპირობაში. აპლიკანტთა ნაწილი წინაპირობად ასახელებდა სტრატეგიის

მნიშვნელობის ახსნას მოსწავლეთათვის და სტრატეგიის გამოყენების მაგალითის ჩვენებას, რაც თავისთავად არაადეკვატური არ არის და ამიტომ ამგვარი პასუხებიც ჩაითვალა. აპლიკანტებს უჭირდათ პასუხების მითითებების მიხედვით სტრუქტურირებაც.

ამ დავალების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად, დეტალურად განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომების ნიმუშები.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 4 ქულით.*



***განმარტება.*** აპლიკანტის პასუხი პირველი მითითების შესაბამისად არის ჩამოყალიბებული, ის ასახელებს და დეტალურად აღწერს ადეკვატურ სტრატეგიას (ცოდნის კონსტრუირება). ასევე ასაბუთებს, რაში დაეხმარება მოსწავლეს აღწერილი სტრატეგია. აპლიკანტი დასაბუთებისას იშველიებს რამდენიმე არგუმენტს (არსებული ცოდნისა და ახალი ცნებების დაკავშირება, საწყისი ცოდნის შეფასება, თვალის მიდევნება საკუთარი აზროვნების პროცესისათვის), საიდანაც ჩანს, რომ მას კარგად ესმის აღწერილი სტრატეგიის მნიშვნელობა მეტაკოგნიტური უნარის განვითარებისათვის. პასუხში დასახელებულია ადეკვატური წინაპირობაც: ფონური ცოდნის გააქტიურებამდე შეთანხმება პრინციპზე – ყველა აზრი მისაღებია – იმისათვის, რომ მოსწავლეებს არ ჰქონდეთ შეცდომის დაშვების შიში და ადვილად გაადევნონ თვალი ცოდნის კონსტრუირების პროცესს.

აპლიკანტის პასუხი არის სრული, ლოგიკური, თანმიმდევრული, ჩანს საკითხის ცოდნა, ამომწურავად უპასუხებს დავალების პირობებს და, შესაბამისად, შეფასებულია მაქსიმალური 4 ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*

**19.** ახალი მასალის ათვისებისას ერთ-ერთი ეფექტიანი სწავლის სტრატეგიაა კოგნიტური სქემების შექმნა. მოსწავლე ადგენს სქემას, მასალის გაცნობის პროცესში. გამოყოფს და ლოგიკურ მიმდევრობით ათავსებს პირველხარისხოვან და მეორეხარისხოვან ინფორმაციებს. ანუ ახარისხებს, რა დომინანტურია, რისი მნიშვნელოვანი.

ეს სტრატეგია ბავშვს საშუალებას აძლევს ვიზუალურად, უკეთ აღიქვას მასალა. ეხმარება მოსწავლეს ტექსტის ანალიზის უნარის განვითარებაში.

მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მოსწავლეებს სწავლის სტრატე-გიები და მისი გამოყენების დანიშნულებისათვის.

***ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ.*** აპლიკანტის პასუხი პირველი მითითების შესაბამისად არის ჩამოყალიბებული. ის აღწერს ადეკვატურ სტრატეგიას (კოგნიტური სქემების გამოყენება), ასევე ასაბუთებს, რაში დაეხმარება მოსწავლეს აღწერილი სტრატეგია, თუმცა დასაბუთება სქემატურია. მხოლოდ მითითებულია, რომ ეს სტრატეგია მოსწავლეს ეხმარება მასალის ვიზუალურად აღქმასა და „ტექსტის ანალიზის უნარის განვითარებაში“, მაგრამ არაფერია ნათქვამი მეტაკოგნიციაზე, იმაზე, თუ რამდენად და რატომ შეუწყობს სტრატეგია ხელს დამოუკიდებლად სწავლას, მასალის აქტიურად გააზრებასა და გადამუშავებას, აგრეთვე, ხანგრძლივ დამახსოვრებას. დასახელებულია წინაპირობაც. ამდენად, პასუხი შეფასებულია 3 ქულით.

**ᲜᲘᲛᲣᲨᲘ №3** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*

**19.** ახალი მასალის ეფექტური გააზრებისა და დამახსოვრებისთვის მასწავლებელი იყენებს კითხვის სტრატეგიას 3, 2, 1 – მეთოდი ~~სტრატეგია~~. ამ მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს ტექსტის ღრმა და საფუძვლიანად წაკითხვას, გააზრებას, გამოყოფენ ტექსტში მნიშვნელოვან და ყურადსაღებ ინფორმაციას, ანუ ახდენენ ინფორმაციის დახარისხებას. ეს მეთოდი განავითარებს კვლევა-ძიების, ინფორმაციის მოპოვების უნარ-ჩვევებს. ისწავლა ბევრი საინტერესო.

იმიტომ რომ მეთოდი ეფექტური იყოს, წინაპირობა შემდეგია მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეს ამ მეთოდის დანიშნულებას და ~~[illegible]~~ წარმოქმნილ შეკითხვებს. და მეთოდი არის.

***ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ.*** პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა. მასწავლებელი მხოლოდ ასახელებს და არ აღწერს სტრატეგიას; ამასთან, დასაბუთებაში კარგად არ ჩანს0, რომ აპლიკანტს ესმის მეტაკოგნიციის არსი. ის ასახელებს ორ უნარს (კვლევა-ძიებისა და ინფორმაციის მოპოვების), მაგრამ

არაფერს ამბობს იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს მოსწავლე საკუთარი აზროვნების პროცესზე დაკვირვებას, ”3, 2, 1” სტრატეგიის დამოუკიდებლად გამოყენებას. დასახელებულია წინაპირობა (სტრატეგიის არსში მოსწავლეთა გარკვევა), ამიტომ პასუხი შეფასებულია 2 ქულით.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*



***განმარტება.*** პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს ზედაპირული ცოდნა საკითხის შესახებ. იგი აღწერს ადეკვატურ აქტივობას, მაგრამ წარმოდგენილი სტრატეგიის ეფექტურობის დასაბუთება საკმაოდ ბუნდოვანი და სუსტია, ამასთან საერთოდ არ არის დასახელებული სტრატეგიის გამოყენების წინაპირობა. პასუხში აქცენტი გადატანილია ტექსტის გააზრებაზე და არა „აზროვნებაზე საკუთარი აზროვნების შესახებ“, რომელიც მოსწავლეს სწავლის სტრატეგიების ეფექტიან გამოყენებაში დაეხმარება. ამდენად, შეფასების სქემის მიხედვით, პასუხი შეფასდა 1 ქულით.

**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



***განმარტება.*** პასუხი არაადეკვატურია. უპირველეს ყოვლისა, ჯგუფური მუშაობა ორგანიზების ფორმაა და არა სწავლების სტრატეგია, თუმცა აპლიკანტს დასაბუთების კომპონენტში რომ ეჩვენებინა, თუ როგორ ეხმარება ის ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეებს საკუთარი სასწავლო საქმიანობის გაცნობიერებაში,

წარმართვასა და შეფასებაში, პასუხი პირობას დააკმაყოფილებდა. სამწუხაროდ, აპლიკანტმა მსჯელობა ამ მიმართულებით ვერ წარმართა, არგუმენტები ზოგადია, შესაბამისად, პასუხი შეფასდა 0 ქულით.

**დავალება № 19-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები**

- **დასაბუთების ნაცვლად პირობის პერიფრაზირება.** სტრატეგიის ადეკვატურობის დასაბუთების ნაცვლად აპლიკანტები ხშირად იყენებენ პირობის პერიფრაზს (მაგალითად, ”ეს სტრატეგია ხელს შეუწყობს / დაეხმარება მოსწავლეს მასალის გააზრებასა და გადამუშავებაში”).
- **პრობლემები დავალების პირობის გააზრებაში.** აპლიკანტებს გაუჭირდათ იმის გაგება, რომ სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა მოსწავლეები თვალს ადევნებენ საკუთარი აზროვნების პროცესს, სწავლობენ სწავლას. როგორც პასუხების ანალიზმა გვიჩვენა, მასწავლებლებს არა აქვთ გააზრებული მეტაკოგნიციის არსი.
- წინაპირობის ცნების არასწორი გაგება. აპლიკანტებმა ვერ გაიაზრეს, როგორ მოვამზადოთ მოსწავლე სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის. მაგალითად, თუ ვიყენებთ რეზიუმირებას, როგორც სტრატეგიას, თავიდან მასწავლებელმა უნდა ახსნას მისი არსი და გააცნოს ნიმუშიც.

**რეკომენდაცია**

მასწავლებლებს ვურჩევთ, მეტაკოგნიციის არსში უკეთ გასარკვევად წაიკითხონ: „განვითარებისა და სწავლის თეორიები“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 119-134), „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“ (ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2007, გვ. 13-15), „ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 22-36, 202-204).

| **დავალება №20** | *მაქსიმალური ქულა – 5* |
|---|---|

არსებობს მოსაზრება, რომ რაც უფრო მკაცრი და მომთხოვნია მასწავლებელი – რაც უფრო იშვიათად წერს იგი მაღალ შეფასებას, მით მეტად ცდილობენ ბავშვები, უკეთესად ისწავლონ. მასწავლებლის ასეთ სიმკაცრეს უარყოფითი მხარეებიც ახლავს, განსაკუთრებით, დაწყებით კლასებში.

იმსჯელეთ მოსწავლეთა შეფასებისადმი ამგვარი მიდგომის უარყოფით შედეგებზე. შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

– აღწერეთ დაწყებით კლასებში მასწავლებლის გამოკვეთილი სიმკაცრის ერთი უარყოფითი შედეგი, რომელიც აისახება სწავლის შედეგზე.
– აღწერეთ დაწყებით კლასში მასწავლებლის გამოკვეთილი სიმკაცრის ერთი უარყოფითი შედეგი, რომელიც აისახება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.
– დაასაბუთეთ თითოეული პასუხი.

***რას ვაფასებთ.*** მოცემული დავალებით ფასდება, შეუძლია თუ არა პედაგოგს დასჯა-წახალისების ეფექტიანი გამოყენება სწავლებისა და პიროვნული განვითარების ხელშესაწყობად. იცის თუ არა პედაგოგმა, რა გავლენას ახდენს სიმკაცრე დაწყებითი კლასის მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლის შედეგებზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად პედაგოგის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის ეფექტიანობას განაპირობებს კლასში არსებული ჯანსაღი სასწავლო გარემო და მოსწავლეებისათვის უკუკავშირის მიცემა. მოსწავლეთა მიღწევებზე პედაგოგის რეაგირების ფორმა და ხასიათი და მოსწავლეების მიმართ წაყენებული მოთხოვნები არსებით ზეგავლენას ახდენს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა როგორც კოგნიტურ, ასევე პიროვნულ განვითარებაზე. ადრეულ სასკოლო ასაკში ჩამოყალიბებული შეხედულება საკუთარ შესაძლებლობებზე განაპირობებს მოსწავლის შემდგომ დამოკიდებულებას სასწავლო მიზნების დასახვისა და მათი მიღწევის გზების, ზოგადად, სწავლის, მიმართ.

ამდენად, სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის პედაგოგს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა, შეეძლოს დაწყებითი კლასის მოსწავლის მოტივირება და მასში სწავლის სურვილის აღძვრა, მისი პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება ხუთქულიანია. აპლიკანტმა დავალებაში მოცემულ სამ მითითებას უნდა უპასუხოს. მითითებების მიხედვით,

აპლიკანტის პასუხში უნდა იყოს აღწერილი დაწყებით კლასებში მასწავლებლის გამოკვეთილი სიმკაცრის ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც აისახება ეს (1) მოსწავლის სწავლის შედეგსა და (2) მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. ამასთან, (3) აპლიკანტმა ორივე შემთხვევაში უნდა დაასაბუთოს გამოთქმული მოსაზრება. პასუხი მაქსიმალური ქულით ფასდება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და იგი სრულყოფილად უპასუხებს დავალების ყველა მითითებას (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. გვ 207 დანართი 4), მაგალითად:

(1) აპლიკანტი ასახელებს მასწავლებლის გამოკვეთილი სიმკაცრის ერთ უარყოფით ეფექტს, რომელიც აისახება სწავლის შედეგზე (პასუხი შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს: მოსწავლეს ეკარგება მოტივაცია, საგანი და მასწავლებელი ასოცირდება უარყოფით ემოციებთან და ა.შ.). ამასთან, მოცემულია გამოთქმული მოსაზრების ადეკვატური დასაბუთება (მაგალითად, მოსწავლეს ეკარგება ინტერესი შესასწავლი მასალის მიმართ, რწმუნდება, რომ, გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, მაღალ შეფასებას მაინც ვერ მიიღებს და აღარ ცდილობს შედეგის გაუმჯობესებას, აღარ მეცადინეობს).
(2) აპლიკანტი ასახელებს მასწავლებლის გამოკვეთილი სიმკაცრის ერთ უარყოფით ეფექტს, რომელიც აისახება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე (მაგალითად, მოსწავლეს უქვეითდება თვითშეფასება, შესაძლოა, გახდეს თავის თავში ჩაკეტილი ან აგრესიული და ა.შ.) და გვთავაზობს გამოთქმული მოსაზრების ადეკვატურ დასაბუთებას (მაგალითად, ხშირად მიღებული უარყოფითი უკუკავშირი მოსწავლეს აფიქრებინებს, რომ მას არ შეუძლია წარმატების მიღწევა სასწავლო პროცესში. ხშირი ნეგატიური ემოციები ძლიერ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს ბავშვზე, თრგუნავს მას, რაც შემდგომ, შესაძლოა, ნეგატიური და აგრესიული ქცევების სახით გამოვლინდეს და ა.შ.).

სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ დავალების შესრულება პედაგოგებს არ გაუჭირდათ. უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ამომწურავად მსჯელობს დასჯის უარყოფითი შედეგების შესახებ, თუმცა ხშირი იყო არასრულყოფილი პასუხები. კერძოდ:

ა. აპლიკანტები არ ითვალისწინებდნენ დავალების ყველა მითითებას და ძირითადად მსჯელობდნენ მხოლოდ ერთ-ერთის შესახებ.
ბ. რიგ შემთხვევებში დასახელებული იყო დასჯის უარყოფითი ეფექტები როგორც სასწავლო პროცესის, ასევე პიროვნული განვითარებისათვის, თუმცა პასუხი არ იყო დასაბუთებული.

ამ დავალების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპების უკეთ გასაგებად დეტალურად განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომების ნიმუშები.

**ნიმუში №1.** *პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 5 ქულით.*



***განმარტება.*** ნიმუშში ამომწურავად არის გაცემული პასუხი დავალების სამივე მითითებაზე: აპლიკანტი ადეკვატურად აღწერს, რა უარყოფითი შედეგები მოსდევს დაწყებით კლასებში მასწავლებლის გამოკვეთილ სიმკაცრეს, როგორც მოსწავლეთა სწავლის, ასევე პიროვნული განვითარების თვალსაზრისით. წარმოდგენილია გამოთქმული მოსაზრებების (დასახელებული უარყოფითი შედეგების) ადეკვატური დასაბუთება კონკრეტული არგუმენტაციის გამოყენებით. პასუხი კონკრეტულია. მსჯელობა გაშლილია, ლოგიკური და თანმიმდევრული, მასში ჩანს საკითხის ცოდნა. ამდენად, აპლიკანტის ნაშრომი შეფასებულია მაქსიმალური - 5 ქულით.

**ნიმუში №2.** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



***განმარტება.*** აპლიკანტი ნაშრომში სწორად ასახელებს შეფასებაში მასწავლებლის მიერ გამოვლენილი სიმკაცრის ნეგატიურ ზეგავლენას მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებსა და პიროვნულ განვითარებაზე. პასუხში

აგრეთვე წარმოდგენილია აპლიკანტის ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რა ფაქტორები იწვევს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუარესებას, კერძოდ აპლიკანტი აღნიშნავს, რომ მასწავლებლის სიმკაცრე გამოიწვევს მოსწავლეების სწავლის მოტივაციის დაქვეითებას, რაც, ბუნებრივია, აისახება მათ აკადემიურ მიღწევებზეც. რაც შეეხება სიმკაცრის უარყოფით ზეგავლენას მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, აპლიკანტი მხოლოდ ამგვარი მიდგომის უარყოფით შედეგს ასახელებს, მაგრამ არ ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას – არ ხსნის, რატომ შეიძლება მივიღოთ ასეთი შედეგი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპლიკანტი მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს დავალების პირობაში წარმოდგენილ მითითებებს, რის გამოც პასუხი ჩაითვალა არასრულად და შეფასდა 3 ქულით.

**ნიმუში №3.** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*

20. - დაწყებით კლასებში მასწავლებლის გამოკვეთილი სიმკაცრის ერთი უარყოფითი შედეგი, რომელიც აისახება სწავლის შედეგზე არის მოსწავ-ლის მიმართ მოტივაციის დაკარგვა. მასწავლებელმა უნდა შეაქოს, წახალისოს მოსწავლე. მას არ უნდა ჰქონდეს შიშის ფაქტორი. მოსწავლეებთან უნდა იყოს მეგობრული. ამით მასწავლებელი მიაღწევს დადებით შედეგს სწავლებაში.

***განმარტება.*** წარმოდგენილ ნიმუშში აპლიკანტი უპასუხებს დავალებით გათვალისწინებული მითითებებიდან მხოლოდ ერთს: აღწერს დაწყებით კლასებში მასწავლებლის გამოკვეთილი სიმკაცრის იმ უარყოფით შედეგს, რომელიც აისახება მოსწავლის სასწავლო მიღწევებზე – *სწავლის მიმართ მოტივაციის დაკარგვა, რაც მასწავლებლის მიმართ შიშით არის განპირობებული.* თუმცა გამოთქმული მოსაზრება არ არის დასაბუთებული.

ნაშრომში არ არის წარმოდგენილი მსჯელობა დავალების მეორე მითითებაზე - კლასებში მასწავლებლის გამოკვეთილი სიმკაცრის უარყოფით შედეგზე, რომელიც აისახება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავალების მითითებებზე პასუხის ნაცვლად, აპლიკანტი გვთავაზობს საკუთარ მოსაზრებებს სასწავლო გარემოს, მოსწავლეების მიმართ დამოკიდებულების შესახებ – საუბრობს მოსწავლეების

მიმართ მეგობრული ურთიერთობის, მათი წახალისების მნიშვნელობაზე სწავლების უკეთესი შედეგების მიღწევისათვის. აპლიკანტის მსჯელობა თავისთავად მართებულია, თუმცა ის სცდება დავალების კონკრეტულ მოთხოვნას და, შესაბამისად, პასუხის ეს ნაწილი არ ფასდება.

მოცემულ პასუხში აპლიკანტი მხოლოდ ასახელებს მასწავლებლის სიმკაცრის უარყოფით ეფექტს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამდენად, შეფასების სქემის მიხედვით, პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

**ნიმუში №4.** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით*

**20.** მასწავლებლის ძალიან სიმკაცრემ შეიძლება ბავშვების ფსიქიკაზე უარყოფითად იმოქმედოს დაწყებით კლასებში, რადგან ეს არის ის ასაკი სადაც ჩამოყალიბდებიან და მათ სხვადასხვაგვარი მიდგომა სჭირდებათ და ამ სიმკაცრემ შეიძლება სხვა შედეგი გამოიღოს რადგან, ვინაიდან ბავშვების ხასიათების სხვადასხვა სახეები და მათი უნარ-ჩვევები.

**ნიმუში №5.** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით*

**20.** მასწავლებელი არ უნდა იყოს მკაცრი, მაგრამ უნდა იყოს მომთხოვნი. საჭიროა მასწავლებელს მოსწავლეებთან ჰქონდეს თანამშრომლობითი ურთიერთობა.
მაგალითად დაწყებით კლასებში მოსწავლეები არიან პატარა ბავშვები თუ მასწავლებელი მათ მიმართ სიმკაცრით ჩემი აზრით მოსწავლეებზე მოიტანს უარყოფით შედეგს და თუ არ მოუსმენს(?) [illegible] და [illegible]

***განმარტება***. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში პასუხისათვის განკუთვნილი არე თითქმის შევსებულია და მსჯელობა დავალების პირობაში

დასმულ საკითხს ეხება, წარმოდგენილი ნამუშევრები არ უპასუხებს დავალების არც ერთ მითითებას და, შესაბამისად, შეფასებულია 0 ქულით.

პასუხებში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაწყებით კლასებში მასწავლებლის სიმკაცრე შესაძლებელია უარყოფითად აისახოს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე; თუმცა კონკრეტულად რა უარყოფითი შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს ასეთი სიმკაცრე, არ არის მითითებული და, შესაბამისად, არც ლოგიკური არგუმენტაციაა წარმოდგენილი. პასუხი სცდება დავალების მოთხოვნებს და მსჯელობა ზოგადია, ხანდახან ბუნდოვანიც. კერძოდ, აპლიკანტი უარყოფითად აფასებს მოსწავლეების მიმართ განსაკუთრებულ სიმკაცრეს და საუბრობს მათ მიმართ კეთილგანწყობისა და ლოიალური დამოკიდებულების საჭიროებაზე (ნიმუში №5). ზოგიერთი მსჯელობა კი ალოგიკურია: *„ამ სიმკაცრემ შეიძლება სხვა შედეგი გამოიღოს რადგან, ვიცით ბავშვების წლოვანების სხვადასხვა სტადიები და მათი უნარ-ჩვევები.“* (სტილი დაცულია. ნიმუში №4).

ნაშრომები (ნიმუში №4 და №5) ვერ უპასუხებს პირობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და, შესაბამისად, შეფასებულია 0 ქულით.

**დავალება №20-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები**

- დავალების პირობის პერიფრაზირება.
- დავალების მითითებების შესაბამისი კონკრეტული უარყოფითი შედეგების დასახელებისა და დასაბუთების ნაცვლად ზოგადი მსჯელობა სიმკაცრის არასასურველობასა და მოსწავლეების მიმართ კეთილგანწყობის გამოხატვის საჭიროებაზე.

**რეკომენდაცია**

პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარების საკითხების უკეთ გააზრების მიზნით მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ: „სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 9-29), „ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 85-100, 252-262).

| **დავალება№33** | *მაქსიმალური ქულა - 3* |
|---|---|

*გაკვეთილზე მოსწავლე ხშირად ხელს უშლის მასწავლებელს, – ხმაურობს, ელაპარაკება თანაკლასელებს და უადგილოდ ხუმრობს. მოსწავლის ქცევის კორექციის მიზნით მასწავლებელი ხშირად აძლევს შენიშვნას, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, როგორც წესი, მოსწავლეს საკლასო ოთახის დატოვებას სთხოვს.*

მოსწავლე მიზანს აღწევს და კმაყოფილი გაკვეთილის დარჩენილ დროს სკოლის ბუფეტში ან ეზოში ატარებს.

გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია სკინერის თეორიაზე დაყრდნობით:

- ახსენით, რატომ არ ჰქონდა ეფექტი მოსწავლის ქცევაზე პედაგოგის რეაქციას, რატომ ვერ მიაღწია პედაგოგმა სასურველ შედეგს?
- აღწერეთ მასწავლებლის ერთ-ერთი აქტივობა, რომლის შედეგადაც შესაძლებელია მოსწავლის ამგვარი ქცევის კორექცია.
- ახსენით თქვენი პასუხი.

**იმ შემთხვევაში, თუ სკინერის თეორიას არ იცნობთ, ან გიჭირთ მისი ამ კონტექსტში გამოყენება, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.*

***რას ვაფასებთ.*** ამ დავალებით ფასდება სკინერის თეორიის ცოდნა და ის, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს ამ ცოდნის ადეკვატური გამოყენება, ანუ მოცემულ თეორიაზე დაყრდნობით პრობლემის გადაწყვეტა. ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით, მოსწავლეთა ქცევის კორექციისა და კლასში დისციპლინის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელი სწორად იყენებდეს დასჯა-წახალისებას, იგნორირებასა და პოზიტიურ თუ ნეგატიურ განმამტკიცებელ სტიმულებს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანი აქვს პედაგოგს – მოსწავლის სასურველი ქცევის განმტკიცება თუ მისი არასასურველი ქცევის გაქრობა.

თუ მასწავლებლის მიზანია მოსწავლის ქცევის განმტკიცება, მაშინ ის იყენებს დადებით ან უარყოფით განმამტკიცებელ სტიმულს, რადგან განმამტკიცებელი სტიმული განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი შედეგი, რომელიც პასუხად მოჰყვება ინდივიდის ქცევას და ზრდის მის სიხშირეს. რაც შეეხება დასჯასა და იგნორირებას, ეს ისეთი ქმედებებია, რომლებიც ამცირებს მომავალში ქცევის აღმოცენების ალბათობას, ამდენად, მათი გამოყენება გამართლებულია მაშინ, როდესაც მასწავლებლის მიზანია მოსწავლის არასასურველი ქცევის გაქრობა.

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად: (1) სკინერის თეორიაზე დაყრდნობით უნდა **ახსნას,** რატომ არ ჰქონდა ეფექტი მოსწავლის ქცევაზე პედაგოგის რეაქციას, რატომ ვერ მიაღწია მან სასურველ შედეგს, (2) უნდა **აღწეროს** მასწავლებლის ერთ-ერთი აქტივობა, რომლის შედეგადაც შესაძლებელია მოსწავლის ამგვარი ქცევის კორექცია და (3) **განმარტოს,** რატომ მოიტანს მის მიერ აღწერილი აქტივობა სასურველ შედეგს (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. გვ 215 დანართი 4).

მაქსიმალური (3) ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, პასუხში ჩანს **სკინერის თეორიის სრულყოფილი ცოდნა და/ან ამ თეორიაზე დაყრდნობით პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული,** აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც მოითხოვს დავალების პირობა; პასუხში ჩანს პრობლემის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი; აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით; არ არის დაშვებული ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა; აპლიკანტის პასუხი ლოგიკური, თანამიმდევრული და სრულყოფილია.

33-ე დავალების შეფასების პრინციპების უკეთ გასაგებად განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომებიდან აღებული ზოგიერთი ნიმუში.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*


33.

პედაგოგის რეაქცია მოსწავლისადმი იყო განმამტკიცებელი სტიმუ-
ლი, ამან უფრო განამტკიცა [illegible] ქცევას. მოსწავლე კი
[illegible] ქცევას მიზანი [illegible], მიზანი კი იმაში
მდგომარეობდა, რომ [illegible] ყურადღება მისადმი [illegible]
[illegible].
მოსწავლის ქცევის კორექციისთვის მასწავლებელმა [illegible]
[illegible]

**განმარტება.** აპლიკანტი სრულად უპასუხებს დავალების პირობით განსაზღვრულ მითითებებს. სკინერის თეორიაზე დაყრდნობით პედაგოგი ადეკვატურად აანალიზებს სიტუაციას, ხსნის, თუ რატომ არ ჰქონდა მასწავლებლის რეაქციას გავლენა მოსწავლის ქცევაზე და რატომ ვერ მიაღწია მან სასურველ შედეგს. მოცემულ ნიმუშში სწორია პასუხი მეორე მითითებაზეც: დასახელებულია ადეკვატური სტრატეგია – მოსწავლის ქცევის იგნორირება. სავარაუდოდ, ამ სტრატეგიით მოსწავლის არასასურველი ქცევის სიხშირე შემცირდება და საბოლოოდ გაქრება. ამასთან, აპლიკანტი ადეკვატურად იყენებს ტერმინოლოგიას, ავლენს სკინერის თეორიის გააზრებულ ცოდნას, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას შეუძლია ამ ცოდნის პრაქტიკაში მიზანმიმართულად გამოყენება. შესაბამისად, აპლიკანტის პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 3 ქულით.

გთავაზობთ სამქულიანი პასუხის კიდევ ერთ ნიმუშს კომენტარის გარეშე (ნიმუში №2).

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით*

33. სკინერი დასჯის წინააღმდეგია, რადგან მისი აზრით დასჯა დროებითია. გარკვეული
დროის გასვლის შემდეგ მოსწავლე იგივე ქცევას გაიმეორებს. ამიტომ შევთავაზებდი დასჯის
ალტერნატიულ სტრატეგიებს: 1. იგნორირება ; 2. პოზიტიური განმამტკიცებელი.
1) იგნორირებით მოსწავლე მიხვდება, რომ მასწავლებელს არ აქვს რეაქცია მის ქცევაზე.
მასწავლებელმა არ უნდა დასაჯოს [illegible] და [illegible] კვლავ [illegible]
მოსწავლისადმი. ასე, თავისთავად ცუდი ქცევის [illegible] და საბოლოოდ გაქრება.
2) პოზიტიური შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა [illegible] განამტკიცოს მოსწავლის
[illegible] ქცევა, რათა [illegible] [illegible] სასურველ შედეგს – [illegible]

**ნიმუში № 3** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*

33. ✓ მოსწავლის საქციელი: ხმაური, [illegible] [illegible],
[illegible], მიმართულია იქითკენ, რომ გამოიწვიოს
მასწავლებელი. [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
განამტკიცებს მოსწავლის უარყოფით ქცევას. (მოსწავლემ
მიზანს მიაღწია).
✓ [illegible] [illegible] მასწავლებელმა უნდა მოსწავლის
[illegible] ქცევის იგნორირება, რაც გამოიწვევს [illegible]
ქცევის [illegible] [illegible], შემდეგ კი გაქრობას. ან კიდევ,
გამოიყენებდა ნეგატიური [illegible] ([illegible] [illegible] ან
[illegible] [illegible] [illegible]).

***განმარტება.*** აპლიკანტის პასუხი პირველ მითითებაზე სქემატურია. იგი აღნიშნავს, რომ მოხდა მოსწავლის არასასურველი ქცევის განმტკიცება, თუმცა არ ხსნის ქცევის მექანიზმს. მეორე მითითებაზე პასუხისას აპლიკანტი მართებულად მიიჩნევს არასასურველი ქცევის იგნორირებას ადეკვატურ სტრატეგიად, რადგან ის ნამდვილად შეუწყობს ხელს მოსწავლის ქცევის შესუსტებას. რაც შეეხება მეორე სტრატეგიას, აპლიკანტის მიერ დასახელებული საშუალებები *("საკლასო ოთახის ან სკოლის ეზოს დასუფთავება")* პოზიტიური დასჯის მაგალითებია და არა ნეგატიურის. შესაბამისად, შეფასების სქემის მიხედვით პასუხი იმსახურებს ორ ქულას.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით*


33. ამ შემთხვევაში მასწავლებელი [illegible] ზოგადი [illegible]
[illegible]
მასწავლებელმა მოსწავლესთან ერთად უნდა შეიმუშაოს სამიზნე ქცევა, რომელიც შეცვლის სასურველი ქცევით. [illegible] საკუთარ თავს [illegible] და [illegible] თუ [illegible] სამიზნე ქცევა. ეს ამის [illegible] [illegible] მასწავლებელი [illegible] სამიზნე ქცევა შეცვლის სასურველი ქცევით.

***განმარტება***. აპლიკანტი გვთავაზობს ზოგად მსჯელობას. არ არის პასუხი პირველ მითითებაზე - როგორ შეიძლება აიხნას დავალების პირობაში მოცემული სიტუაცია სკინერის თეორიაზე ან თავად მასწავლებლის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

აპლიკანტი ცდილობს შემოგვთავაზოს პასუხი მოსწავლის ქცევის კორექციის შესახებ, მაგრამ მისი მსჯელობა არ არის მართებული - ის საუბრობს სამიზნე ქცევის ჩამოყალიბების შესახებ ისე, რომ არ იაზრებს ბოლომდე და სწორად დავალების პირობას: მოსწავლე შეგნებულად იქცევა გაკვეთილზე გამომწვევად, რომ მიაღწიოს მისთვის სასურველ შედეგს და გავიდეს გაკვეთილიდან. დავალების პირობაში არ წერია, რომ მოსწავლეს უნდა, მაგრამ არ იცის გაკვეთილზე სწორად მოქცევა. შესაბამისად, აპლიკანტის მსჯელობა იმის შესახებ, რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა მოსწავლის ქცევის თვითმართვის უნარის გამომუშავებისათვის, არასწორია და დავალების პირობისათვის არარელევანტური.

აქედან გამომდინარე, აპლიკანტის პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

დავალება №33-ის ტიპური შეცდომები:

- **დავალების პირობის არასწორი ინტერპრეტაცია.** პედაგოგთა უმეტესობა უდისციპლინო მოსწავლეს ჰიპერაქტიურად მიიჩნევს, რაც არამართებულია. დავალების პირობაში საკმაოდ მწირია მოსწავლის შესახებ ინფორმაცია იმისათვის, რომ ასეთი დასკვნა გაკეთდეს.
- პედაგოგების უმრავლესობა მოსწავლის ქცევის კორექციისთვის გვთავაზობს ქცევის წესების შემუშავებას, რაც ვერ ჩაითვლება სწორ პასუხად, რადგან დავალების პირობის მიხედვით, მასწავლებელი ჯერ შენიშვნებს აძლევს მოსწავლეს, რაც თავისთავად ქცევის წესების შეხსენებას ნიშნავს და მხოლოდ შემდეგ აძევებს კლასიდან.
- ძალიან ხშირია პასუხები, რომლებშიც აპლიკანტები წერენ, რომ მოსწავლის ქცევის კორექციისთვის საჭიროა ***სამიზნე ქცევის შემუშავება***, თუმცა სამიზნე ქცევის ქვეშ გულისხმობენ ***ქცევის თვითმართვის სწავლებას*** (ქცევის თვითმართვა სამიზნე ქცევის შერჩევით იწყება და მოიცავს რამდენიმე საფეხურს). ამგვარი პასუხების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირობა არასწორად არის გაგებული, რადგან პირობაში კარგად ჩანს, რომ მოსწავლეს კი არ უჭირს გაკვეთილზე ქცევის მართვა, არამედ შეგნებულად, სასურველი მიზნის მიღწევისათვის იქცევა ამგვარად.

**რეკომენდაცია**

სკინერის თეორიის უკეთ გააზრების მიზნით მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ: „განვითარებისა და სწავლის თეორიები" (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 71-91), „როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის – პროფესიული უნარები" (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2008, გვ. 105-110).

## დავალება №21 სიმულაციური დავალება („ფორუმი“)

სიმულაციური დავალება რეალური სიტუაციის მოდელირებას ეფუძნება. დავალების პირობა სხვადასხვა სახის ინფორმაციას მოიცავს და აპლიკანტისაგან მოითხოვს პირობაში აღწერილი პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად ეფექტიანი აქტივობების შერჩევას.

2011 წლის სასერტიფიკაციო ტესტში წარმოდგენილი სიმულაციური დავალება „ფორუმი“ (დავალება №21) მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის 5 წერილისაგან შედგება. თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს. მათი გაცნობის შემდეგ მასწავლებლის წინაშე იკვეთება ხუთი განსხვავებული ტიპის პრობლემა. მან უნდა წარმოიდგინოს, რომ დასმული პრობლემები მის კლასს ეხება, შემდეგ კი **აღწეროს** პედაგოგის ერთი კონკრეტული აქტივობა, რომელიც დაეხმარება წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში და **დაასაბუთოს** აღწერილი სტრატეგიის მართებულობა – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას. ამ დავალების მაქსიმალური ჯამური ქულაა 17. **თითოეულ პრობლემასთან დაკავშირებული მსჯელობა ფასდება 3 ქულით, მხოლოდ დავალება 21.4-ის მაქსიმალური ქულაა 5.**

მაქსიმალური ქულით ფასდება პასუხი, რომელიც ადეკვატური, სრული და არგუმენტირებული პასუხი, რომელშიც *აღწერილია პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზა და დასაბუთებულია მისი მართებულობა* (დავალების დეტალური შეფასების სქემა იხ. გვ 206 დანართი 4).

განვიხილოთ რამდენიმე ნიმუში:

## დავალება 21.1 – სწავლების ახალი მეთოდის შეფასება

განათლება -> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
|  მომხმარებელი: **ნინო** სტატუსი: **მასწავლებელი** | მეექვსე კლასის მათემატიკის მასწავლებელმა მოსწავლეთა საგნისადმი ინტერესის გაღვივებისა და სწავლების ხელშესაწყობად მათემატიკის სწავლების განსხვავებული მეთოდიკა შეიმუშავა. მეთოდიკა საინტერესო და სახალისოა. ჩვენივე სკოლაში მათემატიკის კათედრამ იმის შესაფასებლად, როგორ იმუშავებს ის პრაქტიკაში, ერთ-ერთ მეექვსე კლასში სწავლების ახალი მეთოდის აპრობაცია დაგეგმა. სასწავლო წლის ბოლოს ახალი მეთოდით სწავლების ეფექტიანობის შეფასება მე დამევალა, მაგრამ არც გამოცდილება მაქვს და არც მკაფიო წარმოდგენა, როგორ განვსაზღვრო ახალი მეთოდის ეფექტიანობა. რა აქტივობები უნდა გამოვიყენო ამ მეთოდით სწავლების შედეგების შესაფასებლად? |

***რას ვაფასებთ.*** ამ დავალებით ფასდება ის, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს სასწავლო პროცესში გამოყენებული რაიმე ახალი აქტივობის, ახალი მეთოდის, სახელმძღვანელოსა თუ სხვა სასწავლო რესურსის ეფექტიანობის შეფასება. სწავლების პროცესში მასწავლებელს არაერთი მნიშვნელოვანი სიახლის დანერგვა უწევს. ნებისმიერი სიახლე მოითხოვს მონიტორინგსა და შეფასებას იმის დასადგენად, ვაღწევთ თუ არა დასახულ მიზანს და საჭიროა თუ არა მათი კორექტირება მოსწავლეთა სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.

მეთოდის ეფექტიანობა რამდენიმე გზით შეიძლება შეფასდეს. მაგალითად, საპილოტე კლასის მოსწავლეთა მიღწევების შედარება პარალელური კლასის (სადაც სწავლება განსხვავებული მეთოდით მიმდინარეობდა) მოსწავლეთა შედეგებთან. შედარებითი ანალიზის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეულ კლასში ცოდნის საწყისი დონე. მეთოდის ეფექტიანობა შეიძლება შეფასდეს, ასევე, საპილოტე კლასის პედაგოგთა და მოსწავლეთა მოსაზრებების შესწავლით/გამოკითხვით (გაიზარდა თუ არა საგნისადმი ინტერესი, ჩამოყალიბდა თუ არა პოზიტიური დამოკიდებულება) და სხვა.

***შეფასების კრიტერიუმები.*** ეს დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად, უნდა უპასუხოს ორ მითითებას: (1) დაასახელოს კონკრეტული აქტივობა, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს სწავლების ახალი მეთოდის ეფექტიანობის შეფასებაში და (2)დაასაბუთოს მის მიერ შემოთავაზებული აქტივობის ადეკვატურობა.

მაქსიმალური (3) ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, დეტალურადაა აღწერილი სწავლების ახალი მეთოდის შესაფასებელი კონკრეტული მეთოდიკა, ამასთან, ჩანს პრობლემის კომპლექსური ხედვა; განხილულია პრინციპები, სტანდარტები ან წინაპირობები, რომლებიც უნდა დაიცვას ან გაითვალისწინოს მეთოდის გამოყენების საბოლოო შედეგების ანალიზის დროს პედაგოგმა. პასუხი გამყარებულია ლოგიკური, არგუმენტირებული მსჯელობით.

დავალების შეფასების პრინციპების უკეთ გაგების მიზნით გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



***განმარტება.*** აპლიკანტის პასუხი შეფასებულია მაქსიმალური ქულით, რადგან უპასუხებს დავალების ორივე მითითებას. პედაგოგის მსჯელობის ლოგიკური ჯაჭვი ასეთია: იგი პირველ ეტაპზე გამოყოფს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მეთოდის ეფექტიანობის შესაფასებლად – **მოსწავლეთა ცოდნის დონე;** ასახელებს მეთოდს, რომლითაც შეაფასებს მოსწავლეთა ცოდნის დონეს – **ტესტირების მეთოდი;** ამასთან, აპლიკანტი აცნობიერებს, რომ არ არის საკმარისი მხოლოდ საპილოტე კლასის მოსწავლეთა შეფასება დასკვნების გასაკეთებლად. ის გეგმავს **იმავე ტესტის** გამოყენებას პარალელურ მე-6 კლასშიც და მოსწავლეთა მიღწევების **შედარებით ანალიზს**, რაც მეთოდის ეფექტიანობის შეფასების ადეკვატური გზაა. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის საკითხი და შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად ეფექტიანი სტრატეგიის შერჩევა. მისი პასუხი არის სრული, ლოგიკური და თანმიმდევრული, ამიტომ იმსახურებს უმაღლეს შეფასებას.

**ნიმუში 2.** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით.*



***განმარტება.*** აპლიკანტი საკითხს კომპლექსურად განიხილავს. იგი მეთოდის ეფექტიანობის შესაფასებელ ორ კრიტერიუმს გამოყოფს: (1) მოსწავლეთა და მასწავლებელთა სუბიექტური დამოკიდებულებები, შეფასებები და (2) მოსწავლეთა მიღწევები. დასახელებულია მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება პედაგოგმა მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია (თვითშეფასების კითხვარები, ტესტირება).

აპლიკანტის მიერ შემოთავაზებული სტრატეგია ადეკვატურია, რადგან ახალი მეთოდის შეფასების დროს მნიშვნელოვანია უშუალოდ ახალი მეთოდის მომხმარებელთა მოსაზრებების შესწავლა და მოსწავლეთა ცოდნის დონის შეფასებაც.

გარდა ამისა, პასუხიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის წარმოდგენილი საკითხი და იცის, რომ მოსწავლეთა მიღწევების შესწავლა და მიღებული შედეგების შედარება წინა წლის მიღწევებთან ძალიან მნიშვნელოვანია მეთოდის ეფექტიანობის შესახებ დასკვნების გამოსატანად.

სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის შეჯერებით, ცხადია, შესაძლებელია ახალი მეთოდის ეფექტიანობის შეფასება. აპლიკანტი სრულყოფილად უპასუხებს ორივე მითითებას, შესაბამისად, შეფასებულია მაქსიმალური 3 ქულით.

**ნიმუში № 3** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით*


21.1 ჩაატარეთ სკოლის მასწავლებლებთან გამოკითხვა, რა შეიცვალა ახალი მეთოდით სწავლების შემდეგ. ასევე ჩაკითხეთ მოსწავლეებს, რამდენად მოსწონთ ეს ახალი მეთოდით სწავლება. მასწავლებლის, მოსწავლის გამოკითხვის შედეგებით და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების საფუძველზე, მოწმდება რამდენად ამართლებს ახალი სასწავლო მეთოდით სწავლება.

***განმარტება.*** ერთი შეხედვით, აპლიკანტი თემასთან დაკავშირებით ადეკვატურად საუბრობს, მაგრამ დეტალური ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ პასუხი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება შეფასების სქემას. ის ახალი მეთოდით სწავლების ეფექტიანობის შესაფასებლად ასახელებს გამოკითხვის მეთოდს. მეთოდის „მომხმარებელთა“ – მასწავლებლების და მოსწავლეების – გამოკითხვით რეალურად ნამდვილად შესაძლებელია ახალი მეთოდის ეფექტიანობის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მიღება. გარდა ამისა, მეთოდის შესახებ მსჯელობისას აპლიკანტი ასახელებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მნიშვნელობასაც, თუმცა მხოლოდ სტრატეგიების დასახელება არ არის

საკმარისი. დავალების მითითების შესაბამისად, მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი იყოს პედაგოგის მიერ შერჩეული სტრატეგიის ეფექტიანობის დასაბუთებაც. მხოლოდ კლასის აკადემიური მოსწრების საფუძველზე შეუძლებელია ახალი მეთოდის ეფექტიანობის შესახებ მსჯელობა. მნიშვნელოვანია ამავე კლასის მოსწავლეთა შედეგების შედარება წინა წლის (როდესაც ისინი ჯერ კიდევ ძველი მეთოდით სწავლებდნენ მათემატიკას) ან პარალელური კლასის შედეგებთან (დავალების პირობაში წერია, რომ მხოლოდ ერთ კლასში დაიგეგმა ახალი მეთოდით სწავლება).

აპლიკანტის პასუხს აკლია არსებითი კომპონენტი – დასაბუთება, შესაბამისად, იგი შეფასებულია 1 ქულით.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით*



**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით*



***განმარტება***. ნიმუში №4 და ნიმუში №5 შეფასებულია 0 ქულით.

მსჯელობა ორივე ნაშრომში არასწორი მიმართულებით ვითარდება და არ შეესაბამება იმ მითითებებს, რომლებსაც ითვალისწინებს მოცემული დავალება. №4 ნიმუშში აპლიკანტი საუბრობს გაკვეთილის მიზნისა და მეთოდის შესაბამისობაზე: *„მეთოდი მაშინაა ეფექტური, თუ მისი გამოყენების შედეგად ზუსტად ის მიზანი მიიღწევა, რაც დაისახა მასწავლებელმა გაკვეთილის დაგეგმვისას“, „მასწავლებელმა უნდა დაადგინოს მეთოდის გაკვეთილის თემასთან, მიზანთან, მოსწავლეების ინტერესებთან შესაბამისობა“ (სტილი დაცულია).*

აღნიშნული მსჯელობებიდან ჩანს, რომ აპლიკანტს გაუჭირდა დავალების არსში გარკვევა. ის არ ასახელებს მეთოდის ეფექტიანობის შეფასების ადეკვატურ სტრატეგიას, არ მოჰყავს არგუმენტები. პასუხი არ შეესაბამება საკითხს, არ უპასუხებს მითითებებს, შესაბამისად, შეფასებულია 0 ქულით.

№5 ნიმუში ყველაზე გავრცელებული მცდარი პასუხის მაგალითია – აპლიკანტები ახალი მეთოდის ეფეტიანობის შეფასების სტრატეგიის ნაცვლად ასახელებენ სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა როლური თამაშები, სიმულაციები, პროექტები, პრეზენტაციები, ჯგუფური მუშაობა და სხვა. რიგ შემთხვევებში (მაგალითად, ნიმუში №5) მეთოდთა ჩამონათვალში გვხვდება განმავითარებელი კომენტარებიც, როგორც შეფასების ერთ-ერთ ტიპი, თუმცა ეს მოსწავლის და არა მეთოდის შეფასების საშუალებაა. აღნიშნული პასუხებიდან ჩანს, რომ აპლიკანტებს გაუჭირდათ საკითხის არსში გარკვევა. საგნის სწავლების ახალი მეთოდის ეფექტიანობაზე მსჯელობის ნაცვლად ისინი საუბრობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდის პოზიტიურ მხარეებზე, რაც დავალების პირობას არ შეესაბამება და, ცხადია, ამგვარი პასუხები შეფასებულია 0 ქულით.

**რეკომენდაცია**

სასწავლო პროცესში გამოყენებული რაიმე ახალი აქტივობის, ახალი მეთოდის, სახელმძღვანელოსა თუ სხვა სასწავლო რესურსის ეფექტიანობის შეფასების საკითხების უკეთ გააზრების მიზნით მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ „სასწავლო და პროფესიული გარემო“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 146-155).

## დავალება 21.2. პასუხისმგებლობის დელეგირება მოტივაციის ასამაღლებლად

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
|  მომხმარებელი: თამარი<br>სტატუსი: მასწავლებელი | თქვენს ფორუმზე ვნახე საინტერესო სტატია მოტივაციაზე. სტატიაში ამოვიკითხე, რომ მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას მათთვის პასუხისმგებლობის დელეგირება და კონტროლის უფლების მინიჭებაც უწყობს ხელს. გამოცდილებითაც ვიცი, როდესაც მოსწავლეებს საკლასო ნორმების შემუშავებაში ვრთავ, მათი თანამონაწილეობით შექმნილ ნორმებს ისინი უფრო იცავენ, თუმცა სწავლის მოტივაციაზე ეს არსებითად არ აისახება.<br>მაინტერესებს, რა შემთხვევაში იყენებენ პასუხისმგებლობის დელეგირების სტრატეგიას გამოცდილი პედაგოგები. ცხადია, იმ აქტივობებს ვგულისხმობ, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლის საგნით დაინტერესებასა და სწავლის მოტივაციის ზრდას. |

***რას ვაფასებთ.*** მოსწავლეთა დაინტერესება კონკრეტული საკითხით თუ საგნით ცოდნის შეძენის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის გაღვივებასა და, ზოგადად, სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. დავალება 21.2. აფასებს იმას, თუ რამდენად იცნობს მასწავლებელი მოსწავლეთა მოტივაციის შესახებ არსებულ თეორიებსა და მოტივირების სტრატეგიებს, კონკრეტულად, შეუძლია თუ არა მას მოსწავლეთა **მოტივაციის გაზრდა მათზე პასუხისმგებლობის დელეგირების სხვადასხვა სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებით.**

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება 3-ქულიანია. პირობის შესაბამისად, აპლიკანტმა ორ მითითებას უნდა უპასუხოს: (1) დაასახელოს და აღწეროს პასუხისმგებლობის დელეგირების გზით მოტივაციის ამაღლების ერთი კონკრეტული სტრატეგია, (2) დაასაბუთოს აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანობა.

მაქსიმალური ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი აღწერს კონკრეტულ სტრატეგიას და წარმოადგენს საკუთარი პასუხის მყარ დასაბუთებას

– განმარტავს, თუ რატომ და როგორ უწყობს ხელს მის მიერ დასახელებული სტრატეგია მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ზრდას.

ამ დავალების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად განვიხილავთ რამდენიმე ნიმუშს.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 3 ქულით.*


21.2 იმისთვის, რომ მოსწავლეებში საგნით დაინტერესება და მათი მო-
ტივაცია ავამაღლოთ ზოგჯერ მიზანმიმართულად მათ მივცეთ არჩევის
საშუალება. კერძოდ ჩემ მიერ შეთავაზებული ამოცანებიდან და პროექ-
ტებიდან თვითონ აირჩიონ ისეთები, რომლებზეც იმუშავებენ. ასევე შეიძლება
თვითონვე გადაწყვიტონ, თუ როდის ამ დავალებას შეასრულებენ.
ამ სტრატეგიის ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეები,
რა თქმა უნდა, მათთვის უფრო საინტერესო საკითხს აირჩევენ და [illegible] უფ-
რო მეტი ხალისით იმუშავებენ, აგრეთვე ამ დროს მოსწავლე გრძნობს უფ-
რო მეტ პასუხისმგებლობას და [illegible] დავალების ხარისხიანად და
დროულად შესრულების.

***განმარტება.*** აპლიკანტი ამომწურავად უპასუხებს ორივე მითითებას: (1) ასახელებს სტრატეგიას – **არჩევანის უფლების მინიჭებას.** პასუხში აღწერილია პასუხისმგებლობის დელეგირების კონკრეტული მაგალითი. (2) აპლიკანტი გვთავაზობს მის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიის **ეფექტიანობის დასაბუთებას**. იგი აღნიშნავს, რომ არჩევანის უფლება მისცემს მოსწავლეებს საკუთარი ინტერესების შესაბამისი დავალებების ამორჩევის შესაძლებლობას, რაც გაზრდის მათ ჩართულობას (მოტივაციას) დავალების შესრულების პროცესში. გარდა ამისა, დავალების შერჩევის შემთხვევაში ისინი უფრო მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ დავალების შესრულების მიმართ, ამიტომაც მეტად მოინდომებენ, ხარისხიანად და დროულად შეასრულონ იგი.

ვინაიდან აპლიკანტმა ადეკვატურად და ამომწურავად უპასუხა დავალების ორივე მითითებას, წარმოადგინა კონკრეტული და თანმიმდევრული მსჯელობა, ნამუშევარი მაქსიმალური (3) ქულით შეფასდა.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 3 ქულით.*



***განმარტება.*** №2 ნიმუშის სახით წარმოდგენილია კიდევ ერთი მაქსიმალური ქულით შეფასებული პასუხი. აპლიკანტი გვთავაზობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების განსხვავებულ სტრატეგიას – ბავშვების ჩართვას მათი შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია მოკლედ არის წარმოდგენილი, იმდენად კარგადაა არგუმენტირებული (დასახელებულია მოცემულ სტრატეგიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი ეფექტები, როგორებიცაა მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობისა და თვითშეფასების ამაღლება, კლასში ჯანსაღი, უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემოს ფორმირება და ამ ეფექტების კავშირი სწავლის მოტივაციის ზრდასთან და სხვა), რომ ნათლად ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. შესაბამისად, პასუხი მაქსიმალური ქულით შეფასდა.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*



***განმარტება***. დავალების პირობაზე კონკრეტული პასუხის ნაცვლად, აპლიკანტის ნაშრომში წარმოდგენილია ზოგადი მსჯელობა მოტივაციის რაობისა და მისი ფორმების შესახებ. მის პასუხში მოცემულია მოტივაციის ამაღლების სტრატეგიაც (დავალებების არჩევის უფლების მინიჭება მოსწავლეებისათვის) და მის გამოყენებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი შედეგი (დამოუკიდებლობის ჩამოყალიბება). თუმცა, ვინაიდან პასუხი ორივე მითითებაზე საკმაოდ სქემატურია – არ ჩანს, თუ რა კავშირია დამოუკიდებლობასა და მოტივაციას შორის ან შინაგან/გარეგან მოტივაციასა და პასუხისმგებლობის დელეგირებას შორის – ნაშრომი შეფასდა 2 ქულით.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*


21.2 თუ მასწავლებელი მოსწავლეს გამოუმუშავებს პასუხისმგებლობის გრძნო-
ბას და საკუთარი თავის კონტროლს და ამას [illegible] საკუთარ [illegible],
სწავლის მოტივაცია ამაღლდება. მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა
მისცეს არჩევანის უფლება, [illegible] [illegible], [illegible], [illegible] [illegible]-
[illegible] [illegible], გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა. [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

***განმარტება.*** 1 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის ორი მითითებიდან უპასუხებს ერთ-ერთს. ამგვარი პასუხის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ნიმუში №4. პასუხის პირველ ნაწილში აპლიკანტი ნაწილობრივ იმეორებს დავალების პირობაში მოცემულ ინფორმაციას – საუბრობს პასუხისმგებლობის ამაღლების მნიშვნელობაზე და არა მისი დელეგირების გზით მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე. შემდგომ მის მიერ წარმოდგენილია პასუხისმგებლობის დელეგირების კონკრეტული სტრატეგია – არჩევანის უფლების მინიჭება (დავალების პირობის პირველი კომპონენტი) – და მისი გამოყენების რამდენიმე მაგალითი. მეორე მითითებაზე პასუხი არ არის გაცემული. არ ჩანს, თუ რატომ ან როგორ აამაღლებს მოსწავლეებზე *დავალების არჩევის უფლების დელეგირება* მათ მოტივაციას. პასუხი საკმაოდ არათანმიმდევრული და ფრაგმენტულია, რის გამოც შეფასდა 1 ქულით.

**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



**ნიმუში №6** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



**ნიმუში №7** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



**ნიმუში №8** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



***განმარტება.*** ნიმუშებში №№5,6,7,8 შეფასებულია 0 ქულით. შეფასების სქემის თანახმად, 0 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც აპლიკანტის პასუხი არსებითად წარმოადგენს დავალების პირობის გამეორებას (პერიფრაზს), ბუნდოვანია ან სცდება დავალების პირობას (არ უპასუხებს ორი მითითებიდან არც

ერთს). ყველა ეს ხარვეზი მკაფიოდ ჩანს მოცემულ ნიმუშებში. პასუხებში №5 და №6 წარმოდგენილია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისაკენ მიმართული ზოგადი სტრატეგიები (საუბრები მოსწავლეებთან, გაკვეთილის გამრავალფეროვნება და ა.შ), რომლებიც არ არის დაკავშირებული დავალებაში ფორმულირებულ კითხვასთან – რომელი კონკრეტული აქტივობებით (სტრატეგიებით) არის შესაძლებელი მოსწავლეებზე პასუხისმგებლობის დელეგირება მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით. აპლიკანტების პასუხებში საერთოდ არ არის საუბარი პასუხისმგებლობის დელეგირებაზე, შესაბამისად, მათი ნამუშევრები შეფასებულია 0 ქულით.

რაც შეეხება ნიმუშებს №7 და №8, ისინი დავალების პირობის პერიფრაზის მკაფიო მაგალითებია. ქცევის წესების/ნორმების შემუშავებაში მოსწავლეთა ჩართვა დავალების პირობაშივეა მოცემული. აპლიკანტს ევალებოდა მოტივაციის ამაღლებაზე ორიენტირებული პასუხისმგებლობის დელეგირების სხვა სტრატეგიების წარმოდგენა. ვინაიდან ნიმუშების ავტორების მიერ დავალების ეს პირობა არ შესრულდა, მათი ნაშრომები შეფასდა 0 ქულით.

**დავალება 21.2-ის შესრულებისას დაშვებული ტიპური შეცდომები**

- **დავალების პირობის პერიფრაზირება**. პასუხის გაცემისას აპლიკანტები საკმაოდ ხშირად საკუთარი პოზიციის წარმოდგენის ნაცვლად დავალების პირობაში მოცემული ინფორმაციის პერიფრაზს გვთავაზობენ. ამგვარი პასუხები მიიჩნევა არაადეკვატურად და, შეფასების სქემის თანახმად, 0 ქულით ფასდება.
- **დავალების მითითებების არასრული გააზრება**. ღიადაბოლოებიან დავალებათა უმეტესობა აპლიკანტისაგან რამდენიმე კომპონენტიან პასუხს მოითხოვს, შესაბამისად, მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი ამომწურავად უპასუხებდეს პირობაში მითითებულ ყველა კომპონენტს. პასუხები, რომლებშიც დავალების პირობის მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი, არ მიიჩნევა სრულად და მხლოდ ერთ კომპონენტზე სწორი პასუხის შემთხვევაშიც კი არ ფასდება მაქსიმალური ქულით.
- **ვრცელი, მაგრამ ზედაპირული პასუხი.** ღიადაბოლოებიანი დავალებების პირობაში, როგორც წესი, მითითებულია, კონკრეტულად რა კომპონენტებს უნდა მოიცავდეს „კარგი“ პასუხი. დავალება 21.2-ის შემთხვევაში აპლიკანტს მოეთხოვებოდა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მხოლოდ **ერთი** სტრატეგიის წარმოდგენა და მისი დასაბუთება. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც აპლიკანტები ასახელებდნენ ერთ სტრატეგიაზე მეტს. ცხადია, ამგვარი პასუხები არ ითვლება შეცდომად, მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება, რომ

მოთხოვნილზე მეტი სტრატეგიის აღწერაზე აპლიკანტს მეტი დრო და პასუხისთვის გამოყოფილზე უფრო დიდი ადგილი ესაჭიროება, რაც პასუხის გამართული და ამომწურავი ფორმულირების ამოცანას რისკის ქვეშ აყენებს. აპლიკანტი ან "ხტება" ერთი სტრატეგიიდან მეორეზე დავალების პირობასთან ლოგიკური კავშირის წარმოჩენის გარეშე, ან ყურადღების მიღმა ტოვებს დავალების პირობის სხვა (მაგ., დასაბუთების) კომპონენტს, რის გამოც პასუხის ხარისხი იკლებს.

- **ზოგადი მსჯელობა დავალების პირობაში მოცემული საკითხის შესახებ.** აპლიკანტების მიერ დაშვებული ერთ-ერთი ყველაზე ხშირი შეცდომა კონკრეტული პასუხისაგან თავის არიდებაა. აპლიკანტები დასმულ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემის ნაცვლად, საკითხის ირგვლივ ზოგადი მსჯელობით შემოიფარგლებიან – საუბრობენ თემის მნიშვნელოვნებაზე, მის როლზე მასწავლებლის პროფესიაში და ა.შ. ღია დავალების შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია **შინაარსის რელევანტურობა.** იმისათვის, რომ ყველა სხვა კრიტერიუმით დავალება შეფასდეს, იგი, პირველ რიგში, უნდა შეესაბამებოდეს პირობას, უნდა უპასუხებდეს დავალებაში დასმულ შეკითხვას. აპლიკანტს მოეთხოვებოდა იმ აქტივობის აღწერა, რომელშიც მასწავლებელი ***პასუხისმგებლობის მოსწავლეებზე დელეგირების გზით*** ხელს უწყობს მათ საგნით დაინტერესებასა და მათი სწავლის მოტივაციის ზრდას. დავალების პირობა რომ უკეთ გასაგები ყოფილიყო, მასში პასუხისმგებლობის დელეგირების ერთი მაგალითიც არის მოყვანილი – მოსწავლეთა ჩართვა საკლასო ნორმების შემუშავებაში. გარდა ამისა, მეტი სიცხადისათვის საკითხი/პრობლემა, რომელზეც უნდა ემსჯელათ, დავალების სათაურშია გამოტანილი: **„პასუხიმგებლობის დელეგირება მოტივაციის ასამაღლებლად".** შესაბამისად, დავალება მოითხოვდა, აპლიკანტს მსჯელობა წარემართა სწორედ პასუხისმგებლობის დელეგირების მიმართულებით და არა ზოგადად მოტივაციაზე საუბრით.

**რეკომენდაცია**

მოსწავლეთა მოტივირებისა და მათთვის პასუხისმგებლობის დელეგირების საკითხების უკეთ გააზრების მიზნით მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ „ეფექტიანი სწავლება, თეორია და პრაქტიკა" (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 85-100).

## დავალება№21.3 ინკლუზიური განათლების დადებითი ეფექტი „ჩვეულებრივი" ბავშვებისათვის

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
| <br>მომხმარებელი:<br>ნინო<br>სტატუსი:<br>მშობელი | ჩემი შვილის დამრიგებელმა მშობელთა კრებაზე გამოაცხადა, რომ კლასში ახალი მოსწავლე გადმოყავთ ცერებრული დამბლის დიაგნოზით. მასწავლებელმა გვითხრა, რომ ამგვარი ბავშვების განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის ძალიან სასარგებლოა ჩვეულებრივ და არა სპეციალურ სკოლებში მათი სწავლა. წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ჯანმრთელი ბავშვების პოზიციაც გასათვალისწინებელია – ჩემი შვილი ჯერ 10 წლისაა და ჩამოუყალიბებელია. ამ ასაკის ბავშვისთვის დიდი სტრესი იქნება სავარძელს მიჯაჭვული ბავშვის ყურება და ეს შეიძლება უარყოფითად აისახოს მის ფსიქიკაზე. როცა ეს მოსაზრება მასწავლებელს გავუზიარე, მან მითხრა, რომ ამგვარ მოსწავლესთან ურთიერთობა სხვა ბავშვებისთვისაც მნიშვნელოვანია, თუმცა მასწავლებლის არგუმენტები ამასთან დაკავშირებით ვერ მოვისმინე. არ მესმის, რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს ჩემს შვილს ასეთ ბავშვთან ურთიერთობამ? |

***რას ვაფასებთ.*** ამ დავალებით ფასდება ის, რამდენად იცნობს მასწავლებელი ინკლუზიური განათლების პრინციპებს, გააზრებული აქვს თუ არა მისი მნიშვნელობა როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლეთათვის, ისე სხვა ბავშვებისთვის და შეუძლია თუ არა ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. კვლევები და პედაგოგური პრაქტიკა ადასტურებს, რომ ინკლუზიური განათლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სსსმ მოსწავლეთა როგორც სოციალური ინტეგრაციის პროცესს, ასევე მათი უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებასა და გამოვლენას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური განათლების ეფექტიანობას განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების განწყობა ამგვარ მოსწავლეთა მიმართ და მზაობა მათი ინტეგრაციისათვის. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელს ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა ინკლუზიური განათლების პრინციპების შესახებ და საჭირო უნარები ინკლუზიური განათლების ფარგლებში სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის.

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება აპლიკანტისაგან მოითხოვს იმ ***<u>კონკრეტული არგუმენტების დასახელებას</u>***, რომლებიც ასახავს ინკლუზიური განათლების დადებით ეფექტს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არმქონე ბავშვებისათვის და ამ ეფექტის **განმარტებას**/ახსნას. მაქსიმალური ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და იგი ადეკვატურად უპასუხებს დავალების ორივე მითითებას. კერძოდ:

- აპლიკანტი ასახელებს იმ არგუმენტს, რომელიც ასაბუთებს ინკლუზიური განათლების დადებით ეფექტს „ჩვეულებრივი" ბავშვებისათვის (მაგალითად, ბავშვები ხდებიან უფრო ჰუმანურები, კაცთმოყვარეები, უვითარდებათ სოციალური უნარები, ვითარდებიან პიროვნულად და ა.შ.).
- პასუხში განმარტებულია, როგორ მიიღწევა ეს ეფექტი (ბავშვები ეჩვევიან განსხვავებულობის მიღებას, მიუხედავად განსხვავებული უნარებისა, აღმოაჩენენ საერთო ინტერესებს და ა.შ.).

ამასთან, აპლიკანტის პასუხში ჩანს, რომ მას კარგად ესმის ინკლუზიური განათლების არსი, მისი მსჯელობა არის ადეკვატური და ლოგიკურად გამართული.

შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ დავალების შესრულება პედაგოგებს არ გაუჭირდათ. უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ამომწურავად მსჯელობს ინკლუზიური განათლების შესახებ, თუმცა ხშირად იყო დავალების პირობის გამეორების, ანუ პერიფრაზის შემთხვევები.

ამ დავალების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად დეტალურად განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომების ნიმუშები.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 3 ქულით.*



**განმარტება.** ნაშრომში აპლიკანტი უპასუხებს დავალების ორივე მითითებას - (1)ასახელებს ინკლუზიური განათლების კონკრეტულ დადებით ეფექტს „ჩვეულებრივი“ ბავშვებისათვის: ბავშვები, განსხვავებული შესაძლებლობების მიუხედავად, მონაწილეობენ „თანასწორუფლებიანი, მეგობრული, თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი, შეკრული საზოგადოების შექმნაში“. (2)ამასთან, განმარტებულია, ახსნილია, როგორ მიიღწევა დადებითი ეფექტი: „ბავშვები სწავლობენ სხვების პრობლემებისა და ემოციების გაზიარებას, დაძლევენ ეგოცენტრულობას, ვითარდებიან პიროვნულად და სწავლობენ სხვისთვის დადებითი ემოციების მინიჭებას“. შესაბამისად, პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 3 ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*

21.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩარ-
თვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მნიშვნელოვანია არა მხოლ-
ოდ (მოსწავლეებისთვის, სსსმ) ბავშვებისთვის არამედ ჩვეულებრივი
მოსწავლეებისთვისაც - რადგან ერთობლივად იძენენ ასეთ მნიშვნელოვან
უნარ-ჩვევებს, როგორიცაა: სოციალური უნარ ჩვევები კომუნიკაციის
უნარ-ჩვევები, უყალიბდებათ სოციალური ცნობიერება.

**განმარტება**. აპლიკანტის პასუხი არის ზოგადი მსჯელობა იმის შესახებ, რომ ინკლუზიური სწავლება მნიშვნელოვანია როგორც თავად სსსმ მოსწავლეთათვის, ასევე სხვა ბავშვებისთვისაც. ეს მოსაზრება უკვე მოცემულია დავალების პირობაში და, შესაბამისად, აპლიკანტის პასუხის პირველი ნაწილი პირობის პერიფრაზად უნდა ჩაითვალოს. ნაშრომში გრძელდება მსჯელობა ინკლუზიური განათლების კონკრეტული დადებითი ეფექტების შესახებ: მოსწავლეები იძენენ სოციალურ და კომუნიკაციურ უნარებს, უყალიბდებათ სოციალური ცნობიერება.

შესაბამისად, აპლიკანტის ნაშრომი უპასუხებს დავალების მხოლოდ ერთ მითითებას (ასახელებს ინკლუზიური განათლების დადებით ეფექტს „ჩვეულებრივი ბავშვებისათვის“) და შეესაბამება შეფასების სქემის შემდეგ პუნქტს: აპლიკანტი უპასუხებს მხოლოდ ერთ მითითებას: სწორად აღწერს ინკლუზიური განათლების დადებით ეფექტს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არმქონე ბავშვებისათვის და არ ასაბუთებს საკუთარ მსჯელობას.

21.3 მასწავლებელმა უნდა მოიწვიოს მშობლები კრება და გარკვევით აუხსნას, რომ საზოგადოების აზრი აუცილებლად შეიცვალოს ინვალიდი ბავშვების მიმართ, რადგან მათ [illegible] ადამიანებად იგრძნონ თავი. საზოგადოებაში განვითარებულია [illegible] ადამიანების მიმართ შიში. [illegible] ასეთი ბავშვები, რადგან ხშირად მშობელს ჰგონია, რომ მათი ავადმყოფობა გადამდებია ან მხოლოდ [illegible] [illegible] და სხვის [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ასეთი ბავშვებთან [illegible] [illegible]. [illegible] თუ [illegible] თავს [illegible] [illegible] [illegible].

***განმარტება.*** აპლიკანტის პასუხი საკმაოდ ვრცელია, მაგრამ სცდება დავალების პირობას. აქ არის ზოგადი მსჯელობა ინკლუზიური განათლების შესახებ, გამოხატულია უფრო სურვილები (უნდა ავუხსნათ, რომ უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი აზრი...), და არა ის, თუ როგორ და რა გზით დაარწმუნებს მასწავლებელი მშობელს ინკლუზიური განათლების მნიშვნელობაში. ეს დავალება კი სწორედ იმას ამოწმებდა, ფლობს თუ არა მასწავლებელი ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული მსგავსი პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ცოდნასა და საშუალებებს. პასუხში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რა ზეგავლენას ახდენს ინკლუზიური განათლება სპეციალური საგანმამათლებლო საჭიროების არმქონე ბავშვებზე. არ არის მოყვანილი არგუმენტი, რომელიც დაუდასტურებდა მშობელს ინკლუზიური განათლების დადებით ეფექტს ამ ბავშვებისათვის. შესაბამისად, პასუხი დავალების პირობის არარელევანტურია და შეფასებულია 0 ქულით.

**რეკომენდაცია**

ინკლუზიური განათლების საკითხების უკეთ გააზრების მიზნით მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ: „სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 150-161). „ინკლუზიური განათლება“, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. (ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2009, გვ. 18-23)

## დავალება № 21.4: 21.4.1. ზაზას „მსოფლმხედველობა“
## 21.4.2. ღირებულებათა კონფლიქტის მოგვარება

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
| <br>მომხმარებელი: ელენე<br>სტატუსი: მასწავლებელი | ერთი მოსწავლე მყავს, ზაზა, რომელიც კარგად სწავლობს, კლასისთვის ავტორიტეტია... მოკლედ, კარგი ბიჭია.. მაგრამ მისი მსჯელობა ბოლო ხანებში ძალიან მაშფოთებს: ამასწინათ თანაკლასელს უმტკიცებდა, რომ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად ადამიანმა უკან არაფერზე უნდა დაიხიოს, ზოგჯერ სასტიკიც უნდა იყოს, რომ არ დაიჩაგროს...<br>დავინტერესდი, რას ფიქრობენ დანარჩენი მოსწავლეები ამ საკითხზე და კლასში დისკუსია გავმართე. აღმოჩნდა, რომ კლასის დიდი ნაწილი ზაზასავით ფიქრობდა. როცა განსხვავებული აზრიც გამოითქვა, კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო, შეხედულებების მიხედვით კლასი ორად გაიყო. ვატყობ, დაპირისპირება უკვე სხვა თემებზე მსჯელობის დროსაც აშკარად ვლინდება, ამას სხვა საგნის მასწავლებლებიც ხედავენ.<br>შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ორი რამ მაწუხებს: ზაზას პრობლემა – ასეთი ნიჭიერი და ჭკვიანი ბიჭი ამგვარად რომ მსჯელობს...<br>და მეორე: არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმ შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტის საფუძველი მოსწავლეთა განსხვავებული ღირებულებებია. |

***რას ვაფასებთ.*** ამ დავალებით ფასდება, რამდენად შეუძლია მასწავლებელს ისეთი სტრატეგიების ეფექტიანად გამოყენება, რომლებიც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ღირებულებების ფორმირებას და, მეორე მხრივ, კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებას. მოსწავლეთა ქცევის ეფექტიანად მართვისათვის, ასევე მათი პიროვნული ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია, პედაგოგი კარგად იცნობდეს როგორც მათ ინდივიდუალურ, ასევე ასაკობრივ თავისებურებებს და ამ ცოდნის გათვალისწინებით სწორად ირჩევდეს თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მიდგომის ფორმებს. როდესაც მოსწავლეს მაგალითებით ვუჩვენებთ აგრესიის, ძალადობის შედეგებს და შესაძლებლობას ვაძლევთ, თავად გააანალიზოს და გაავლოს პარალელი სიკეთის, ემპათიის გამოვლენის შედეგებთან, ის დაფიქრდება საკუთარი შეხედულებების მართებულობაზე, რაც, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს ჯანსაღი

ღირებულებების ჩამოყალიბებას. მასწავლებელმა თანამშრომლობაზე ორიენტირებული აქტივობებით (ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, ერთობლივი პრეზენტაციები) ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას, ასწავლოს ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის მოსმენა, რაც კლასში კონფლიქტების პრევენციის ერთ-ერთი კარგი წინაპირობაა. კონფლიქტური სიტუაციების მაგალითების განხილვით, გაანალიზებით მოსწავლეები სწავლობენ მისი კონსტრუქციულად მოგვარების სხვადასხვა ხერხს – მოლაპარაკებას, მედიაციას და სხვ. ამგვარი აქტივობებით მასწავლებელი ხელს უწყობს არა მხოლოდ უშუალოდ მოცემული კონფლიქტის მოგვარებას, არამედ აღწევს გაცილებით უფრო შორს მიმავალ მიზნებსაც – ამ გამოცდილების მქონე მოსწავლეების თვითშეფასება მაღლდება, სხვების მიმართ პატივისცემაც იზრდება. მცირდება ძალადობის შემთხვევების რაოდენობა სკოლაში და იქმნება ჯანსაღი სასწავლო ატმოსფერო.

***შეფასების პრინციპი:*** დავალება 21.4-ში ორი პრობლემაა წარმოდგენილი: 21.4.1 - *ზაზას „მსოფლმხედველობა“ და* 21.4.2 – *ღირებულებათა კონფლიქტის მოგვარება,* შესაბამისად, აპლიკანტებს ევალებოდათ თითოეულის გადაჭრის სტრატეგიის აღწერა და დასაბუთება.

დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

მაქსიმალური ქულა იწერება იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი სწორად და სრულად უპასუხებს დავლებების – 21.4.1 და 21.4.2 – ორივე მითითებას. ამასთან, პასუხი ლოგიკურია და ჩანს, რომ აპლიკანტი სწორად იაზრებს პრობლემის არსს, შეუძლია მსგავსი პრობლემების კვალიფიციურად მოგვარება; ასევე, თითოეული პრობლემის მოსაგვარებლად დასახელებული და აღწერილია განსხვავებული სტრატეგიები.

4 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ დავალებების 21.4.1, 21.4.2 მითითებების შესაბამისად, აღწერილია ორი კონკრეტული აქტივობა, ამასთან, თითოეული ადეკვატურია დავალების პირობაში დასმული პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ პასუხი სქემატურია.

დავალება 21.4-ის შეფასების პრინციპის საილუსტრაციოდ გთავაზობთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომის ნიმუშებს.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 5 ქულით.*

21.4.1 ზაზასთან სერიოზული მუშაობაა ჩასატარებელი, რადგან მხოლოდ ღირებულებებზე საუბარი მასთან უშედეგო იქნება. კარგი იქნება ცხოვრებისეული მაგალითების მოყვანა ან ფილმის ჩვენება, სადაც მსგავსი პრობლემა იქნება წამოჭრილი და ამ ფილმის ერთად განხილვა; ფილმში დანახული პრობლემის გაანალიზება ზაზას აუცილებლად დააფიქრებს, ის გადახედავს საკუთარ შეხედულებებს, მიხვდება რომ არასწორად მსჯელობს.
21.4.2 მასწავლებელმა კლასში უნდა მოაწყოს დისკუსია რაიმე პრობლემურ თემაზე. დისკუსიის დროს დაავალოს მოსწავლეებს და მათ შორის ზაზასაც, მათი საპირისპირო მოსაზრების მქონე ადამიანის პოზიციის დაცვა. ეს დაეხმარება მოსწავ-ლეებს, რომ ისწავლონ განსხვავებული აზრებისა და ღირე-ბულებების მიღება. ისინი დაინახავენ, რომ საკითხის დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრების გამოხატვა არ შეიძლება გახდეს კონფლიქტის მიზეზი

***განმარტება.*** აპლიკანტის პასუხი სრულია. ის პრობლემის მოსაგვარებლად ასახელებს ადეკვატურ აქტივობას. მაგალითების მოყვანა მოსწავლეებს უფრო ნათლად, სხვადასხვა კუთხით დაანახვებს პრობლემას, მეტად დააფიქრებს. აპლიკანტი ამახვილებს ყურადღებას ფილმის განხილვასა და დისკუსიაზე, სადაც ის, სავარაუდოდ, მოისმენს მოსწავლეთა მოსაზრებებს, შეძლებს მათი შეხედულებების კორექტირებას. აპლიკანტი წერილში მოცემული მეორე პრობლემის (ღირებულებათა კონფლიქტის) მოგვარებისთვის გვთავაზობს პირველისგან განსხვავებულ აქტივობას – დისკუსიას. აპლიკანტი მიიჩნევს, რომ მოწინააღმდეგის პოზიციის დაცვით მოსწავლეები ისწავლიან განსხვავებული აზრის მიღებას. პრობლემის გადასაჭრელად შემოთავაზებული სტრატეგია ადეკვატურია, რადგან დისკუსიაში მოსწავლეები მოისმენენ განსხვავებულ თვალსაზრისებს, დაფიქრდებიან საკუთარ ღირებულებებზე, რაც საწინდარია იმისა, რომ კიდევ ერთხელ გადახედავენ თავიანთ პოზიციებს. როგორც ვხედავთ, პედაგოგმა გაითვალისწინა დავალების პირობაში მოცემული ყველა მითითება, ამომწურავად და კონკრეტულად უპასუხა მათ. მსჯელობა ლოგიკურია, თანამიმდევრული. შესაბამისად, ნაშრომი შეფასდა მაქსიმალური 5 ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 4 ქულით.*


21.4.1 მასწავლებელმა პირველ რიგში უნდა დაადგინოს და [illegible] იმის მიზეზი, რომ ზაზას ასეთი „მსოფლმხედველობა" ჩამოუყალიბდა. მასწავლებელმა უნდა გააღვივოს მოსწავლეს ემპათიის გრძნობა, რაც დაეხმარება მოსწავლეს თავი სხვის ადგილას წარმოიდგინოს, გაიგოს, რას გრძნობს ადამიანი, როდესაც ჩაგრავენ.

21.4.2 როდესაც კლასში გახშირებულია კონფლიქტური სიტუაციები, ასეთ სიტუაციებში [illegible] [illegible], რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას. მაგალითად ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეები დაინტერესდებიან და ისწავლიან ერთმანეთის მოსმენას, განსხვავებული აზრის პატივისცემას, შესაბამისად, კონფლიქტური აღარ იქნება ურთიერთობა.

***განმარტება.*** აპლიკანტი ზაზას პრობლემის გადასაჭრელად, პირველ რიგში, ცდილობს, გაარკვიოს, რატომ ჩამოუყალიბდა მოსწავლეს „ასეთი მსოფლმხედველობა“, ხომ არ არის ის ძალადობის მსხვერპლი და შემდგომ გეგმავს, გაუღვივოს მოსწავლეს ემპათიის გრძნობა, თუმცა არ საუბრობს, კონკრეტულად რა აქტივობების განხორციელებას აპირებს ამ მიზნის მისაღწევად. კლასში შეხედულებათა კონფლიქტის მოსაგვარებლად აპლიკანტი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, მოსწავლეებს ვასწავლოთ განსხვავებული აზრის მიღება. და გეგმავს ჯგუფური მუშაობის ატარებას. ურთიერთთანამშრომლობის, სხვისი აზრის პატივისცემის სწავლებით აპლიკანტი სავსებით მართებულად ვარაუდობს მომავლისთვის კლასში კონფლიქტის პრევენციას. ამრიგად, ვინაიდან აპლიკანტი არსებითად სწორად პასუხობს დავალების პირობას, მაგრამ მისი მსჯელობა სქემატურია, ნაშრომი შეფასებულია 4 ქულით.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*

21.4.1



21.4.2



***განმარტება.*** აპლიკანტის პასუხში არ არის არც პრობლემის გადაჭრის გზა და, შესაბამისად, არც დასაბუთება. ფაქტობრივად, ეს არის დავალების პირობაში მოცემული სიტუაციის სავარაუდო მიზეზების დასახელება, რასაც მითითებები არ მოითხოვს. შესაბამისად, პასუხის ეს ნაწილი შეფასებულია 0 ქულით. რაც შეეხება მეორე პრობლემას, აპლიკანტი გვთავაზობს რამდენიმე გზას (ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, როლური თამაშები) მოსწავლეთა თანამშრომლობითი უნარების განვითარებისათვის. აპლიკანტის მიერ ჩამოთვლილი სტრატეგიები ადეკვატურია, მიმართულია მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებისაკენ, რაც, თავის მხრივ, პრობლემის პრევენციას შეუწყობს ხელს. ამასთან, პასუხი დასაბუთებულია. აქცენტი გაკეთებულია იმ შედეგებზე, რომლებსაც, სავარაუდოდ, მიაღწევს მასწავლებელი ამ სტრატეგიების გამოყენებით (ისწავლიან სხვისი აზრის მოსმენას, განსხვავებული აზრების მიღებას, თანამშრომლობასა და აზრთა შეჯერებით გადაწყვეტილების მიღებას). შესაბამისად, პასუხი შეფასებულია 2 ქულით.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*

21.4.1




21.4.2



***განმარტება.*** დავალება 21.4.1-ის პასუხი შეფასებულია 0 ქულით, ვინაიდან აპლიკანტი მხოლოდ აღწერს დავალების პირობაში მოცემულ სიტუაციას და პრობლემის გადასაჭრელად გვთავაზობს არარელევანტურ სტრატეგიას (*კონებრივი იერიში, ზამასთვის რთული დავალების მიცემა*), შესაბამისად, არგუმენტიც არაადეკვატურია (*კლასში ჩართულობა გაიზრდება*).

დავალება 21.4.2-ის პასუხი 1 ქულითაა შეფასებული, რადგან ნაშრომიდან ჩანს მხოლოდ ის, რომ აპლიკანტმა იცის კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი ხერხი (*მედიაცია*) და ისიც, თუ რა ნიშნით ირჩევენ მედიატორს. პასუხი არ შეიცავს არგუმენტირებულ მსჯელობას მედიაციის გზით კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობაზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება კლასში გადაიჭრას ღირებულებათა კონფლიქტის პრობლემა. ამდენად, აპლიკანტის ნაშრომი შეფასებულია 1 ქულით.

**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*

21.4.1 [illegible]

21.4.2

[illegible]

**ნიმუში №6** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*

21.4.1 [illegible]

21.4.2 [illegible]

***განმარტება***. ნიმუშებში №5 და №6 დავალება 21.4.1–ის პასუხი შეფასებულია 0 ქულით, ვინაიდან არც ერთი ნაშრომი არ უპასუხებს დავალების პირობის მოთხოვნას – არ ასახელებს პრობლემის გადაჭრის გზას და არც საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებს. ორივე შემოიფარგლება მხოლოდ დავალების პირობაში მოცემული სიტუაციის ინტერპრეტირებით.

№5 ნიმუშში დავალება 21.4.2.–ზე პასუხისას აპლიკანტი მსჯელობას ისე იწყებს, თითქოს ადეკვატურ სტრატეგიას უნდა გვთავაზობდეს (*კლასს გავყოფ 2 ჯგუფად. ერთ ჯგუფში ზაზას ვამუშავებ, მეორე ჯგუფში მის ამხანაგებს*), მაგრამ მსჯელობას არ აქვს დავალების პირობის შესაბამისი ლოგიკური გაგრძელება. მასწავლებელი ასეთი ტიპის ჯგუფურ მუშაობას სრულიად სხვა მიზნით გეგმავს (*ზაზამ დაინახოს, რომ რთულზე უფრო რთული სავარჯიშო არსებობს*). ეს რომ ღირებულებათა კონფლიქტის პრობლემის გადაჭრას შეუწყობს ხელს, არ ჩანს. შესაბამისად, აპლიკანტის პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

დავალება 21.4.2-ის პასუხი (ნიმუში №6) ასევე შეფასებულია 0 ქულით. პირობის თანახმად, აპლიკანტს მოეთხოვებოდა იმ სტრატეგიის დასახელება, რომელიც ადეკვატური იქნებოდა კლასში წარმოქმნილი ღირებულებათა კონფლიქტის მოსაგვარებლად, აპლიკანტი კი პრობლემის გადაჭრას ცდილობს ამ კონფლიქტის იგნორირებით, ანუ მოსწავლეების ყურადღების იმ თემაზე გადატანით, რომელიც არ იქნება საკამათო. მასწავლებელს მხედველობიდან გამორჩა, რომ ის ხელს უნდა უწყობდეს კლასში განსხვავებული აზრების გამოთქმისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, რადგან განსხვავებული თვალსაზრისებისადმი კრიტიკული, მაგრამ შემწყნარებლური დამოკიდებულება მხოლოდ ალტერნატიული მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში ყალიბდება. პასუხი არარელევანტურია და ამიტომ შეფასებულია 0 ქულით.

***ტიპური შეცდომები***

- ყველაზე ხშირი შეცდომა, რომელსაც აპლიკანტები უშვებენ ამ დავალებაზე პასუხის გაცემის დროს, არის ის, რომ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სტრატეგიების აღწერის ნაცვლად, ისინი გვთავაზობენ სიტუაციის საკუთარ ინტერპრეტაციასა და შეფასებას (მაგალითად მოვიყვანთ კრებულში მოცემულ მესამე ნიმუშს – *„ზაზას სურს თვითდამკვიდრება თანატოლთა თვალში, მაგარი ბიჭის სტატუსი, რადგან ამას სხვაგვარად ვერ ახერხებს, ცდილობს, აგრესიით და მუშტით მიაღწიოს ამას“*).
- აპლიკანტთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს დასახელებული ან აღწერილი სტრატეგიის არგუმენტაციას. მაშინაც კი, როცა ისინი ცდილობენ დასაბუთებას, არგუმენტები (მაგალითად, გაიზრდება მოსწავლეთა ჩართულობა, ამაღლდება მოტივაცია) ზოგადი და არარელევანტურია.

***რეკომენდაციები***

მასწავლებლებს ვურჩევთ, წაიკითხონ ლიტერატურა, რომელიც მათ დაეხმარებათ კლასში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნისა და მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარების საკითხების უკეთ გააზრებაში: „სასწავლო და პროფესიული გარემო“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 90-102, გვ. 121-128), „ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 215-228).

## დავალება 21.5 გაკვეთილის დაგეგმვა

| განათლება -> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა | |
|---|---|
| მომხმარებელი | კომენტარი |
|  მომხმარებელი: მარინა<br>სტატუსი: მასწავლებელი | ფორუმზე ძალიან ბევრ კომენტარს გავეცანი და გაოცებული ვარ, სულ პრობლემებზე წერენ. ნუთუ სკოლაში კარგი არაფერი ხდება?! |
|  მომხმარებელი: ნინო<br>სტატუსი: მოსწავლე | მაგალითად, მე მომწონს ჩემი დამრიგებელი!<br>ქიმიის მასწავლებელია და მის გაკვეთილზე შესვლა მთელ კლასს უხარია. |
|  მომხმარებელი: მარინა<br>სტატუსი: მასწავლებელი | ასეთს რას აკეთებს, მეგობრულია? |
|  მომხმარებელი: ნინო<br>სტატუსი: მოსწავლე | ძალიან! ჩვენ მისი პირველი სადამრიგებლო კლასი ვართ. იმასაც ძალიან ვუყვარვართ. შეგვიძლია ყველაფერი მოვუყვეთ, ხანდახან ნახევარი გაკვეთილი ისე გადის ჩვენთვის საინტერესო თემაზე საუბარში, ვერც ვიგებთ.. |
|  მომხმარებელი: მარინა<br>სტატუსი: მასწავლებელი | ნახევარ გაკვეთილს საუბარში თუ ატარებთ, საგანს როდისღა სწავლობთ? როგორი შედეგები გაქვთ? |
|  მომხმარებელი: მაკა<br>სტატუსი: მშობელი | დიდი ბოდიში, თქვენს დიალოგში უნდა ჩავერთო, ნინო ჩემი შვილის კლასელია და კარგად ვიცი, რა შედეგი აქვთ ბავშვებს ქიმიაში. ამასწინათ სკოლაში ჩატარებულ სასკოლო წერაზე ამ კლასმა პარალელურ კლასებს შორის ყველაზე დაბალი შედეგი აჩვენა. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ გაკვეთილებს ძირითადად სხვა თემაზე საუბარში ატარებენ. |
|  მომხმარებელი: მარინა<br>სტატუსი: მასწავლებელი | როგორც ჩანს, პედაგოგი ახალბედაა და კარგი იქნება, სკოლის გამოცდილმა პედაგოგებმა ურჩიონ, როგორ დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი. |

***რას ვაფასებთ.*** მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო პროცესის დაგეგმვას ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები, მათი ინტერესები, შესაძლებლობები, დრო და სასწავლო რესურსები. გაკვეთილი სასწავლო პროცესის, ერთი მთლიანი ჯაჭვის, უმნიშვნელოვანესი რგოლია, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. ამ დავალებით ფასდება სწორედ ის, თუ რამდენად კარგად იცნობს პედაგოგი გაკვეთილის დაგეგმვის ძირითად პრინციპებს და რამდენად შეუძლია დაგეგმვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება 3-ქულიანია. აპლიკანტმა, დავალების პირობის შესაბამისად, ორ მითითებას უნდა უპასუხოს: (1) აღწეროს პრაქტიკული სტრატეგია, რომელიც დასახელებულ პრობლემას მოაგვარებს და (2) დაასაბუთოს, რატომ შეუწყობს ხელს აღწერილი სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

მაქსიმალური ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ დავალების პირობა სწორად არის გააზრებული, დასახელებული და აღწერილია გაკვეთილის დაგეგმვის თუნდაც ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი და ნაჩვენებია ამ კომპონენტებს შორის მიმართებები (მაგალითად, კონკრეტული, გაზომვადი მიზნის დასახვა, რომელიც შეესაბამება საგნის სტანდარტს/სასწავლო გეგმას; გაკვეთილის დაწყება და დასრულება, როგორც მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის შენარჩუნების საშუალება და სხვა). ამასთან, დასაბუთებულია, რატომ უზრუნველყოფს შემოთავაზებული სტრატეგია მოსწავლეთა ჩართვას საგაკვეთილო პროცესში, ყურადღების მობილიზებასა და შენარჩუნებას, დასახული მიზნების მიღწევას და ა.შ.

ამ დავალების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპის უკეთ გასაგებად, განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომების ნიმუშები.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასებულია მაქსიმალური 3 ქულით.*



***განმარტება.*** აპლიკანტი უპასუხებს დავალების ორივე მითითებას. პასუხში მოცემულია გაკვეთილის დაგეგმვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტები (მიზანი, მიზნის შესაბამისი აქტივობები, დროის განაწილება, რესურსები,

აქტივობები გაუთვალისწინებელი სიტუაციისათვის). დამაჯერებელია წარმოდგენილი არგუმენტაციაც. აპლიკანტის აზრით, კარგად დაგეგმილი გაკვეთილი მასწავლებელს აძლევს საკუთარი საქმიანობის რეფლექსიის, დროისა და კლასის ეფექტიანად მართვის შესაძლებლობას, ყველაფერი ეს კი საბოლოოდ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას შეუწყობს ხელს. ნაშრომში ჩანს საკითხის ცოდნა. პასუხი არის არგუმენტირებული, ადეკვატური და ლოგიკური, შესაბამისად, შეფასდა მაქსიმალური 3 ქულით.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით.*

21.5 გაკვეთილის დაგეგმვისას მთავარია შერჩეული თემის საფუძველზე მიზნის დასახვა, რომელიც პასუხობს ესგ-ს მოთხოვნებს. შემდეგ ამ მიზნის მისაღწევად უნდა დაიგეგმოს აქტივობები. ყოველი აქტივობით მიღწეული შედეგი უნდა გადიოდეს გაკვეთილის მიზანზე. უნდა შეირჩეს რესურსები, რომლებიც დაეხმარება აქტივობების განხორციელებასა და გაკვეთილის გამრავალფეროვნებაში. აქტივობების მიხედვით უნდა განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება მოსწავლეები. ბოლოს უნდა შეჯამდეს მთელი საგაკვეთილო პროცესი. გაკვეთილზე მთავარია საკითხები და კავშირი ახალ და ძველ მასალას შორის. [illegible]

***განმარტება.*** პასუხი საკმაოდ ვრცელია. მასში ჩამოთვლილია გაკვეთილის დაგეგმვის ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტი და ნაჩვენებია ურთიერთმიმართება მათ შორის (მიზნის დასახვა, რომელიც შეესაბამება ესგ-ს, აქტივობები, რომელთა საშუალებითაც მასწავლებელმა უნდა მიაღწიოს მიზანს და ა.შ.). ჩანს, რომ აპლიკანტმა იცის საკითხი, თუმცა დასაბუთება სქემატურია. არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორ შეუწყობს ხელს ასე დაგეგმილი გაკვეთილი დავალებაში აღწერილი პრობლემის მოგვარებას, რამდენად არის დაკავშირებული დაგეგმვა მოსწავლეთა შედეგებთან, რამდენად უზრუნველყოფს ის მოსწავლეთა ჩართულობასა და დროის ეფექტიანად გამოყენებას. შესაბამისად, პასუხი შეფასდა 2 ქულით.

**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით.*



***განმარტება.*** აპლიკანტი საკუთარი სიტყვებით გადმოგვცემს დავალებაში აღწერილ სიტუაციას, რაც პირობის არაადეკვატურ გაგებაზე მიანიშნებს. შემდეგ ის ასახელებს გაკვეთილის დაგეგმვის რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს (მიზანი და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, საინტერესო საკითხების შერჩევა), თუმცა რა მიმართებაა ამ კომპონენტებს შორის, პასუხში არ ჩანს. აპლიკანტი არ ასაბუთებს გაკვეთილის დაგეგმვის მნიშვნელობას, იმას, თუ რატომ შეუწყობს ხელს დაგეგმვა დავალების პირობაში აღწერილ პრობლემის (საგაკვეთილო დროის არამიზნობრივად გამოყენება და დაბალი შედეგები) მოგვარებას. მთლიანობაში პასუხი სქემატურია და შეფასებულია 1 ქულით.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 0 ქულით.*



***განმარტება.*** აპლიკანტის პასუხი დავალების შინაარსის პერიფრაზია. ის საკუთარი სიტყვებით ჰყვება პირობაში აღწერილ სიტუაციას. აძლევს რჩევას ახალგაზრდა კოლეგას (საუბრებისათვის კლასის საათები გამოიყენოს და არა გაკვეთილები), მაგრამ ამ რჩევაში არ ჩანს, რა უნდა გააკეთოს მან აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. დავალების სათაურში გამოტანილი პრობლემის

(გაკვეთილის დაგეგმვა) გადაჭრაზე ორიენტირებული რეკომენდაციის ნაცვლად, ის იმეორებს პირობაში მოცემულ ინფორმაციას ყოველგვარი ახსნისა და დასაბუთების გარეშე. აპლიკანტმა მთელი ყურადღება გადაიტანა სადამრიგებლო კლასთან ურთიერთობაზე და ასცდა  მითითებას, ვერ გამოხატა გაკვეთილის დაგეგმვის მნიშვნელობის ცოდნა. შესაბამისად, ნაშრომი შეფასდა 0 ქულით.

***ტიპური შეცდომები***

- **აღწერილი სიტუაციის პერიფრაზირება.** პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სტრატეგიის აღწერის ნაცვლად აპლიკანტები ხშირად ყოველგვარი კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე აღწერენ სიტუაციას.
- **არგუმენტაციის სიმწირე.** აპლიკანტების მცირე ნაწილი ახერხებს იმის დასაბუთებას, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი გაკვეთილის დაგეგმვა. ძირითადად, არგუმენტები ზოგადია (მაგალითად, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას) და არაარსებითი.  რჩება შთაბეჭდილება, რომ აპლიკანტები ცნების დასახელებისას გულისხმობენ მის შინაარსსა და მნიშვნელობასაც, რაც არ არის საკმარისი საკითხის ცოდნის დასადასტურებლად.

***რეკომენდაცია***

მასწავლებლებს ვურჩევთ, გაკვეთილი დაგეგმვასთან დაკვშირებული მასალები იხილონ შემდეგ სახელმძღვანელოებში: „სწავლება და შეფასება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გვ. 64-73.), „ეფექტიანი სწავლება“ (გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010, გვ. 125-147).

## 21-ე დავალების შესრულებისას ხშირად დაშვებული შეცდომები

- **შინაარსიის რელევანტურობა.** ღია დავალების შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია შინაარსიის რელევანტურობა – იმისათვის, რომ ყველა სხვა კრიტერიუმით დავალება შეფასდეს, იგი, პირველ რიგში, უნდა შეესაბამებოდეს დავალებაში მოცემულ პირობებს და პასუხობდეს თანდართულ შეკითხვას/მითითებებს. აპლიკანტთა ნაწილი ყურადღებას არ აქცევდა თანდართულ შეკითხვას/მითითებებს. შედგად ვიღებდით შეუსაბამო, არარელევანტურ პასუხს. **იმისთვის, რომ დავალება გასწორდეს პასუხი უნდა შეესაბამებოდეს კითხვას.**
- **ზოგადი მსჯელობა დავალების პირობაში მოცემული საკითხის შესახებ.** აპლიკანტების მიერ დაშვებული ერთ-ერთი ყველაზე ხშირი შეცდომა არის ის, რომ დასმულ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხის ნაცვლად, აპლიკანტები საკითხის შესახებ ზოგადად მსჯელობენ – საუბრობენ თემის მნიშვნელოვნებაზე, მის როლზე მასწავლებლის პროფესიაში და ა.შ. ხშირად პრობლემის დაძლევის **კონკრეტული** გზების აღწერის ნაცვლად აპლიკანტები შემოიფარგლებიან ზოგადი ფრაზებით. ამგვარ ფრაზებში არ ჩანს პედაგოგის კომპეტენცია და უნარები. ზოგადი პასუხი არ გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რამდენად შეუძლია აპლიკანტს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა.
- **დავალების მითითების უგულებელყოფა.** ღიადაბოლოებიან დავალებათა უმეტესობა აპლიკანტისაგან რამდენიმე კომპონენტიან პასუხს მოითხოვს, შესაბამისად, მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი ამომწურავად უპასუხებდეს პირობაში მითითებულ ყველა კომპონენტს. პასუხები, რომლებშიც დავალების პირობის მხოლოდ ნაწილია შესრულებული, არ მიიჩნევა სრულად და ერთ-ერთ კომპონენტზე სწორი და სრული პასუხის შემთხვევაშიც კი, არ ფასდება მაქსიმალური ქულით. ჩვეულებრივ, აპლიკანტები უფრო ხშირად ასახელებენ პრობლემის გადაჭრის გზას, მაგრამ *იშვიათად გვხვდება დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხები.*
- **დავალებაში აღწერილი სიტუაციის პერიფრაზირება.** აპლიკანტის ნაშრომებში ხშირად მოცემულია დავალების პირობაში წარმოდგენილი ინფორმაციის ციტირება ან პერიფრაზი. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სტრატეგიის აღწერის ნაცვლად, აპლიკანტები ყოველგვარი კომენტირებისა და

ინტერპრეტაციის გარეშე აღწერენ სიტუაციას. ამგვარი პასუხები ითვლება არაადეკვატურად და შეფასების სქემის თანახმად, ყოველთვის 0 ქულით ფასდება.

- **არგუმენტაციის სიმწირე.** აპლიკანტების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს იმის დასაბუთებას, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ესა თუ ის სტრატეგია კონკრეტული უნარის განსავითარებლად ან პრობლემის გადასაჭრელად. უფრო ხშირად არგუმენტები იმდენად ზოგადი და უნივერსალურია, რომ არაარსებითია კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში.
- **ვრცელი, მაგრამ არასრული პასუხი.** ღიადაბოლოებიანი დავალებების პირობაში, როგორც წესი, მითითებულია, თუ კონკრეტულად რა კომპონენტებს უნდა მოიცავდეს „კარგი“ პასუხი. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც აპლიკანტები ასახელებენ ერთზე მეტ სტრატეგიას ან რაიმე სხვა მიზეზით აჭარბებენ პასუხის მოთხოვნილ მოცულობას. ბუნებრივია, ამგვარი, ვრცელი პასუხები თავისთავად არ ითვლება შეცდომად, თუმცა საყურადღებოა ის გარემოება, რომ საკმარისზე მეტი კომპონენტის აღწერაზე აპლიკანტს მეტი დრო და პასუხისთვის გამოყოფილი უფრო დიდი ადგილი სჭირდება, რაც პასუხის გამართულად, ამომწურავად და თანმიმდევრულად ფორმულირების ამოცანას რისკის ქვეშ აყენებს. აპლიკანტი ან „ხტება“ ერთი სტრატეგიიდან მეორეზე დავალების პირობასთან მათი ლოგიკური კავშირის წარმოჩენის გარეშე, ან ყურადღების მიღმა ტოვებს დავალების პირობის სხვა (მაგ., დასაბუთების) კომპონენტებს, რის გამოც გაცემული პასუხის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს.

ამგვარ პრობლემებს რომ თავი დავაღწიოთ, გთავაზობთ ზოგად რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ყველა ტიპის ღია დავალებებზე მუშაობის დროს; რეკომენდაციები შემუშავებულია მასწავლებელთა ნამუშევრებში არსებული ხარვეზებისა და ტიპური შეცდომების გათვალისწინებით.

### *რეკომენდაციები*

- ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა, საკითხზე პასუხის გაცემისას გაითვალისწინეთ დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია და თქვენი მსჯელობა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმართეთ.

- დავალების პირობის შემდეგ ყურადღებით წაიკითხეთ, რას მოითხოვენ თქვენგან; დავალებათა უმეტესობას თან ერთვის მითითებები, რომლებიც გეხმარებათ იმის განსაზღვრაში, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მსჯელობა და რა კომპონენტებს უნდა მოიცავდეს პასუხი.
- ყურადღება მიაქციეთ, რამდენ მითითებაზე ითხოვს პასუხს თქვენგან დავალება. უპასუხეთ ყველა მითითებას – პასუხი მაქსიმალური ქულით ფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი უპასუხებს ყველა კითხვას / მითითებას, რომელთაც მოითხოვს დავალება. გახსოვდეთ, თუ გთხოვენ, აღწეროთ პრობლემის გადაჭრის ორი გზა, შეფასდება თქვენ მიერ ადეკვატურად დაწერილი ორი პასუხი. მესამე ან მეტი ვარიანტის შემოთავაზების შემთხვევაში დამატებითი ქულები არ იწერება.
- ნუ გასცდებით დავალების პირობასა და მითითებებს. თქვენი პასუხი უნდა იყოს ლაკონიური. ქულა იწერება კონკრეტულ პასუხებში. შეეცადეთ, თავი აარიდოთ მოცემული საკითხის შესახებ ზოგად მსჯელობებსა და შეფასებებს.
- პასუხის გაცემისას თავი აარიდეთ ტესტში მოცემული ინფორმაციის გამეორებას/პერიფრაზს. შეფასების სქემაში მკაფიოდ წერია, რომ ღია დავალება სწორდება იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: (1) შეესაბამება მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორადაა გააზრებული, (2) არ წარმოადგენს დავალების პირობის პერიფრაზს. მაგ., იმ შემთხვევაში, თუ დავალება მოითხოვს პრობლემის გადასაჭრელი სტრატეგიის აღწერასა და მისი ეფექტიანობის დასაბუთებას, **დავალების პირობაში მოცემული ინფორმაციის/ფაქტების მხოლოდ ციტირება ან სხვა სიტყვებით გადმოცემა არ მიიჩნევა სწორ პასუხად.**
- სასურველია, თქვენი ნაწერი არ გასცდეს პასუხისათვის განკუთვნილ არეს. ტესტის ბუკლეტში შეგიძლიათ დაწეროთ პასუხის გეგმა ან სრულყოფილი პასუხი. **მაგრამ გახსოვდეთ, რომ სწორდება არა ტესტის ბუკლეტი, არამედ პასუხების ფურცელი.** ყურადღება მიაქციეთ, რა მოცულობის არეა გამოყოფილი პასუხების ფურცელზე კონკრეტული დავალებისთვის, შესაბამისად განსაზღვრეთ, რა მოცულობის ტექსტით უნდა უპასუხოთ დავალებაში მოცემულ მითითებებს. **გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ტექსტის ის ნაწილი, რომელიც პასუხისთვის სპეციალურად გამოყოფილ არეს გასცდება.**

## 2.2. დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“

2011 წლის პროფესიული უნარების ტესტში ტესტური დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“ გამოყენებულია იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად იცნობს აპლიკანტი პედაგოგის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებს. ამ ტიპის დავალებაში აღწერილია გარკვეული სიტუაცია (დავალების პირობა), შემდეგ კი მოცემულია რამდენიმე დებულება. აპლიკანტი ყურადღებით უნდა გაეცნოს სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელოს თანდართული დებულებების ჭეშმარიტება/მცდარობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი მოცემულ დებულებას მცდარად მიიჩნევს, მას მოეთხოვება, ჩაწეროს იგი სწორი ფორმით, განმარტოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორ უნდა იყოს ფორმულირებული ეს დებულება (გაასწოროს შეცდომა).

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი დებულებას ჭეშმარიტად მიიჩნევს, მას მოეთხოვება მხოლოდ შესაბამისი პასუხის მონიშვნა დასაბუთების ან კომენტარების გარეშე.

საგამოცდო ნამუშევრების ანალიზმა აჩვენა, რომ აპლიკანტებს სირთულეები შეექმნათ დავალების იმ ნაწილის შესრულებისას, რომელიც მცდარად მოცემული დებულების კორექტულად ჩაწერას მოითხოვდა. ამიტომაც თქვენს ყურადღებას მხოლოდ მათზე გავამახვილებთ.

**დავალება 34**

სასწავლო წლის ბოლოს დირექტორმა სკოლის პედაგოგებთან თათბირი ჩაატარა. მან მოკლედ შეაჯამა განვლილი წელი და გააცნო მათ მომდევნო წლისათვის დაგეგმილი სიახლეები. თათბირზე ასევე განიხილეს შემდეგი ორი საკითხი:

(1) პედაგოგებმა დირექციისაგან მოითხოვეს თანხა ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს შესაძენად, რათა კათედრის წევრებს ჰქონდეთ საშუალება, გაეცნონ თითეულ მათგანს და ისე შეარჩიონ სახელმძღვანელო. დირექტორმა პედაგოგებს უარი უთხრა და განუმარტა, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ყველა გრიფირებულ სახელმძღვანელოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში; სკოლის ბიუჯეტი კი არ იძლევა ყველა სახელმძღვანელოს შეძენის შესაძლებლობას – სკოლა გამოყოფს თანხებს მხოლოდ იმ სახელმძღვანელოების შესაძენად, რომლებიც უკვე შერჩეული და დამტკიცებულია.

(2) დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლას ავტორიტეტს ულახავს ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთი მასწავლებელი, რომლის ბოლო ლექსების კრებული სკაბრეზული (უწმაწური, უხამსი ლექსიკის შემცველი) შინაარსის გამო საჯაროდ გააკრიტიკეს ერთ-ერთ პოპულარულ ჟურნალსა და სატელევიზიო გადაცემაში. დირექტორმა მოითხოვა მისი ლექსების კრებულის სკოლის ბიბლიოთეკიდან ამოღება, რათა ის არ იყოს ხელმისაწვდომი მოსწავლეთათვის და პედაგოგს მოსთხოვა, მომავალში აღარ გამოაქვეყნოს მსგავსი ლექსები.

34.1 მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, სკოლას უფლება აქვს, უარი უთხრას პედაგოგებს ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს შეძენაზე და გამოყოს თანხები მხოლოდ საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეული კონკრეტული სახელმძღვანელოებისათვის.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.2 ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სახელმძღვანელოებს ამტკიცებს საგნობრივი კათედრა.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.3 ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლის მიერ სახელმძღვანელოების შერჩევა უნდა მოხდეს 3 წლის ვადით, ამავდროულად ერთი სკოლის ფარგლებში პარალელურ კლასებში შესაძლებელია სხვადასხვა სახელმძღვანელოს გამოყენება.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.4 ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, საჯარო სკოლის დირექტორს არა აქვს უფლება „პოეტ პედაგოგს" აუკრძალოს სკაბრეზული ლექსების წერა და ან გამოცემა სკოლის პრესტიჟის შენარჩუნების მოტივით.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.5 მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, სკოლას უფლება აქვს, დააწესოს რაიმე ტიპის შეზღუდვა სკოლის ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურაზე.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

***რას ვაფასებთ.*** ამ დავალებით ფასდება ის, თუ რამდენად კარგად იცნობს აპლიკანტი პედაგოგის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებს. აპლიკანტს არ მოეთხოვება მოქმედი კანონმდებლობის ზედმიწევნით (მუხლობრივად/პუნქტობრივად) ცოდნა. დავალების მიზანია განსაზღვროს, იცის თუ არა აპლიკანტმა პროფესიის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ძირითადი, საკვანძო პრინციპები.

***შეფასების კრიტერიუმები.*** დავალება 5-ქულიანია. დავალების პირობაში აღწერილია სასკოლო ცხოვრებისათვის ჩვეული სიტუაცია (შემთხვევა), რომელსაც მოჰყვება ხუთი დებულება. აპლიკანტს მოეთხოვება მსჯელობა თითოეული დებულების ჭეშმარიტობის შესახებ მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. ყოველ სწორ პასუხში იწერება ერთი ქულა. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი რომელიმე დებულებას მცდარად მიიჩნევს, მას მოეთხოვება ჩაწეროს იგი სწორი ფორმით, ანუ განმარტოს, როგორ უნდა იყოს ფორმულირებული ეს დებულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. „მცდარია“ პასუხი ფასდება ერთი ქულით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი უჯრის მონიშვნასთან ერთად აპლიკანტი აკეთებს სწორ კომენტარს (დავალების შეფასების დეტალური სქემა იხ. გვ. 217, დანართი 4).

ამ დავალების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპების უკეთ გასაგებად განვიხილოთ რამდენიმე პასუხის ნიმუში.

**ნიმუში №1** *პასუხი შეფასდა მაქსიმალური 5 ქულით.*




***განმარტება.*** აპლიკანტი სწორად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ხუთივე დებულებას. „ჭეშმარიტია“ პასუხები ( 34.1, 34.4 და 34.5) სწორად არის მონიშნული, ხოლო „მცდარია“ დებულებებისთვის წარმოდგენილია ადეკვატური და ამომწურავი პასუხები. პასუხი შეფასდა მაქსიმალური ქულით, მიუხედავად იმისა, რომ დებულება 34.2-ის შემთხვევაში აპლიკანტი არ აზუსტებს ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტულ ნაწილს, თავს, ხოლო დებულება 34.3-ის შემთხვევაში საერთოდ არ უთითებს, თუ რომელი სამართლებრივი აქტით ხელმძღვანელობს პასუხის გაცემისას. როგორც აღვნიშნეთ, მოქმედი კანონმდებლობის სწორედ ამგვარი, ძირითადი პრინციპების დონეზე, ცოდნა სრულიად საკმარისია „ჭეშმარიტია-მცდარია“ დავალებებში მაქსიმალური შეფასების მისაღებად.

**ნიმუში №2** *პასუხი შეფასებულია 4 ქულით*



**ნიმუში №3** *პასუხი შეფასებულია 1 ქულით*

34.1. ჭ ☒ მ ☐

34.2. ჭ ☐ მ ☒

34.3. ჭ ☐ მ ☒

34.4. ჭ ☐ მ ☒

34.5. ჭ ☐ მ ☒

***განმარტება.*** ნიმუშები №2 და №3 საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ისინი „ჭეშმარიტია-მცდარია“ ტიპის დავალებებზე მუშაობისას ორი, საკმაოდ ხშირად დაშვებული, შეცდომის ილუსტრაციას წარმოადგენს. №2 ნიმუშის დებულება 34.2-ში აპლიკანტმა, „ჭეშმარიტია“ ან „მცდარია“ პასუხებიდან რომელიმე ერთის არჩევის ნაცვლად, მონიშნა ორივე პასუხი. დავალების პირობის თანახმად, ასეთ შემთხვევაში არც ერთი პასუხი არ მიიჩნევა სწორად და ფასდება ნული ქულით. შეფასების სქემის თანახმად, დებულება 34.2-ზე სწორი პასუხი არის „მცდარია“, შესაბამისად, იგი აპლიკანტისაგან მოქმედ კანონმდებლობაზე დაფუძნებულ სწორ კომენტარსაც მოითხოვს. როგორც ვხედავთ, ნიმუში ასეთი კომენტარი არ არის წარმოდგენილი. ანალოგიური შეცდომაა №3 ნიმუშში. აპლიკანტმა აქ სწორად მონიშნა პასუხი „მცდარია“ 34.2 და 34.3 დებულებებზე, თუმცა არც ერთს არ დაურთო კომენტარი და, შესაბამისად, პასუხი ორივე დებულებაზე შეფასდა ნული ქულით. ვფიქრობთ, აპლიკანტებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება დავალების პირობის ამ მოთხოვნაზე – თუ დებულებას მიიჩნევენ მცდარად, ის აუცილებლად უნდა ჩაწერონ კორექტული (სწორი) ფორმით, მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

**ნიმუში №4** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით*



**ნიმუში №5** *პასუხი შეფასებულია 3 ქულით*



***განმარტება.*** აპლიკანტების პასუხების გაანალიზებისას ხშირად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მათ კარგად ვერ გაიაზრეს დავალებაში მოცემული კითხვა. ასე მაგალითად, №4 ნიმუში დავალებაზე 34.3, რომელიც ეხება სახელმძღვანელოების გამოყენების ვადას, კონკრეტული ვადის მითითების ნაცვლად, პასუხში საუბარია სახელმძღვანელოს შერჩევაზე პასუხისმგებელი ერთეულის (კათედრა) შესახებ. №5 ნიმუში კი დავალების ამ კომპონენტზე საერთოდ არ არის გაცემული პასუხი. ამგვარი შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, ძალიან მნიშვნელოვანია დავალების პირობის ყურადღებით გაცნობა და გააზრება.

**ნიმუში №6** *პასუხი შეფასებულია 2 ქულით*




***განმარტება***. ამ ნიმუშით თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ „ჭეშმარიტია-მცდარია“ ტიპის დავალებებში ყველაზე ხშირად დაშვებულ შეცდომაზე – დავალების პირობის შებრუნებაზე. „მცდარია“ პასუხის გასწვრივ სწორი კომენტარის ჩაწერის ნაცვლად, აპლიკანტები შებრუნებული ფორმით აყალიბებენ დავალებაში მოცემული დებულების შინაარსს. ასე მაგალითად, დებულება 34.2-ის შემთხვევაში ზემოთ მოცემული ნიმუშის ავტორმა, იმის ნაცვლად, რომ მიეთითებინა, თუ ვინ ამტკიცებს სასკოლო სახელმძღვანელოებს, უბრალოდ უარყო დებულების შინაარსი. შეფასების სქემის თანახმად, ამგვარ შემთხვევებში აპლიკანტი არ იმსახურებს ქულას. ნიმუში №6 საინტერესოა კიდევ ერთი ფართოდ გავრცელებული შეცდომის საილუსტრაციოდ. დავალება №34-ში, პირობის თანახმად, კომენტარის გაკეთება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აპლიკანტი მიიჩნევს, რომ დებულება „მცდარია„. „ჭეშმარიტია“ პასუხის მონიშვნისას კი არანაირი დამატებითი კომენტარების გაკეთება არ არის საჭირო. როგორც ვხედავთ, ნიმუშის ავტორმა არ გაითვალისწინა ეს გარემოება. ბუნებრივია, „ჭეშმარიტიას“ გასწვრივ კომენტარისათვის აპლიკანტს არ მოაკლდება ქულა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ამ ზედმეტი კომენტარებისათვის იხარჯება საგამოცდო დრო და პასუხებისთვის გამოყოფილი ლიმიტირებული სივრცე, ჩვენი რეკომენდაციაა, აარიდოთ თავი ამგვარ კომენტარებს.

## 2.3 არჩევითპასუხიანი დავალებები

დავალებები არჩევითი პასუხით შედგება მოცემულობის/პირობისაგან, შეკითხვისა და სავარაუდო პასუხებისაგან. ამ ტიპის დავალებას ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგანაც ***სწორი მხოლოდ ერთია.*** არჩევითპასუხიანი დავალებები ფასდება 1 ქულით.

პროფესიული უნარების ტესტში სხვადასხვა სახის ე.წ. დახურულბოლოიანი ანუ არჩევითპასუხიანი დავალებაა გამოყენებული: *კითხვის ფორმით მოცემული დავალება, არასრული მოცემულობა, ილუსტრირებული მოცემულობა, რთული პირობა-სტიმული, რამდენიმე პასუხის მოთხოვნა, დავალება ნეგატივის (უარყოფის) შემცველი ფორმულირებით, მიზანი და მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები.*

(1) **რთული პირობა/სტიმული**. პირობაში აღწერილია სიტუაცია, მოყვანილია ფაქტები, მაგალითები, რომელთა გაცნობის შემდეგაც უნდა უპასუხოთ შეკითხვას.

**ნიმუში**

ახალი თემის ათვისებისა და თემასთან დაკავშირებული საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაკვეთილის დასაწყისშივე მოახერხოს მოსწავლეების თემით დაინტერესება.

წარმოიდგინეთ, რომ მასწავლებელმა კლასს უნდა აუხსნას ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“. ახალი საკითხის მიმართ მოსწავლეებში ინტერესის გასაღვივებლად მასწავლებლის რომელი ქმედებაა ყველაზე ეფექტური?

გაკვეთილის დასაწყისში:

ა) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაიწყონ პოემის ტექსტის კითხვა და დააკვირდნენ ლექსიკას.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს შეკითხვებით ახსენებს რომანტიზმისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

გ) მასწავლებელი აცხადებს: „დღეს ჩვენი გაკვეთილის მიზანია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისას“ გაცნობა“.

დ) მასწავლებელი სვამს კითხვას: „გაიხსენეთ ისტორიიდან, რატომ გახდა ერეკლე II იძულებული, მფარველობა რუსეთისთვის ეთხოვა?“

*პროფესიული უნარების ტესტი . I ვარიანტი. დავალება №12 სწორი პასუხი: დ.*

(2) **კითხვის ფორმით მოცემული დავალება**. დავალების ეს ფორმა მარტივია, შეკითხვა პირდაპირაა დასმული და ნაკლებ სავარაუდოა, შეიქმნას რაიმე პრობლემა დავალების გაგებასთან დაკავშირებით.

**ნიმუში**

ტესტური მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა დაიცვას შეფასების ძირითადი პრინციპები: სანდოობა, ვალიდობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობით შეიძლება შეფასდეს ტესტის ვალიდობა?

ა) მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს ტესტის შეფასების მექანიზმსა და კრიტერიუმებს.

ბ) პედაგოგი კოლეგებთან ერთად აფასებს, რამდენად შეესაბამება ტესტი დასახულ მიზანს – მოწმდება თუ არა ტესტით ის, რისი შემოწმებაც განისაზღვრა.

გ) ტესტირების შედეგებს ასწორებს რამდენიმე მასწავლებელი და შემდეგ ადარებს არის თუ არა განსხვავება მათ შეფასებებში.

დ) მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას ტესტის შეფასების კრიტერიუმების დადგენასა და შეფასების სქემის შემუშავებაში.

*პროფესიული უნარების ტესტი. I ვარიანტი. დავალება №4. სწორი პასუხი: ბ.*

(3) **რამდენიმე პასუხის მოთხოვნა –** ასეთი ფორმატის დავალებები იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ჩამოთვლილ დებულებათაგან ერთი ან ერთზე მეტია მართებული. აპლიკანტი ყურადღებით უნდა გაეცნოს დავლების პირობასა და რომაული ციფრებით აღნიშნულ დებულებებს, შემდეგ კი სავარუდო პასუხებს. რომაული ციფრებით აღნიშნული დებულებები პირობის ნაწილია. ასეთი ტიპის დავალებებში სავარაუდო პასუხები, ისევე, როგორც სხვა არჩევითპასუხიან დავალებებში, ანბანით არის აღნიშნული, თუმცა, განსხვავებულადაა ფორმულირებული: მაგ., სწორია მხოლოდ I, სწორია I და III და სხვ. ან მხოლოდ I, მხოლოდ I და III და სხვ.

**ნიმუში**

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობები იქნება ყველაზე შედეგიანი დისკუსიის მეთოდის ეფექტური გამოყენებისთვის?

I. მასწავლებელი დისკუსიას გეგმავს სადისკუსიო საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეთა ცოდნის დონის გათვალისწინებით.
II. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს დისკუსიის წესებს.
III. დისკუსიის პროცესში მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა მსჯელობას და ცდილობს მათი შეხედულებების კორექციას.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ I და II
დ) მხოლოდ II და III

*პროფესიული უნარების ტესტი . I ვარიანტი. დავალება №9 სწორი პასუხი: გ.*

(3) **არჩევითპასუხიანი დავალება ნეგატივის (უარყოფის) შემცველი ფორმულირებით** (დავალებები, რომელთა კითხვაში ფიგურირებს სიტყვები: ***არ არის შესაძლებელი, არ გამომდინარეობს, არ შეესაბამება*** და ა.შ.). ამ ტიპის დავალება ტესტში შედარებით იშვიათად შეგხვდებათ. მასზე მუშაობისას ყურადღებიდან არ გამოგრჩეთ კითხვის ნეგატივის შემცველი ფორმულირება, ის გამუქებული და ხაზგასმულია.

**ნიმუში**

გადაჭარბებულმა სიმორცხვემ შეიძლება შეაფერხოს ბავშვის სოციალური განვითარება. პედაგოგმა დიდი სიფრთხილით უნდა შეარჩიოს ამგვარ მოსწავლესთან მუშაობის სტრატეგია.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია არ არის რეკომენდებული მორცხვ ბავშვთან ურთიერთობის დროს?

ა) მორცხვი მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად პედაგოგმა ხშირად უნდა შეაქოს იგი.
ბ) სტრესული სიტუაცის ასარიდებლად მორცხვი მოსწავლე პედაგოგმა მეგობრულ ბავშვთან უნდა დასვას.
გ) მოსწავლის ადაპტაციის ხელშესაწყობად პედაგოგმა ხშირად უნდა შეუქმნას მოსწავლეს მისთვის უჩვეულო და მოულოდნელი ახალი სიტუაცია.
დ) პედაგოგმა მორცხვ მოსწავლეს უნდა დააკისროს ისეთი ფუნქციები, რომელიც თანაკლასელებისგან გარკვეული ინფორმაციის მიღებას ან მათთვის გადაცემას მოითხოვს.

*პროფესიული უნარების ტესტი . I ვარიანტი. დავალება №6 სწორი პასუხი: გ.*

(5). არჩევითპასუხიანი დავალება, რომელშიც აღწერილია **მიზანი და მიზნის მისაღწევად განხორციელებული აქტივობა.** აპლიკანტმა უნდა გააანალიზოს, თუ რამდენად უწყობს ხელს აქტივობა დასახული მიზნის მიღწევას. დავალებაში ორი სავარაუდო პასუხი იწყება ფრაზით „ადეკვატური არ არის, რადგან..“, ორი სავარუდო პასუხი კი ფრაზით – „ადეკვატურია, რადგან“. პირველ რიგში, უნდა წაიკითხოთ ოთხივე სავარაუდო პასუხი, გადაწყვიტოთ, აღწერილი აქტივობა მიზნის ადეკვატურია თუ არა, შემდეგ დარჩენილი ორი სავარაუდო პასუხიდან შეარჩიოთ ერთ-ერთი. შერჩევისას ყურადღება უნდა გაამახვილოთ არგუმენტაციის ნაწილზე.

**ნიმუში**

ქვემოთ მოცემულია საგაკვეთილო პროცესის მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებლის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. შეაფასეთ, აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა დასახული მიზნის მისაღწევად, თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარება.

აქტივობა: მასწავლებელმა მოსწავლეებს ერთ-ერთი ისტორიული მოვლენის შესახებ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისა და დისკუსიის შესაძლებლობა მისცა. ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით კლასში გამოითქვა სახელმძღვანელოში მოცემული პოზიციისაგან განსხვავებული მოსაზრებები, ზოგიერთი მოსწავლე არათანმიმდევრულად და ზედაპირულად მსჯელობდა. მიუხედავად ამისა, პედაგოგს მოსწავლეების მსჯელობისათვის ხელი არ შეუშლია, მოსწავლეებს მოუსმინა და დისკუსია შეაჯამა.

აღნიშნული აქტივობა დასახული მიზნის:

ა) ადეკვატურია. პედაგოგმა უნდა მისცეს მოსწავლეებს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, არ უნდა შეუშალოს მსჯელობას ხელი, თუნდაც მოსწავლეთა მოსაზრებები არ შეესაბამებოდეს სახელმძღვანელოში მოცემულ პოზიციას.

ბ) არაადეკვატურია. მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლე მყარ ცოდნას შეიძენს, რაც გამორიცხავს მოსწავლეთა ზედაპირულ მსჯელობასა და მოჩვენებით ორიგინალობას.

გ) ადეკვატურია. მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა, თუმცა საჭიროა გააკრიტიკოს და შესაბამისად შეაფასოს საზოგადოებისათვის მისაღები პოზიციისაგან განსხვავებული მოსაზრებები.

დ) არაადეკვატურია. მასწავლებელი უნდა ეყრდნობოდეს სახელმძღვანელოში აღწერილ პოზიციას და ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეების მიერ ამ პოზიციის გაზიარებას, აზრთა სხვადასხვაობის გამოწვევის გარეშე.

*პროფესიული უნარების ტესტი . I ვარიანტი. დავალება №16   სწორი პასუხი: ა.*

**რეკომენდაციები არჩევითპასუხიანი დავალებების შესასრულებლად:**

- გაიაზრეთ დავალების პირობა.
- პასუხის გაცემამდე ყურადღებით წაიკითხეთ შეკითხვა.
- დავალებებს უპასუხეთ პირობაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
- აუცილებლად წაიკითხეთ **პასუხის ყველა ვარიანტი,** ვიდრე საბოლოო პასუხზე შეჩერდებით. შესაძლოა, სავარაუდო პასუხების ჩამონათვალში იყოს ორი, ერთი შეხედვით, სწორი/მსგავსი ვარიანტი. გახსოვდეთ, რომ ყველა შემთხვევაში მხოლოდ ერთი პასუხია სწორი, ამდენად, ყურადღება მიაქციეთ პასუხების ვარიანტებში წარმოდგენილ ყველა დეტალს.
- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ სიტყვებს, რომლებიც გამუქებული ან ხაზგასმულია. მაგ., ,,ჩამოთვლილთაგან რომელი ,,***არ არის***“, ***,,ყველაზე ადეკვატური“*** და ა. შ.
- შეკითხვები, რომლებშიც არის სიტყვები: ***,,ყველაზე ნაკლებად“, ,,გარდა“ ან ,,არ“,*** მიგვითითებს იმაზე, რომ არასწორი (პირობის საწინააღმდეგო) პასუხი უნდა ამოვიცნოთ. ასეთი შეკითხვები მაშინ დაისმება, როცა ჩამონათვალში ყველა პასუხი სწორია, გარდა ერთისა.

# 2.4. შესაბამისობის დავალებები

შესაბამისობის დავალება, როგორც წესი, ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში (A) მოცემულია დავალების პირობა (მოვლენები, ფრაზები...), მეორე სვეტში კი (B) – სავარაუდო პასუხები (ტერმინები, ცნებები, ავტორები...). აპლიკანტს ევალება, სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს შეუსაბამოს.

ასეთი ტიპის დავალებებში დასაშვებია:

- B სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთ-ერთი **პასუხი იყოს სწორი** A სვეტში მოცემული ორი პირობისათვის (ორი პირობა, ერთი სწორი პასუხი).
- ალტერნატივებიდან რომელიმე სავარაუდო პასუხი **არ შეესაბამებოდეს არც ერთ მსჯელობას** A სვეტიდან.
- ერთ-ერთ სვეტში **ჩამონათვალი იყოს მეორე სვეტის ჩამონათვალზე ერთით ნაკლები**.

შესაბამისობის დავალება ფასდება მთლიანობაში, 1 ქულა მიიღება აპლიკანტის მიერ ორივე სვეტის ყველა კომპონენტის სწორად დაკავშირებისათვის.

**ნიმუში**

პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება სწავლების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. თითოეული მეთოდის ეფექტურობას მისი საგაკვეთილო მიზანთან შესაბამისობა განსაზღვრავს.

შეუსაბამეთ A სვეტში მოცემულ ყოველ სასწავლო მიზანს B სვეტში მოცემული სწავლების ის მეთოდი, რომელიც ყველაზე ეფექტურია ამ მიზნის მისაღწევად.

| სასწავლო მიზანი **(A)** | სწავლების მეთოდი **(B)** |
|---|---|
| I. მოსწავლის ანალიზის უნარის განვითარება. | ა) პირდაპირი<br>ბ) არაპირდაპირი |
| II. მოსწავლის კვლევა-ძიების უნარის განვითარება. | |
| III. მოსწავლისათვის ინფორმაციის სწრაფი გადაცემა. | |

✍ ჩაწერეთ:

| სასწავლო მიზანი **(A)** | I | II | III |
|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდი **(B)** | | | |

*პროფესიული უნარების ტესტი . I ვარიანტი. დავალება №17 მაქსიმალური ქულა – 1*

## ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲥᲔᲛᲐ

<table>
<tr>
<td>1 ქულა</td>
<td>თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით:
<table>
<tr><td>სასწავლო მიზანი (A)</td><td>I</td><td>II</td><td>III</td></tr>
<tr><td>სწავლების მეთოდი (B)</td><td>ბ</td><td>ბ</td><td>ა</td></tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>0 ქულა</td>
<td>ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი</td>
</tr>
</table>

***რეკომენდაციები შესაბამისობის დავალებების შესასრულებლად:***

- გაიაზრეთ A სვეტში მოცემული მსჯელობები.
- ყურადღებით წაიკითხეთ B სვეტში მოცემული სავარაუდო პასუხის ალტერნატივები.
- აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. არ დაგავიწყდეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.
- პირველ რიგში, მონიშნეთ ის შესაბამისობა, რომლის სისწორეშიც დარწმუნებული ხართ (დავალებაზე მუშაობისას შეიძლება გამოიყენოთ ისრები შესაბამისობის აღსანიშნავად). საბოლოოდ, სწორი პასუხი უნდა ჩაიწეროს პასუხებისათვის განკუთვნილ ცხრილში.

# 2.5. როგორ მოვემზადოთ პროფესიული უნარების გამოცდისათვის

თქვენ გაეცანით პროფესიული უნარების ტესტის ფორმატსა და ტესტური დავალებების ტიპურ ნიმუშებს, ტესტის შეფასების პრინციპებს. კრებულში ტესტური დავალებების გარდა, დანართის სახით წარმოდგენილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და საგამოცდო პროგრამა. **ყურადღებით გაეცანით მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს** (დანართი N 1). შეაფასეთ, რამდენად კარგად იცით სტანდარტში მოცემული საკითხები. შეაგროვეთ თქვენთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურა, ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემაში თქვენი პრაქტიკული გამოცდილება დაგეხმარებათ. **ყურადღებით გაეცანით საგამოცდო პროგრამას** (დანართი N 2). საგამოცდო პროგრამა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს ეყრდნობა, მასში უფრო დეტალურადაა აღწერილი საკითხები, რომელთა ცოდნაც მოეთხოვება პედაგოგს სასერტიფიკაციო გამოცდაზე. ყურადღება მიაქციეთ, რომ *პროფესიული გარემოს* ნაწილში მნიშვნელოვნადაა შემცირებული და აუცილებელ მინიმუმამდე დაყვანილი იმ სამართლებრივი აქტების რაოდენობა, რომელთა ცოდნაც სტანდარტით მოეთხოვება აპლიკანტს. საგამოცდო პროგრამა კარგი გზამკვლევი იქნება სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მზადების პროცესში.

პედაგოგს უდიდესი პასუხისმგებლობა აქვს მომავალი თაობისა და ქვეყნის წინაშე, ამიტომაც მოითხოვს ეს პროფესია მუდმივ ზრუნვას თვითგანვითარებაზე. 2011 წლის სასერტიფიკაციო გამოცდებს წინ უძღოდა მასწავლებელთა პროფესიული სრულყოფის პროგრამების შემუშავება და დანერგვა, დამხმარე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების გამოცემა. 2011 წელს პედაგოგთათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და სხვა აკრედიტებული ორგანიზაციების მიერ მომზადდა ტრენინგ-პროგრამები და ინტენსიურად ტარდება ტრენინგები.

სერტიფიცირების ძირითადი მიზანი სწორედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობაა. მნიშვნელოვანია არა ერთი კონკრეტული სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მომზადება, არამედ უწყვეტი ზრუნვა კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ დაოსტატებაზე. ეს არა მარტო სასერტიფიკაციო გამოცდის, არამედ იმ გამოცდის წარმატებით ჩაბარების

წინაპირობაა, რომელსაც ყოველდღიურად თქვენი საქმიანობით „აბარებთ“ თქვენსავე მოსწავლეებს.

ყურადღებით გაეცანით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ თქვენთვის მომზადებულ გამოცემებს, სწავლების ახალ მიდგომებსა და მოდელებს, გადახედეთ თქვენთვის ხელმისაწვდომ სხვა პროფესიულ ლიტერატურას.

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა თქვენთვის ამ ბუკლეტთან ერთად მოამზადა დამხმარე სახელმძღვანელო „ეფექტიანი სწავლება. თეორია და პრაქტიკა“. წიგნში განხილულია ეფექტიანი სწავლების სტრატეგიები და მეთოდები, მოცემულია კვლევაზე დამყარებული პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

***გისურვებთ წარმატებას!***

# რეკომენდებული ლიტერატურა:


- *განვითარებისა და სწავლის თეორიები.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).
- *სწავლება და შეფასება.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).
- *სასწავლო და პროფესიული გარემო.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).
- *ეფექტური სწავლება სკოლაში. მარზანო, რ.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *ეფექტიანი სწავლება. თეორია და პრაქტიკა.*
  გამოცდების ეროვნული ცენტრი (2010).
- *პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი. თერნბული, ჯ.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *ინტერკულტურული განათლება. ტაბატაძე, შ., & ნაცვლიშვილი, ნ.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008).
- *მასწავლებელთა კომპეტენციის ჩარჩო.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში. ვოლობი, რ., ჰუდლესტონი, ტ., კრაფი, პ., როუვი, დ., & ტაელმანი, უ.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას. მარზანო, რ. ჯ., ნორფორდი, ჯ.ს., & დ'არქანჯელო, მ.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *კლასის მართვა. მარზანო, რ.ჯ.*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2009).
- *ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები მასწავლებლებისათვის*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2010).
- *კითხვის ეფექტური მეთოდები. გზამკვლევი*
  მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2010).
- *როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, ს. ჯანაშია,* et. al.*,*
  ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (2007).
- *პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, ს. ჯანაშია, et. al.,*
  ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2008).
- *ვისწავლოთ ერთად, ინკლუზიური განათლება, თ. პაჭკორია (რედ.),*
  ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2008).
- *განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის, ს. ჯანაშია,* et. al.,
  ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2007).
- *სასარგებლო რესურსები მასწავლებლებისთვის*
  ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, (2007).
- *როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის – პროფესიული უნარები.*
  *გამოცდების ეროვნული ცენტრი, (2008).*

# დანართი 1

*მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი*

# მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

## ძირითადი ნაწილი

### რეგულირების სფერო და მიზანი

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (შემდგომში – სტანდარტი), „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ღ3“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, მასწავლებლის პროფესიულ ღირებულებებსა და ვალდებულებებს.

სტანდარტი აერთიანებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული საგნის მასწავლებლისათვის ზოგადი განათლების საფეხურების შესაბამისად.

სტანდარტი მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. სტანდარტი ვრცელდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ყველა სახის მასწავლებელზე. სტანდარტი გამოიყენება აგრეთვე მასწავლებლობის მაძიებლის ცოდნის შეფასებისათვის.

### სტანდარტის სტრუქტურა

სტანდარტი შედგება 3 ნაწილისაგან:

ა) განვითარებისა და სწავლის თეორიები;

ბ) სწავლება და შეფასება;

გ) პროფესიული გარემო.

განვითარებისა და სწავლის თეორიების ნაწილი ასახავს მოსწავლის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებსა და სწავლის თეორიებს, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის.

სწავლებისა და შეფასების ნაწილი აღწერს პედაგოგიური საქმიანობისათვის საჭირო მეთოდებსა და სტრატეგიებს, რომლებიც აუცილებელია ეფექტური სწავლებისა და სწავლისათვის.

პროფესიული გარემოს ნაწილი ასახავს პროფესიულ ვალდებულებებსა და ღირებულებებს, რომლებიც მასწავლებელს ეხმარება კოლეგებთან ურთიერთობაში, საკუთარი პრაქტიკის დახვეწასა და კანონმდებლობის შესაბამისი პროფესიული საქმიანობის წარმართვაში.

## განვითარებისა და სწავლის თეორიები

### განვითარების თეორიები

მასწავლებელმა იცის მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე და იცის, თუ როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;

მასწავლებელი ავლენს მოსწავლის ინტელექტუალური და სოციალური განვითარების ძირითადი თეორიებისა და ფიზიკური განვითარების კანონზომიერების ცოდნას სასწავლოაღმზრდელობით საქმიანობაში;

მასწავლებელი აცნობიერებს მოსწავლეების განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და მათ გავლენას სწავლებასა და სწავლაზე;

მასწავლებელმა იცის და ითვალისწინებს ოჯახური, საზოგადოებრივი და სხვა ფაქტორების გავლენას მოსწავლის განვითარებასა და სწავლაზე.

### სწავლის თეორიები

მასწავლებელმა იცის სწავლის ძირითადი თეორიები, იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლაზე და იცის, როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად:

მასწავლებელი ავლენს სწავლის ძირითადი თეორიების ცოდნას;

მასწავლებელმა იცის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის აგებაში;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს დამოუკიდებლად სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში.

## სწავლება და შეფასება

### სასწავლო გარემო

მასწავლებელმა იცის, როგორ შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო:

მასწავლებელი აცნობიერებს პასუხისმგებლობას თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე;

მასწავლებელი იცნობს ინკლუზიური განათლების, ასევე მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებსა და პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში;

მასწავლებელი აცნობიერებს კლასის სტრუქტურაში მოსწავლეთა არაფორმალური როლების მნიშვნელობას და ხელს უწყობს საკლასო ერთობის შექმნას;

მასწავლებელმა იცის, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობები, მოაგვაროს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით და ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას;

მასწავლებელმა იცის, როგორ მოაწყოს სასწავლო ფიზიკური გარემო ეფექტური სწავლებისათვის;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;

მასწავლებელმა იცის, როგორ იმოქმედოს უბედური შემთხვევის დროს ან აღმოუჩინოს მოსწავლეს ან კოლეგას პირველადი სამედიცინო დახმარება;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში;

მასწავლებელმა იცის გაკვეთილის დროის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები;

მასწავლებელი აცნობიერებს კლასის მართვის სტილის გავლენას მოსწავლის განწყობაზე, ქცევასა და სწავლის შედეგებზე;

მასწავლებელმა იცის, როგორ მართოს მოსწავლეების ქცევა წყვილებში, დიდ და მცირე ჯგუფებში, როგორ ასწავლოს თანამშრომლობითი ურთიერთობები და ხელი შეუწყოს აზრის გაბედულად გამოხატვას;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი ქცევის დამოუკიდებლად შეფასებისა და მართვის უნარის ჩამოყალიბებაში;

მასწავლებელს შეუძლია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საგნის ეფექტურად სწავლების მიზნით;

მასწავლებელი პროფესიულად ფლობს სწავლების ენას.

## მოტივაცია და კომუნიკაცია

მასწავლებელმა იცის მოტივაციისა და კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგია და იყენებს ამ ცოდნას საკუთარ პრაქტიკაში:

მასწავლებელმა იცის სწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები და აანალიზებს მათ შესაძლო შედეგს კონკრეტულ სიტუაციაში;

მასწავლებელმა იცის, როგორ გაუღვივოს მოსწავლეებს შემეცნებითი ინტერესი და სწავლის ღირებულების მიმართ გაცნობიერებული დამოკიდებულება;

მასწავლებელმა იცის და ითვალისწინებს, რა გავლენას ახდენს კომუნიკაციაზე მოსწავლეთა თავისებურებები;

მასწავლებელმა იცის და იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიას მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს კონკრეტული სასწავლო მიზნების მისაღწევად;

მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხი კოლეგებთან,

მშობლებთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობებისთვის;

მასწავლებელმა იცის, როგორ განუვითაროს მოსწავლეს ეფექტური კომუნიკაციის უნარჩვევა.

## სასწავლო პროცესი

მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად:

მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, დროითი და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით;

მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და შეუძლია გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შედგენა;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაამყაროს საგანთა შორის კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგებისა და პროგრამების დონეზე;

მასწავლებელმა იცის, როგორ დაგეგმოს სწავლება კოლეგებთან ერთად;

მასწავლებელს შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა და ამ გეგმის მიხედვით სწავლება და შეფასება.

## შეფასების მეთოდები

მასწავლებელმა იცის შეფასების სხვადასხვა ფორმა, აცნობიერებს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, შეფასებას, სწავლებასა და სწავლას შორის, იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის:

მასწავლებელმა იცის და იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ფორმას;

მასწავლებელი აცნობიერებს შეფასების ძირითად პრინციპებს და იცავს მათ საკუთარ პრაქტიკაში;

მასწავლებელმა იცის და იყენებს შეფასების შედეგებიდან მიღებულ მონაცემებს სწავლების გასაუმჯობესებლად;

მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ მასწავლებლის შეფასება, თანატოლების შეფასება და თვითშეფასება საკუთარი თავისადმი რწმენის ჩამოყალიბებაში, სხვათა შესაძლებლობების შეფასება/აღიარებასა და საკუთარი შედეგების გაუმჯობესებაში.

## სწავლების სტრატეგია და მეთოდები

მასწავლებელს შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება თითოეული მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის:

მასწავლებელი ავლენს სწავლების სხვადასხვა მეთოდის ცოდნას და შეუძლია მათი გამოყენება სასწავლო კონტექსტის შესაბამისად;

მასწავლებელი ავლენს სწავლების იმ მეთოდების ცოდნას, რომელიც დაეხმარება ყველა მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში;

მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს სწავლების პროცესში სხვადასხვა მეთოდი მოსწავლეებში შემეცნებითი და სოციალური უნარების გასავითარებლად.

## პროფესიული გარემო

### კოლეგებთან ურთიერთობა

მასწავლებელმა იცის კოლეგებთან ეფექტური თანამშრომლობითი ურთიერთობის ფორმები:

მასწავლებელმა იცის სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან პროდუქტიული თანამშრომლობის მეთოდები საკუთარი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით;

მასწავლებელი თანამშრომლობს კოლეგებთან მოსწავლეთა სწავლის გასაუმჯობესებლად და აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად;

მასწავლებელმა იცის საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები სასწავლო რესურსების მოძიების მიზნით;

მასწავლებელი ხელს უწყობს კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში;

მასწავლებელმა იცის, როგორ შეუწყოს ხელი ახალბედა მასწავლებელს პრაქტიკული საქმიანობის დაწყებაში.

### თვითშეფასება და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

მასწავლებელმა იცის, როგორ შეაფასოს საკუთარი გამოცდილება, განაახლოს პროფესიული ცოდნა და გააუმჯობესოს პროფესიული საქმიანობა:

მასწავლებელს შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი სამუშაო გამოცდილება და იზრუნოს მის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე;

მასწავლებელს შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევა, პედაგოგიური საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით;

მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს პროფესიული განვითარების სხვადასხვა საშუალება და რესურსი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გასავითარებლად;

მასწავლებელს შეუძლია გააანალიზოს პროფესიული ლიტერატურა და გამოიყენოს ის საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის.

### სამართლებრივი აქტების ცოდნა

მასწავლებელი იცნობს პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბაზას:

მასწავლებელი იცნობს და ხელმძღვანელობს პედაგოგიური საქმიანობის შესახებ არსებული ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით;

მასწავლებელმა იცის და იცავს მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს;

მასწავლებელი იცნობს და იცავს ეთიკის ნორმებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს;

მასწავლებელი აცნობიერებს სამართლებრივ და ეთიკის მოთხოვნებს სასწავლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით;

მასწავლებელს შეუძლია სახელმწიფო ენაზე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ლიტერატურის გაგება.

# მოსწავლის ინტელექტუალური და სოციალური განვითარების თეორიების, სწავლის ძირითადი თეორიებისა და სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი

## განვითარებისა და სწავლის თეორიები

- ბიჰევიორიზმი
- კოგნიტური განვითარების თეორია
- სოციალური დასწავლის თეორია
- სოციო-კულტურული თეორია
- მორალური განვითარების თეორია
- კონსტრუქტივიზმი
- ჰუმანისტური თეორია
- მრავალმხრივი ინტელექტის თეორია
- განწყობის თეორია

## განვითარებისა და სწავლის თეორიების ავტორები

- ჟან პიაჟე
- ლევ ვიგოტსკი
- ლორენს კოლბერგი
- ალბერტ ბანდურა
- ბურუს ფ. სკინერი
- აბრაამ მასლოუ
- დიმიტრი უზნაძე
- დევიდ პერკინსი
- ჰოვარდ გარდნერი
- ჯერომ ბრუნერი
- ჯონ დიუი
- კარლ როჯერსი
- მარია მონტესორი
- ბენჯამინ ბლუმი

## ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „ზოგადი განათლების შესახებ“ 2005 წლის 8 აპრილის საქართველოს კანონი;
- „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილება;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;
- „ეროვნული სასწავლო გეგმის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანება;
- 2006 წლის 25 მაისის „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის №44/25 რეზოლუციით მიღებული „ბავშვის უფლებათა კონვენცია“

# დანართი 2

## *საგამოცდო პროგრამა*

# პროფესიული უნარები

## საგამოცდო პროგრამის პროექტი

### I. განვითარებისა და სწავლის თეორიები _- 15%

მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე და მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად მათი გამოყენების ხერხები.

სწავლის ძირითადი თეორიები, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლაზე და მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად მათი გამოყენების ხერხები.

### განვითარებისა და სწავლის თეორიები

| | |
|---|---|
| კონსტრუქტივიზმი | ძირითადი პოსტულატები |
| ბიჰევიორიზმი | ძირითადი პოსტულატები |
| კოგნიტური განვითარების თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| სოციალური დასწავლის თეორა; | ძირითადი პოსტულატები |
| სოციო-კულტურული თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| მორალური განვითარების თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| ჰუმანისტური თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| მრავალმხრივი ინტელექტის თეორია | ძირითადი პოსტულატები |
| განწყობის თეორია | ძირითადი პოსტულატები |

### ავტორები

ჟან პიაჟე – *ინტელექტის განვითარების თეორია*

- kognituri sqemebi; kognituri sqemebis formireba:
  - asimilacia,
  - akomodacia,
  - kognituri wonasworoba;
- ganviTarebis stadiebi da maTi Taviseburebebi:
  - sensomotoruli stadia
  - operaciamdeli stadia
  - konkretuli operaciebis stadia
  - formaluri operaciebis stadia

| | |
|---|---|
| ლევ ვიგოტსკი – *განვითარების სოციალურ –კულტურული თეორია* | ➘ ganviTarebis socialuri da kulturuli faqtorebi.<br>➘ bavSvis kognituri ganviTareba _ ganviTarebis aqtualuri zona, ganviTarebis uaxloesi zona.<br>➘ bavSvis ganviTarebis xelSewyoba _ moswavlis uaxloesi ganviTarebis zonis aqtualuri ganviTarebis zonad gardaqmnis xelSewyoba. |
| ლორენს კოლბერგი – *მორალური განვითარების თეორია.* | ➘ kolbergis moraluri ganviTarebis ZiriTadi doneebi:<br>- prekonvenciuri<br>- konvenciuri<br>- postkonvenciuri<br>➘ moswavleTa moraluri ganviTarebis donis dadgena.<br>➘ moswavleTa moraluri ganviTarebis xelSewyoba. |
| ალბერტ ბანდურა – *სოციალურ –კოგნიტური დასწავლის თეორია* | ➘ socialuri faqtorebis roli swavlisa da swavlebis procesSi.<br>➘ socialuri modelireba (modelis Tvisebebi).<br>➘ dakvrebiT swavlisaTis aucilebeli faqtorebi (yuradReba, damaxsovreba, gameoreba, motivacia).<br>➘ qcevisa da garemos urTierTmimarTeba |
| ბერას ფ. სკინერი – *ოპერანტული განპირობებულობის თეორია* | ➘ skineris Teoriis ZiriTadi postulatebi.<br>➘ operantuli ganpirobebuloba.<br>➘ pozitiuri da negatiuri ganmamtkicebeli stimulebi.<br>➘ pozitiuri da negatiuri dasja.<br>➘ motivirebis biheivioristuli formebi.<br>➘ Teoriis gamoyeneba moswavlis swavlisa da swavlebis xelSesawyobad. |
| აბრაჰამ მასლოუ – *მოტივაციის იერარქიული თეორია* | ➘ moTxovnilebaTa ierarqia.<br>➘ Teoriis gamoyeneba moswavlis swavlisa da swavlebis xelSesawyobad. |
| დიმიტრი უზნაძე – *განწყობის თეორია* | ➘ funqcionaluri tendencia.<br>➘ adamianis qcevis formaTa klasifikacia:<br>- introgenuli.<br>- eqsterogenuli.<br>➘ swavla-rogorc qcevis gansakuTrebuli forma;<br>- TamaSiT swavla.<br>➘ aRzrdis ZiriTadi tragedia.<br>➘ Teoriis gamoyeneba moswavlis swavlisa da swavlebis xelSesawyobad. |
| დევიდ პერკინსი – *განათლების თეორია:* | ➘ adamianis metakognituri ganviTareba.<br>➘ efeqtiani swavlebis principebi.<br>➘ Teoriis gamoyeneba moswavlis swavlisa da swavlebis xelSesawyobad. |
| ჰოვარდ გარდნერი - *მრავალმხრივი* | ➘ inteleqtis ZiriTadi tipebi.<br>➘ Teoriis gamoyeneba moswavlis swavlisa da |

| | |
|---|---|
| *ინტელექტის თეორია* | swavlebis xelSesawyobad. |
| ჯერომ ბრუნერი – *აღმოჩენებით სწავლის თეორია* | ➘ faqtorebi, romelic ganapirobebs aRmoCenebiT swavlis efeqturobas:<br>- ganwyoba,<br>- swavlisadmi mzaoba,<br>- swavlis mrafalferovneba,<br>- spiraluri kurikulumi.<br>➘ Teoriis gamoyeneba moswavlis swavlisa da swavlebis xelSesawyobad. |
| ჯონ დიუი – *სწავლა გამოცდილებით* | ➘ skola-laboratoria da swavla gamocdilebiT.<br>➘ Teoriis gamoyeneba moswavlis swavlisa da swavlebis xelSesawyobad. |
| კარლ როჯერსი – *ჰუმანისტური მიდგომა და სწავლა გამოცდილებით.* | ➘ me-koncefcia da TviTaqtualizacia.<br>➘ maswavlebeli, rogorc fasilitatori (xelis Semwyobi).<br>➘ Teoriis gamoyeneba moswavlis swavlisa da swavlebis xelSesawyobad. |
| ბენჯამინ ბლუმი *განათლების მიზნების ტაქსონომია* | ➘ ganaTlebis miznebis taqsonomia.<br>➘ kognituri, afeqturi da fsiqomotoruli sferoebis doneebi<br>➘ Teoriis gamoyeneba moswavlis swavlisa da swavlebis xelSesawyobad. |
| მარია მონტესორი – *მონტესორის სკოლა* | ➘ swavlebis ZiriTadi principebi.<br>➘ Teoriis gamoyeneba moswavlis swavlisa da swavlebis xelSesawyobad. |

## II. სწავლება და შეფასება - _ 65%

### 1. სასწავლო გარემო

1.1. efeqtiani saswavlo garemos Seqmna TiToeuli moswavlis individualuri Taviseburebebis gaTvaliswinebiT.

1.2. inkluziuri ganaTlebis mniSvneloba da principebi.

- specialuri saganmanaTleblo saWiroebis mqone moswavleebis swavlisa da socialuri integraciis xelSewyoba:
  - SezRuduli SesaZleblobis mqone moswavleebi
  - gansakuTrebuli niWiT dajildoebuli moswavleebi
- individualuri midgomebi da saswavlo gegmebi
- multikulturuli da multilingvuri midgomebi

1.3. TiToeuli moswavlis pirovnuli da socialuri ganviTarebis xelSewyoba:
- eTikuri Rirebulebebis Camoyalibeba
- konfliqtis prevencia, konfliqtis konstruqciuli mogvareba
- moswavleTa Soris pozitiuri urTierTobebis Camoyalibeba
- damoukidebeli azris Tavisuflad gamoxatva.

1.4. saswavlo fizikuri garemos mowyoba efeqtiani swavlebisaTvis miznis misaRwevad:
- saswavlo resursebis, teqnologiebis gamoyeneba saswavlo miznebis adekvaturad
- saswavlo miznis da swavlebis meTodis adekvaturi fizikuri garemo

1.5. klasis marTvis stili:
- demokratiuli
- avtoritaruli
- qaosuri

1.6. damoukidebeli, konkurentuli da TanamSromlobiTi swavleba.

1.7. moswavleTa qcevis marTva jgufebSi, wyvilebSi, diskusiis dros.

1.8. moswavleebisTvis sakuTari qcevis Sefasebis, TviTmarTvis unaris Camoyalibeba.

1.9. moswavleTa qcevis wesebis SemuSaveba.

| | |
|---|---|
| 2. მოტივაცია და კომუნიკაცია | |
| | 2.1. Sinagani da garegani motivacia. |
| | 2.2. motivaciis amaRlebis strategiebi. |
| | 2.3. moswavlis asakobrivi da pirovnuli Taviseburebebis gaTvaliswinebiT motivaciis strategiis SerCeva. |
| | 2.4. komunikaciis sxvadasxva strategiis gamoyeneba konkretuli saswavlo miznebis misaRwevad.<br>- verbaluri komunikacia<br>- araverbaluri komunikacia<br>- aqtiuri mosmena |
| | 2.5. komunikaciis sxvadasxva strategiis gamoyeneba saskolo sazogadoebasTan (mSoblebi, kolegebi da a.S.) efeqtiani TanamSromlobisaTvis |
| | 2.6. moswavleebis komunikaciuri unarebis ganviTarebis xelSewyoba. |
| | 2.7. moswavleebTan kargi pirovnuli urTierTobebis Camoyalibeba moswavlis swavlis xelSesawyobad. |
| | 2.8. kiTxvis dasmis strategiebi. |
| 3. სასწავლო პროცესი | |
| | 3.1 saswavlo procesis dagegmva erovnuli saswavlo gegmisa da saswavlo miznebis Sesabamisad. |
| | 3.2. gakveTilis dagegmva erovnuli saswavlo gegmisa da saswavlo miznebis Sesabamisad. |
| | 3.3. gakveTilis dagegmvis mniSvnelovani aspeqtebi:<br>- saswavlo miznebi<br>- moswavleTa SesaZleblobebi<br>- saswavlo aqtivobebi<br>- drois ganawileba<br>- saswavlo resursebi da a.S. |
| | 3.4. moklevadiani da grZelvadiani gegmebis Sedgenis dros Sefasebis Sedegad mopovebuli informaciis gamoyeneba. |
| | 3.5. individualuri saswavlo gegmis Sedgena da gamoyeneba. |

4. შეფასების მეთოდები

4.1. Sefasebis miznebi.

4.2. Sefasebis tipebi:
- ganmaviTarebeli da ganmsazRvreli Sefaseba
- mimdinare da Semajamebeli Sefaseba

4.3. Sefasebis meTodebi:
- testireba
- portfolio
- maswavleblis dakvirveba da komentari
- moswavlis TviTSefaseba da TanatolTa Sefaseba

4.4. Sefasebis sqemebis Seqmna da gamoyeneba:
- Sefasebis ZiriTadi principebi: obieqturiba, sandooba, validoba, gamWvirvaloba

4.5. Sefasebis Sedegebis gamoyeneba moswavleTa swavlis xelSesawyobad, maswavleblis profesiuli ganviTarebisaTvis da a.S.

5. სწავლების სტრატეგია და მეთოდები

5.1. swavlebis meTodebi: pirdapiri da arapirdapiri, induqciuri da deduqciuri, sokratuli da sxv.

5.2. saklaso organizaciis modelebi:
- saerTo saklaso muSaoba
- individualuri muSaoba
- jgufuri muSaoba

5.3. swavlebis strategiebis efeqturi dagegmva, gamoyeneba da Sefaseba;
- roluri TamaSebi/simulaciebi
- diskusia
- prezentacia
- proeqtebi
- grafikuli organizatorebi da a.S.

5.4. saazrovno unarebis ganviTarebis efeqtiani strategiebi:
- kritikuli azrovnebis ganviTarebis xelSwyoba
- problemis gadaWris unaris ganviTarebis xelSewyoba
- SemoqmedebiTi azrovnebis ganviTarebis xelSewyoba
- metakognituri unarebis ganviTarebis xelSewyoba

5.5. socialuri unarebis ganviTarebisa da klasSi integraciis  xelSewyoba.

| III. პროფესიული გარემო – 20% | |
|---|---|
| 1. კოლეგებთან ურთიერთობა | 1.1 moswavleTa swavlis xelSewyobis mizniT kolegebTan TanamSromloba.<br>1.2 axalbeda pedagogisTvis gamocdilebis gaziareba.<br>1.3 sazogadoebasTan urTierToba:<br>- saswavlo resursebis moZieba |
| 2. თვითშეფასება და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა | 2.1. profesiul ganviTarebaze zrunva<br>2.2. moswavleTa Sefasebis Sedegebis gamoyeneba TviTSefasebis mizniT:<br>- sakuTari praqtikis kvleva<br>- kolegebis gamocdilebis gaziareba |
| 3. სამართლებრივი აქტების ცოდნა | 3.1. saqarTvelos konstitucia (me-2 Tavi):<br>- adamianis uflebebi da ZiriTadi Tavisuflebebi. sityvis, azris gamoxatvis Tavisufleba, aRmsareblobis, rwmenis Tavisufleba.<br>3.2. ,,zogadi ganaTlebis Sesaxeb” saqarTvelos kanoni.<br>3.3. erovnuli saswavlo gegma:<br>- swavlebisa da swavlis ZiriTadi sakiTxebi<br>- saswavlo gegmis Sedgena<br>- inkluziuri ganaTleba<br>- miRwevis doneebi sagnebisa da safexurebis mixedviT<br>3.4. Sromis kodeqsi:<br>- SromiTi xelSekruleba<br>- Svebuleba<br>- dasvenebiT sargebloba<br>3.5. bavSvTa uflebebis konvencia<br>3.6. zogadi ganaTlebis erovnuli miznebis Sesaxeb dadgenileba. |

# დანართი 3

## *პროფესიული უნარების საგამოცდო*

# *ტესტები*

## *II და III ვარიანტი*

# 2011

# პროფესიული უნარების ტესტი II

## ინსტრუქცია

პროფესიული უნარების ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: სწავლება და შეფასება; განვითარებისა და სწავლის თეორიები და პროფესიული გარემო.

პროფესიული უნარების ტესტში ოთხი ტიპის ტესტური დავალებაა:

(1) არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან *სწორია მხოლოდ ერთი.* დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

(2) შესაბამისობის დავალება ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

(3) დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია" თქვენგან მოითხოვს მოცემული მსჯელობის ჭეშმარიტების ან მცდარობის დადგენას. *გაითვალისწინეთ:* თუ დებულება მცდარია და მიუთითებთ პასუხს „მცდარია", ეს დებულება აუცილებლად უნდა ჩაწეროთ სწორი (ჭეშმარიტი) ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კონკრეტულ დავალებაში ქულას ვერ მიიღებთ.

(4) დავალებები ღია დაბოლოებით თქვენგან მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის ადეკვატური.

** თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა. ყველა სხვა ტიპის დავალება ერთქულიანია.*

სამუშაოდ თქვენ გეძლევათ ტესტურ დავალებათა ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტის ბუკლეტში მოცემულია დავალებათა პირობები და დატოვებულია თავისუფალი ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

*<u>პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია</u>*

არჩევითპასუხიანი დავალებების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი და თქვენი პასუხები მონიშნეთ ისე, როგორც ეს შემდეგ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გეძლევათ გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის თქვენ სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა და ამის შემდეგ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მეორე დავალებისთვის არის ნაჩვენები. თუ თქვენ დატოვებთ დანარჩენ უჯრებს ცარიელს, როგორც ეს მესამე დავალებისთვის არის ნაჩვენები, ამ შემთხვევაში ითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება ფასდება 0 ქულით.




ღია დავალების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ჩაწერეთ თქვენი პასუხი, ის არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

<u>პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.</u>

წარმატებას გისურვებთ!

# სწავლება და შეფასება

## დავალება №1

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა/რჩევები დაეხმარება პედაგოგს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებაში?

I. გაააქტიურეთ მოსწავლეები. მიეცით მოსწავლეებს სასწავლო პროცესზე საკუთარი მოსაზრებებისა თუ შეფასებების წარმოდგენის შესაძლებლობა (მაგალითად, „წინადადებების ყუთი“-ს გამოყენებით). სასწავლო პროცესის დაგეგმვაში მოსწავლეთა თანამონაწილეობა გაზრდის სწავლისადმი მათ ინტერესსა და პასუხისმგებლობას.

II. სისტემატურად შეაფასეთ მოსწავლეთა ცოდნა. ხშირად ჩაატარეთ მიმდინარე განმსაზღვრელი შეფასებები სხვადასხვა მეთოდით (საკონტროლო წერები, ტესტირებები). მოსწავლეები უფრო ჩართულნი იქნებიან სასწავლო პროცესში და მეტ დროს დაუთმობენ სწავლას არასასურველი შეფასების თავიდან ასაცილებლად.

III. გაამრავალფეროვნეთ სასწავლო პროცესი. გამოიყენეთ ინტერაქციული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში). სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნება გაზრდის მოსწავლის ჩართულობასა და სწავლისადმი ინტერესს.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ I და III
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №2

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა არის ყველაზე ადეკვატური ჯგუფური მუშაობის ეფექტურად წარმართვისათვის?

ა) მასწავლებელი, როგორც წესი, ჩართულია ჯგუფების მუშაობაში და მისთვის სასურველი მიმართულებით წარმართავს მოსწავლეთა მუშაობას.
ბ) მასწავლებელი აკვირდება ჯგუფების მუშაობას და ძლიერ ჯგუფს დროის შემცირების ხარჯზე ურთულებს დავალებას.
გ) მასწავლებელი აკვირდება ჯგუფების მუშაობას და, საჭიროების შემთხვევაში, სწორი გეზის მიცემის მიზნით, ერთვება მათ მუშაობაში.
დ) მასწავლებელი შემოიფარგლება მხოლოდ დამკვირვებლის როლით და არ ერევა ჯგუფის მუშაობაში.

## დავალება №3

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია/რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა, რომ შეკითხვებითა და მინიშნებებით ხელი შეუწყოს მოსწავლის მიერ ახალი მასალის ათვისებას?

I. გაკვეთილის ახსნის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები და მინიშნებები ძირითადად თემის საკვანძო, მნიშვნელოვან საკითხებს უნდა უკავშირდებოდეს.

II. მასწავლებელმა ფაქტობრივი ცოდნის შესამოწმებელ კითხვებთან ერთად უნდა დასვას შეკითხვები, რომლებიც ახალი მასალის გააზრებას, გაანალიზებას მოითხოვს.

III. მასწავლებელმა კითხვები უნდა დასვას მხოლოდ ახლად ახსნილი თემის სრულად ათვისების შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში მინიშნებებით დაეხმაროს მოსწავლეებს.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და II
გ) მხოლოდ III
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №4

განასხვავებენ ახალი მასალის მიწოდების რამდენიმე ხერხს. ისინი სხვადასხვაგვარია მასწავლებლის მიერ შესასწავლი მასალის აგების, მიწოდების თანმიმდევრობისა და ფორმის თვალსაზრისით.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასალის მიწოდების ინდუქციური მეთოდი?

ა) მასწავლებელი ახალ მასალას „შლის" ნაწილებად. ნაწილებს თანმიმდევრობით აწვდის მოსწავლეებს, ისე რომ მათ მიეცეთ მისი ეტაპობრივად ათვისებისა და ერთმანეთთან შედარება/ შეპირისპირების შესაძლებლობა.

ბ) მასწავლებელი განმარტავს თემის საკვანძო ცნებას, ზოგად კანონზომიერებას, წესს, რის შემდეგაც ამ წესის/კანონზომიერების საილუსტრაციოდ აწვდის მოსწავლეებს კონკრეტულ მაგალითებს.

გ) მასწავლებელი ახსნას იწყებს კონკრეტული მაგალითების შერჩევით მოსწავლეთათვის ნაცნობი და მათ გამოცდილებასთან დაკავშირებული სიტუაციებიდან. ახსნის პროცესში კონკრეტულ მაგალითებს განაზოგადებს მათ გამაერთიანებელ კანონზომიერებამდე.

დ) მასწავლებელს მოჰყავს კონკრეტული მაგალითები, აცნობს მოსწავლეებს მათი განმარტების/ახსნის რამდენიმე ალტერნატიულ გზას. ახსნის პროცესს ასრულებს ერთი რომელიმე, კონკრეტული ალტერნატივის უპირატესობის ხაზგასმით.

## დავალება №5

მოზარდებისათვის ხშირად დამახასიათებელია არაგონივრული, ხანდახან გამომწვევი ქცევა, რაც კლასში დისციპლინის დარღვევასა და სასწავლო პროცესის შეფერხებას იწვევს. ამგვარი ქცევის კორექციისათვის ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის დამოკიდებულებას მოსწავლის ქცევის მიმართ.

ჩამოთვლილთაგან რომელია მოზარდის ასეთი ქცევისადმი მასწავლებლის ყველაზე მიზანშეწონილი პოზიცია?

ც) ასეთი ქცევა არის ნიშანი უფროსებისათვის, რომ მოზარდს მკაცრი კონტროლი სჭირდება.

დ) ეს ქცევა მიანიშნებს, რომ მოზარდს სჭირდება თანადგომა და მისი პრობლემებისადმი ყურადღება.

ჰ) ეს ქცევა მიანიშნებს, რომ მოზარდი არ არის კარგად აღზრდილი.

ე) ასეთი ქცევა ასაკისათვის დამახასიათებელი სირთულეა, რომელიც დაიძლევა დროთა განმავლობაში.

## დავალება №6

სწავლების შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე ახერხებს ერთ სიტუაციაში ნასწავლის სხვა სიტუაციაში გადატანასა და გამოყენებას. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პროცესს ტრანსფერს უწოდებენ.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობები დაეხმარება მოსწავლეს ყველაზე მეტად, გაკვეთილის ფარგლებში მიღებული ცოდნა პრქტიკაშიც ეფექტურად გამოიყენოს?

I. თეორიული მასალის ახსნამდე მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს კონკრეტული, მათ გამოცდილებასთან დაკავშირებული სიტუაციური დავალებები და მისცეს მოსწავლეებს შესაძლებლობა, თავად აღმოაჩინონ მათი ამოხსნის/გადაჭრის გზები.

II. თეორიული მასალის ახსნის პროცესში მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს კონკრეტული სიტუაციური დავალებები და სთხოვოს მათ პრობლემის იდენტიფიკაცია. მოსწავლეებთან ერთად განიხილოს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები და თითოეულის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

III. თეორიული მასალის ახსნის შემდეგ, მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს სიტუაციური დავალება და უჩვენოს/ასწავლოს მისი გადაჭრის ყველაზე სწორი, კონკრეტული გზა.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ III

გ) მხოლოდ I და II

დ) მხოლოდ II და III

## დავალება №7

სწავლისა და სწავლების პროცესისადმი პედაგოგთა დამოკიდებულებასა და განწყობას არსებითი მნიშვნელობა აქვს კლასში პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებისათვის.

ქვემოთ აღწერილია სასწავლო პროცესისადმი პედაგოგის სამი განსხვავებული დამოკიდებულება. მათგან რომელი დამოკიდებულება/ დამოკიდებულებები უწყობს ხელს კლასში პოზიტიური სასწავლო ატმოსფეროს შექმნას და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას?

I. „შეცდომა სწავლის თანამდევია. შეცდომის გამო არავინ ისჯება. მთავარია, მოსწავლემ შეცდომებზე ისწავლოს, მონდომების შემთხვევაში კარგი აკადემიური მოსწრების მიღწევა ყველას შეუძლია“.

II. „შეცდომები იმის ნიშანია, რომ მოსწავლე გულისყურით არ ეკიდება სასწავლო პროცესს ან არა აქვს ცოდნის შეძენის შესაბამისი უნარი“.

III. „ნიჭი წარმატების გარანტია. მხოლოდ სხარტი და გონიერი მოსწავლეები აღწევენ წარმატებას. ნიჭიერია ბავშვი, რომელიც სწრაფად გადაწყვეტს მასწავლებლის მიერ წამოჭრილ პრობლემას“.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ I და III
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №8

კლასში მოსწავლის სოციალური სტატუსი გავლენას ახდენს მის განვითარებაზე და გარკვეულ შემთხვევაში უარყოფითად აისახება მოსწავლის მიღწევებსა და ქცევაზე. მოსწავლე, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უარყოფილია თანატოლების მიერ, შესაძლოა, აგრესიული და/ან საკუთარ თავში ჩაკეტილი გახდეს.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა იქნება ნაკლებად შედეგიანი უარყოფილი მოსწავლის კლასთან ინტეგრაციისათვის?

ა) უარყოფილი მოსწავლისათვის ისეთი დავალების შერჩევა, რომელსაც იგი წარმატებით გაართმევს თავს.
ბ) ისეთი საკლასო აქტივობების გამოყენება, რომლებიც დაეხმარება უარყოფილ მოსწავლეს, გამოავლინოს საკუთარი დადებითი თვისებები.
გ) თანაკლასელებისათვის ისეთი დავალებების შერჩევა, რომელთა წარმატებით შესასრულებლად მათ უნდა ითანამშრომლონ უარყოფილ ბავშვთან.
დ) ჯგუფურ პროექტში უარყოფილი მოსწავლისათვის ლიდერის ფუნქციის დაკისრება.

## დავალება №9

სწავლის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა დროულად აღმოაჩინოს მოსწავლის საჭიროებები და ადეკვატური უკუკავშირი მიაწოდოს მას.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობაა ყველაზე ეფექტიანი იმისათვის, რომ იგი დროულად გამოეხმაუროს თითოეული მოსწავლის კონკრეტულ საჭიროებას?

ა) მასწავლებელი ყოველი ახალი თემის დასრულების შემდეგ ატარებს განმსაზღვრელ შეფასებას და აცნობს მოსწავლეებს მათი მიღწევების მიხედვით შედგენილ რეიტინგულ სიას.

ბ) მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეზე აწარმოებს დაკვირვებას, რის საფუძველზეც აკეთებს ჩანაწერებს სპეციალურ ცხრილში და ინდივიდუალურად განიხილავს მოსწავლესთან ერთად.

გ) მასწავლებელი, როგორც წესი, მოსწავლეებს აძლევს დავალებებს, რომელიც ანალიტიკურ აზროვნებასა და პრობლემის გადაჭრას მოითხოვს, ამოწმებს დავალებას და ურთავს კომენტარს.

დ) მასწავლებელი მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით ატარებს დისკუსიას და მოსწავლეებთან ერთად შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით აფასებს მოსწავლეებს.

## დავალება №10

*საშინაო დავალება* სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება, თვითდისციპლინისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარების ხელშეწყობა.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა/რჩევები დაეხმარება პედაგოგს საშინაო დავალების კომპონენტის ეფექტურად გამოყენებაში?

I. ინდივიდუალური დავალების გარდა, მოსწავლეებს მიეცით ჯგუფური საშინაო დავალება; ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მისი შესრულების მოტივაციის ზრდას.

II. სასურველია, საშინაო დავალების შეუსრულებლობა რეაგირების გარეშე დატოვოთ, რათა უარყოფითი შეფასების შედეგად სწავლის მიმართ მოსწავლეს ნეგატიური დამოკიდებულება არ ჩამოუყალიბდეს.

III. საშინაო დავალება გაასწორეთ დროულად და ყურადღებით, რათა მოსწავლეს არ ჩამოუყალიბდეს განწყობა, რომ მთავარი დავალების შესრულებაა და არა შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

ა) მხოლოდ II

ბ) მხოლოდ III

გ) მხოლოდ I და II

დ) მხოლოდ I და III

## დავალება №11

მოსწავლეებთან ეფექტიანი კომუნიკაციის გარეშე რთულია სასწავლო პროცესის შედეგიანად წარმართვა. შესაბამისად, პედაგოგი კარგად უნდა იცნობდეს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესზე.

ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს ნაკლებეფექტიანი კომუნიკაციის მაგალითს?

ა) მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმისა და მოსწავლეთა ყურადღების მობილიზების მიზნით, საუბრისას მასწავლებელი იყენებს პაუზებს.

ბ) მოსწავლეების ინტერესის გაღვივებისა და სასწავლო პროცესის გახალისების მიზნით, მასწავლებელი ცოცხლად და გამომსახველად საუბრობს.

გ) მოსწავლეთა ყურადღების შენარჩუნებისა და შეზღუდულ დროში დიდი მოცულობის ინფორმაციის გადაცემის მიზნით, მასწავლებელი საუბრობს სწრაფად.

დ) მოსწავლეთა ინტერესის გაღვივების მიზნით, მასწავლებელი საუბრისას განიხილავს საკითხის შესახებ არსებულ რამდენიმე განსხვავებულ შეხედულებას.

## დავალება №12

შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. იგი ეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგში, სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და ორგანიზებაში. ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ რიგ შემთხვევებში შეფასება მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასაც უწყობს ხელს.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია/რეკომენდაციები შეუწყობს ხელს ყველაზე მეტად მოსწავლის გარეგანი მოტივაციის ზრდას?

I. მიეცით მოსწავლეებს საკუთარი ნაშრომების შეფასების საშუალება წინასწარ მომზადებული სქემის მიხედვით, რათა მათ თავად გააანალიზონ დაშვებული შეცდომები.

II. ნიშნით შეფასებასთან ერთად შეაქეთ მოსწავლეები მათ მიერ გაწეული ძალისხმევისათვის.

III. პერიოდულად ჩაატარეთ ვიქტორინა/კონკურსები, შეაფასეთ მოსწავლეები და დააწესეთ ჯილდო გამარჯვებულთათვის.

ა) მხოლოდ II

ბ) მხოლოდ III

გ) მხოლოდ I და II

დ) მხოლოდ I და III

## დავალება №13

ჩამოთვლილთაგან, რომელი რეკომენდაცია არ დაეხმარება მასწავლებელს შემაჯამებელი შეფასებისათვის ტესტის შედგენის პროცესში?

ა) ტესტი შეადგინეთ ისე, რომ ის ეყრდნობოდეს განვლილ მასალას.
ბ) შეეცადეთ, ტესტურ დავალებათა პირობა ჩამოაყალიბოთ მარტივი ენითა და მკაფიოდ.
გ) შეამოწმეთ, რომ არჩევითბოლოიან ტესტურ დავალებებს ჰქონდეს მხოლოდ ერთი სწორი პასუხი.
დ) ტესტი შეადგინეთ მხოლოდ სააზროვნო და ანალიტიკური სახის შეკითხვებით.

## დავალება №14

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლეების ჩვეულებრივ სკოლებში ინკლუზია მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. სირთულეები თავს იჩენს როგორც სწავლების, ასევე შეფასების პროცესში.

ქვემოთ აღწერილია მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა. განსაზღვრეთ, რამდენად ადეკვატურია მოცემული აქტივობა დასწავლის პრობლემის მქონე სსსმ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შეფასებისათვის.

აქტივობა: მათემატიკის მასწავლებელმა მოსწავლეებს ამოსახსნელად ამოცანა მისცა და მისი ამოხსნისათვის დრო განუსაზღვრა. სსსმ მოსწავლეს კი უფრო მარტივი დავალება მისცა და არც დროში შეზღუდა. პედაგოგი დავალებაზე მუშაობის პროცესში პერიოდულად სსსმ მოსწავლეს მინიშნებებით ეხმარებოდა. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელმა მოსწავლეების ნაშრომები შეაფასა, სსსმ მოსწავლის ნაშრომის შესაფასებლად მან განსხვავებული, ლოიალური კრიტერიუმები გამოიყენა.

მასწავლებლის მიერ სსსმ მოსწავლის ნამუშევრის შეფასებისას გამოყენებული მიდგომა:

ა) ადეკვატურია. სსსმ მოსწავლეები უნდა ფასდებოდნენ სპეციალური, მათთვის შემუშავებული სქემების მიხედვით, რომლებშიც აქცენტი ინდივიდუალურ პროგრესზე კეთდება.
ბ) არ არის ადეკვატური. სსსმ მოსწავლეები უნდა ფასდებოდნენ სხვა თანაკლასელების მსგავსად, იმავე კრიტერიუმებით, ობიექტურობის პრინციპის დაცვით.
გ) ადეკვატურია. მოტივაციისა და სწავლისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით, სსსმ მოსწავლეები ყოველთვის მაღალი ნიშნებით უნდა შეფასდნენ.
დ) არ არის ადეკვატური. სსსმ მოსწავლეთა განსხვავებული კრიტერიუმით შეფასება უფრო მეტად უსვამს ხაზს მათ განსხვავებულობას დანარჩენ მოსწავლეთაგან.

## დავალება №15

ქვემოთ მოცემულია საგაკვეთილო პროცესის მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებული მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა. შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა დასახული მიზნის მისაღწევად, თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარების ხელშეწყობა.

აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრებებისა და ალტერნატიული პოზიციების გამოთქმას კონკრეტული ისტორიული მოვლენის შესახებ. პედაგოგი წარმართავს პოლემიკას და აფასებს, რამდენად მართებულია მოსწავლეთა შეხედულებები. დისკუსიის შეჯამებისას პედაგოგი უბიძგებს მათ, გაიზიარონ ამ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში მოცემული პოზიცია, რომელსაც თავადაც ეთანხმება.

აღნიშნული აქტივობა დასახული მიზნის:

ა) ადეკვატურია. პედაგოგი უნდა ეყრდნობოდეს სახელმძღვანელოში აღწერილ პოზიციას და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ხელს უწყობდეს მოსწავლეების მიერ ამ პოზიციის გაზიარებას.

ბ) არაადეკვატურია. პედაგოგმა მოსწავლეებს არ უნდა მოახვიოს თავს საკუთარი აზრები და ვარაუდები, მათ უნდა მისცეს საშუალება, ღიად შეაფასონ, როგორც სახელმძღვანელოში მოცემული პოზიცია, ასევე პედაგოგის მოსაზრებები.

გ) ადეკვატურია. მასწავლებელმა შესაბამისად უნდა შეაფასოს, გააკრიტიკოს მოსწავლეთა ზედაპირული, დაუსაბუთებელი მსჯელობა და ამით ხელი შეუშალოს მცდარი მოსაზრების კლასში გავრცელებას.

დ) არაადეკვატურია. პედაგოგი არ უნდა ჩაერიოს მოსწავლეთა მსჯელობაში, თუნდაც მსჯელობა ასცდეს სადისკუსიო თემას, იყოს ქაოსური, უსისტემო და ჩანდეს მოსწავლეთა მოჩვენებითი ორიგინალობა.

## დავალება №16

პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება სწავლების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. *თითოეული მეთოდის ეფექტურობას მისი საგაკვეთილო მიზანთან შესაბამისობა განსაზღვრავს.* მნიშვნელოვანია, მასწავლებელი კარგად იცნობდეს ორივე მიდგომას და ისე იყენებდეს მათ, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მოსწავლეთა სწავლასა და განვითარებას.

ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს პირდაპირი სწავლების ძირითად უპირატესობას?

ა) მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება.

ბ) მოსწავლეებისათვის დიდი რაოდენობით ინფორმაციის მოკლე დროში მიწოდება.

გ) მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარება.

დ) მოსწავლეების მიერ ინფორმაციის ხანგრძლივი დროით დამახსოვრება.

## დავალება №17

სწავლის პროცესში მოსწავლეებს მნიშვნელოვანი ჩვევები უყალიბდებათ, ისინი სწავლობენ საკუთარი ქცევის მართვას. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა სასურველი ქცევის ჩვევად ჩამოყალიბებას. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით კლასებში.

ჩვევის ჩამოყალიბების პროცესში გამოყოფენ ხუთ ეტაპს, რომელთაგან ბოლო ორი ეტაპია:

- (IV) ჩვევების კომბინირება – ახალი მოთხოვნების შესასრულებლად რამდენიმე ჩვევის ინტეგრირება და გამოყენება.
- (V) ნატურალიზაცია – გარკვეული აქტივობების შესრულება ავტომატურად, ცნობიერების მონაწილეობის გარეშე.

დაალაგეთ ჩვევის ჩამოყალიბების საწყისი სამი ეტაპი თანმიმდევრობით:

ა) სიზუსტე – გარკვეული მოქმედების შესრულება ინსტრუქციების გარეშე.

ბ) მანიპულაცია – გარკვეული მოქმედების შესრულება ვერბალური მითითებების, ინსტრუქციის მიხედვით.

გ) იმიტაცია – სხვისი მოძრაობის მიბაძვა და გამეორება.

**თანმიმდევრობა შესაბამისი რიგითი ნომრით მიუთითეთ თანდართულ ცხრილში.*

✍ ჩაწერეთ:

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩვევის ჩამოყალიბების ეტაპების თანმიმდევრობა **(A)** | I | II | III |
| ჩვევის ჩამოყალიბების ეტაპები **(B)** | | | |

## დავალება №18

*მაქსიმალური ქულა – 3*

გეოგრაფიის მასწავლებელი სწავლების ასეთ მეთოდს იყენებს: პერიოდულად მოსწავლეებს ორ ჯგუფად ანაწილებს, ერთ-ერთ მათგანს აძლევს ბარათს, რომელზეც ამა თუ იმ ქვეყნის სახელი წერია. ამ ჯგუფმა უნდა დაახასიათოს ქვეყანა – მისი მდებარეობა, მოსაზღვრე ქვეყნები, კლიმატი, რელიეფი, ღირსშესანიშნაობები და ა.შ. მეორე ჯგუფის ამოცანაა, გამოიცნოს, რომელ ქვეყანაზე იყო საუბარი. შემდეგ ჯგუფები როლებს გაცვლიან. მასწავლებელი გამარჯვებულ ჯგუფს წინასწარ მომზადებულ პრიზს გადასცემს.

აღწერეთ, მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის დადებითი შედეგები. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

✍ *ჩაწერეთ:*

## დავალება №19

*მაქსიმალური ქულა – 4*

წაკითხულის გააზრების უნარი გულისხმობს ტექსტის ძირითადი აზრის წვდომას. ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც ბავშვები სკოლაში სწავლისას იძენენ, *კითხვის, წაკითხულის გააზრების უნარია*. ამ საბაზო უნარის ჩამოყალიბება სასკოლო პერიოდის დაწყებით საფეხურზე ხდება და მომდევნო საფეხურებზე სწავლებისა და სწავლის წინაპირობაა. მოსწავლე ჯერ სწავლობს კითხვას და შემდეგ კითხულობს იმისათვის, რომ ისწავლოს. წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებაზე მიმართული აქტივობები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოსწავლეთა სასკოლო მიღწევებს.

- აღწერეთ ერთი პრაქტიკული სტრატეგია, რომლის საშუალებითაც პედაგოგი დაეხმარება მოსწავლეს წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის მნიშვნელობა წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებისათვის.
- სასურველი შედეგის მისაღებად ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას გარკვეული პირობების დაცვაა საჭირო. დაასახელეთ ერთი წინაპირობა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის.

✍ *ჩაწერეთ:*

## დავალება №20

*მაქსიმალური ქულა – 5*

არსებობს მოსაზრება, რომ ნიშნის მომატებითა და მოსწავლეთა ხშირი წახალისებით მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. თუმცა ამ მიდგომას უარყოფითი მხარეებიც ახლავს.

იმსჯელეთ, რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის ნიშნის მომატებასა და ხშირ წახალისებას. დავალება შეასრულეთ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- აღწერეთ ერთი უარყოფითი შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მასწავლებლის მიერ ამგვარი მიდგომის გამოყენებას.
- აღწერეთ, როგორ იცვლება ამ მიდგომის ეფექტი მოსწავლეების ასაკის ზრდასთან ერთად (დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის).
- დაასაბუთეთ თითოეული პასუხი.

*ჩაწერეთ:*

## დავალება N21

*მაქსიმალური ქულა - 17*

პედაგოგთა ინიციატივით ინტერნეტსივრცეში საგანმანათლებლო ვებგვერდი შეიქმნა, სადაც თავმოყრილია საინტერესო სტატიები და სასარგებლო რესურსები. ვებგვერდი ინტერაქტიულია – ინტერნეტ ფორუმის საშუალებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია არა მხოლოდ ინფორმაციის მიღება, არამედ საკუთარი მოსაზრებებისა და გამოცდილების სხვებისთვის გაზიარებაც.

ვებგვერდის დამფუძნებლების აზრით, ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, აგრეთვე, პრაქტიკოს პედაგოგებსა და ექსპერტებს შორის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას.

ვებგვერდმა მოკლე დროში მოიპოვა პოპულარობა, მას მშობლები და უფროსკლასელი მოსწავლეებიც სტუმრობენ. ფორუმზე აქტიური დისკუსიები იმართება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მიერ წამოჭრილ პრობლემებზე.

ქვემოთ მოცემულია ამონარიდები ფორუმზე განთავსებული წერილებიდან. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული წერილი და გაიაზრეთ მათში აღწერილი პრობლემის არსი.

წარმოიდგინეთ, რომ პედაგოგის, მშობლის ან მოსწავლის მიერ წამოჭრილი პრობლემები თქვენს კლასს ეხება. აღწერეთ, რას გააკეთებდით თქვენ, როგორც პედაგოგი ამ პრობლემის მოსაგვარებლად. შეეცადეთ, პასუხი იყოს კონკრეტული და ამომწურავი.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- აღწერეთ ერთი კონკრეტული სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის მართებულობა – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს.

მიაქციეთ ყურადღება:

- ⇨ დავალება 21.3. თქვენგან პრობლემის გადაჭრაზე მიმართული აქტივობის აღწერის ნაცვლად მოითხოვს არგუმენტების დასახელებას.
- ⇨ დავალება 21.4. ორ პრობლემას ეხება, შესაბამისად, თქვენ გევალებათ ორივე პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის აღწერა და დასაბუთება.

# ამონარიდები ფორუმზე შემოსული წერილებიდან:

## დავალება №21.1

**მშობელთან კომუნიკაცია**

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
|  მომხმარებელი: ნუცა სტატუსი: მასწავლებელი | ბევრი განსხვავებულად რთული მშობელი მყოლია და ყოველ მათგანთან, პრეტენზიიდან გამომდინარე, ურთიერთობის განსხვავებული ფორმისათვის მიმიმართავს, მაგრამ ახლა გამოუვალ სიტუაციაში აღმოვჩნდი: სადამრიგებლო მე-8 კლასში ერთი მოსწავლე მყავს, რომლის ქცევაც ძნელად სამართავია და იძულებული ვხდები, თითქმის ყოველდღე შევატყობინო მშობელს მისი დისციპლინური დარღვევების შესახებ, რაც ყოველთვის უხერხულ ვითარებაში მაგდებს. მშობელი მიმტკიცებს, რომ მისი შვილი სახლში სრულიად საპირისპიროდ იქცევა - დამჯერია, წყნარი, მშვიდი და ამდენად, მისთვის სრულიად გაუგებარია ჩემი პრეტენზია. მაინტერესებს, რა სტრატეგიებს მიმართავენ გამოცდილი პედაგოგები ამგვარ შემთხვევაში მშობლის ნდობის მოსაპოვებლად და მასთან ეფექტიანი კომუნიკაციისათვის? |

## დავალება №21.2

**რეკომენდაციები შეფასების სქემის შესადგენად**

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
|  მომხმარებელი: თიკო სტატუსი: მოსწავლე | ძალიან გაბრაზებული ვარ!!! დღეს ქართულმა საკონტროლო წერის ქულები გამოგვიცხადა და აღმოჩნდა, რომ მე 7 ქულა მივიღე, ჩემმა კლასელმა კი, რომელმაც სიტყვასიტყვით ჩემგან გადაიწერა - 10 ქულა! ჩემი კლასელებიც ამბობენ, ერთნაირ ნაწერებში განსხვავებულ ქულებს გვიწერსო. მაინტერესებს, რას ეყრდნობიან მასწავლებლები, როცა აფასებენ თხზულებას?! |
|  მომხმარებელი: მარინა სტატუსი: მასწავლებელი | თიკო, ამგვარი შემთხვევებისგან თავის დასაზღვევად პედაგოგები თხზულებას წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით ვაფასებთ. როგორც ჩანს, თქვენს მასწავლებელს შეფასების სქემის შედგენის გამოცდილება არ აქვს და კარგი იქნება, თუ რჩევისთვის გამოცდილ პედაგოგებს მიმართავს. |

## დავალება №21.3

**სასწავლო პროცესის ჯგუფური დაგეგმვის უპირატესობები**

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
| <br>მომხმარებელი: ლია<br>სტატუსი: მასწავლებელი | ფორუმზე ერთ-ერთი მასწავლებელი წერდა, რომ მის სკოლაში ეფექტურად იყენებენ პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესის ჯუფურად დაგეგმვის მეთოდს. ჩვენს სკოლაში ასეთი პრაქტიკა არა გვაქვს.<br>იქნებ ის პედაგოგები გამომეხმაურონ, რომლებიც პრაქტიკაში იყენებენ ამ მეთოდს, მაინტერესებს, რა უპირატესობები აქვს სასწავლო პროცესის ჯგუფურად დაგეგმვას. |

## დავალება 21.4

21.4.1. **კლასში დამკვიდრებული ღირებულებები**
21.4.2. **დათოს ქცევის კორექცია**

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
| <br>მომხმარებელი:ელენე<br>სტატუსი: მშობელი | ამას წინათ წავიკითხე სტატია, რომელშიც ერთი ბავშვის ისტორია იყო მოთხრობილი. გოგონა პრესტიჟულ სკოლაში გადაიყვანეს მშობლებმა, სადაც მოსწავლეთა ენერგიის დიდი ნაწილი სწავლა-განათლების ნაცვლად არაჯანსაღ კონკურენციაზე იხარჯება - მოსწავლეებს სახლიდან ყოველდღიურად მოაქვთ ახალ-ახალი ნივთები და ერთმანეთს "ეჯიბრებიან". აღწერილმა სიტუაციამ ჩემი შვილის, დათოს კლასი გამახსენა. ბავშვები ერთმანეთთან იმის მიხედვით მეგობრობენ, თუ ვის რა მანქანით აკითხავს მშობელი, ვის უფრო ძვირადღირებული მობილური აქვს... მოსწავლეებს, რომელთაც ამ მხრივ თავის გამოჩენის საშუალება არა აქვთ, მათ შორის ჩემს შვილსაც, თანაკლასელები ჩაგრავენ და აგდებულად ექცევიან. ალბათ ამის ბრალია, რომ ბოლო დროს დათო ძალიან აგრესიული გახდა, ბევრს ჩხუბობს, ამას წინათ კლასელს ახალი ძვირადღირებული მობილური გაუტეხა. როგორც ჩანს, ასე ცდილობს თავის დამკვიდრებას. ძალიან შევწუხდი, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. დათოს გადაყვანასაც ვაპირებდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ პრობლემისაგან არც სხვა სკოლაში ვართ დაზღვეული.<br>შექმნილ ვითარებაში ორი რამ მაწუხებს: არ მინდა, ჩემი შვილი ასეთ გარემოში და ამგვარი „ღირებულებებით" გაიზარდოს...<br>და მეორე: ჩემი შვილის პრობლემა, რომელიც ძალიან შეიცვალა და აგრესიული გახდა. |

## დავალება №21.5

### დამხმარე სახელმძღვანელოს შეფასება

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
| <br>მომხმარებელი:<br>თამარი სტატუსი:<br>მასწავლებელი | კერძო სკოლაში ვასწავლი ქიმიას. ჩვენს სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, თუმცა დღემდე პრობლემად რჩება მოსწავლეების დამოკიდებულება ქიმიისადმი. ჩვენმა კოლეგამ, მეათეკლასელების ამ საგნისადმი ინტერესის გაღვივებისა და სწავლების ხელშესაწყობად, დამხმარე სახელმძღვანელო შექმნა. სახელმძღვანელო შემთხვევებისა და სიტუაციების ანალიზის მეთოდზეა აგებული, ძალიან საინტერესო და სახალისოა, კათედრაზე ყველას მოგვეწონა. თუმცა ჩვენს სუბიექტურ აზრზე უფრო მნიშვნელოვანი იმის შეფასებაა, როგორ იმუშავებს ის პრაქტიკაში.<br>საგნობრივმა კათედრამ სახელმძღვანელოს აპრობაცია ერთ-ერთ პარალელურ კლასში დაგეგმა. მეათე კლასს წელს არ ვასწავლი და ამიტომ, სასწავლო წლის ბოლოს სახელმძღვანელოს ეფექტიანობის შეფასება მე დამავალეს. დავალება თავისთავად საინტერესოა, მაგრამ არც გამოცდილება მაქვს და არც მკაფიო წარმოდგენა, როგორ განვსაზღვრო ახალი სახელმძღვანელოს ეფექტიანობა. რა აქტივობები უნდა გამოვიყენო ამ სახელმძღვანელოთი სწავლების შედეგების შესაფასებლად? |

ყოველი დავალებისათვის განკუთვნილ არეში აღწერეთ მასწავლებლის ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც იქნება მასწავლებლის, მშობლის თუ მოსწავლის მიერ წამოჭრილი პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა. დაასაბუთეთ, თუ რატომ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი თითოეული სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, თუ სად უნდა ჩაიწეროს თქვენი პასუხი თითოეულ წერილთან დაკავშირებით.

✍ *ჩაწერეთ:*

დავალება 21.1.

დავალება 21.2.

დავალება 21.3.

დავალება 21.4.1.

დავალება 21.4.2

დავალება 21.5

# განვითარებისა და სწავლის თეორიები

## დავალება №22

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიული თეორიის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი მოთხოვნილება/მოთხოვნილებები აქვს დაკმაყოფილებული მოსწავლეს, რომლისთვისაც აქტუალურია ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის მოთხოვნილება?

IV. აღიარების მოთხოვნილება
V. თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება
VI. უსაფრთხოების მოთხოვნილება

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ III
გ) მხოლოდ I და III
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №23

მასწავლებელმა მოსწავლეს მისცა ოთხი განსხვავებული სირთულის დავალება. მოსწავლემ:

დავალება 1 –დამოუკიდებლად შეასრულა, ადვილად გაართვა თავი.

დავალება 2 –დავალების პირობაზე ცოტა იფიქრა და გადაწყვიტა.

დავალება 3 –დამოუკიდებლად ვერ გადაჭრა, მაგრამ ამოხსნა მასწავლებლის მინიშნებით.

დავალება 4–მასწავლებლის მინიშნებითაც ვერ გადაწყვიტა.

ვიგოტსკის თეორიაზე დაყრდნობით, რომელი დავალება უნდა შეურჩიოს მასწავლებელმა მოსწავლეს, რომ ხელი შეუწყოს მის კოგნიტურ განვითარებას?

ა) დავალება 1
ბ) დავალება 2
გ) დავალება 3
დ) დავალება 4

## დავალება №24 და დავალება №25 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

მერვეკლასელს პარალელური კლასის მოსწავლესთან ჩხუბი მოუვიდა და დახმარებისათვის მეგობარს - ვახოს მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ვახო ყოველგვარი ფიზიკური ანგარიშსწორების წინააღმდეგი იყო, პარალელურკლასელს „ჭკუა ასწავლა“. ამ ინციდენტის შემდეგ კლასელებს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

*ელენე: ვახო ასე არ უნდა მოქცეულიყო, ახლა მთელი სკოლა გაიგებს და დასჯიან, შეიძლება გარიცხონ კიდეც.*

*ნატალია: ვახოს სხვა გზა არ ჰქონდა, თუ უარს იტყოდა მეგობრის დახმარებაზე, კლასში მისი ავტორიტეტი შეილახებოდა.*

## დავალება №24

კოლბერგის მორალური განვითარების თეორიის მიხედვით, მორალური განვითარების რომელ საფეხურს შეესაბამება ელენეს მსჯელობა?

ა) ნულოვანს
ბ) პრეკონვენციურს
გ) კონვენციურს
დ) პოსტკონვენციურს

## დავალება №25

კოლბერგის მორალური განვითარების თეორიის მიხედვით, მორალური განვითარების რომელ საფეხურს შეესაბამება ნატალიას მსჯელობა?

ა) ნულოვანს
ბ) პრეკონვენციურს
გ) კონვენციურს
დ) პოსტკონვენციურს

## დავალება №26

კონსტრუქტივისტული თეორიის მიხედვით, სწავლების რომელი ფორმაა ნაკლებად ეფექტური მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობისათვის?

ა) ლექცია
ბ) ჯგუფური დისკუსია
გ) სიტუაციის/შემთხვევის ანალიზი
დ) საგანმანათლებლო თამაში

## დავალება №27

ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა ასახავს ბიჰევიორისტული თეორიის შეხედულებას მასწავლებლის ფუნქციისა და როლის შესახებ მოსწავლეთა სწავლის პროცესში?

ა) *მასწავლებელი სასწავლო პროცესის წარმმართველია.* იგი დეტალურ ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს ახალი საკითხის ირგვლივ. მასალა ისეა ორგანიზებული მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლეებისათვის უკვე ცხადია მიმართება მასალის განსხვავებულ ელემენტებს შორის.

ბ) *მასწავლებელი სასწავლო პროცესის გეზის მიმცემია.* იგი მოსწავლეებს ახალი საკითხის შესახებ ინფორმაციის გარკვეულ ნაწილს აწვდის და პერიოდული მინიშნებებით ერთვება მსჯელობის პროცესში. მოსწავლეები დამოუკიდებლად აღმოაჩენენ კავშირებს ახალი მასალის ელემენტებსა და მათ მიერ უკვე ნასწავლს შორის.

გ) *მასწავლებელი სასწავლო პროცესზე დამკვირვებელია.* იგი ფაქტიურად არ ერთვება სასწავლო პროცესში. მოსწავლეები დამოუკიდებლად მოიძიებენ ახალ ინფორმაციას საკითხის შესახებ და თავადვე აანალიზებენ კავშირს ახალ მასალასა და უკვე ნასწავლს შორის.

დ) *მასწავლებელი სასწავლო პროცესის ხელშემწყობია.* იგი ადგენს მოსწავლის საჭიროებებს, სწავლის ინდივიდუალურ სტილს, ქმნის თითოეული მოსწავლისათვის საჭირო საგანმანათლებლო პირობებს და აწვდის მასალას თითოეულ მათგანს მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

## დავალება №28

„ბავშვები არ არიან ახალი ინფორმაციის პასიური ამთვისებლები. ცოდნა, რომელსაც ისინი იძენენ განვითარების პროცესში, არ წარმოადგენს მიღებული ინფორმაციის მარტივ ჯამს. ბავშვები აქტიურად არიან ჩართულნი საკუთარი ცოდნის ფორმირების პროცესში. ისინი აგებენ/აწყობენ საკმაოდ რთულ კოგნიტურ სქემებს იმ ინფორმაციისა და გამოცდილების საფუძველზე, რომელსაც ყოველდღიურად იძენენ“.

ჩამოთვლილთაგან რომელი თეორია ხსნის ამგვარად ბავშვის განვითარების პროცესს:

ა) მასლოუს თეორია.

ბ) პიაჟეს თეორია.

გ) კოლბერგის თეორია.

დ) გარდნერის თეორია.

## დავალება №29

ობიექტების ერთი კლასისთვის მიკუთვნების წესს ბრუნერი *კოდირებას* უწოდებს. სწავლის პროცესში მოსწავლის მიერ ინფორმაციის მიღებასთან ერთად ხდება მიღებული ცოდნის გარკვეული კატეგორიებისადმი მიკუთვნება, ორგანიზება. შესაბამისად, საგანი კარგად რომ აითვისოს, აუცილებელია მოსწავლისათვის არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის გადაცემა, არამედ ამ ცოდნის სწორად ორგანიზების ხელშეწყობა.

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს ქიმიის მასწავლებელს და მის მიერ ამ მიზნის მიღწევისათვის განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. შეაფასეთ, რამდენად ადეკვატურია მოცემული აქტივობა მითითებული მიზნის მისაღწევად, თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: ნივთიერებებთან დაკავშირებული ცოდნის ორგანიზება, შესაბამისი კოდირების სისტემის ფორმირების ხელშეწყობა.

აქტივობა: ნივთიერებების აგრეგატული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, მასწავლებელმა მოსწავლეებს ასეთი სქემა შესთავაზა და დაავალა, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეევსოთ ცარიელი გრაფები.




ბრუნერის მიხედვით, კოდირების სისტემის ფორმირების მიზნით მასწავლებლის აღწერილი აქტივობა:

ა) ადეკვატურია, რადგან ამგვარად მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს, დამოუკიდებლად აღმოაჩინონ შესასწავლი მასალის ელემენტებს შორის არსებული ურთიერთკავშირები და მოახდინონ ცოდნის ორგანიზება/კოდირება.

ბ) არ არის ადეკვატური, რადგან მასალის არასრული სახით მიცემა ყოველთვის შეიცავს რისკს, რომ მოსწავლეები არასწორად მოახდენენ ინფორმაციის ორგანიზებას/კოდირებას.

გ) ადეკვატურია, რადგან ამგვარად მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნებისაკენ, რაც კოდირების სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

დ) არ არის ადეკვატური, რადგან მასწავლებელმა წინასწარ უნდა აუხსნას მოსწავლეებს საკითხის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი და უჩვენოს მათ ახსნილი მასალის ორგანიზების ეფექტური გზა.

## დავალება №30

როჯერსის თეორიის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი მასწავლებელი ჩაითვლება სწავლის ხელშემწყობად, კარგ ფასილიტატორად?

I. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეების მოსმენა, მათი განცდების გაგება და გაზიარება.
II. მასწავლებელი კლასში გამართული დისკუსიების დროს პრინციპულად იცავს იმ მოსაზრებებს, რომელიც მართებულად მიაჩნია.
III. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებისგან როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი უკუკავშირის მიღება.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ I და III
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №31

განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ბავშვი, ჩვეულებრივ, თავისი ასაკისთვის შესაბამისი სირთულის შემეცნებით აქტივობებს მიმართავს. ცხრილში მოცემული შემეცნებითი აქტივობები დაალაგეთ იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მიმართავს მათ მოსწავლე თავისი ასაკობრივი განვითარების შესაბამისად – „დაბლიდან მაღლისაკენ“.

| შემეცნებითი აქტივობა |
|---|
| ა) გარკვეული მონაცემების, შედეგების გრაფიკულად გამოსახვა. |
| ბ) მოდელის, კონცეფციის კრიტიკული ანალიზი. საკუთარი პოზიციის (არჩევნის) წარმოდგენა და მისი არგუმენტირებული დასაბუთება. |
| გ) რაიმე თვალსაჩინო ნიშნის მიხედვით ფაქტების, მოვლენების დაჯგუფება/დახარისხება. |

შესაბამისობები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში:

✍ ჩაწერეთ:

| სირთულის დონე | I – დაბალი | II- საშუალო | III - მაღალი |
|---|---|---|---|
| შემეცნებითი აქტივობა | | | |

## დავალება №32

პიაჟეს თეორიის თანახმად, ყველა ადამიანი კოგნიტური განვითარების პროცესში გადის ერთსა და იმავე საფეხურს (სტადიას), თუმცა ამ საფეხურების გავლის ტემპი ინდივიდუალურად განსხვავებულია. მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია, პედაგოგი იცნობდეს განვითარების სტადიების ძირითად მახასიათებლებს და შეეძლოს იმის განსაზღვრა, რომელ საფეხურზეა ესა თუ ის მოსწავლე.

შეუსაბამეთ ცხრილის A სვეტში აღწერილი სტადიის მახასიათებლები B სვეტში მოცემულ განვითარების სტადიას:

| სტადიის მახასიათებელი (A) | განვითარების სტადია (B) |
|---|---|
| V. ფორმირებულია კონსერვაციისა და კლასიფიკაციის უნარები; მოსწავლეს შეუძლია მარტივი ლოგიკური ოპერაციის შესრულება, თუმცა შემეცნების პროცესი მიჯაჭვულია თვალსაჩინო საფუძველს. | ც) სენსომოტორული სტადია |
| VI. გარემოსთან ურთიერთობა მიმდინარეობს საკუთარი შეგრძნებებისა და მოტორული გამოცდილების საფუძველზე. | დ) ოპერაციამდელი სტადია |
| VII. ფორმირებულია ჰიპოთეტური პრობლემების გააზრების და გადაჭრის უნარი; შემეცნება თავისუფალია თვალსაჩინო მასალისაგან; განვითარებულია ლოგიკური მსჯელობის უნარი. | ჰ) კონკრეტული ოპერაციების სტადია |
| VIII. აზროვნება ხატოვანია, მიჯაჭვულია თვალსაჩინო მასალაზე; მოვლენების კლასიფიკაცია არათვალსაჩინო ნიშნის მიხედვით შეუძლებელია. | ფ) ფორმალური ოპერაციების სტადია |

შესაბამისობები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში.

***შენიშვნა:** მეოთხე აქტივობის შესაბამისი პასუხი უკვე ჩაწერილია ცხრილში.*

✍ *ჩაწერეთ:*

| სტადიის მახასიათებელი (A) | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| განვითარების სტადია (B) | | | | ბ |

## დავალება №33

*მაქსიმალური ქულა - 3*

მეათეკლასელი მოსწავლე მშობლების დაჟინებული მოთხოვნის გამო იძულებულია, საკუთარ მისწრაფებაზე უარი თქვას და ოჯახის ტრადიციის მიხედვით, ექიმი გამოვიდეს. ბავშვის მომავალი კეთილდღეობის მოტივით, მშობლებმა გადაწყვიტეს, მოსწავლეს შესაბამისი საგნების საფუძვლიანად შესწავლა დაეწყო და დახმარებისათვის ბიოლოგიის მასწავლებელს მიმართეს. პედაგოგმა გაითვალისწინა მათი თხოვნა და მოსწავლისთვის სპეციალურად შეიმუშავა დამატებითი საკითხებით დატვირთული პროგრამა. თავად მოსწავლე ნაკლებ მონდომებას იჩენს, ბიოლოგიის გაკვეთილებზე პასიურობს და შესასწავლი მასალის მიმართ ინტერესს არ ამჟღავნებს. შედეგი ვერც მასწავლებლის მხრიდან მოთხოვნის გამკაცრებამ გამოიღო.

უზნაძის თეორიაზე დაყრდნობით გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია:

- დაასახელეთ, რას უწოდებს ამ პრობლემას უზნაძე და აღწერეთ მისი არსი.
- დაასახელეთ ფაქტორები, რომლებიც, უზნაძის მიხედვით, განაპირობებს მოსწავლის სწავლისადმი განწყობის ჩამოყალიბებას. ახსენით, რატომ ვერ ჩამოუყალიბდა მოსწავლეს ბიოლოგიის სწავლისადმი განწყობა.*
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

***იმ შემთხვევაში, თუ უზნაძის თეორიას არ იცნობთ, ან გიჭირთ მისი ამ კონტექსტში გამოყენება, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.***

✍ *ჩაწერეთ:*

# პროფესიული გარემო

## ინსტრუქცია (დავალება №34 და №35)

ყურადღებით გაეცანით სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, საკმარისია, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში რაიმე კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ.
- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორად – მოქმედი კანონის შესაბამისად.

## დავალება №34

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, 2010 – 2011 სასწავლო წლის ბოლოს დირექტორმა შემაჯამებელი თათბირი მოიწვია. მან პედაგოგებს მომდევნო სასწავლო წლისათვის დაგეგმილი სამი მნიშვნელოვანი სიახლე გააცნო:

(1) ახალი სასწავლო წლიდან პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. დირექტორმა აღნიშნა, რომ ყველა მასწავლებელი წელიწადში ერთხელ მაინც უნდა დაესწროს დარგობრივ ტრენინგს, თუმცა სკოლის ბიუჯეტში არ არის საკმარისი თანხა ტრენინგების ღირებულების სრულად დასაფარად. მან სთხოვა პედაგოგებს, ნაწილობრივ თავად დაეფინანსებინათ ტრენინგ-პროგრამებში მონაწილეობა.

(2) 2011 – 2012 სასწავლო წლიდან საათები მხოლოდ სერტიფიცირებულ მასწავლებლებს გადაუნაწილდებათ. დირექტორმა მოსთხოვა პედაგოგებს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

(3) ახალი სასწავლო წლიდან ამ სკოლის პედაგოგებს ეკრძალებათ მათ მიერ მომზადებული სახელმძღვანელოების გამოყენება მოსწავლეებთან მუშაობისას. დირექტორის განმარტებით, გასული წლის განმავლობაში მან არაერთი საჩივარი მიიღო მშობლებისაგან იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი საკუთარი სახელმძღვანელოს შეძენას ავალდებულებდა მოსწავლეებს და მხოლოდ ამ სახელმძღვანელოში მოცემული მასალის შესწავლით შემოიფარგლებოდა მთელი წლის განმავლობაში.

34.1. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დირექტორის გადაწყვეტილება 2011-2012 სასწავლო წლიდან ყველა არასერტიფიცირებული პედაგოგის სკოლიდან დათხოვნის თაობაზე კანონიერია.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დირექტორს არ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა პედაგოგებისაგან სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება 5 წელიწადში ერთხელ.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.3. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პედაგოგის სერტიფიკატის განახლება შესაძლებელია მხოლოდ სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.4. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლა არ არის ვალდებული, დააფინანსოს მასწავლებელთა სპეციალური პროფესიული გადამზადების კურსი.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.5. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დირექტორს არ აქვს უფლება, შეზღუდოს მასწავლებლის ავტორობით ან თანაავტორობით მომზადებული წიგნების გამოყენება მის სკოლაში.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

## დავალება №35

სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექციას მიმართა მშობელმა, რომლის შვილმაც საბაზო საფეხურის შემაჯამებელ შეფასებაში 5.0 ქულა მიიღო. მშობლის განმარტებით, ბავშვის ასეთი დაბალი შედეგი განპირობებულია იმით, რომ იგი საქართველოს საფეხბურთო ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ხშირი ვარჯიშისა და გასვლითი თამაშების გამო მას ფაქტობრივად არ რჩება დრო სკოლაში სიარულისთვის, რაც მის შეფასებაზეც აისახა.

მშობელს დირექტორთან ორი თხოვნა ჰქონდა - (1) სკოლას მოსწავლისათვის მიეცა: საბაზო საფეხურის დასრულების ატესტატი და (2) საშუალო საფეხურის განათლების ექსტერნის ფორმით მიღების უფლება.

მშობელმა დირექტორს აუხსნა, რომ ახალი სასწავლო წლიდან გადაწყვეტილი აქვს შვილისთვის კერძო რეპეტიტორების აყვანა ყველა საგანში, რომლებიც ვარჯიშისაგან თავისუფალ დროს დაეხმარებიან ბავშვს სასკოლო მასალის დაძლევაში. სამი წლის შემდეგ კი, მე-10 – მე-12 კლასების პროგრამას მოსწავლე ერთიანად ჩააბარებს მე-12 კლასის ბოლოს ექსტერნის წესით.

35.1 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლა არ არის უფლებამოსილი, გასცეს საბაზო საფეხურის ატესტატი მოსწავლეზე, რომლის საბაზო საფეხურის შემაჯამებელი შეფასება არის 5.0 ქულა.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

35.2 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოსწავლეს შეუძლია, ექსტერნის წესით დაასრულოს მთელი საშუალო საფეხური (მე-10 – მე-12კლასები) მეთორმეტე კლასის ბოლოს ექსტერნის გამოცდებით.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

35.3 ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესახებ ექსტერნის წესით გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელ ატესტატს გასცემს სკოლა, რომელშიც მოსწავლე სწავლობდა სწავლის ექსტერნულ ფორმაზე გადასვლამდე.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

---

35.4 ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მასწავლებლებს შეეძლოთ მოსწავლისათვის ნიშნის დაკლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მის მიერ გაცდენილი საათების რაოდენობა აღემატებოდა თითოეული საგნის სწავლებისათვის სემესტრის განმავლობაში გამოყოფილი დროის 1/4-ს და მოსწავლე უარს ამბობს სასემესტრო გამოცდის ჩაბარებაზე.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

---

35.5 კანონის შესაბამისად, ექსტერნის ფორმით განათლების მიღებაზე გადასვლის შემთხვევაში სკოლა აღარ იღებს მოსწავლის განათლებისათვის გათვალისწინებულ დაფინანსება – ვაუჩერს.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

---

# 2011

# პროფესიული უნარების ტესტი III

## ინსტრუქცია

პროფესიული უნარების ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: სწავლება და შეფასება; განვითარებისა და სწავლის თეორიები და პროფესიული გარემო.

პროფესიული უნარების ტესტში ოთხი ტიპის ტესტური დავალებაა:

(5) არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან *სწორია მხოლოდ ერთი.* დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

(6) შესაბამისობის დავალება ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

(7) დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“ თქვენგან მოითხოვს მოცემული მსჯელობის ჭეშმარიტების ან მცდარობის დადგენას. *გაითვალისწინეთ:* თუ დებულება მცდარია და მიუთითებთ პასუხს „მცდარია“, ეს დებულება აუცილებლად უნდა ჩაწეროთ სწორი (ჭეშმარიტი) ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კონკრეტულ დავალებაში ქულას ვერ მიიღებთ.

(8) დავალებები ღია დაბოლოებით თქვენგან მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის ადეკვატური.

ტესტის მაქსიმალური ქულაა – 70

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი

* *თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა. ყველა სხვა ტიპის დავალება ერთქულიანია.*

გისურვებთ წარმატებას!

სამუშაოდ თქვენ გეძლევათ ტესტურ დავალებათა ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტის ბუკლეტში მოცემულია დავალებათა პირობები და დატოვებულია თავისუფალი ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

*პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია*

არჩევითპასუხიანი დავალებების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი და თქვენი პასუხები მონიშნეთ ისე, როგორც ეს შემდეგ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი  დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გეძლევათ გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის თქვენ სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა და ამის შემდეგ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მეორე დავალებისთვის არის ნაჩვენები. თუ თქვენ დატოვებთ დანარჩენ უჯრებს ცარიელს, როგორც ეს მესამე დავალებისთვის არის ნაჩვენები, ამ შემთხვევაში ითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება ფასდება 0 ქულით.




ღია დავალების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ  სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ჩაწერეთ თქვენი პასუხი, ის არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.

წარმატებას გისურვებთ!

# სწავლება და შეფასება

## დავალება №1

სწავლისა და სწავლების პროცესისადმი პედაგოგთა დამოკიდებულებასა და განწყობას არსებითი მნიშვნელობა აქვს კლასში პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებისათვის. მასწავლებლის განწყობა მოსწავლეთა სწავლისადმი დამოკიდებულებაზეც აისახება.

ქვემოთ აღწერილია სასწავლო პროცესისადმი ოთხი განსხვავებული დამოკიდებულება. მათგან რომელი უწყობს ხელს კლასში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას?

ა) წარმატებას სწავლაში მხოლოდ საზრიანი და სხარტი მოსწავლეები აღწევენ; ძლიერი მოსწავლე ყველაზე სწრაფად, დახმარების გარეშე შეძლებს დავალების შესრულებას.

ბ) მხოლოდ დამოუკიდებელი და სწავლით დაინტერესებული მოსწავლეები აღწევენ წარმატებას. მაღალ შეფასებას ის იღებს, ვინც თავად პოულობს პრობლემის გადაჭრის გზებს.

გ) სწავლაში წარმატებას მხოლოდ ის მოსწავლეები აღწევენ, რომლებიც სისტემატურად მუშაობენ, მასწავლებლის მითითებებს ზედმიწევნით ზუსტად ასრულებენ და არ უშვებენ შეცდომებს.

ე) მონდომების შემთხვევაში წარმატების მიღწევა ყველას შეუძლია; შეცდომა ან მუშაობის დაბალი ტემპი არ არის სისუსტის მაჩვენებელი. სწავლის პროცესის სწორი დაგეგმვა და სისტემატური მუშაობა განაპირობებს მაღალ აკადემიურ მოსწრებას.

## დავალება №2

პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოიყენება სწავლების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. *თითოეული მეთოდის ეფექტურობას მისი საკვანძო მიზანთან შესაბამისობა განსაზღვრავს.* მნიშვნელოვანია, მასწავლებელი კარგად იცნობდეს ორივე მიდგომას და ისე იყენებდეს მათ, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მოსწავლეთა სწავლასა და განვითარებას.

ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს პირდაპირი სწავლების ძირითად უპირატესობას?

ა) მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება.

ბ) მოსწავლეებისათვის დიდი რაოდენობით ინფორმაციის მოკლე დროში მიწოდება.

გ) მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარება.

დ) მოსწავლეების მიერ ინფორმაციის ხანგრძლივი დროით დამახსოვრება.

## დავალება №3

ისტორიის პედაგოგი ყოველი გაკვეთილისათვის გულდასმით ემზადება. იგი აგროვებს მრავალფეროვან, საინტერესო დამატებით ინფორმაციას, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ საფუძვლიანი ცოდნა. პედაგოგი დროის ძირითად ნაწილს გაკვეთილის ახსნას ანდომებს, ძალიან საინტერესოდ საუბრობს ახალ მასალაზე. მიუხედავად ამისა, კლასმა შუალედურ შეფასებებში დაბალი შედეგები აჩვენა, რაც მასწავლებლისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობები იქნება ადეკვატური იმისათვის, რომ მომავალში მოსწავლეებმა გააუმჯობესონ შედეგები?

I. მასწავლებელმა გაკვეთილზე უნდა გამოყოს დრო საშინაო დავალების განხილვისათვის და ამ გზით დაეხმაროს მოსწავლეებს ახალი მასალის ათვისებაში.
II. მასწავლებელი გაკვეთილის ახსნისას უნდა შემოიფარგლოს პროგრამით განსაზღვრული მასალით, რათა მოსწავლეებს არ გაუჭირდეთ მისი დაძლევა.
III. მასწავლებელმა გაკვეთილის ახსნის დროს უნდა დაუსვას მოსწავლეებს შეკითხვები და ამ გზით გაარკვიოს, რამდენად კარგად გაიგეს მათ ახალი მასალა.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ II

გ) მხოლოდ I და III

დ) მხოლოდ II და III

## დავალება №4

მოზარდებისათვის ხშირად დამახასიათებელია არაგონივრული, ხანდახან გამომწვევი ქცევა, რაც კლასში დისციპლინის დარღვევასა და სასწავლო პროცესის შეფერხებას იწვევს. ამგვარი ქცევის კორექციისათვის ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის დამოკიდებულებას მოსწავლის ქცევის მიმართ.

ჩამოთვლილთაგან რომელია მოზარდის ასეთი ქცევისადმი მასწავლებლის ყველაზე მიზანშეწონილი პოზიცია?

ა) ეს ქცევა მიანიშნებს, რომ მოზარდს სჭირდება თანადგომა და მისი პრობლემებისადმი ყურადღება.

ბ) ასეთი ქცევა არის ნიშანი უფროსებისათვის, რომ მოზარდს მკაცრი კონტროლი სჭირდება.

გ) ეს ქცევა მიანიშნებს, რომ მოზარდი არ არის კარგად აღზრდილი.

დ) ასეთი ქცევა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელი სირთულეა, რომელიც დაიძლევა დროთა განმავლობაში.

## დავალება №5

ჩამოთვლილთაგან რომელია მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო გეგმის შემუშავების ყველაზე ეფექტური მაგალითი?

ა) მასწავლებელი გეგმის შედგენისას ითვალისწინებს მოსწავლეთა ყოფაქცევისა და არასაპროგრამო საკითხების განხილვის საჭიროებას გაკვეთილის განმავლობაში.

ბ) მასწავლებელი გეგმის შედგენისას ითვალისწინებს თვითშეფასების კომპონენტს – აანალიზებს საკუთარი საქმიანობის შედეგებს, რაც სწავლების უფრო ეფექტურად დაგეგმვასა და საკუთარი პროფესიული უნარების განვითარებას განაპირობებს.

გ) მასწავლებელი გეგმის შედგენისას ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, ირჩევს კონკრეტულ მეთოდებსა და დამხმარე საშუალებებს დასახული მიზნების მისაღწევად.

დ) მასწავლებელი გეგმის შედგენისას ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, ასევე მშობელთა მოსაზრებებს.

## დავალება №6

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია/რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა, რომ შეკითხვებითა და მინიშნებებით ხელი შეუწყოს მოსწავლის მიერ ახალი მასალის ათვისებას?

I. გაკვეთილის ახსნის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები და მინიშნებები ძირითადად თემის საკვანძო, მნიშვნელოვან საკითხებს უნდა უკავშირდებოდეს.

II. მასწავლებელმა ფაქტობრივი ცოდნის შესამოწმებელ კითხვებთან ერთად უნდა დასვას შეკითხვები, რომლებიც მასალის გააზრებას, გაანალიზებას მოითხოვს.

III. მასწავლებელმა კითხვები უნდა დასვას მხოლოდ ახლად ახსნილი თემის სრულად ათვისების შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში მინიშნებებით დაეხმაროს მოსწავლეებს.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ III
გ) მხოლოდ I და II
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №7

სასწავლო პროცესის შედეგიანად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან ეფექტიანი კომუნიკაცია. პედაგოგი სათანადო პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ პროცესს და იზრუნოს საკუთარი საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია არ დაეხმარება პედაგოგს გაკვეთილზე მოსწავლეებთან კომუნიკაციის პროცესში?

ა) პერიოდულად ცვალეთ საუბრის ტემპი, ინტონაცია და ხმის სიძლიერე, იყავით ზომიერად ემოციური.

ბ) გაამდიდრეთ თქვენი მსჯელობა ანალოგიებით, მეტაფორებითა და კონკრეტული მაგალითებით.

გ) მსჯელობისას წარმოადგინეთ საკითხთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი თვალსაზრისი.

დ) მოსწავლესთან ურთიერთობის დროს გაითვალისწინეთ მათი ცოდნის დონე.

## დავალება №8

ქვემოთ მოცემულია საგაკვეთილო პროცესის მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებული მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა. შეაფასეთ, რამდენად ადეკვატურია მოცემული აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად, თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეებში საკუთარი ცოდნის ობიექტური შეფასების უნარის განვითარება.

აქტივობა: გარკვეული პერიოდულობით, დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს საკუთარი ნამუშევრების შეფასებას წინასწარ მომზადებული სქემის მიხედვით.

აღნიშნული აქტივობა დასახული მიზნის:

ა) ადეკვატურია, რადგან მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების სქემით საკუთარი ნაშრომების შეფასებისას მოსწავლეებს მკაფიო წარმოდგენა ექმნებათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

ბ) არაადეკვატურია, რადგან მოსწავლეთათვის შეფასების თავისუფლების მინიჭება უბიძგებს მათ, გადაჭარბებულად შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და ნაკლებად მიაქციონ ყურადღება შეცდომებს.

გ) ადეკვატურია, რადგან ამგვარად მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გაერკვნენ მასწავლებლის მოთხოვნებში და მომდევნო შეფასების დროს გაითვალისწინონ მის მიერ დაწესებული სტანდარტები.

დ) არაადეკვატურია, რადგან წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემა ზღუდავს მოსწავლეებს, თავად გააანალიზონ და კრიტიკულად შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი.

## დავალება №9

ტესტური მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა დაიცვას შეფასების ძირითადი პრინციპები: სანდოობა, ვალიდობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობით შეიძლება შეფასდეს ტესტის სანდოობა?

ა) მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს ტესტის შეფასების მექანიზმსა და კრიტერიუმებს.

ბ) პედაგოგი კოლეგებთან ერთად აფასებს, რამდენად შეესაბამება ტესტი დასახულ მიზანს – მოწმდება თუ არა ტესტით ის, რისი შემოწმებაც განისაზღვრა.

გ) ტესტირების შედეგებს ასწორებს სხვადასხვა მასწავლებელი და ადარებენ, არის თუ არა განსხვავება მათ შეფასებებში.

დ) მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას ტესტის შეფასების კრიტერიუმების დადგენასა და შეფასების სქემის შემუშავებაში.

## დავალება №10

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობები იქნება ყველაზე შედეგიანი დისკუსიის მეთოდის ეფექტური გამოყენებისთვის?

I. მასწავლებელი დისკუსიას გეგმავს სადისკუსიო საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეთა ცოდნის დონის გათვალისწინებით.

II. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს დისკუსიის წესებს.

III. დისკუსიის პროცესში მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა მსჯელობას და ცდილობს მათი შეხედულებების კორექციას.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ II

გ) მხოლოდ I და II

დ) მხოლოდ II და III

## დავალება №11

ახალი მასალის მიწოდების ორი ტრადიციული მეთოდი არსებობს – დედუქციური და ინდუქციური.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასალის მიწოდების დედუქციური მეთოდი?

ა) მასწავლებელი თემას ხსნის ისე, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ მთელისა და ნაწილის გაანალიზება.

ბ) მასწავლებელი განმარტავს ცნებას და შემდეგ აცნობს მოსწავლეებს კონკრეტულ მაგალითებს.

გ) მასწავლებელი მასალას შლის ნაწილებად ისე, რომ მოსწავლეებს მიეცეთ მათი ერთმანეთთან შედარების საშუალება.

დ) მასწავლებელი განიხილავს მაგალითებს და შემდეგ ამის საფუძველზე განაზოგადებს წესს ან განმარტავს ცნებას.

## დავალება №12

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) ბავშვების ინკლუზიას საჯარო სკოლებში. თუმცა, ინკლუზიური განათლების ეფექტურად დანერგვას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ხშირად მისი არსი არასწორად არის გაგებული.

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაშია სწორად ასახული ინკლუზიური განათლების არსი?

ა) მასწავლებლისა და მოსწავლეების ყურადღება მაქსიმალურად უნდა იყოს მიმართული სსსმ მოსწავლეებისაკენ, რაც გულისხმობს მათზე განსაკუთრებულ მზრუნველობასა და მუდმივ დახმარებას.

ბ) სასკოლო საზოგადოებამ უნდა გაიაზროს და მიიღოს სსსმ მოსწავლეთა განსხვავებულობა და ამის გათვალისწინებით შეიმუშაოს ინდივიდუალური მიდგომა მათი სწავლებისა და სოციალური ინტეგრაციისათვის.

გ) მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ სსსმ ბავშვების კოგნიტური უნარების განვითრებაზე, რადგან სკოლის პრიორიტეტი ცოდნის დაუფლებისა და შემეცნებითი განვითარების ხელშეწყობაა.

დ) სასკოლო საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ სსსმ მოსწავლეები არაფრით განსხვავდებიან სხვებისაგან და განსაკუთრებულ მზრუნველობასა და დახმარებას სასწავლო პროცესში არ საჭიროებენ.

## დავალება №13

მკვლევართა აზრით, მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესის, მოტივაციის გაღვივების გარეშე სასწავლო პროცესი ნაკლებად ეფექტურია. პედაგოგი უნდა ფლობდეს სწავლებისა და შეფასების იმ სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს შინაგანი მოტივაციის ზრდასა და მოსწავლის სწავლით დაინტერესებას.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობაა ნაკლებად შედეგიანი მოსწავლეებში სწავლის შინაგანი მოტივაციის გასაღვივებლად?

ა) პერიოდულად „უნიშნო შეფასებების“ გამოყენება, რათა მოსწავლეთა ყურადღება ნიშნის ნაცვლად სასწავლო პროცესზე იყოს გადატანილი.

ბ) მოსწავლეებისათვის საკუთარი შეცდომების (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი პასუხების შემთხვევაში) გამოსწორების შესაძლებლობის მიცემა.

გ) მოსწავლეების ნამუშევარზე, ნიშანთან ერთად, ამომწურავი კომენტარის მიწოდება.

დ) მოსწავლეების მიღწევების სისტემატური მონიტორინგი (შუალედური გამოცდა, საკონტროლო წერა, ტესტირება და ა.შ.).

## დავალება №14

*საშინაო დავალება* სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება, თვითდისციპლინისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარების ხელშეწყობა.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა/რჩევები დაეხმარება პედაგოგს საშინაო დავალების ეფექტიანად გამოყენებაში?

I. ინდივიდუალური დავალების გარდა, მოსწავლეებს მიეცით ჯგუფური საშინაო დავალებაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საშინაო დავალების შესრულების მოტივაციის ზრდას.

II. საშინაო დავალების შეუსრულებლობა, სასურველია, რეაგირების გარეშე დატოვოთ, რათა უარყოფითი შეფასებით მოსწავლეს სწავლის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება არ ჩამოუყალიბდეს.

III. საშინაო დავალება გაასწორეთ დროულად და ყურადღებით, რათა მოსწავლეს არ ჩამოუყალიბდეს განწყობა, რომ მთავარი დავალების შესრულებაა და არა შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

ა) მხოლოდ II
ბ) მხოლოდ III
გ) მხოლოდ I და II
დ) მხოლოდ I და III

## დავალება №15

სკოლაში მოსწავლე სწავლობს, თუ როგორ მართოს საკუთარი ქცევა. ქცევის თვითმართვის ჩვევის გამომუშავებისათვის მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ე.წ. „სამიზნე ქცევა“ . ქცევას, რომლის შეცვლაც ან ჩამოყალიბებაც არის განსაზღვრული, ჩვეულებრივ, „სამიზნე" ქცევას უწოდებენ.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის დაცვაა აუცილებელი „სამიზნე ქცევის“ განსაზღვრისათვის?

„სამიზნე ქცევის“ განსაზღვრაში უნდა მონაწილეობდეს:

I. მოსწავლე, რაც გაზრდის მის ძალისხმევას, შეცვალოს არაეფექტური ქცევა და მიაღწიოს დასახულ მიზანს.

II. მასწავლებელი, რადგან მისი ხელშეწყობით უნდა შეიქმნას კლასში პირობები განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

III. მშობელი, რომელიც უკეთ იცნობს საკუთარი შვილის შესაძლებლობებს და განსაზღვრავს, რამდენად რეალურია დასახული მიზანი.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ III
გ) მხოლოდ I და II
დ) მხოლოდ II და III

## დავალება №16

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა დასახული მიზნის მისაღწევად, თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეებში შემოქმედებითი (კრეატული) აზროვნების განვითარების ხელშეწყობა.

აქტივობა: მასწავლებელი ხელოვნების გაკვეთილზე მოსწავლეთა კრეატულობის სტიმულირებისათვის პერიოდულად იყენებს ამგვარ დავალებას: კლასს ჯგუფებად ყოფს და სთხოვს მათ მოიფიქრონ *მის მიერ დასახელებული საგნის (მაგ.: მუყაოს, თოკის, ფუნჯის და სხვ.)* გამოყენების *რაც შეიძლება მეტი ნიმუში.*

მუშაობის დასრულების შემდეგ პედაგოგი, ჩვეულებრივ, განიხილავს ჯგუფური მუშაობის შედეგებს; აქებს მოსწავლეებს იმ შემთხვევაშიც, თუ ჯგუფების მიერ მოყვანილი ზოგიერთი მაგალითი არაადეკვატური და ხელოვნურია.

აღნიშნული აქტივობა დასახული მიზნის:

ა) ადეკვატურია. აქტივობა მიმართულია ახალი სტრატეგიების ძიებასა და ინოვაციაზე; ამგვარი სავარჯიშოების შესრულებისას მოსწავლეთა შექება/ გამხნევება სიახლის ძიებისა და ნაცნობი მოვლენების ახლებურ ჭრილში დანახვისკენ სწრაფვას უწყობს ხელს.

ბ) არაადეკვატურია. მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლე მყარ ცოდნას შეიძენს, რაც გამორიცხავს მოსწავლეთა უნაყოფო, ზერელე მსჯელობასა და მოჩვენებით ორიგინალობას.

გ) ადეკვატურია. აქტივობა მოსწავლეებს სიახლის ძიებისაკენ უბიძგებს; *თუმცა*, პედაგოგმა შესაბამისად უნდა შეაფასოს, გააკრიტიკოს არაადეკვატური, ხელოვნური პასუხები, რადგან შეცდომები იმის ნიშანია, რომ მოსწავლეები პასუხიმგებლობით არ მოეკიდნენ სამუშაოს.

დ) არაადეკვატურია. პედაგოგმა საგაკვეთილო დრო არ უნდა დაუთმოს ამგვარ აქტივობებს, რადგან შემოქმედებითი აზროვნების უნარი თანდაყოლილია, მისი სწავლება ან განვითარება შეუძლებელია.

## დავალება №17

ცხრილის A სვეტში წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების კონკრეტული მაგალითები, ხოლო B სვეტში – შეფასების ტიპები. შეუსაბამეთ შეფასების მაგალითებს შეფასების შესაბამისი ტიპი და ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში.

| შეფასების მაგალითები (A) | შეფასების ტიპი (B) |
|---|---|
| I. სემესტრის ბოლოს ინგლისურის მასწავლებელმა ტესტირება ჩაატარა, დაწერა ნიშნები. ამასთან, თითოეულ ნაშრომს მითითებები და კომენტარი დაურთო. | ც) მიმდინარე განმსაზღვრელი<br>ღ) მიმდინარე განმავითარებელი<br>გ) შემაჯამებელი განმსაზღვრელი<br>ღ) შემაჯამებელი განმავითარებელი |
| II. სემესტრის ბოლოს ისტორიის მასწავლებელმა შეაფასა მოსწავლეების მიერ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული პრეზენტაცია. ამ სამუშაოში მიღებული ქულები აისახა მათ საბოლოო შეფასებაზე. | |
| III. გეოგრაფიის მასწავლებელმა ბავშვებს პრეზენტაციების მომზადება დაავალა. იგი გარკვეული პერიოდულობით ეცნობა, რა გააკეთა თითოეულმა ჯგუფმა, აძლევს მითითებებს, რა მიმართულებით უნდა გააგრძელონ მუშაობა. | |

✍ ჩაწერეთ:

| შეფასების მაგალითები **(A)** | I | II | III |
|---|---|---|---|
| შეფასების ტიპი **(B)** | | | |

## დავალება №18

*მაქსიმალური ქულა – 3*

გეოგრაფიის მასწავლებელმა მე-5 კლასის მოსწავლეებს ახალი თემა *კონტინენტები* აუხსნა. მან დიდ, ცარიელ ფურცელზე რიგრიგობით დაამაგრა კონტინენტების გამოსახულებები და გაკვეთილის ახსნის პროცესში მოსწავლეების თანამონაწილეობით თანდათან „ააწყო“ რუკა.

აღწერეთ მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის დადებითი შედეგები. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

✍ *ჩაწერეთ:*

## დავალება №19

*მაქსიმალური ქულა – 4*

მასწავლებელი სასწავლო პროცესს ისე უნდა წარმართავდეს, რომ საგნობივი ცოდნის გაღრმავებასთან ერთად ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სააზროვნო, შემეცნებითი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამ უნარებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა კრიტიკული აზროვნების განვითარებას ენიჭება. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობა და აღძრას მათში ამ უნარის განვითარების მოტივაცია.

- აღწერეთ ერთი პრაქტიკული სტრატეგია, რომლის საშუალებითაც პედაგოგი დაეხმარება მოსწავლეს კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის მნიშვნელობა კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის.
- სასურველი შედეგის მისაღებად ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას გარკვეული პირობების დაცვაა საჭირო. დაასახელეთ ერთი წინაპირობა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის.

✍ *ჩაწერეთ:*

## დავალება №20

*მაქსიმალური ქულა – 5*

ცნობილია, რომ გარკვეულ შემთხვევებში დასჯა დადებით შედეგს სწრაფად იძლევა – მოსწავლე წყვეტს არასასურველ, არასწორ ქმედებას. ამავე დროს, დასჯას უარყოფითი მხარეებიც ახლავს, ამიტომაც პედაგოგიკის ექსპერტები გვირჩევენ, რომ დასჯას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მივმართოთ.

იმსჯელეთ დასჯის უარყოფით შედეგებზე. შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- აღწერეთ ერთი შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს დასჯას და უარყოფითად აისახოს სასწავლო პროცესზე.
- აღწერეთ ერთი შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს დასჯას და უარყოფითად აისახოს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.
- დაასაბუთეთ თითოეული პასუხი.

✍ *ჩაწერეთ:*

## დავალება N21

*მაქსიმალური ქულა - 17*

პედაგოგთა ინიციატივით ინტერნეტსივრცეში საგანმანათლებლო ვებგვერდი შეიქმნა, სადაც თავმოყრილია საინტერესო სტატიები და სასარგებლო რესურსები. ვებგვერდი ინტერაქტიულია – ინტერნეტ ფორუმის საშუალებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია არა მხოლოდ ინფორმაციის მიღება, არამედ საკუთარი მოსაზრებებისა და გამოცდილების სხვებისთვის გაზიარებაც.

ვებგვერდის დამფუძნებლების აზრით, ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, აგრეთვე, პრაქტიკოს პედაგოგებსა და ექსპერტებს შორის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას.

ვებგვერდმა მოკლე დროში მოიპოვა პოპულარობა, მას მშობლები და უფროსკლასელი მოსწავლეებიც სტუმრობენ. ფორუმზე აქტიური დისკუსიები იმართება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მიერ წამოჭრილ პრობლემებზე.

ქვემოთ მოცემულია ამონარიდები ფორუმზე განთავსებული წერილებიდან. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული წერილი და გაიაზრეთ მათში აღწერილი პრობლემის არსი.

წარმოიდგინეთ, რომ პედაგოგის, მშობლის ან მოსწავლის მიერ წამოჭრილი პრობლემები თქვენს კლასს ეხება. აღწერეთ, რას გააკეთებდით თქვენ, როგორც პედაგოგი ამ პრობლემის მოსაგვარებლად. შეეცადეთ, პასუხი იყოს კონკრეტული და ამომწურავი.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- აღწერეთ ერთი კონკრეტული სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის მართებულობა – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს.

მიაქციეთ ყურადღება:

⇨ დავალება 21.4 ორ პრობლემას ეხება, შესაბამისად, თქვენ გევალებათ ორივე პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის აღწერა და დასაბუთება.

## ამონარიდები ფორუმზე შემოსული წერილებიდან:

### დავალება №21.1

| ინკლუზიური სწავლების ეფექტიანობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა | |
| მომხმარებელი | კომენტარი |
| <br>მომხმარებელი: **ეთერი**<br>სტატუსი: **მშობელი** | ჩემს შვილს ცერებრული დამბლა აქვს და ეტლით გადაადგილდება. საბედნიეროდ, გონებრივი განვითარებით იგი არსებითად არ ჩამორჩება თავის თანატოლებს. ფსიქოლოგები მირჩევენ ბავშვის სპეციალური სკოლიდან ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში გადაყვანას. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს კარგი აზრია. სპეციალურ სკოლაში ჩემი შვილი არაფრით გამოირჩევა სხვა მოსწავლეებისაგან, იქ იგი თავს კარგად გრძნობს და შემლებისდაგვარად აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. ჩვეულებრივ სკოლაში კი აუცილებლად მოხვდება სხვა ბავშვების ყურადღების ცენტრში „განხსვავებულობის“ გამო. გაუჭირდება მათთან თანაბარ დონეზე სწავლა, მათთან ურთიერთობა, რამაც შეიძლება დათრგუნოს კიდეც.<br>რა უნდა გააკეთოს ჩვეულებრივი სკოლის პედაგოგმა იმისათვის, რომ ჩემს შვილს სკოლაში არც სწავლა გაუჭირდეს და არც კლასელებთან ურთიერთობა? |

### დავალება №21.2

| მოსწავლის თვითშეფასება | |
|---|---|
| განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა | |
| მომხმარებელი | კომენტარი |
| <br>მომხმარებელი: თამარი<br>სტატუსი: მშობელი | ჩემი შვილი 14 წლისაა. ნიჭიერი ბავშვია, თუმცა საკუთარი თავის რწმენა არ აქვს. სულ ეჭვი ეპარება საკუთარ შესაძლებლობებში. მიუხედავად იმისა, რომ კარგად სწავლობს, მუდმივად დაბალი შეფასების მოლოდინშია, არ არის დარწმუნებული თავის ცოდნაში. მასწავლებლისაგან ვიცი, რომ კლასშიც ნაკლებად აქტიურობს, თუ არ გამოიძახეს, ხელს არ იწევს. ძალიან ვღელავ ამის გამო. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. პედაგოგებს უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვთ... რას აკეთებენ ისინი, რომ ბავშვს საკუთარი თავის რწმენისა და ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებაში დაეხმარონ? |

## დავალება №21.3

### დემოტივირებული მოსწავლე

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
|  მომხმარებელი: **თორნიკე** სტატუსი: **მოსწავლე** | აღარ მინდა სკოლა, მომბეზრდა, რა აზრი აქვს სკოლაში სიარულს ვერ ვხვდები. |
|  მომხმარებელი: **ანა** სტატუსი: **მოსწავლე** | აბა რა გინდა? |
|  მომხმარებელი: **თორნიკე** სტატუსი: **მოსწავლე** | მუსიკა!!!! ეზოს ბიჭებს პატარა ჯგუფი გვაქვს, როკს ვუკრავთ. წელს ფესტივალზეც გამოვედით. |
|  მომხმარებელი: **ანა** სტატუსი: **მოსწავლე** | მაგარია!☺ |
|  მომხმარებელი: **თორნიკე** სტატუსი: **მოსწავლე** | ჰო, მაგარია, თუმცა ... ჩემი მშობლები და მასწავლებლები ასე არ ფიქრობენ. მომბეზრდა უკვე ერთი და იგივეს მოსმენა სკოლაზე და სწავლაზე. ვერ გაიგეს, რომ მეც ვსწავლობ, ოღონდ მუსიკას.☺ |

## დავალება №21.4

### 21.4.1. თიკოს გულგრილი კლასელები

### 21.4.2. გუგას და ნიკას ქცევის კორექცია

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
|  მომხმარებელი: მარიამი სტატუსი: მოსწავლე | ჩემს კლასში ბოლო დროს სიტუაცია ძალიან გართულდა. ბავშვებს ერთმანეთთან ისეთი კარგი ურთიერთობები აღარ გვაქვს, მეცხრე კლასამდე რომ გვქონდა. პირადად მე ჯერ პრობლემა არ შემქმნია, მაგრამ ჩემი კლასელი თიკო ორმა ბიჭმა, გუგამ და ნიკამ ამოიჩემა. მის ადგილას ყოფნას ნამდვილად არ ვისურვებდი: მისი დაცინვის მიზეზს ყოველთვის ადვილად პოულობდნენ, მაგრამ ბოლოს ძალიან გადააჭარბეს – ორშაბათს თიკოს დღიური მოპარეს და კლასის წინაშე ხმამაღლა წაიკითხეს. მის საიდუმლოებებზე კარგად „იხალისეს". თიკო ცრემლიანი სახით უსმენდა, ხმა არ ამოუღია. საწყალს არავინ გამოსარჩლებია. კლასში არავის ადარდებს მისი პრობლემა და მათი გულგრილობა ძალიან მაწუხებს. რომ აღარაფერი ვთქვა, გუგასა და ნიკას უზნეო საქციელზე.<br>ალბათ. მასწავლებელმა რაღაც უნდა იღონოს... |

## დავალება 21.5

### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

| მომხმარებელი | კომენტარი |
|---|---|
|  მომხმარებელი: მაგდა სტატუსი: მასწავლებელი | ბოლო დროს ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ სწავლების პროცესი ეფექტიანია იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ახერხებს უკვე ნასწავლის პრაქტიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას. თუმცა, ეს არც ისე მარტივად მისაღწევია. ხშირად შემიმჩნევია, რომ ბავშვებმა თეორიული მასალა კი იციან, მაგრამ პრაქტიკულ სავარჯიშოებს ვერ ასრულებენ.<br>რა უნდა გავაკეთოთ მასწავლებლებმა, რომ მეტად შევუწყოთ ხელი მოსწავლის მიერ სკოლაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. |

ყოველი დავალებისათვის განკუთვნილ არეში აღწერეთ მასწავლებლის ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც იქნება მასწავლებლის, მშობლის ან მოსწავლის მიერ წამოჭრილი  პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა. დაასაბუთეთ, თუ რატომ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი თითოეული სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, თუ სად უნდა ჩაიწეროს თქვენი პასუხი თითოეულ წერილთან დაკავშირებით.

✍ *ჩაწერეთ:*

დავალება 21.1

დავალება 21.2

დავალება 21.3

დავალება 21.4.1.

დავალება 21.4.2

დავალება 21.5

# ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲔᲑᲘ

## ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №22

პერკინსის „თეორია ერთის“ თანახმად, რომელი პირობის/პირობების გათვალისწინებაა მიზანშეწონილი სწავლების პროცესის ეფექტიანობისთვის?

I. მასწავლებელი ახსნამდე უქმნის მოსწავლეს მკაფიო წარმოდგენას თემის შესახებ, თუ რას სწავლობს და რატომ.
II. მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს პრაქტიკულ დავალებებს ახალი მასალის ათვისების ხელშესაწყობად.
III. მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს ისეთ დავალებას, რომელსაც იგი დამოუკიდებლად ვერ გაართმევს თავს და ეხმარება დამაზუსტებელი კითხვებით.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ III
გ) მხოლოდ I და II
დ) მხოლოდ II და III

## ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №23

პირველი კლასის მასწავლებელმა გაკვეთილზე სასაუბრო თემად „ფერები“ აირჩია და ასეთი კითხვა დასვა: „რომელი ფერი მოგწონთ ყველაზე მეტად?“

ბავშვებმა ჩამოთვალეს საყვარელი ფერები:

– წითელი.

– ყვითელი.

საბა წამოდგა და თქვა:

– მასწავლებელო, მე ჩემი ბურთის ფერი მომწონს.

– საბა, ჩვენ რომ არ ვიცით, შენი ბურთი რა ფერია?

საბა დაბნეული და გაოცებული უყურებდა მასწავლებელს.

პიაჟეს თეორიის მიხედვით, რამ განაპირობა საბას ასეთი პასუხი?

ა) მოსწავლის აზროვნება ჯერ კიდევ ეგოცენტრულია.
ბ) მოსწავლეს ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი გადაჭრას აბსტრაქტული ამოცანები.
გ) მოსწავლის აზროვნება ჯერ კიდევ მიჯაჭვულია თვალსაჩინო – ხატოვან საფუძველს.
დ) მოსწავლეს ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი გადაჭრას ჰიპოთეტური პრობლემები.

## დავალება №24

თვითაქტუალიზაციის ტენდენცია გულისხმობს სწრაფვას განვითარებისა და საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენისაკენ. როჯერსის თეორიის თანახმად, თვითაქტუალიზაციის ტენდენციის სიძლიერე, მისი ინტენსივობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ შეფასებასა თუ დამოკიდებულებებზე, რომლებსაც ბავშვი ადრეული ასაკიდან გრძნობს მისთვის ავტორიტეტული უფროსების, მათ შორის, მასწავლებლის მხრიდან.

როჯერსის თეორიის მიხედვით, მოსწავლის პიროვნული ზრდისათვის მნიშვნელოვანია, რომ ის მასწავლებლისაგან პოზიტიურ დამოკიდებულებას გრძნობდეს:

ა) ყოველთვის, რადგან უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება თვითაქტუალიზაციის აუცილებელი პირობაა. ამით მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითპატივისცემის ჩამოყალიბებას, რაც აძლიერებს მათ სწრაფვას თვითაქტუალიზაციისაკენ.

ბ) მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსწავლეებს ახალი მასალის შესწავლა ევალებათ და უჩნდებათ „ბუნებრივი შიში“ უცნობის, სიახლის მიმართ. ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითაქტუალიზაციას.

გ) ყოველთვის, როდესაც მოსწავლე ასეთ დამოკიდებულებას იმსახურებს აკადემიური მიღწევებითა თუ დისციპლინით. ამგვარად, მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის კონკურენციას, რაც აძლიერებს მოსწავლეების სწრაფვას თვითაქტუალიზაციისაკენ.

დ) მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსწავლე ასეთ დამოკიდებულებას იმსახურებს თავისი მონდომებით. განურჩევლად იმისა, რამდენად შედეგიანი იყო მისი შრომა, რაც მოსწავლეებში სწავლის მოტივაციასა და თვითაქტუალიზაციის ტენდენციას აღვივებს.

## დავალება №25

სასწავლო პროცესის ეფექტიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

უზნაძის თეორიის ძირითადი პრინციპის მიხედვით, მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად ყველაზე მნიშვნელოვანია პედაგოგმა:

ა) გამოიყენოს სწავლების სხვადასხვა სტრატეგია და დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი ცოდნის ორგანიზებაში.

ბ) წარმოაჩინოს საკითხის მნიშვნელობა და დაუკავშიროს იგი მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

გ) მასალის შერჩევისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა ცოდნის აქტუალური დონე და მათი შესაძლებლობები.

დ) შექმნას ისეთი წინაპირობები, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს სხვადასხვა საგაკვეთილო აქტივობებში ჩართვის მთლიანპიროვნული მზაობა.

## დავალება №26

ობიექტების ერთი კლასისთვის მიკუთვნების წესს ბრუნერი *კოდირებას* უწოდებს. სწავლის პროცესში მოსწავლის მიერ ინფორმაციის მიღებასთან ერთად ხდება მიღებული ცოდნის გარკვეული კატეგორიებისადმი მიკუთვნება, ორგანიზება. შესაბამისად, საგანი კარგად რომ აითვისოს, აუცილებელია მოსწავლისათვის არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის გადაცემა, არამედ ამ ცოდნის სწორად ორგანიზების ხელშეწყობა.

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს ქიმიის მასწავლებელს და მის მიერ ამ მიზნის მიღწევისათვის განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. შეაფასეთ, რამდენად ადეკვატურია მოცემული აქტივობა მითითებული მიზნის მისაღწევად, თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: ნივთიერებებთან დაკავშირებული ცოდნის ორგანიზება, შესაბამისი კოდირების სისტემის ფორმირების ხელშეწყობა.

აქტივობა: ნივთიერებების აგრეგატული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, მასწავლებელმა მოსწავლეებს ასეთი სქემა შესთავაზა და დაავალა, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეევსოთ ცარიელი გრაფები.




ბრუნერის მიხედვით, კოდირების სისტემის ფორმირების მიზნით მასწავლებლის აღწერილი აქტივობა:

ა) ადეკვატურია, რადგან ამგვარად მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს, დამოუკიდებლად აღმოაჩინონ შესასწავლი მასალის ელემენტებს შორის არსებული ურთიერთკავშირები და მოახდინონ ცოდნის ორგანიზება/კოდირება.

ბ) არ არის ადეკვატური, რადგან მასალის არასრული სახით მიწოდება შეიცავს რისკს, რომ მოსწავლეები არასწორად მოახდენენ ინფორმაციის ორგანიზებას/კოდირებას.

გ) ადეკვატურია, რადგან ამგვარად მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნებისაკენ, რაც კოდირების სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

დ) არ არის ადეკვატური, რადგან მასწავლებელმა წინასწარ უნდა აუხსნას მოსწავლეებს საკითხის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი და უჩვენოს მათ ახსნილი მასალის ორგანიზების ეფექტური გზა.

## დავალება №27

მასწავლებელმა მოსწავლეს მისცა ოთხი განსხვავებული სირთულის დავალება. მოსწავლემ:

დავალება 1 –დამოუკიდებლად შეასრულა, ადვილად გაართვა თავი.

დავალება 2 –დავალების პირობაზე ცოტა იფიქრა და გადაწყვიტა.

დავალება 3 –დამოუკიდებლად ვერ გადაჭრა, მაგრამ ამოხსნა მასწავლებლის მინიშნებით.

დავალება 4–მასწავლებლის მინიშნებითაც ვერ გადაწყვიტა.

ვიგოტსკის თეორიაზე დაყრდნობით, რომელი დავალება უნდა შეურჩიოს მასწავლებელმა მოსწავლეს, რომ ხელი შეუწყოს მის კოგნიტურ განვითარებას?

ა) დავალება 1

ბ) დავალება 2

გ) დავალება 3

დ) დავალება 4

## დავალება №28

აზროვნების იერარქიული მოდელის (ე.წ. ბლუმის ტაქსონომია) ჩამოთვლილი დონეებიდან რომელთანაა ყველაზე მეტად დაკავშირებული *კრიტიკული აზროვნება*?

ა) გაგება

ბ) გამოყენება

გ) ცოდნა

დ) შეფასება

## დავალება№29

გაკვეთილზე, როდესაც მასწავლებელი კითხვებს სვამს, დათო თანაკლასელებს არ აცდის და პასუხს ადგილიდან წამოიძახებს ხოლმე. მასწავლებელი ყოველ ასეთ ქცევაზე დათოს აჩერებს და იმ მოსწავლეს აძლევს პასუხის გაცემის შესაძლებლობას, ვინც ხელს იწევს. რამდენიმე დღეში მასწავლებელი აღმოაჩენს, რომ დათო წესს ემორჩილება და მხოლოდ ხელის აწევით ითხოვს კითხვაზე პასუხის გაცემას.

ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით, რა მექანიზმის საფუძველზე მოხდა დათოს ქცევის კორექცია?

ა) იგნორირება

ბ) დასჯა

გ) დადებითი განმტკიცება

დ) უარყოფითი განმტკიცება

## დავალება №30

სწავლის კონსტრუქტივისტული მიდგომის მიხედვით, მოცემული დებულებებიდან რომელი აღწერს ყველაზე ზუსტად მასწავლებლის როლს სწავლების პროცესში?

ა) *მასწავლებელი სასწავლო პროცესის წარმმართველია.* იგი დეტალურ ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს ახალი საკითხის ირგვლივ. ახალი მასალა ისეა ორგანიზებული, რომ ცხადია მიმართება მასალის სხვადასხვა ელემენტებს შორის და ჩანს კავშირი მოსწავლეების მიერ უკვე დაგროვილ ცოდნასთან.

ბ) *მასწავლებელი სასწავლო პროცესის გეზის მიმცემია.* იგი მოსწავლეებს ახალი საკითხის შესახებ ინფორმაციის გარკვეულ ნაწილს აწვდის და პერიოდული მინიშნებებით ერთვება მსჯელობის პროცესში. მოსწავლეები დამოუკიდებლად აღმოაჩენენ კავშირებს ახალი მასალის ელემენტებსა და მათ მიერ უკვე ნასწავლს შორის.

გ) *მასწავლებელი სასწავლო პროცესზე დამკვირვებელია.* იგი ფაქტობრივად არ ერთვება სასწავლო პროცესში. მოსწავლეები დამოუკიდებლად მოიძიებენ ახალ ინფორმაციას საკითხის შესახებ და თავადვე აანალიზებენ კავშირს ახალ მასალასა და უკვე ნასწავლს შორის.

დ) *მასწავლებელი სასწავლო პროცესის ხელშემწყობია.* იგი ადგენს მოსწავლის საჭიროებებს, სწავლის ინდივიდუალურ სტილს, ქმნის თითოეული მოსწავლისათვის საჭირო საგანმანათლებლო პირობებს და აწვდის თითოეულ მათგანს ინფორმაციას დასრულებული სახით.

## დავალება №31

განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ბავშვი, ჩვეულებრივ, თავისი ასაკისთვის შესაბამისი სირთულის შემეცნებით აქტივობებს მიმართავს. ცხრილში მოცემული შემეცნებითი აქტივობები დაალაგეთ იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მიმართავს მათ მოსწავლე თავისი ასაკობრივი განვითარების შესაბამისად – „დაბლიდან მაღლისაკენ“.

| | შემეცნებითი აქტივობა |
|---|---|
| I. | ცნების მნიშვნელობის ახსნა საკუთარი სიტყვებით, წაკითხული ტექსტის პერიფრაზირება, წესის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. |
| II. | მოვლენისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, არჩეული პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება. |
| III. | ფაქტების, წესების, თეორიების, მოვლენების გახსენება და დასახელება. |

შესაბამისობები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში:

✍ ჩაწერეთ:

| სირთულის დონე | I – დაბალი | II- საშუალო | III - მაღალი |
|---|---|---|---|
| შემეცნებითი აქტივობა | | | |

## დავალება №32

ბანდურას მიხედვით, ადამიანები მიდრეკილნი არიან, გაამართლონ გარკვეული მექანიზმებით საკუთარი საქციელი, რომელიც არ შეესაბამება მათსავე მორალურ პრინციპებს. ამით ისინი ცდილობენ, თავიდან აირიდონ „დანაშაულის“ უსიამოვნო განცდა.

ცხრილის A სვეტში მოცემულია მოსწავლის მიერ საკუთარი ქცევის ახსნა, ხოლო B სვეტში ბანდურას მიერ დადგენილი მექანიზმები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

| ქცევის ახსნა (A) | მექანიზმი (B) |
|---|---|
| I. ვიცი რომ კარგად არ მოვიქეცი, მეგობარი დავაბეზღე, მაგრამ მისი საქციელი ხომ უარესია – იჩხუბა და სცემა რატი. | ა) მომგებიანი შედარება |
| II. დათოს ისედაც ბევრი სათამაშო აქვს, იმიტომ მოვპარე, რომ გიორგისთვის მიმეცა. | ბ) წარმოდგენების შეცვლა |
| III. კლასმა გადაწყვიტა „შატალოზე“ წასვლა, მეც წავყევი. | გ) მორალური გამართლება |
| IV. ცუდი არაფერი ჩამიდენია – ვთამაშობდით და ხუმრობით დავარტყი. | დ) პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბარება |
| | ე) პასუხისმგებლობის სხვებზე გადანაწილება |

შესაბამისობები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში (მეოთხე პასუხი უკვე მითითებულია).

✍ *ჩაწერეთ:*

| ქცევის ახსნა (A) | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ქცევის მექანიზმი (B) | | | | ბ |

## დავალება №33

შესვენებაზე მასწავლებელმა შემთხვევით მოჰკრა ყური თავისი ორი მოსწავლის საუბარს.

ლაშა: *წამოდი, ბუფეტში ჩავიდეთ! 10 ლარი მაქვს.*

მაკა: *ამდენი ფული საიდან გაქვს?!*

ლაშა: *გუშინ საღამოს მამაჩემის საფულიდან ამოვიღე.*

მაკა: *მოიპარე?!*

ლაშა: *დიდი ამბავი, მამა მაინც ვერ შეამჩნევს. თანაც, უკვე დიდი ხანია მინდა ახალი ვიდეო-თამაშის ყიდვა და სულ ფული მაკლდებოდა. ახლა ნამდვილად მომივა!*

გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია კოლბერგის მორალური განვითარების თეორიაზე დაყრდნობით.

- ახსენით, მორალური განვითარების რომელ სტადიას შეესაბამება ლაშას მსჯელობა.
- აღწერეთ მასწავლებლის ერთი აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მოსწავლის მორალურ განვითარებას.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

***იმ შემთხვევაში თუ კოლბერგის თეორიას არ იცნობთ, ან გიჭირთ მისი ამ კონტექსტში გამოყენება, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.**

✍ *ჩაწერეთ:*

## ინსტრუქცია (დავალება №34 და №35)

ყურადღებით გაეცანით სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, საკმარისია, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში რაიმე კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ.
- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორად — მოქმედი კანონის შესაბამისად.

## დავალება №34

სკოლის ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიებისათვის მიკროსკოპებისა და რეაქტივების შეძენის მიზნით ერთ-ერთი საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა საქველმოქმედო კონცერტის გამართვა გადაწყვიტეს.

ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა მოსწავლეებს ინიციატივა მოუწონეს და თავადაც ჩაერთვნენ კონცერტისათვის მზადების პროცესში. ქიმიის კათედრის თავმჯდომარემ კონცერტის უშუალო მონაწილეები ორი კვირით გაათავისუფლა გაკვეთილებიდან.

სკოლის დირექტორი, რომელმაც სკოლაში არყოფნის გამო მოგვიანებით შეიტყო მოსწავლეთა წამოწყების შესახებ, უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ მოსწავლეები კონცერტის გამო გაკვეთილებს აცდენდნენ. მან უსაყვედურა ქიმიის კათედრის თავმჯდომარეს და პედაგოგებს დაავალა გაცდენების ანაზღაურება დამატებითი ინდივიდუალური მუშაობის ხარჯზე. მან მოითხოვა, აგრეთვე, მოსწავლეთა მიერ გაცდენილი საათების დათვლა და სპეციალური სასემესტრო გამოცდის დანიშვნა იმ მოსწავლეთათვის, ვისაც საგანში საათების საერთო რაოდენობის მეოთხედი ან მეტი ჰქონდა გაცდენილი.

34.1 ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, გამართონ საქველმოქმედო კონცერტი და შემოსული თანხა მოახმარონ იმ სასწავლო რესურსების შეძენას, რომელსაც სკოლა თავისი სახსრებით ვერ ყიდულობს.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍ ____________________

____________________

34.2 მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ქიმიის საგნობრივი კათედრის თავმჯდომარე არ იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება მოსწავლეების გაკვეთილებიდან გათავისუფლებისა და მათთვის გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.3 ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სასემესტრო გამოცდების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც სემესტრის განმავლობაში კონკრეტული საგნისათვის გამოყოფილი საათების მეოთხედი აქვთ გაცდენილი, აუცილებლად უნდა შეთანხმდეს შესაბამის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრთან.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.4 ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა გულისხმობს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად საგნის გაძლიერებულ სწავლას საგაკვეთილო საათების ფარგლებში.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

34.5 ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის გადაწყვეტილება, მოსწავლეებისათვის ქიმიაში სავალდებულო სემესტრული გამოცდის დანიშვნის თაობაზე, კანონიერია.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

## დავალება №35

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში ცნობილი გახდა, რომ ამავე სკოლის დამამთავრებელი კლასის ორი მოსწავლე წინა ღამეს უბანში მომხდარ ჩხუბში მონაწილეობდა. როგორც აღმოჩნდა, მძიმედ დაშავდა ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილე, რის გამოც საქმის გამოძიებაში პოლიცია ჩაერთო.

დირექტორის მოთხოვნით, სკოლაში სასწრაფო წესით შედგა დისციპლინური კომიტეტის სხდომა, სადაც განიხილეს ორივე მოსწავლის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ ფლობდა მოსწავლეების ბრალის დამადასტურებელ ინფორმაციას, კომიტეტმა გადაწყვიტა, დაეთხოვა ჩხუბში მონაწილე ორი მოსწავლე სკოლიდან იმ დრომდე, ვიდრე პოლიცია გაერკვეოდა საქმის ვითარებაში. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება გაფორმდა წერილობით და გადაეცა მოსწავლეთა მშობლებს. დირექტორმა მშობლებს აუხსნა, რომ ვიდრე საქმის გამოძიება არ დასრულდებოდა, მათი შვილებისთვისაც უმჯობესი იქნებოდა სახლში დარჩენა.

ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა უკმაყოფილება გამოხატა სკოლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, სკოლას არ ჰქონდა უფლება, დაეთხოვა მისი შვილი, რომელიც კარგი აკადემიური მოსწრებითა და ყოფაქცევით გამოირჩეოდა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს დაგეგმილი იყო სკოლის გამოსაშვები გამოცდები. დირექტორი დაჰპირდა მშობლებს, რომ სკოლიდან დათხოვნის პერიოდში პედაგოგები სახლში ივლიდნენ მოსწავლეებთან და იმუშავებდნენ მათთან ინდივიდუალური პროგრამით.

35.1 ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, დაუშვებელია სკოლის მიერ მოსწავლეთა დისციპლინური დევნა იმ ქმედებისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს არასასკოლო დროს და / ან სკოლის ტერიტორიის გარეთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სკოლას აქვს დასაბუთებული ინტერესი.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

35.2 მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სკოლა ვალდებული იყო, სხდომამდე ეცნობებინა მოსწავლეთა მშობლებისათვის მათი შვილების მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

35.3 ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, დისციპლინური კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ სკოლის დირექტორი და პედაგოგები.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

35.4 ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლა ვალდებულია თავისი მზრუნველობის ქვეშ ჰყავდეს მოსწავლეები მათი სკოლიდან დათხოვნის პერიოდში.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

35.5 ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით მშობელმა, პირველ რიგში, საჩივრით უნდა მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

✍

# დანართი 4

## *შეფასების სქემები*

# I ვარიანტი

## დავალებები 1–16

| დავალება № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწორი პასუხი | გ | ბ | ბ | ბ | დ | გ | გ | დ | გ | ბ | გ | დ | გ | გ | გ | ა |

## დავალება №17

*მაქსიმალური ქულა – 1*

| | |
|---|---|
| 1 ქულა | თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით:<br><br>სასწავლო მიზანი (A): I – ბ, II – ბ, III – ა<br>სწავლების მეთოდი (B) |
| 0 ქულა | ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი |

| სასწავლო მიზანი (A) | I | II | III |
|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდი (B) | ბ | ბ | ა |

## დავალება №18

*მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა,</u> დასმული პრობლემის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. მსჯელობიდან იკვეთება, რომ აპლიკანტს ესმის გამოყენებული სასწავლო აქტივობის არსი და მნიშვნელობა. <u>**პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას:**</u><br>- პასუხში სრულყოფილად არის აღწერილი მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის <u>მინიმუმ ორი დადებითი შედეგი, ამასთან,</u> პასუხი გამყარებულია დამაჯერებელი არგუმენტებითა და/ან ადეკვატური მაგალითებით.<br>ან<br>- პასუხში სრულყოფილად არის აღწერილი მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის <u>მინიმუმ ორი დადებითი შედეგი, ამასთან</u> პასუხი გამყარებულია **ერთი** დამაჯერებელი არგუმენტით და/ან მაგალითით, რომელიც ადეკვატურია მის მიერ დასახელებული <u>**ორივე დადებითი შედეგისთვის**</u>. |

| | |
|---|---|
| 2 | <u>აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური,</u> პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა არ არის სრული/სქემატურია*:*<br>- აპლიკანტი **აღწერს** განხორციელებული სასწავლო აქტივობის <u>მხოლოდ ერთ დადებით შედეგს</u> და ადეკვატურად ასაბუთებს საკუთარ პასუხს.<br>ან<br>- აპლიკანტი **აღწერს** სასწავლო აქტივობის **ორ** დადებით შედეგს, მაგრამ <u>**არ ასაბუთებს** </u>საკუთარ პასუხს.<br>ან<br>- **დასახელებულია** ორი დადებითი შედეგი და ორივე განმარტებულია, თუმცა სქემატურად.<br>***დავალება მოითხოვს დადებითი შედეგების აღწერას, განმარტებას და არა მხოლოდ დასახელებას.** |
| 1 | <u>პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი (ნაწილობრივი, ზედაპირული) ცოდნა; აპლიკანტი არ უპასუხებს პირობაში მოცემულ მნიშვნელოვან მითითებას</u>.<br>- აპლიკანტი **აღწერს** სასწავლო აქტივობის **ერთ** დადებით შედეგს, მაგრამ <u>**არ ასაბუთებს** </u>საკუთარ პასუხს;<br>ან<br>- **დასახელებულია** მხოლოდ ერთი დადებითი შედეგი და მოცემულია შესაბამისი არგუმენტი (პასუხი სქემატურია);<br>ან<br>- **დასახელებულია** რამდენიმე (ორზე მეტი) დადებითი შედეგი, მაგრამ არც ერთი არ არის დასაბუთებული. |
| 0 | <u>პასუხი არაადეკვატურია.</u> **აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.<br>პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა; აპლიკანტი პირობაში მოცემულ ინფორმაციას იმეორებს კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. |

## დავალება №19

*მაქსიმალური ქულა – 4*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 4 | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს სამივე მითითებას. ამასთან, მსჯელობა ყველა საკითხზე სრულყოფილია, დასაბუთებული, თანამიმდევრული, ლოგიკური და მკაფიო. აპლიკანტს ესმის, რომ დასმული პრობლემა უკავშირდება მოსწავლის **მეტაკოგნიტური უნარების** განვითარებას და ავლენს ამ საკითხის გარშემო გააზრებულ, დამაჯერებელ და სრულყოფილ ცოდნას. პასუხი მოიცავს სამ კომპონენტს:<br>- აპლიკანტი **აღწერს** ადეკვატურ სტრატეგიას, ანუ პასუხში აღწერილია მოსწავლის **მეტაკოგნიტური უნარების განვითარების** ხელშემწყობი კონკრეტული სტრატეგიები. აღწერაში ჩანს, როგორ დაეხმარება ის მოსწავლეს სწავლის ისეთი ხერხების დაუფლებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს მასალის უკეთ გაგებასა და დამახსოვრებას;<br>- დასაბუთებულია აღწერილი სტრატეგიის ადეკვატურობა. ნაჩვენებია, როგორ უვითარებს მოსწავლეს შემეცნებითი პროცესის/პროცესების მიზანმიმართული გამოყენების უნარს სწავლის დროს;<br>- დასახელებულია ერთი წინაპირობა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის. |
| 3 | პასუხში ჩანს, საკითხის ცოდნა. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური.<br>- აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა აპლიკანტი დასმული პრობლემას მკაფიოდ ვერ აკავშირებს მოსწავლის **მეტაკოგნიტური უნარების** განვითარებასთან. აპლიკანტი უპასუხებს სამივე მითითებას, თუმცა რომელიმე ერთ მითითებაზე პასუხი ზოგადია/ან სქემატური;<br>ან<br>- ორ მითითებაზე აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, აკლია მე-3 მითითებაზე პასუხი.<br>ან<br>- აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, სტრატეგია მხოლოდ დასახელებულია და არ არის აღწერილი, დანარჩენ ორ მითითებაზე (მე-2 და მე-3) პასუხში ჩანს **საკითხის გააზრებული ცოდნა**. |
| 2 | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს ნაწილობრივი ცოდნა. აპლიკანტი არ უპასუხებს / უპასუხებს ზოგადად და |

| | |
|---|---|
| | **სქემატურად პირობაში მოცემულ ერთ რომელიმე მნიშვნელოვან მითითებას (მაგალითად, დასაბუთების კომპონენტს). დანარჩენ მითითებებზე** აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, შეესაბამება მოცემულ საკითხს:<br>- დასახელებულია სტრატეგია, მაგრამ არ არის **აღწერილი**;<br>- დასაბუთება სქემატურია;<br>- დასახელებულია ადეკვატური წინაპირობა.<br>ან<br>- დასახელებულია სტრატეგია, მაგრამ არ არის **აღწერილი**;<br>- პასუხი დასაბუთებულია;<br>- არ არის დასახელებული წინაპირობა / წინაპირობა არაადეკვატურია.<br>ან<br>- სტრატეგია აღწერილია;<br>- დასაბუთება არ არის;<br>- ადეკვატური წინაპირობა დასახელებულია.<br>ან<br>- სტრატეგია აღწერილია;<br>- დასაბუთება სქემატურია, ზედაპირული;<br>- წინაპირობა არ არის / წინაპირობა არაადეკვატურია. |
| 1 | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა. **აპლიკანტი არ უპასუხებს / უპასუხებს ზოგადად და სქემატურად პირობაში მოცემულ ერთ რომელიმე მნიშვნელოვან მითითებას**:<br>- დასახელებულია სტრატეგია, მაგრამ არ არის **აღწერილი**;<br>- დასაბუთების კომპონენტი სქემატურია, აკლია დამაჯერებლობა;<br>- არ არის დასახელებული წინაპირობა/წინაპირობა არაადეკვატურია.<br>ან<br>- აპლიკანტი **აღწერს** პრაქტიკულ სტრატეგიას;<br>- პასუხი დასაბუთებული არ არის;<br>- არ არის დასახელებული წინაპირობა/წინაპირობა არაადეკვატურია.<br>ან<br>- მხოლოდ დასახელებულია სტრატეგია;<br>- დასაბუთება არ არის;<br>- წინაპირობა დასახელებულია.<br>ან<br>- დასახელებულია რამდენიმე ადეკვატური სტრატეგია დასაბუთებისა და წინაპირობის გარეშე. |
| 0 | პასუხი არაადეკვატურია აპლიკანტი **ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. |

## დავალება №20

*მაქსიმალური ქულა – 5*

| ქულა | აღწერა |
| --- | --- |
| 5 | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. პასუხი კონკრეტული და ამომწურავია და არა ზოგად მსჯელობაზე დაფუძნებული. მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია.<br><br>აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობაში მოცემულ ყველა მითითებას:<br>- ასახელებს და აღწერს მასწავლებლის სიმკაცრის ერთ არსებით უარყოფით მხარეს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა სწავლის შედეგების თვალსაზრისით და ერთ არსებით უარყოფით ეფექტს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების თვალსაზრისით. ამავდროულად.<br>- პასუხში წარმოდგენილია ორივეს დასაბუთება (ახსნა) – განმარტებულია, თუ კონკრეტულად რით (რა მიზეზებით) არის გამოწვეული დასახელებული უარყოფითი შედეგები. |
| 4 | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. პასუხი კონკრეტული და ამომწურავია.<br>- აპლიკანტი ასახელებს და ამომწურავად აღწერს მასწავლებლის სიმკაცრის ერთ არაარსებით (ნაკლებად მნიშვნელოვან) უარყოფით მხარეს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა სწავლის შედეგების თვალსაზრისით და ერთ არაარსებით (მეორეხარისხოვან) უარყოფით ეფექტს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების თვალსაზრისით. ამავდროულად პასუხში წარმოდგენილია ორივეს დასაბუთება (ახსნა) – განმარტებულია, თუ კონკრეტულად რით (რა მიზეზებით) არის გამოწვეული დასახელებული უარყოფითი შედეგები. |
| 3 | პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა.<br>- აპლიკანტი ასახელებს მასწავლებლის სიმკაცრის უარყოფით მხარეს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა სწავლის შედეგების თვალსაზრისით და ამგვარი დამოკიდებულების უარყოფით ეფექტს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების თვალსაზრისით და ასაბუთებს პასუხს, თუმცა წარმოდგენილი დასაბუთებებიდან ერთ-ერთი ძალიან ზოგადია (ეფუძნება უნივერსალურ მსჯელობებს).<br>ან<br>- აპლიკანტი ასახელებს მასწავლებლის სიმკაცრის უარყოფით მხარეს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა სწავლის შედეგების თვალსაზრისით და ამგვარი დამოკიდებულების უარყოფით ეფექტს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების თვალსაზრისით და ასაბუთებს პასუხს, თუმცა წარმოდგენილი დასაბუთებებიდან ერთ-ერთი ბუნდოვანი და გაუგებარია.<br>ან |

| | |
|---|---|
| | - აპლიკანტი **ასახელებს** მასწავლებლის გამოკვეთილი სიმკაცრის უარყოფით მხარეს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა სწავლის შედეგების თვალსაზრისით და ამგვარი დამოკიდებულების უარყოფით ეფექტს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების თვალსაზრისით და ასაბუთებს მხოლოდ რომელიმე ერთს. |
| 2 | პასუხში ჩანს საკითხის არასრულყოფილი ცოდნა.<br>- აპლიკანტი **ასახელებს** მასწავლებლის გამოკვეთილი სიმკაცრის უარყოფით მხარეს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა სწავლის შედეგების თვალსაზრისით და ამგვარი დამოკიდებულების უარყოფით ეფექტს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების თვალსაზრისით და ასაბუთებს პასუხს, თუმცა ორივე დასაბუთება ძალიან ზოგადია, ეფუძნება უნივერსალურ მსჯელობებს.<br>ან<br>- აპლიკანტი **ასახელებს** მასწავლებლის სიმკაცრის უარყოფით მხარეს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა სწავლის შედეგების თვალსაზრისით და ამგვარი დამოკიდებულების უარყოფით ეფექტს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების თვალსაზრისით, თუმცა არ ასაბუთებს არც ერთს.<br>ან<br>- აპლიკანტი **ასახელებს** მასწავლებლის სიმკაცრის მხოლოდ ერთ უარყოფით მხარეს და ასაბუთებს მას. |
| 1 | პასუხში ჩანს საკითხის ზედაპირული, არასრულყოფილი ცოდნა<br>- აპლიკანტი **მხოლოდ ასახელებს** მასწავლებლის **სიმკაცრის** უარყოფით მხარეს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა სწავლის შედეგების თვალსაზრისით ან სიმკაცრის ნეგატიურ შედეგს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების თვალსაზრისით. |
| 0 | აპლიკანტის პასუხი მთლიანობაში ბუნდოვანია და/ან არასწორი, არაადეკვატური. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა.<br>დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. |

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს **საკითხის სრულყოფილი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული,** აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა. პასუხში მოცემულია საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, **სპეციფიკური არგუმენტებით.**<br>- დეტალურადაა აღწერილი სწავლების ახალი მეთოდის შესაფასებელი კონკრეტული მეთოდიკა, ამასთან, ჩანს **პრობლემის კომპლექსური ხედვა;**<br>- დასახელებულია წინაპირობები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მეთოდის ეფექტიანობის შეფასებისას, განხილულია პრინციპები და/ან სტანდარტები, რომლებიც უნდა დაიცვას ან გაითვალისწინოს მეთოდის ეფექტიანობის შეფასებისას პედაგოგმა;<br>- პასუხი არგუმენტირებულია, მსჯელობა დამაჯერებელია, თანამიმდევრული და ლოგიკური. |
| 2 | პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური.<br>- აღწერილია სწავლების ახალი მეთოდის შესაფასებელი კონკრეტული მეთოდიკა, პასუხი განმარტებულია და/ან გამყარებულია ერთი არგუმენტით (მაგალითით, ნიმუშით) მაინც. **თუმცა არ არის აღწერილი ის წინაპირობები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მეთოდის ეფექტიანობის შეფასებისას.** |
| 1 | პასუხში ჩანს საკითხის ზედაპირული ცოდნა და /ან ნაწილობრივ პრობლემის გადაწყვეტის უნარი. **აპლიკანტი არ უპასუხებს პირობით გათვალისწინებულ ორივე მითითებას ან მისი პასუხი ოდნავ სცდება დასმულ პრობლემას, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.**<br>- **სქემატურად** აღწერილია სწავლების ახალი მეთოდის შესაფასებელი კონკრეტული მეთოდიკა, პასუხი არ არის განმარტებული და/ან გამყარებული ერთი არგუმენტით მაინც. |
| 0 | პასუხი არაადეკვატურია **აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა. |

| | |
|---|---|
| | - დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები;<br>- პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი არგუმენტები.<br>- პასუხში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია ან დასახელებულია არაფრისმთქმელი, ბუნდოვანი აქტივობები არგუმენტაციის გარეშე. |

## **დავალება №21.2**

*მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს **საკითხის სრულყოფილი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული,** აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა. პასუხში მოცემულია საკითხის დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, **სპეციფიკური არგუმენტებით**<br>- დეტალურადაა აღწერილი პასუხისმგებლობის დელეგირების ერთი კონკრეტული სტრატეგია;<br>- პასუხი არგუმენტირებულია, მსჯელობა დამაჯერებელია, თანამიმდევრული და ლოგიკური. ამასთან, წარმოდგენილ დასაბუთებაში აპლიკანტი საუბრობს მის მიერ დასახელებულ **სტრატეგიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კონკრეტულ შედეგებზე/ეფექტებზე და არა ზოგადად დელეგირების და/ან მოტივაციის მნიშვნელობაზე.** |
| 2 | **პასუხში ჩანს, საკითხის ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური.**<br>- **აპლიკანტი ასახელებს პრობლემის დაძლევის კონკრეტულ სტრატეგიას (დავალების პირობა მოითხოვს კონკრეტული სტრატეგიის აღწერას), ამასთან, პასუხი კარგად არის არგუმენტირებული.**<br>ან<br>- **აპლიკანტი დეტალურად აღწერს პრობლემის დაძლევის კონკრეტულ სტრატეგიას და წარმოადგენს საკუთარი პასუხის დასაბუთებას** – თუმცა დასაბუთების კომპონენტი სქემატურია, |

| | |
|---|---|
| | ზოგადი.<br>ან<br>- აპლიკანტი აღწერს კონკრეტულ ადეკვატურ შემთხვევებს/ სიტუაციებს, როდესაც პასუხისმგებლობის დელეგირების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიანია (აღწერილია კონკრეტული შემთხვევა და არა მეთოდი), ამასთან, პასუხი ახსნილი და დასაბუთებულია.<br>ან<br>- ასახელებს ადეკვატურ სტრატეგიას და ასაბუთებს მის ეფექტიანობას - პასუხი სქემატურია, მაგრამ არ არის დავალების პერეფრაზი. |
| 1 | **პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა. აპლიკანტი არ უპასუხებს პირობაში მოცემულ ორივე მითითებას ან მისი პასუხი ნაწილობრივ სცდება დასმულ პრობლემას. თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.**<br>- **აპლიკანტი ასახელებს** ადეკვატურ სტრატეგიას და დასაბუთების კომპონენტი არსებითად დავალების პირობის პერეფრაზია.<br>ან<br>- **სავალდებულო ორი კომპონენტიდან (სტრატეგია და მისი დასაბუთება) უპასუხებს მხოლოდ ერთს – აღწერს სტრატეგიას**. დასაბუთება ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ან არასწორია, ან ბუნდოვანი, რის გამოც შეუძლებელია აპლიკანტის აზრის, მისი პოზიციის შესახებ დასკვნის გამოტანა.<br>ან<br>- **ასახელებს** რამდენიმე ადეკვატურ სტრატეგიას დასაბუთებისა და ახსნის გარეშე.<br>ან<br>- აპლიკანტი აღწერს კონკრეტულ/ადეკვატურ შემთხვევებს/ სიტუაციებს, როდესაც პასუხისმგებლობის დელეგირების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიანია (აღწერილია კონკრეტული შემთხვევა და არა მეთოდი) და პასუხი არ შეიცავს დასაბუთების კომპონენტს. |
| 0 | - აპლიკანტის პასუხი **ბუნდოვანია და გაუგებარი,** შესაბამისად, არ იძლევა კონკრეტული პოზიციის/აზრის ამოკითხვის შესაძლებლობას დავალებაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;<br>ან<br>- **პასუხი არსებითად წარმოადგენს დავალებაში მოცემული პირობის პერეფრაზს.** მაგალითად: აპლიკანტი საუბრობს იმაზე, რომ პასუხისმგებლობის დელეგირება საჭიროა მოტივაციის ამაღლებისათვის ან ასახელებს იმ სტრატეგიას, რომელიც უკვე მითითებულია დავალების პირობაში (მოსწავლეთა ჩართვა საკლასო ნორმების შემუშავებაში) და/ან რაიმე სხვა სახით ახდენს დავალების პირობის პერეფრაზს, რაც შეუძლებელს ხდის აპლიკანტის ინდივიდუალური ხედვის/პოზიციის დანახვას.<br>ან<br>- **პასუხი არარელევანტურია.** მაგალითად, აპლიკანტი საუბრობს მოტივაციის მნიშვნელობაზე ზოგადად, თუმცა არაფერს ამბობს კონკრეტული, დავალებაში მოცემული საკითხის შესახებ ან ასახელებს არაადეკვატურ სტრატეგიას. |

## **დავალება 21.3** *მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა. პასუხში მოცემულია საკითხის დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით.<br>- აპლიკანტი აღწერს ინკლუზიური განათლების დადებით ეფექტს ჯანმრთელი ბავშვებისათვის<br>- ასაბუთებს საკუთარ მსჯელობას კონკრეტული არგუმენტებით.<br>ამასთან პასუხში ჩანს, რომ მას კარგად ესმის ინკლუზიური განათლების არსი, მისი მსჯელობა არის ადეკვატური და ლოგიკურად გამართული. |
| 2 | პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა და /ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი / ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური.<br>- აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას: სწორად აღწერს ინკლუზიური განათლების დადებით ეფექტს ჯანმრთელი ბავშვებისათვის და არ ასაბუთებს / ასაბუთებს სქემატურად საკუთარ მსჯელობას. თუმცა პასუხში ჩანს, რომ მას კარგად ესმის ინკლუზიური განათლების არსი. პასუხი ლოგიკურია, მაგრამ არ არის სრულყოფილი. |
| 1 | პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა და /ან ნაწილობრივ პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტი არ უპასუხებს პირობაში მოცემულ მითითებებს ან მისი პასუხი ნაწილობრივ სცდება დასმულ პრობლემას, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.<br>- აპლიკანტი ზოგადად მსჯელობს ინკლუზიური განათლების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე. მისი პასუხი არ არის სრულყოფილი, თუმცა ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს გარკვეული ცოდნა ინკლუზიური განათლების შესახებ. |
| 0 | პასუხი არაადეკვატურია აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე.<br>- დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები;<br>- პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მაგალითები ან |

| | |
|---|---|
| | ბუნდოვანი არგუმენტები.<br>ან<br>- პასუხში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია ან დასახელებულია არაფრისმთქმელი, ბუნდოვანი აქტივობები არგუმენტაციის გარეშე.<br>- <u>პასუხში არაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ აპლიკანტს ესმის ინკლუზიური განათლების არსი.</u> |

## დავალება 21.4

*მაქსიმალური ქულა – 5*

დავალებები 21.4.1 და 21.4.2. თითეულის მაქსიმალური ქულაა 2.

- 2 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას – აღწერილია პრობლემის დაძლევის ადეკვატური სტრატეგია და, ამასთან, პასუხი დასაბუთებულია.
- 5 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი უპასუხებს 21.4.1 და 21.4.2 დავალებების ყველა მითითებას, ამასთან პასუხი სრულია, ლოგიკური, თანმიმდევრული და ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა.

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 5 | <u>აპლიკანტი უპასუხებს 21.4.1 და 21.4.2 დავალებების ყველა მითითებას:</u><br>- აღწერილია ერთი <u>კონკრეტული</u> აქტივობა/სტრატეგია, რომელიც დავალების პირობაში წამოჭრილი პრობლემის მოგვარების ადეკვატური გზაა.<br>- **პასუხი არგუმენტირებულია** – აპლიკანტი ასაბუთებს აღწერილი აქტივობის/სტრატეგიის ეფექტიანობას.<br>პასუხი არის სრული, ამომწურავი, ლოგიკური. ჩანს, რომ აპლიკანტს გააჩნია საჭირო ცოდნა, სწორად იაზრებს პრობლემის არსს და შესწევს უნარი კვალიფიციურად მოაგვაროს მსგავსი პრობლემები, ამასთან, თითოეული პრობლემის მოსაგვარებლად განსხვავებული სტრატეგიებია აღწერილი. |
| 4 | <u>აპლიკანტი უპასუხებს დავალება 21.4.1-ის და დავალება 21.4.2-ის ორივე მითითებას. პირველი მითითებაზე აპლიკანტის პასუხი სრულყოფილია (აღწერილია ორი ადეკვატური აქტივობა), მაგრამ არგუმენტაციის ნაწილი სქემატურია ან არასრული:</u> |

| | |
|---|---|
| | - დავალებების 21.4.1, 21.4.2 I მითითების შესაბამისად, აღწერილია ორი კონკრეტული აქტივობა, ამასთან, თითოეული ადეკვატურია დავალების პირობაში დასმული პრობლემების მოსაგვარებლად. პასუხი დასაბუთებულია, თუმცა დასაბუთება სქემატურია.<br>ან<br>- დავალებების 21.4.1, 21.4.2 I მითითების შესაბამისად, აღწერილია ორი კონკრეტული აქტივობა, ამასთან, თითოეული ადეკვატურია დავალების პირობაში დასმული პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ აპლიკანტი ასაბუთებს **მხოლოდ ერთ-ერთ აქტივობას, ამასთან დასაბუთება არ არის სქემატური** ან მოცემულია ისეთი ზოგადი არგუმენტი, რომელიც მართებულია ორივე აღწერილი აქტივობისათვის. |
| 3 | აპლიკანტის პასუხი ნაწილობრივია, არ უპასუხებს დავალება 21.4.1-ის და დავალება 21.4.2-ის ყველა მითითებას, პასუხი არასრულია:<br>- დავალებების 21.4.1, 21.4.2 I მითითების შესაბამისად, აღწერილია ორი კონკრეტული ადეკვატური აქტივობა, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთია დასაბუთებული, ისიც სუსტი/სქემატური არგუმენტით.<br>ან<br>- დავალებების 21.4.1, 21.4.2 I მითითების შესაბამისად, სრულად არის აღწერილი ორი კონკრეტული ადეკვატური აქტივობა, მაგრამ პასუხი არ არის არგუმენტირებული. |
| 2 | აპლიკანტის პასუხი ნაწილობრივია და, ამასთან, სქემატური.<br>- აპლიკანტი უპასუხებს ორი დავალებიდან (21.4.1 და 21.4.2) მხოლოდ ერთს. თუმცა უპასუხებს ერთი დავალების ორივე მითითებას: **აღწერილია** პრობლემის დაძლევაზე მიმართული კონკრეტული ადეკვატური აქტივობა და პასუხი **დასაბუთებულია.**<br>ან<br>- **დასახელებულია** დავალებების 21.4.1-ისა და 21.4.2-ის შესაბამისი **ორი** აქტივობა, ორივე აქტივობა ადეკვატურია, მაგრამ სქემატურადაა აღწერილი. |
| 1 | აპლიკანტი ორი დავალებიდან (21.4.1 და 21.4.2) უპასუხებს მხოლოდ ერთს და, ამასთან, პასუხი ნაწილობრივია (არ უპასუხებს ორივე მითითებას) ან რომელიმე მითითებაზე პასუხი სქემატურია :<br>- **პასუხი ნაწილობრივია**: აღწერს ადეკვატურ აქტივობას, მაგრამ პასუხი არგუმენტირებული არ არის.<br>ან<br>- **პასუხი მოიცავს ორივე კომპონენტს, თუმცა მთლიანობაში პასუხი ზედაპირული და ძალიან სქემატურია**: ასახელებს, მაგრამ არ აღწერს ადეკვატურ აქტივობას და ამასთან დასაბუთების კომპონენტი ძალიან სქემატურია. |
| 0 | პასუხი არაადეკვატურია. **აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს ესმის დასმული მოთხოვნა და აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა. |

## დავალება №21.5

*მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
| --- | --- |
| 3 | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა. მისი მსჯელობა ადეკვატურია და ლოგიკურად გამართული. აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით (განხილულია გაკვეთილის დაგეგმვის ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი ასპექტები).</u><br>- პასუხი სრულად შეესაბამება მოცემულ საკითხს, დავალების მოთხოვნები სწორად არის გააზრებული. აპლიკანტი ზედმიწევნით კარგად იყენებს შესაბამის ცოდნასა და უნარებს; პასუხში მოცემულია საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი.<br>- პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებითა და/ან დამაჯერებელი, ადეკვატური მსჯელობით პრობლემის შესახებ. |
| 2 | <u>პასუხში ჩანს საკითხის ზოგადი ცოდნა და /ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, უპასუხებს ორივე მითითებას, მაგრამ პასუხი ზოგადია და ნაკლებად დეტალური.</u><br>- აღწერილია ერთი კონკრეტული აქტივობა და მოცემულია მისი ადეკვატურობის დასაბუთება, თუმცა აპლიკანტის მსჯელობა ზოგადი და ზედაპირულია. მოყვანილია უნივერსალური არგუმენტები (მაგ., ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას, ამაღლებს მოტივაციას და ა.შ.);<br>ან<br>- ჩამოთვლილია გაკვეთილის დაგეგმვის მნიშვნელოვანი კომპონენტები და ნაჩვენებია ამ კომპონენტების შორის ურთიერთმიმართება, მაგრამ დასაბუთება სქემატურია/ ზოგადი. |
| 1 | <u>პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა და/ან ნაწილობრივ პრობლემის გადაწყვეტის უნარი.</u><br>**პასუხი სქემატურია, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული.** აპლიკანტი არ უპასუხებს პირობაში მოცემულ ორივე მითითებას, მისი პასუხი ნაწილობრივ სცდება დასმულ პრობლემას, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი:<br>- აპლიკანტი <u>მხოლოდ აღწერს</u> წამოჭრილი პრობლემის დასაძლევად მიმართულ ერთ კონკრეტულ და არსებით აქტივობას მისი <u>ადეკვატურობის დასაბუთების გარეშე.</u><br><u>ან</u><br>- აპლიკანტი <u>მხოლოდ ასახელებს (არ აღწერს) პრობლების გადაჭრისაკენ მიმართულ ადეკვატურ აქტივობას, ამასთან</u> |

| | |
|---|---|
| | <u>მოცემული დასაბუთება ნაწილობრივია ან სქემატური, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული.</u><br><u>ან</u><br>- აპლიკანტი **<u>მხოლოდ ჩამოთვლის</u>** გაკვეთილის გეგმის არსებით კომპონენტებს. |
| 0 | **<u>პასუხი არაადეკვატურია</u> აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია მოცემული, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს გარკვეული საკითხის ცოდნა.<br>- დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.<br>- პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები;<br>- პირობა არ არის გაანალიზებული და / ან მოყვანილია უფუნქციო, არაადეკვატური მაგალითები.<br>- პასუხი ბუნდოვანია, მასში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია ან დასახელებულია არაფრისმთქმელი, არაარსებითი აქტივობები არგუმენტაციის გარეშე. |

## დავალებები 22–30

| დავალება № | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწორი პასუხი | ა | გ | გ | დ | დ | ბ | გ | დ | ა |

## დავალება №31

*მაქსიმალური ქულა – 1*

<table>
<tr><td>1 ქულა</td><td>თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით:<br><table><tr><td>სირთულის დონე</td><td>I – დაბალი</td><td>II- საშუალო</td><td>III - მაღალი</td></tr><tr><td>შემეცნებითი აქტივობა</td><td>გ</td><td>ბ</td><td>ა</td></tr></table></td></tr>
<tr><td>0 ქულა</td><td>ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი</td></tr>
</table>

## დავალება №32

*მაქსიმალური ქულა – 1*

<table>
<tr><td>1 ქულა</td><td>თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით:<br><table><tr><td>აქტივობა (A)</td><td>I</td><td>II</td><td>III</td><td>IV</td></tr><tr><td>ინტელექტის ტიპი (B)</td><td>გ</td><td>დ</td><td>ა</td><td>ბ</td></tr></table></td></tr>
<tr><td>0 ქულა</td><td>ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი</td></tr>
</table>

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს სკინერის თეორიის სრულყოფილი ცოდნა და/ან ამ თეორიაზე დაყრდნობით პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა. პასუხში მოცემულია პრობლემის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით. არ არის დაშვებული ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა. აპლიკანტის პასუხი ლოგიკური და თანამიმდევრულია:<br>- აპლიკანტი სკინერის ოპერანტული განპირობებულობის თეორიაზე დაყრდნობით განმარტავს, რატომ ვერ მიაღწია პედაგოგმა სასურველ შედეგს, გაანალიზებულია მასწავლებლის ქცევის არაეფექტიანობის მიზეზები;<br>- აღწერილია ერთი აქტივობა, რომლითაც შესაძლებელია მოსწავლის ქცევის კორექცია; ამასთან, პლიკანტი სკინერის თეორიაზე დაყრდნობით ასაბუთებს აღწერილი აქტივობის ეფეტიანობას. |
| 2 | **პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა და /ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატურია.** დაშვებული არ არის ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა.<br>**აპლიკანტის პასუხი ორივე მითითებაზე არის სწორი /ადეკვატური, თუმცა ერთ-ერთ მითითებაზე პასუხი ზოგადია და სქემატური. ამასთან, ორი მითითებიდან ერთ-ერთში მაინც არის ადეკვატურად გამოყენებული სკინერის თეორია:**<br>- აპლიკანტი ცდილობს ახსნას მასწავლებლის ქცევის არაეფექტიანობა სკინერის თეორიაზე დაყრდნობით, თუმცა მსჯელობა სქემატურია.<br>- აღწერილია პედაგოგის კონკრეტული აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ქცევის კორექციას. აპლიკანტი სქემატურად და ზედაპირულად ასაბუთებს, რატომ შეიძლება ჰქონდეს სასურველი შედეგი ამ აქტივობას.<br>ან<br>- **აპლიკანტი საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით ადეკვატურად, არგუმენტირებულად აანალიზებს დავალებაში დასმულ პრობლემას, უპასუხებს სამივე მითითებას, მაგრამ არ იყენებს მოცემული ავტორის თეორიის ძირითად ცნებებს.** აპლიკანტის პასუხი ლოგიკური, თანამიმდევრული და სრულყოფილია. |

| | |
|---|---|
| 1 | <u>პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი (ნაწილობრივი, ზედაპირული) ცოდნა;</u><br>აპლიკანტი <u>არ უპასუხობს</u> პირობაში მოცემულ ყველა მითითებას ან მისი პასუხი ნაწილობრივ სცდება დასმულ პრობლემას. თუმცა მსჯელობიდან ზოგადად ჩანს, რომ აპლიკანტს ნაწილობრივ ესმის საკითხის არსი. დაშვებულია <u>ერთი ფაქტობრივი შეცდომა</u>.<br>აპლიკანტი უპასუხებს ორ მითითებას მაინც. გამოყენებულია სკინერის თეორია (დასახელებულია ტერმინი), თუმცა არ ჩანს თეორიის გააზრებული ცოდნა. პასუხი ძალიან სქემატურია:<br>- აპლიკანტი ცდილობს ახსნას მასწავლებლის ქცევის არაეფექტიანობა, თუმცა მსჯელობა სქემატურია; დასახელებულია, მაგრამ არ არის აღწერილი აქტივობა; პასუხი არგუმენტირებული არ არის.<br>ან<br>- აპლიკანტი ცდილობს ახსნას მასწავლებლის ქცევის არაეფექტურობა, თუმცა მსჯელობა სქემატურია; პასუხი შეიცავს ერთ არგუმენტს მაინც.<br>ან<br>- დასახელებულია, მაგრამ არ არის აღწერილი რამდენიმე (მინიმუმ 3 ადეკვატური აქტივობა), რომლის შედეგადაც შესაძლებელია მოსწავლის ამგვარი ქცევის კორექცია. პასუხი შეიცავს ერთ არგუმენტს მაინც. |
| 0 | <u>პასუხი არაადეკვატურია</u> აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა.<br>- დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები;<br>- პასუხში წარმოდგენილია ცუდი/არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი/ცუდი არგუმენტები;<br>- პასუხი ბუნდოვანია, მასში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია ან დასახელებულია არაფრისმთქმელი, ბუნდოვანი აქტივობები არგუმენტაციის გარეშე. |

- კითხვებზე – 34.1; 34.4. და 34.5 – 1 **ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„ჭეშმარიტია"** – (კომენტარს არ საჭიროებს);

- კითხვებზე 34.2 და 34.3. – 1 **ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„მცდარია"** და აპლიკანტს შესაბამის გრაფაში მოცემული აქვს არგუმენტირებული პასუხი **(კომენტარი),** მცდარი პასუხი ჩაწერილი აქვს სწორი ფორმით:

| № | კომენტარი |
|---|---|
| **34.2** | განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში 2011 წლის 11 მარტს შევიდა გარკვეული ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ძალას ცვლილებების უმეტესობა 2011 წლის 1 სექტემბრიდან იძენს, გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით ცენტრმა გადაწყვიტა სწორად ჩათვალოს აპლიკანტების მიერ გაცემული პასუხების ორივე (მოქმედ და სექტემბერში ძალაში შემავალ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული) ვარიანტი. შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილ კომენტარებში მოცემული იქნება ორი შესაძლებლო სწორი პასუხი და აპლიკანტის მიერ მათგან რომელიმე ერთის დაწერა ჩაითვლება სრულფასოვან და ამომწურავ პასუხად.<br><br>- ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, საგნობრივი კათედრები არჩევენ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოთა სიიდან მათთვის სასურველ სახელმძღვანელოებს, თუმცა **სკოლის მიერ წლის განმავლობაში გამოსაყენებელი წყაროების საბოლოო ნუსხის დამტკიცება შედის სკოლის პედაგოგიური საბჭოს კომპეტენციაში**. აღნიშნულ ფუნქციას პედაგოგიური საბჭო სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ახორციელებს.<br><br>*(წყარო: მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა, "სახელმძღვანელოების შერჩევა" გვერდი 13; აგრეთვე ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 თავის 46-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი).*<br>ან<br>- ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, **მასწავლებლები**/კათედრები (იმ სკოლებისთვის, სადაც არსებობს კათედრები) გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოთა ნუსხიდან ირჩევენ კონკრეტულ სახელმძღვანელოებს და წარუდგენენ მათ პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად. აღნიშნულ ფუნქციას პედაგოგიური საბჭო სამეურვეო |

<table>
<tr>
<td></td>
<td>
საბჭოსთან შეთანხმებით ახორციელებს.<br>
(წყარო: ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 10, მე-2 და მე-3 პუნქტები. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 თავის 46-ე მუხლის "ზ" ქვეპუნქტი).<br><br>
<u>ყურადღება : თუკი აპლიკანტის პასუხი შეესაბამება მეორე ვარიანტში მითითებულ პასუხს, თუმცა არ აზუსტებს, რომ ეყრდნობა ახალ სასწავლო გეგმას, რომელიც ძალაში შედის 2011 წლის სექტემბრიდან, პასუხი არ ჩაითვლება სწორად.</u><br><br>
შენიშვნა: სწორ პასუხად ჩაითვლება უფრო მოკლედ ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული პასუხიც, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.
</td>
</tr>
<tr>
<td>34.3</td>
<td>
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში 2011 წლის 11 მარტს შევიდა გარკვეული ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ძალას ცვლილებების უმეტესობა 2011 წლის 1 სექტემბრიდან იძენს, გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით ცენტრმა გადაწყვიტა სწორად ჩათვალოს აპლიკანტების მიერ გაცემული პასუხების ორივე (მოქმედ და სექტემბერში ძალაში შემავალ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული) ვარიანტი. შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილ კომენტარებში მოცემული იქნება ორი შესაძლებლო სწორი პასუხი და აპლიკანტის მიერ მათგან რომელიმე ერთის დაწერა ჩაითვლება სრულფასოვან და ამომწურავ პასუხად.<br><br>
- ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, <u>სახელმძღვანელოს შერჩევა ხდება მინიმუმ 5 წლის ვადით</u>. აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი სასწავლო გეგმის დანერგვასთან ერთად სახელმძღვანელოებიც შეიცვლება ან კონკრეტულ სახელძღვანელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩამოერთვება გრიფი. ამასთან, <u>ერთი სკოლის ფარგლებში თითოეული კლასის ყველა განყოფილებაში/პარალელში საგანი უნდა ისწავლებოდეს ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი.</u><br><br>
(წყარო: მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა, „სახელმძღვანელოების შერჩევა“, გვერდი 13.)<br><br>
ან<br><br>
- ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, <u>სახელმძღვანელოს შერჩევა ხდება მინიმუმ 6 წლის ვადით</u>. აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი სასწავლო გეგმის დანერგვასთან ერთად სახელმძღვანელოებიც შეიცვლება ან კონკრეტულ სახელძღვანელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩამოერთვება გრიფი. ამასთან, <u>ერთი სკოლის ფარგლებში</u>
</td>
</tr>
</table>

| | |
|---|---|
| | <u>**თითოეული კლასის ყველა განყოფილებაში/პარალელში საგანი უნდა ისწავლებოდეს ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი.**</u><br><br>*(წყარო: ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, (რომელიც ამოქმედდება 1 სექტემბერს), კარი I, მე-10 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტები.)*<br><br><u>*ყურადღება : თუკი აპლიკანტის პასუხი შეესაბამება მეორე ვარიანტში მითითებულ პასუხს, თუმცა არ აზუსტებს, რომ ეყრდნობა ახალ სასწავლო გეგმას, რომელიც ძალაში შედის 2011 წლის სექტემბრიდან, პასუხი არ ჩაითვლება სწორად.*</u><br><br>**შენიშვნა:** ორივე შემთხვევაში სწორ პასუხად ჩაითვლება უფრო მოკლედ ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული პასუხიც, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.<br>ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები.<br>ყურადღება:<br>**ეს დებულება ორ კომპონენტიანია,** იგი მოიცავს კითხვებს (1) სახელმძღვანელოების გამოყენების ვადის და (2) პარალელურ კლასებში განსხვავებული სახელმძღვანელოების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.<br>- ვინაიდან მეორე კომპონენტზე პასუხის გაცემა შეუძლებელია დებულების პერეფრაზის, მისი შებრუნების გარეშე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში შებრუნებისთვის აპლიკანტს არ უნდა დააკლდეს შეფასება.<br>- კომენატრი ჩაითვლება არასწორად მაშინაც კი, როდესაც მისი მხოლოდ ერთი ნაწილია (ერთი კომპონენტი) არასწორი (შესაბამისად მეორე კომპონენტი სწორია). |
| 0 ქულა | - არასწორადაა მონიშნული პასუხი: (**„ჭეშმარიტიას”** ნაცვლად მონიშნულა **„მცდარი”**, ან პირიქით).<br>- საერთოდ არ არის მონიშნული პასუხი ან მონიშნულია ორივე (ჭეშმარიტია/მცდარია) პასუხი.<br>- **34.2** ან **34.3.** კითხვებზე – სწორად არის მონიშნული პასუხი (**„მცდარია”**), მაგრამ:<br>    - არ არის მითითებული კომენტარი;<br>    - წარმოდგენილი კომენტარი არასწორია;<br>    - წარმოდგენილი კომენტარი არსებითად წარმოადგენს კითხვის (დებულების) პერეფრაზს, მის შებრუნებულ ფორმას. |

- კითხვებზე – **35.3. და 35.4 – 1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„ჭეშმარიტია“** – (კომენტარს არ საჭიროებს);

- კითხვებზე **35.1 და 35.5. – 1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„მცდარია“** და აპლიკანტს შესაბამის გრაფაში მოცემული აქვს არგუმენტირებული პასუხი **(კომენტარი),** მცდარი პასუხი ჩაწერილი აქვს სწორი ფორმით;

- კითხვაზე 35.2 – დასაშვებია ორი პასუხი (იხილეთ კომენტარი 35.2).

| № | კომენტარი |
|---|---|
| **35.1** | - მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, **პირველი (1) და მეორე (2) საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, ხოლო მესამე (3) საკითხთან დაკავშირებით გადაწვეტილების მიღება დირექტორს ერთპიროვნულადაც შეუძლია.** ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბისად, პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას სკოლის სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით (ეროვნული სასწავლო გეგმა, გვერდი 10), შესაბამისად, საკითხები, რომლებიც უკავშირდება სასკოლო სასწავლო გეგმაში რაიმე სახის ცვლილებების შეტანას (მეორე უცხო ენის დამატება (1), ან დამატებითი გაძლიერებული კლასების გამოყოფა (2)), აგრეთვე უნდა გადაწყდეს სკოლის პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოებთან შეთანხმებით. რაც შეეხება სკოლის პერსონალის მიმართ საკადრო გადაწყვეტილებების გამოტანას, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 თავის 43 მუხლის “ვ” და “ზ” ქვეპუნქტებით სკოლის დირექტორს საკმარისი ავტონომია აქვს მინიჭებული იმისათვის, რომ ამ მიმართულებით სამეურვეო საბჭოსთან ან სკოლის ნებისმიერ სხვა ერთეულთან შეთანხმების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება.<br>**შენიშვნა:** სწორ პასუხად ჩაითვლება უფრო მოკლედ ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული პასუხიც, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამავდროულად, არ არის სავალდებულო, რომ აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები. |

| | |
|---|---|
| **35.2** | ყურადღება: დებულება № 35.2 განსაკუთრებული შემთხვევაა, აქ დასაშვებია ორი პასუხი:<br><br>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში 2011 წლის 11 მარტს შევიდა გარკვეული ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ძალას ცვლილებების უმეტესობა 2011 წლის 1 სექტემბრიდან იძენს, გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით ცენტრმა გადაწყვიტა სწორად ჩათვალოს აპლიკანტების მიერ გაცემული პასუხების ორივე (მოქმედ და სექტემბერში ძალაში შემავალ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული) ვარიანტი. შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილ კომენტარებში მოცემული იქნება ორი შესაძლებლო სწორი პასუხი და აპლიკანტის მიერ მათგან რომელიმე ერთის დაწერა უნდა ჩაითვალოს სრულფასოვან და ამომწურავ პასუხად.<br><br>- აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი **„ჭეშმარიტია“**, ყოველგვარი კომენტარების გარეშე.<br><br>*წყარო: მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა.*<br><br>ან<br><br>- აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი „მცდარია“ და ერთვის კომენტარი<br><br>*„სკოლას არ აქვს უფლება დაამატოს გერმანული ენის შესწავლა დაწყებით საფეხურზე, ვინაიდან ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, დაწყებით საფეხურზე სავალდებულოა მხოლოდ ერთი – ინგლისური ენის სწავლება, მეორე უცხო ენის შემოღება კი დაუშვებელია მე-7 კლასამდე“.*<br><br>*წყარო: ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი მე-40, პუნქტი პირველი.*<br><br>***ყურადღება : თუკი აპლიკანტის პასუხი შეესაბამება მეორე ვარიანტში მითითებულ პასუხს, თუმცა არ აზუსტებს, რომ ეყრდნობა ახალ სასწავლო გეგმას, რომელიც ძალაში შედის 2011 წლის სექტემბრიდან, აპლიკანტის პასუხი არ ჩაითვლება სწორად.*** |
| **35.5** | - ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, **მოსწავლეები სარგებლობენ რწმენის თავისუფლებით. დაუშვებელია მათთვის ისეთი მოვალეობების დაკისრება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუნდაც თეატრალიზებული საღამოს ფარგლებში.** ერთადერთ გამონაკლისს ამ წესიდან წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც მისი დაცვა იწვევს სხვათა უფლებების შელახვას და/ან საფრთხეს უქმნის |

| | |
|---|---|
| | ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევების დონის დაძლევას.<br>*(წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 18, პუნქტი პირველი და მე-2).*<br><br>**შენიშვნა:** სწორ პასუხად ჩაითვლება უფრო მოკლედ ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული პასუხიც, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამავდროულად, არ არის სავალდებულო, რომ აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები. |
| 0 ქულა | - არასწორადაა მონიშნული პასუხი: (**„ჭეშმარიტია"**-ს ნაცვლად მონიშნულა **„მცდარი"** ან, პირიქით).<br>- პასუხი არ არის მონიშნული ან მონიშნულია ორივე (ჭეშმარიტია/მცდარია) პასუხი.<br>- **35.1** ან **35.5.** კითხვებზე – სწორად არის მონიშნული პასუხი (**„მცდარია"**), მაგრამ:<br>  - არ არის მითითებული კომენტარი;<br>  - წარმოდგენილი კომენტარი არასწორია;<br>  - წარმოდგენილი კომენტარი არსებითად წარმოადგენს კითხვის პერეფრაზს შებრუნებული ფორმით. |

# II ვარიანტი

## დავალებები 1–16

| დავალება № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწორი პასუხი | გ | გ | ბ | გ | ბ | გ | ა | ა | ბ | დ | გ | ბ | დ | ა | ბ | ბ |

## დავალება №17

*მაქსიმალური ქულა – 1*

| | |
|---|---|
| 1 ქულა | თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით:<br><br>ჩვევის ჩამოყალიბების ეტაპების თანმიმდევრობა (A) — I, II, III<br>ჩვევის ჩამოყალიბების ეტაპები (B) — გ, ბ, ა |
| 0 ქულა | ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი |

| ჩვევის ჩამოყალიბების ეტაპების თანმიმდევრობა (A) | I | II | III |
|---|---|---|---|
| ჩვევის ჩამოყალიბების ეტაპები (B) | გ | ბ | ა |

## დავალება №18

*მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა,</u> დასმული პრობლემის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. მსჯელობიდან იკვეთება, რომ აპლიკანტს ესმის გამოყენებული სასწავლო აქტივობის არსი და მნიშვნელობა. **<u>პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას:</u>**<br>- პასუხში სრულყოფილად არის აღწერილი მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის <u>მინიმუმ ორი დადებითი შედეგი, ამასთან,</u> პასუხი გამყარებულია დამაჯერებელი არგუმენტებითა და/ან ადეკვატური მაგალითებით. |

| | |
|---|---|
| | ან<br>- პასუხში სრულყოფილად არის აღწერილი მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის მინიმუმ ორი დადებითი შედეგი, ამასთან პასუხი გამყარებულია **ერთი** დამაჯერებელი არგუმენტით და/ან მაგალითით, რომელიც ადეკვატურია მის მიერ დასახელებული **ორივე დადებითი შედეგისთვის**. |
| 2 | აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა არ არის სრული/სქემატურია*:*<br>- აპლიკანტი **აღწერს** განხორციელებული სასწავლო აქტივობის მხოლოდ ერთ დადებით შედეგს და ადეკვატურად ასაბუთებს საკუთარ პასუხს.<br>ან<br>- აპლიკანტი **აღწერს** სასწავლო აქტივობის **ორ** დადებით შედეგს, მაგრამ **არ ასაბუთებს** საკუთარ პასუხს.<br>ან<br>- **დასახელებულია** ორი დადებითი შედეგი და ორივე განმარტებულია, თუმცა სქემატურად.<br>***დავალება მოითხოვს დადებითი შედეგების აღწერას, განმარტებას და არა დასახელებას.** |
| 1 | **პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი (ნაწილობრივი, ზედაპირული) ცოდნა; აპლიკანტი არ უპასუხებს პირობაში მოცემულ მნიშვნელოვან მითითებას.**<br>- აპლიკანტი **აღწერს** სასწავლო აქტივობის **ერთ** დადებით შედეგს, მაგრამ **არ ასაბუთებს** საკუთარ პასუხს;<br>ან<br>- **დასახელებულია** მხოლოდ ერთი დადებითი შედეგი და მოცემულია შესაბამისი არგუმენტი (პასუხი სქემატურია);<br>ან<br>- **დასახელებულია** რამდენიმე (ორზე მეტი) დადებითი შედეგი, მაგრამ არც ერთი არ არის დასაბუთებული. |
| 0 | **პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.<br>პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა; აპლიკანტი პირობაში მოცემულ ინფორმაციას იმეორებს კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. |

## დავალება №19

*მაქსიმალური ქულა – 4*

<table>
<tr><th>ქულა</th><th>აღწერა</th></tr>
<tr><td>4</td><td>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს სამივე მითითებას. ამასთან, მსჯელობა ყველა საკითხზე სრულყოფილია, დასაბუთებული, თანამიმდევრული, ლოგიკური და მკაფიო. აპლიკანტს ესმის, რომ დასმული პრობლემა უკავშირდება მოსწავლის გააზრებული კითხვის უნარის განვითარებას და ავლენს ამ საკითხის გარშემო გააზრებულ, დამაჯერებელ და სრულყოფილ ცოდნას. პასუხი მოიცავს სამ კომპონენტს:<br>- აპლიკანტის პასუხში აღწერილია მოსწავლის გააზრებული კითხვის უნარის ხელშემწყობი კონკრეტული სტრატეგიები;<br>- დასაბუთებულია, რატომ და როგორ დაეხმარება დასახელებული სტრატეგია მოსწავლეს გააზრებული კითხვის უნარის დაუფლებაში, ანუ დასაბუთებულია აღწერილი სტრატეგიის ადეკვატურობა;<br>- დასახელებულია ერთი წინაპირობა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის.</td></tr>
<tr><td>3</td><td>პასუხში ჩანს, საკითხის ცოდნა. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური.<br>- პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს. აპლიკანტი უპასუხებს სამივე მითითებას, თუმცა რომელიმეზე პასუხი ზოგადია ან სქემატური.<br>    - აპლიკანტი აღწერს პრაქტიკულ სტრატეგიას. პასუხიდან ჩანს, რომ აღწერილი სტრატეგია დაეხმარება მოსწავლეს გააზრებული კითხვის უნარის განვითარებაში;<br>    - დასაბუთებულია აღწერილი სტრატეგიის ადეკვატურობა, თუმცა დასაბუთება სქემატურია, ზედაპირული;<br>    - დასახელებულია ერთი წინაპირობა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის.<br>ან<br>- აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, შეესაბამება მოცემულ საკითხს, აპლიკანტი სრულყოფილად უპასუხებს მხოლოდ ორ მითითებას (აკლია მე-3 მითითებაზე პასუხი).<br>ან<br>- აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, შეესაბამება მოცემულ საკითხს, სტრატეგია მხოლოდ დასახელებულია და არ არის აღწერილი, დანარჩენ ორ მითითებაზე (მე-2 და მე-3) პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა.</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| 2 | **პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს ნაწილობრივი ცოდნა.**<br>- **აპლიკანტი არ უპასუხებს / უპასუხებს ზოგადად და სქემატურად პირობაში მოცემულ ერთ რომელიმე მნიშვნელოვან მითითებას (მაგალითად, დასაბუთების კომპონენტს). დანარჩენ მითითებებზე** აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, შეესაბამება მოცემულ საკითხს:<br>- დასახელებულია სტრატეგია, მაგრამ არ არის **აღწერილი**;<br>- დასაბუთება სქემატურია;<br>- დასახელებულია ადეკვატური წინაპირობა.<br>ან<br>- დასახელებულია სტრატეგია, მაგრამ არ არის **აღწერილი**;<br>- პასუხი დასაბუთებულია;<br>- არ არის დასახელებული წინაპირობა / წინაპირობა არაადეკვატურია.<br>ან<br>- სტრატეგია აღწერილია;<br>- დასაბუთება არ არის;<br>- ადეკვატური წინაპირობა დასახელებულია.<br>ან<br>- სტრატეგია აღწერილია;<br>- დასაბუთება სქემატურია, ზედაპირული;<br>- წინაპირობა არ არის / წინაპირობა არაადეკვატურია. |
| 1 | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა. **აპლიკანტი არ უპასუხებს/უპასუხებს ზოგადად და სქემატურად პირობაში მოცემულ ერთ რომელიმე მნიშვნელოვან მითითებას:**<br>- დასახელებულია სტრატეგია, მაგრამ არ არის **აღწერილი**;<br>- დასაბუთების კომპონენტი სქემატურია, აკლია დამაჯერებლობა;<br>- არ არის დასახელებული წინაპირობა / წინაპირობა არაადეკვატურია.<br>ან<br>- აპლიკანტი **აღწერს** პრაქტიკულ სტრატეგიას;<br>- პასუხი დასაბუთებული არ არის;<br>- არ არის დასახელებული წინაპირობა / წინაპირობა არაადეკვატურია.<br>ან<br>- მხოლოდ დასახელებულია სტრატეგია;<br>- დასაბუთება არ არის;<br>- წინაპირობა დასახელებულია.<br>ან<br>- დასახელებულია რამდენიმე ადეკვატური სტრატეგია დასაბუთებისა და წინაპირობის გარეშე. |
| 0 | <u>პასუხი არაადეკვატურია</u> **აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. |

## **დავალება №20** *მაქსიმალური ქულა – 5*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| **5** | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. პასუხი კონკრეტული და ამომწურავია და არა ზოგად მსჯელობაზე დაფუძნებული. მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია.<br>- **აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობაში მოცემულ ყველა მითითებას:** აღწერს ერთ უარყოფით შედეგს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მასწავლებლის მიერ მოსწავლის ხშირ და არამიზნობრივ წახალისებას, განიხილავს საკუთარ მსჯელობას ასაკობრივ ჭრილში (დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის).<br>- ასაბუთებს საკუთარ მსჯელობას. მისი პასუხი არის ამომწურავი და სრულყოფილი. ჩანს კავშირი პირველ და მეორე მითითებას შორის. |
| **4** | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. პასუხი კონკრეტული და ამომწურავია.<br>- აპლიკანტი აღწერს ერთ უარყოფით შედეგს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მასწავლებლის მიერ მოსწავლის ხშირ და არამიზნობრივ წახალისებას. განიხილავს საკუთარ მსჯელობას ასაკობრივ ჭრილში (დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის) და ასაბუთებს საკუთარ მსჯელობას, **მაგრამ პასუხში არ ჩანს კავშირები პირველ და მეორე მითითებებს შორის.** |
| **3** | პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა.<br>- აპლიკანტი აღწერს ერთ უარყოფით შედეგს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მასწავლებლის მიერ მოსწავლის ხშირ და არამიზნობრივ წახალისებას., **მაგრამ არ ასაბუთებს საკუთარ პასუხს,** თუმცა სრულყოფლად უპასუხებს მეორე მითითებას: განიხილავს საკუთარ მსჯელობას ასაკობრივ ჭრილში (დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის) და ასაბუთებს საკუთარ მსჯელობას.<br>ან<br>- აპლიკანტი **აღწერს ერთ უარყოფით შედეგს,** რომელიც შეიძლება მოჰყვეს მასწავლებლის მიერ მოსწავლის ხშირ და არამიზნობრივ წახალისებას და ასაბუთებს საკუთარ პასუხს, მაგრამ ნაწილობრივ უპასუხებს მეორე მითითებას: განიხილავს საკითხს ასაკობრივ ჭრილში (დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის) და **არ ასაბუთებს საკუთარ მსჯელობას.** |
| **2** | პასუხში ჩანს საკითხის არასრულყოფილი ცოდნა.<br>- აპლიკანტის პასუხი არის ნაწილობრივი/ზედაპირული, აკლია ერთი რომელიმე კომპონენტი: არ არის პასუხი პირველ ან მეორე მითითებაზე. |
| **1** | პასუხში ჩანს საკითხის ზედაპირული, არასრულყოფილი ცოდნა. |

| | |
|---|---|
| | - აპლიკანტის მსჯელობა ზედაპირულია, არგუმენტაცია ეფუძნება უნივერსალურ მსჯელობებს შექებისა და წახალისების ნეგატიური ეფექტის შესახებ, პასუხი პირველ ან მეორე მითითებაზე ბუნდოვანია. აპლიკანტის პასუხსა და მითითებებს შორის არ არის კავშირი: აპლიკანტი საუბრობს ზოგადად გარეგან მოტივაციაზე. |
| **0** | - აპლიკანტის პასუხი მთლიანობაში ბუნდოვანია და/ან არასწორი, არაადეკვატური. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა.<br>- დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. |

## დავალება №21.1

*მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს კარგად ესმის მშობელთან თანამშრომლობის მნიშვნელობა სასწავლო პროცესის ეფექტიანობისათვის, მისი მსჯელობა არის ადეკვატური და ლოგიკურად გამართული. იგი ზედმიწევნით კარგად იყენებს შესაბამის ცოდნას და უნარებს; პასუხში ჩანს მოცემული პრობლემის ადეკვატური გადაწყვეტის უნარი.<br>- აპლიკანტის პასუხი სრულად შეესაბამება მოცემულ საკითხს, მითითების მოთხოვნები სწორად არის გააზრებული:<br>  - აღწერს მასწავლებლის მინიმუმ **ერთ კონკრეტულ აქტივობას** და **ასაბუთებს აღწერილი აქტივობის ეფექტიანობას** ლოგიკური არგუმენტებით და/ან დამაჯერებელი, ადეკვატური მაგალით(ებ)ით. |
| 2 | პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა და /ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური.<br>- აღწერს მასწავლებლის მინიმუმ ერთ კონკრეტულ აქტივობას და ასაბუთებს აღწერილი აქტივობის ეფექტიანობას ზოგადი არგუმენტებით. მისი პასუხი ლოგიკურად გამართულია, მაგრამ არ არის სრულყოფილი. პასუხში ჩანს, რომ მას კარგად ესმის მშობელთან თანამშრომლობის მნიშვნელობა სასწავლო პროცესის ეფექტიანობისათვის, მისი მსჯელობა არის ადეკვატური, თუმცა ზოგადი.<br>ან<br>- აპლიკანტი სრულყოფილად და ამომწურავად აღწერს აქტივობას, მაგრამ პასუხს არ ასაბუთებს შესაბამისი არგუმენტით. |
| 1 | პასუხში ჩანს საკითხის ზედაპირული ცოდნა. აპლიკანტი არ |

| | |
|---|---|
| | **უპასუხებს პირობით გათვალისწინებულ ორივე მითითებას ან მისი პასუხი ოდნავ სცდება დასმულ პრობლემას, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.**<br>- აპლიკანტი სქემატურად აღწერს/ასახელებს მასწავლებლის აქტივობას, მაგრამ არ ასაბუთებს მას. მისი მსჯელობა ადეკვატურია, თუმცა არასრული.<br>ან<br>- აპლიკანტი აღწერს ერთ აქტივობას და ასაბუთებს მის ეფექტიანობას კონკრეტული არგუმენტებით. მაგრამ მის მიერ აღწერილი აქტივობა მიმართულია საკუთარი პოზიციების გასამყარებლად, მისი ობიექტურობის დასამტკიცებლად და არა მშობლის ნდობის მოსაპოვებლად.<br>*(მაგალითად, მასწავლებელი ურჩევს მშობელს სხვა მასწავლებლებთან, კლასის სხვა მოსწავლეებთან გასაუბრებას, რომლებიც დაადასტურებენ მასწავლებლის სიმართლესა და ობიექტურობას; რიგ შემთხვევაში პრობლემის დადაჭრისა და ნდობის მოპოვების ნაცვლად აპლიკანტი მშობელთან ურთიერთობისთვის იყენებს მესამე პირს – სთხოვს კოლეგას, შეატყობინოს მშობელს მოსწავლის უდისცილინობის შესახებ).* |
| 0 | **პასუხი არაადეკვატურია აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა.<br>- დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები;<br>- პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი არგუმენტები.<br>- პასუხში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია ან დასახელებულია არაფრისმთქმელი, ბუნდოვანი აქტივობები არგუმენტაციის გარეშე. |

## დავალება №21.2

*მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა და /ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა. მისი მსჯელობა ადეკვატურია და ლოგიკურად გამართული. მსჯელობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით.<br>- აპლიკანტი **კომპლექსურად მიმოიხილავს იმ ძირითად მოთხოვნებს** (*სანდოობა, ვალიდობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა*), რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს |

| | |
|---|---|
| | შეფასების სქემა.<br>- ამასთან პასუხი განმარტებულია და გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებით.<br>ან<br>- **დასახელებეულია ერთი აქტივობა**, რომელიც ადეკვატურად აღწერს შეფასების სქემის შექმნას რომელიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმის შესაბამისად (მაგალითად, როგორ, რა აქტივობით უზრუნველვყოთ გამჭვირვალობა და ა.შ). პასუხი ლოგიკურად გამართული, სრული და ადეკვატურია.<br>- **პასუხი კარგად არგუმენტირებულია** (განმარტებულია და გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებით). |
| 2 | <u>პასუხში ჩანს, საკითხის ცოდნა და /ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური.</u><br>- აპლიკანტი **აღწერს/განმარტავს ერთ ძირითად მოთხოვნას მაინც**, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების სქემა (ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი ერთი: *სანდოობა, ვალიდობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა*). **ამასთან, მოყვანილია აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ მოთხოვნების დაცვას.** პასუხი **დაუსაბუთებულია** ან **არგუმენტაცია ზედაპირულია, სქემატური.**<br>ან<br>- აპლიკანტი **ასახელებს** (და არ აღწერს, როგორც ამას დავალების პირობა მოითხოვს) შეფასების სქემის შექმნისთვის მნიშვნელოვან მოთხოვნებს (*სანდოობა, ვალიდობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა*). **პასუხი დასაბუთებულია იმგვარად, რომ ჩანს აპლიკანტის ცოდნა.** |
| 1 | <u>პასუხში ჩანს, საკითხის ნაწილობრივი ცოდნა და /ან ნაწილობრივ პრობლემის გადაწყვეტის უნარი, პასუხი სქემატურია, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული.</u><br>- **სქემატურად** არის **აღწერილი** შეფასების სქემისთვის მნიშვნელოვანი პირობების (სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა, ობიქტურობა) უზრუნველყოფისაკენ მიმართული კონკრეტული აქტივობა, **დამატებითი კომენტარებისა და მისი ადეკვატურობის დასაბუთების გარეშე.**<br>ან<br>- **დასახელებულია** შეფასების სქემის შექმნისას გასათვალისწინებელი პირობების (სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა, ობიქტურობა) უზრუნველყოფისაკენ მიმართული კონკრეტული აქტივობა. **პასუხი დასაბუთებულია**, მაგრამ **დასაბუთება ძალიან სქემატურია**, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული.<br>ან<br>- **დასახელებულია შეფასების სქემის შედგენისათვის აუცილებელი სამი პირობა/პრინციპი** (*სანდოობა, ვალიდობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა)* **მაინც, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის** დასაბუთებული. |
| 0 | - <u>აპლიკანტის პასუხი ბუნდოვანია და გაუგებარი.</u> შესაბამისად, არ იძლევა კონკრეტული პოზიციის/აზრის ამოკითხვის |

| | |
|---|---|
| | შესაძლებლობას დავალებაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;<br>ან<br>- **არსებითად წარმოადგენს დავალებაში მოცემული პირობის პერეფრაზს.**<br>ან<br>- აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა. |

**დავალება 21.3** *მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს **საკითხის სრულყოფილი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული,** აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა. პასუხში მოცემულია საკითხის დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, **სპეციფიკური არგუმენტებით.**<br>- აპლიკანტი ასახელებს და **ამომწურავად აღწერს ჯგუფური დაგეგმვის ერთ, არსებით (ძირითად) უპირატესობას,** ამავდროულად წარმოადგენს საკუთარი პასუხის დასაბუთებას – **ხსნის, თუ კონკრეტულად როგორ (რატომ) ხდება მის მიერ დასახელებული დადებითი შედეგის მიღწევა.* პასუხი კონკრეტული და ამომწურავია და არა ზოგად მსჯელობაზე** (მაგალითად, ჯგუფური დაგეგმვა კარგია სასწავლო პროცესისთვის) დაფუძნებული.<br>**დასაბუთებად ვერ ჩაითვლება აპლიკანტის მიერ დავალების რაიმე ფორმით პერეფრაზირება (მაგ., ჯგუფური დაგეგმვა აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს სკოლებში), ან მხოლოდ ზოგადი მსჯელობა იმაზე, რომ ჯგუფური დაგეგმვა უფრო ეფექტიანია, ვიდრე ინდივიდუალური.* |
| 2 | **პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი /ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური.**<br>- აპლიკანტი ასახელებს და **აღწერს ჯგუფური დაგეგმვის ერთ არარსებით (მეორეხარისხოვან) უპირატესობას**, ამავდროულად წარმოადგენს საკუთარი პასუხის დასაბუთებას – **ხსნის, თუ კონკრეტულად როგორ (რატომ) ხდება მის მიერ დასახელებული დადებითი შედეგის მიღწევა. დასაბუთებას აკლია დამაჯერებლობა.**<br>ან<br>- აპლიკანტი **ასახელებს და არ აღწერს ჯგუფური დაგეგმვის ერთ არსებით უპირატესობას, მაგრამ ასაბუთებს,** ხსნის, თუ |

| | |
|---|---|
| | კონკრეტულად როგორ (რატომ) მიიღწევა მის მიერ დასახელებული დადებითი შედეგი. |
| 1 | **პასუხში ჩანს აპლიკანტის არასრულყოფილი ცოდნა საკითხის შესახებ.**<br>- აპლიკანტი **ასახელებს ჯგუფური დაგეგმვის არსებით ან არაარსებით უპირატესობას და ასაბუთებს პასუხს, თუმცა წარმოდგენილი დასაბუთება ძალიან ზოგადია** (ეფუძნება უნივერსალურ მსჯელობებს. მაგალითად, იზრდება სწავლის ეფექტიანობა, უმჯობესდება სასწავლო გარემო და ა.შ.).<br>ან<br>- აპლიკანტი ასახელებს ჯგუფური დაგეგმვის არსებით ან არაარსებით უპირატესობას და ასაბუთებს პასუხს, თუმცა წარმოდგენილი დასაბუთება ბუნდოვანი და გაუგებარია. არ ჩანს, კონკრეტულად რითი არის განპირობებული აპლიკანტის მიერ დასახელებული უპირატესობის დადებითი ეფექტი.<br>ან<br>- აპლიკანტი ასახელებს ჯგუფური დაგეგმვის არსებით ან არაარსებით უპირატესობას, თუმცა არ ასაბუთებს საკუთარ პასუხს.<br>ან<br>- აპლიკანტი ასახელებს ჯგუფური დაგეგმვის რამდენიმე არსებით და არაარსებით უპირატესობას დასაბუთების გარეშე. |
| 0 | პასუხი არაადეკვატურია.<br>- აპლიკანტის მიერ მოყვანილია არგუმენტი, რომელიც არ წარმოადგენს ჯგუფური დაგეგმვის უპირატესობას.<br>ან<br>- აპლიკანტის პასუხი მთლიანობაში ბუნდოვანია და გაუგებარი, ძალიან მოკლე ან არარელევანტური შინაარსისა და არ იძლევა კონკრეტული პოზიციის/აზრის ამოკითხვის შესაძლებლობას დავალებაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;<br>ან<br>- ნაცვლად სასწავლო პროცესის ჯგუფური დაგეგმვისა, აპლიკანტი იხილავს ჯგუფური მუშაობის ფორმას კლასში და ხსნის მის მნიშვნელობას მოსწავლეებისათვის. |

## დავალება 21.4

*მაქსიმალური ქულა – 5*

დავალებები 21.4.1 და 21.4.2. თითეულის მაქსიმალური ქულაა 2.

- 2 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას – აღწერილია პრობლემის დაძლევის ადეკვატური სტრატეგია და, ამასთან, პასუხი დასაბუთებულია.
- 5 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი უპასუხებს 21.4.1 და 21.4.2 დავალებების ყველა მითითებას, ამასთან პასუხი სრულია, ლოგიკური, თანმიმდევრული და ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა.

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 5 | აპლიკანტი უპასუხებს 21.4.1 და 21.4.2 დავალებების ყველა მითითებას:<br>- აღწერილია ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც დავალების პირობაში წამოჭრილი პრობლემის მოგვარების ადეკვატური გზაა.<br>- **პასუხი არგუმენტირებულია** – აპლიკანტი ასაბუთებს აღწერილი აქტივობის/სტრატეგიის ეფექტიანობას.<br>პასუხი არის სრული, ამომწურავი, ლოგიკური. ჩანს, რომ აპლიკანტს გააჩნია საჭირო ცოდნა, სწორად იაზრებს პრობლემის არსს და შესწევს უნარი კვალიფიციურად მოაგვაროს მსგავსი პრობლემები, ამასთან, თითოეული პრობლემის მოსაგვარებლად განსხვავებული სტრატეგიებია აღწერილი. |
| 4 | **აპლიკანტი უპასუხებს დავალება 21.4.1-ის და დავალება 21.4.2-ის ორივე მითითებას. პირველი მითითებაზე აპლიკანტის პასუხი სრულყოფილია (აღწერილია ორი ადეკვატური აქტივობა), მაგრამ არგუმენტაციის ნაწილი სქემატურია ან არასრული:**<br>- დავალებების 21.4.1, 21.4.2 I მითითების შესაბამისად, აღწერილია ორი კონკრეტული აქტივობა, ამასთან, თითოეული ადეკვატურია დავალების პირობაში დასმული პრობლემების მოსაგვარებლად. პასუხი დასაბუთებულია, თუმცა დასაბუთება სქემატურია.<br>ან<br>- დავალებების 21.4.1, 21.4.2 I მითითების შესაბამისად, აღწერილია ორი კონკრეტული აქტივობა, ამასთან, თითოეული ადეკვატურია დავალების პირობაში დასმული პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ აპლიკანტი ასაბუთებს **მხოლოდ ერთ-ერთ აქტივობას, ამასთან დასაბუთება არ არის სქემატური** ან მოცემულია ისეთი ზოგადი არგუმენტი, რომელიც მართებულია ორივე აღწერილი აქტივობისათვის. |
| 3 | **აპლიკანტის პასუხი ნაწილობრივია, არ უპასუხებს დავალება 21.4.1-ის და დავალება 21.4.2-ის ყველა მითითებას, პასუხი არასრულია:** |

| | |
|---|---|
| | - დავალებების 21.4.1, 21.4.2 I მითითების შესაბამისად, აღწერილია ორი კონკრეტული ადეკვატური აქტივობა, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთია დასაბუთებული, ისიც სუსტი/სქემატური არგუმენტით.<br>ან<br>- დავალებების 21.4.1, 21.4.2 I მითითების შესაბამისად, სრულად არის აღწერილი ორი კონკრეტული ადეკვატური აქტივობა, მაგრამ პასუხი არ არის არგუმენტირებული. |
| 2 | აპლიკანტის პასუხი ნაწილობრივია და, ამასთან, სქემატური.<br>- აპლიკანტი უპასუხებს ორი დავალებიდან (21.4.1 და 21.4.2) მხოლოდ ერთს. თუმცა უპასუხებს ერთი დავალების ორივე მითითებას: **აღწერილია** პრობლემის დაძლევაზე მიმართული კონკრეტული ადეკვატური აქტივობა და პასუხი **დასაბუთებულია.**<br>ან<br>- **დასახელებულია** დავალებების 21.4.1-ისა და 21.4.2-ის შესაბამისი **ორი** აქტივობა, ორივე აქტივობა ადეკვატურია, მაგრამ სქემატურადაა აღწერილი. |
| 1 | აპლიკანტი ორი დავალებიდან (21.4.1 და 21.4.2) უპასუხებს მხოლოდ ერთს და, ამასთან, პასუხი ნაწილობრივია (არ უპასუხებს ორივე მითითებას) ან რომელიმე მითითებაზე პასუხი სქემატურია:<br>- **პასუხი ნაწილობრივია**: აღწერს ადეკვატურ აქტივობას, მაგრამ პასუხი არგუმენტირებული არ არის.<br>ან<br>- **პასუხი მოიცავს ორივე კომპონენტს, თუმცა მთლიანობაში პასუხი ზედაპირული და ძალიან სქემატურია**: ასახელებს, მაგრამ არ აღწერს ადეკვატურ აქტივობას და ამასთან დასაბუთების კომპონენტი ძალიან სქემატურია. |
| 0 | პასუხი არაადეკვატურია. **აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს ესმის დასმული მოთხოვნა და აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა. |

## დავალება №21.5

*მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|

| | |
|---|---|
| 3 | <u>პასუხში ჩანს **საკითხის სრულყოფილი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული,** აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა.</u> პასუხში მოცემულია საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. <u>აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, **სპეციფიკური არგუმენტებით.**</u><br>- დეტალურადაა აღწერილი სწავლების ახალი მეთოდის შესაფასებელი კონკრეტული მეთოდიკა, ამასთან, ჩანს **პრობლემის კომპლექსური ხედვა** – დასახელებულია წინაპირობები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მეთოდის ეფექტიანობის შეფასებისას, განხილულია პრინციპები და/ან სტანდარტები, რომლებიც პედაგოგმა უნდა დაიცვას ან გაითვალისწინოს სახელმძღვანელოს ეფექტიანობის შეფასებისას.<br>- პასუხი არგუმენტირებულია, მსჯელობა დამაჯერებელია, თანამიმდევრული და ლოგიკური. |
| 2 | <u>**პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა და /ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური.**</u><br>- აღწერილია სახელმძღვანელოს შესაფასებელი კონკრეტული მეთოდიკა, პასუხი განმარტებულია და/ან გამყარებულია ერთი არგუმენტით (მაგალითით, ნიმუშით) მაინც, **თუმცა არ არის აღწერილი ის წინაპირობები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა სახელმძღვანელოს ეფექტიანობის შეფასებისას.** |
| 1 | <u>**პასუხში ჩანს საკითხის ზედაპირული ცოდნა და/ან ნაწილობრივ პრობლემის გადაწყვეტის უნარი.**</u> **აპლიკანტი არ უპასუხებს პირობით გათვალისწინებულ ორივე მითითებას ან მისი პასუხი ოდნავ სცდება დასმულ პრობლემას, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.**<br>- **სქემატურად** აღწერილია სწავლების სახელმძღვანელოს ეფექტიანობის შესაფასებელი კონკრეტული მეთოდიკა, პასუხი <u>არ არის</u> განმარტებული და/ან გამყარებული ერთი არგუმენტით მაინც. |
| 0 | <u>**პასუხი არაადეკვატურია.**</u> **აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა.<br>- დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები; |

| | |
|---|---|
| | - პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი არგუმენტები.<br>ან<br>- პასუხში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია ან დასახელებულია არაფრისმთქმელი, ბუნდოვანი აქტივობები არგუმენტაციის გარეშე. |

## დავალებები 22–30

| დავალება № | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწორი პასუხი | ბ | გ | ბ | გ | ა | ა | ბ | ა | გ |

## დავალება №31

*მაქსიმალური ქულა – 1*

| | |
|---|---|
| 1 ქულა | თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით: |
| 0 ქულა | ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი |

| სირთულის დონე | I – დაბალი | II- საშუალო | III - მაღალი |
|---|---|---|---|
| შემეცნებითი აქტივობა | გ | ა | ბ |

## დავალება №32

*მაქსიმალური ქულა – 1*

| | |
|---|---|
| 1 ქულა | თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით: |
| 0 ქულა | ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი |

| სტადიის მახასიათებელი (A) | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| განვითარების სტადია (B) | გ | ა | დ | ბ |

## დავალება №33

*მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|

| | |
|---|---|
| 3 | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ყველა კითხვას/მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა.</u> <u>**მოცემულია საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. პასუხი გამყარებულია არგუმენტითა და/ან დამაჯერებელი, ადეკვატური მაგალითით უზნაძის თეორიიდან.**</u><br>- პასუხი სრულად შეესაბამება მოცემულ საკითხს, დავალების პირობა სწორად არის გააზრებული და უპასუხებს სამ ძირითად მითითებას: (1)უზნაძის თეორიაზე დაყრდნობით, აპლიკანტი აღწერს აღზრდის ძირითადი ტრაგედიის არსს. (2)დასახელებულია ფაქტორები, რომლებიც უზნაძის თეორიის მიხედვით, ჩვეულებრივ, განაპირობებენ სწავლისადმი განწყობის ჩამოყალიბებას და (3)განმარტებულია, თუ რატომ ვერ ჩამოუყალიბდა მოსწავლეს სწავლისადმი განწყობა.<br><u>ან</u><br>- <u>აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა.</u> <u>**ამასთან, სამი მითითებიდან ერთ-ერთში მაინც არის ადეკვატურად გამოყენებული უზნაძის თეორია, ჩანს თეორიის სრულყოფილი ცოდნა,**</u> პასუხი **არგუმენტირებული,** ლოგიკური, თანამიმდევრული და სრულყოფილია. |
| 2 | <u>**პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური.**</u> <u>არ არის დაშვებული ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა.</u><br>- აპლიკანტის პასუხი სამივე მითითებაზე <u>არის სწორი</u> /ადეკვატური, თუმცა პასუხი ერთ-ერთზე არასრულყოფილი და სქემატურია. <u>ამასთან, სამი მითითებიდან ერთ-ერთში მაინც არის ადეკვატურად გამოყენებული უზნაძის თეორია, ჩანს უზნაძის თეორიის ცოდნა</u>.<br>ან<br>- აპლიკანტის უპასუხებს მხოლოდ ორ მითითებას: 1. ასახლებს და აღწერს აღზრდის ძირითადი ტრაგედიის არსს; 2. საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით ადეკვატურად აღწერს, თუ რატომ არ ჩამოუყალიბდა მოსწავლეს საგნის სწავლისადმი განწყობა. აპლიკანტის პასუხი ლოგიკური, თანამიმდევრული და სრულყოფილია.<br>ან<br>- აპლიკანტის უპასუხებს მხოლოდ ორ მითითებას. პასუხში არ არის განმარტებული აღზრდის ძირითადი ტრაგედიის არსი, თუმცა <u>ადეკვატურადაა გამოყენებული უზნაძის თეორია, დასახელებული და აღწერილია ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს განწყობის ჩამოყალიბებაში და აღწერილია, რატომ ვერ ჩამოუყალიბდა მოსწავლეს შესაბამისი განწყობა.</u> მასწავლებლის ამ ორ მითითებაზე პასუხი არგუმენტირებული, ლოგიკური, თანამიმდევრულია. |
| 1 | <u>**პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი (ნაწილობრივი, ზედაპირული) ცოდნა;**</u> აპლიკანტი <u>**არ უპასუხებს**</u> |

| | |
|---|---|
| | **პირობაში მოცემულ ყველა მითითებას ან მისი პასუხი ნაწილობრივ სცდება დასმულ პრობლემას. თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ზოგადად ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი. დაშვებულია ერთი ფაქტობრივი შეცდომა.**<br>**აპლიკანტი უპასუხებს ორ მითითებას მაინც. პასუხი ეყრდნობა უზნაძის თეორიას, შეიცავს ადეკვატური მსჯელობის ელემენტებს, მაგრამ დაშვებულია უზუსტობა, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის არასრულყოფილი, ნაწილობრივი ცოდნა. პასუხი ძალიან სქემატურია:**<br>- აპლიკანტი ცდილობს ახსნას, რა ფაქტორები განაპირობებს სწავლისადმი განწყობის ჩამოყალიბებას, თუმცა მსჯელობა სქემატურია; დასახელებულია „აღზრდის ტრაგედია“, მაგრამ არ არის აღწერილი აღზრდის ტრაგედიის არსი; პასუხი არ არის არგუმენტირებული.<br>ან<br>- აპლიკანტი ცდილობს ახსნას, რატომ არ ჩამოუყალიბდა მოსწავლეს საგნის სწავლის განწყობა, თუმცა მსჯელობა სქემატურია; პასუხი შეიცავს ერთ არგუმენტს მაინც.<br>ან<br>- აპლიკანტი საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით ადეკვატურად აანალიზებს დავალებაში დასმულ პრობლემას, მაგრამ არ იყენებს მოცემული ავტორის თეორიის ძირითად ცნებებს. ამასთან, საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით განმარტავს, რა ფაქტორები განაპირობებენ სწავლისადმი განწყობის ჩამოყალიბებას<br>**აპლიკანტი სრულყოფილად უპასუხებს დავლებაში მოცემულ მხოლოდ ერთ მითითებას:**<br>- ასახელებს აღზრდის ძირითად ტრაგედიას და განმარტავს მის არსს.<br>ან<br>- ასახელებს ფაქტორებს, რომლებიც უზნაძის მიხედვით განაპირობებს მოსწავლის სწავლისადმი განწყობის ჩამოყალიბებას.<br>ან<br>- *ხსნის, რატომ არ ჩამოუყალიბდა მოსწავლეს განწყობა აღწერილ სიტუაციაში.* |
| 0 | **პასუხი არაადეკვატურია აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია მოცემული, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა.<br>- დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები;<br>- პასუხში წარმოდგენილია ცუდი/არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი/ცუდი არგუმენტები. |

## დავალება №34

*მაქსიმალური ქულა – 5*

- კითხვებზე – **34.2; 34.4 და 34.5 – 1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„ჭეშმარიტია”** – (კომენტარს არ საჭიროებს);
- კითხვებზე **34.1** და **34.3 – 1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„მცდარია”** და აპლიკანტს შესაბამის გრაფაში მოცემული აქვს არგუმენტირებული პასუხი **(კომენტარი),** მცდარი პასუხი ჩაწერილი აქვს სწორი ფორმით:

| № | კომენტარი |
|---|---|
| 34.1 | - ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია 2015 წლამდე (2014 წლის ჩათვლით), შესაბამისად, გამოცდაზე გაუსვლელობა და/ან პედაგოგის სერტიფიკატის არარსებობა არ შეიძლება გახდეს მასწავლებლის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი 2010 – 2011 სასწავლო წლისათვის.<br>*(წყარო: ზოგადი განათლების შესახებ კანონის 61-ე მუხლი, მე-2 პუნქტი).*<br>**შენიშვნა:** სწორ პასუხად ჩაითვლება უფრო მოკლედ ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული პასუხიც, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები. |
| 34.3 | - ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მასწავლებლობის უფლების განახლება შესაძლებელია სასერტიფიკაციო გამოცდის ხელახლა ჩაბარების ან მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვით და ამ სქემით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვების გზით. უფლების განახლება შესაძლებელია ამ ორი გზის კომბინაციითაც.<br>*(წყარო: ზოგადი განათლების შესახებ კანონის 21 (7) –ე მუხლის მეორე პუნქტი.)*<br>**შენიშვნა:** სწორ პასუხად ჩაითვლება უფრო მოკლედ ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული პასუხიც, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები. |
| 0 | - არასწორადაა მონიშნული პასუხი: (**„ჭეშმარიტიას”** ნაცვლად |

| ქულა | მონიშნულია „მცდარი” ან, პირიქით).<br>▪ პასუხი არ არის მონიშნული ან მონიშნულია ორივე (ჭეშმარიტია/მცდარია) პასუხი.<br>▪ 34.1 ან 34.3. კითხვებზე – სწორად არის მონიშნულია პასუხი („მცდარია”), მაგრამ:<br>- არ არის მითითებული კომენტარი;<br>- წარმოდგენილი კომენტარი არასწორია;<br>- წარმოდგენილი კომენტარი არსებითად წარმოადგენს კითხვის პერეფრაზს შებრუნებული ფორმით. |
|---|---|

## დავალება №35

*მაქსიმალური ქულა – 5*

- კითხვებზე – **35.4** და **35.5** – 1 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – „ჭეშმარიტია“ – (კომენტარს არ საჭიროებს);
- კითხვაზე **35.1** – დასაშვებია ორი პასუხი (იხილეთ კომენტარი 35.1).
- კითხვებზე **35.2** და **35.3.** – 1 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – „მცდარია” და აპლიკანტს შესაბამის გრაფაში მოცემული აქვს არგუმენტირებული პასუხი **(კომენტარი),** მცდარი პასუხი ჩაწერილი აქვს სწორი ფორმით;

| № | კომენტარი |
|---|---|
| 35.1 | ყურადღება: დავალება №35.1 განსაკუთრებული შემთხვევაა, აქ დასაშვებია ორი პასუხი:<br><br>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში 2011 წლის 11 მარტს შევიდა გარკვეული ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ძალას ცვლილებების უმეტესობა 2011 წლის სექტემბრიდან იძენს, გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით ცენტრმა გადაწყვიტა სწორად ჩათვალოს აპლიკანტების მიერ გაცემული პასუხების ორივე (მოქმედ და სექტემბერში ძალაში შემავალ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული) ვარიანტი. შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილ კომენტარებში მოცემული იქნება ორი შესაძლებლო სწორი პასუხი და აპლიკანტის მიერ მათგან რომელიმე ერთის დაწერა უნდა ჩაითვალოს სრულფასოვან და ამომწურავ პასუხად.<br><br>- აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი “ჭეშმარიტია” |

| | |
|---|---|
| | ყოველგვარი კომენტარის გარეშე.<br>*წყარო: მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა.*<br>- აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი "მცდარია" და ერთვის კომენტარი **"საბაზო საფეხური დაძლეულად ითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი,** რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას", ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული იგივე აზრი.<br>*წყარო: ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 21 პუნქტი* 3.<br><br>**ხაზგასასმელია, რომ აპლიკანტის პასუხი ჩაითვლება სწორად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიუთითებს, რომ ეყრდნობა ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას.** |
| 35.2 | - ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ზოგადი განათლების მიღება შეიძლება ექსტერნის ფორმით. ამ შემთხვევაში განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი ექსტერნზე გაიცემა მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევისა და სკოლის გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. ამასთან, **ზოგადი განათლების კლასის/კლასების, ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა თითოეულ კლასში და საგანში ტარდება ცალ-ცალკე.**<br>*(წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 და მე-4(1)პუნქტები, აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული ექსტერნის წესით მიღებული ზოგადი განათლების სერტიფიცირების დებულება).*<br><br>**შენიშვნა:** სწორ პასუხად ჩაითვლება უფრო მოკლედ ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული პასუხიც, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები. |
| 35.3 | - **ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის** |

| | |
|---|---|
| | <u>თანახმად, ექსტერნის წესით განათლების მიღებისას შესაბამისი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ატესტატს გასცემს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეული – საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი, ან თვითონ განათლების სამინისტრო და არა სკოლა.</u><br><br>*წყარო:(ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 9, პუნქტი 4(1).*<br><br>**შენიშვნა:** სწორ პასუხად ჩაითვლება უფრო მოკლედ ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული პასუხიც, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები. |
| 0 ქულა | - არასწორადაა მონიშნული პასუხი: (**„ჭეშმარიტიას“** ნაცვლად მონიშნულა **„მცდარი“** ან, პირიქით).<br>- ან **35.3.** კითხვებზე – სწორად არის მონიშნულია პასუხი (**„მცდარია“**), მაგრამ:<br>    - არ არის მითითებული კომენტარი;<br>    - წარმოდგენილი კომენტარი არასწორია;<br>    - წარმოდგენილი კომენტარი არსებითად წარმოადგენს კითხვის პერეფრაზს შებრუნებული ფორმით. |

# III ვარიანტი

## დავალებები 1–16

| დავალება № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწორი პასუხი | დ | ბ | გ | ა | გ | გ | გ | ა | გ | გ | ბ | ბ | დ | დ | გ | ა |

## დავალება №17

*მაქსიმალური ქულა – 1*

<table>
<tr><td>1 ქულა</td><td>თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით:<br><br>
<table>
<tr><td>შეფასების მაგალითები (A)</td><td>I</td><td>II</td><td>III</td></tr>
<tr><td>შეფასების ტიპი (B)</td><td>დ</td><td>ა</td><td>ბ</td></tr>
</table>
<br>ან<br><br>
<table>
<tr><td>შეფასების მაგალითები (A)</td><td>I</td><td>II</td><td>III</td></tr>
<tr><td>შეფასების ტიპი (B)</td><td>დ</td><td>გ</td><td>ბ</td></tr>
</table>
</td></tr>
<tr><td>0 ქულა</td><td>ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი</td></tr>
</table>

## დავალება №18

*მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა,</u> დასმული პრობლემის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. მსჯელობიდან იკვეთება, რომ აპლიკანტს ესმის გამოყენებული სასწავლო აქტივობის არსი და მნიშვნელობა. <u>პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას:</u><br>- პასუხში სრულყოფილად არის აღწერილი მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის <u>მინიმუმ ორი დადებითი შედეგი, ამასთან,</u> პასუხი გამყარებულია დამაჯერებელი არგუმენტებითა და/ან ადეკვატური მაგალითებით.<br>ან<br>- პასუხში სრულყოფილად არის აღწერილი მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის <u>მინიმუმ ორი დადებითი შედეგი, ამასთან</u> პასუხი გამყარებულია **ერთი** დამაჯერებელი არგუმენტით და/ან მაგალითით, რომელიც ადეკვატურია მის მიერ დასახელებული <u>**ორივე დადებითი შედეგისთვის**</u>. |
| 2 | <u>აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური,</u> პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა არ არის სრული/სქემატურია*:*<br>- აპლიკანტი **აღწერს** განხორციელებული სასწავლო აქტივობის <u>მხოლოდ ერთ დადებით შედეგს</u> და ადეკვატურად ასაბუთებს საკუთარ პასუხს.<br>ან<br>- აპლიკანტი **აღწერს** სასწავლო აქტივობის **ორ** დადებით შედეგს, მაგრამ <u>**არ ასაბუთებს**</u> საკუთარ პასუხს.<br>ან<br>- **დასახელებულია** ორი დადებითი შედეგი და ორივე განმარტებულია, თუმცა სქემატურად.<br>***დავალება მოითხოვს დადებითი შედეგების აღწერას, განმარტებას და არა დასახელებას.** |
| 1 | <u>პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი (ნაწილობრივი, ზედაპირული) ცოდნა; აპლიკანტი არ უპასუხებს პირობაში მოცემულ მნიშვნელოვან მითითებას</u>.<br>- აპლიკანტი **აღწერს** სასწავლო აქტივობის **ერთ** დადებით შედეგს, მაგრამ <u>**არ ასაბუთებს**</u> საკუთარ პასუხს;<br>ან<br>- **დასახელებულია** მხოლოდ ერთი დადებითი შედეგი და მოცემულია შესაბამისი არგუმენტი (პასუხი სქემატურია);<br>ან<br>- **დასახელებულია** რამდენიმე (ორზე მეტი) დადებითი შედეგი, მაგრამ არც ერთი არ არის დასაბუთებული. |

| | |
|---|---|
| 0 | <u>პასუხი არაადეკვატურია.</u> **აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა; აპლიკანტი პირობაში მოცემულ ინფორმაციას იმეორებს კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. |

## დავალება №19

*მაქსიმალური ქულა – 4*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 4 | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს სამივე მითითებას.</u> ამასთან, მსჯელობა ყველა საკითხზე სრულყოფილია, დასაბუთებული, თანამიმდევრული, ლოგიკური და მკაფიო. აპლიკანტს ესმის, რომ დასმული პრობლემა უკავშირდება მოსწავლის **კრიტიკული აზროვნების უნარის** განვითარებას და ავლენს ამ საკითხის გარშემო გააზრებულ, დამაჯერებელ და სრულყოფილ ცოდნას. პასუხი მოიცავს სამ კომპონენტს:<br>- აღწერილია მოსწავლის **კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარების** ხელშემწყობი კონკრეტული სტრატეგიები;<br>- დასაბუთებულია აღწერილი სტრატეგიის ადეკვატურობა. ნაჩვენებია, როგორ უვითარდება მოსწავლეს კრიტიკული აზროვნების უნარი სწავლის დროს, როგორ ეხმარება აღწერილი სტრატეგია მას საკითხის მრავალმხრივ ხედვასა და შეფასებაში;<br>- დასახელებულია ერთი წინაპირობა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის. |
| 3 | <u>პასუხში ჩანს, საკითხის ცოდნა. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური.</u><br>პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს. **<u>აპლიკანტი უპასუხებს სამივე მითითებას,</u>** <u>თუმცა</u> რომელიმეზე პასუხი ზოგადია ან სქემატური.<br>- აპლიკანტი აღწერს პრაქტიკულ სტრატეგიას. პასუხიდან ჩანს, რომ აღწერილი სტრატეგია დაეხმარება მოსწავლეს **კრიტიკული აზროვნების უნარის** განვითარებაში;<br>- დასაბუთებულია აღწერილი სტრატეგიის ადეკვატურობა, თუმცა დასაბუთება სქემატურია, ზედაპირული;<br>- დასახელებულია ერთი წინაპირობა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის.<br>ან<br>- აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, შეესაბამება მოცემულ საკითხს, <u>აპლიკანტი სრულყოფილად უპასუხებს მხოლოდ ორ მითითებას (აკლია მე-3 მითითებაზე პასუხი).</u> |

| | |
|---|---|
| | ან<br>- აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, შეესაბამება მოცემულ საკითხს, სტრატეგია მხოლოდ დასახელებულია და არ არის აღწერილი, დანარჩენ **ორ მითითებაზე** (მე-2 და მე-3) პასუხში ჩანს **საკითხის გააზრებული ცოდნა**. |
| 2 | **პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს ნაწილობრივი ცოდნა.**<br>აპლიკანტი არ უპასუხებს/უპასუხებს ზოგადად და სქემატურად პირობაში მოცემულ ერთ რომელიმე მნიშვნელოვან მითითებას (მაგალითად, დასაბუთების კომპონენტს). **დანარჩენ მითითებებზე** აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, შეესაბამება მოცემულ საკითხს.<br>- დასახელებულია სტრატეგია, მაგრამ არ არის **აღწერილი**;<br>- დასაბუთება სქემატურია;<br>- დასახელებულია ადეკვატური წინაპირობა.<br>ან<br>- დასახელებულია სტრატეგია, მაგრამ არ არის **აღწერილი**;<br>- პასუხი დასაბუთებულია;<br>- არ არის დასახელებული წინაპირობა / წინაპირობა არაადეკვატურია.<br>ან<br>- სტრატეგია აღწერილია;<br>- დასაბუთება არ არის;<br>- ადეკვატური წინაპირობა დასახელებულია.<br>ან<br>- სტრატეგია აღწერილია;<br>- დასაბუთება სქემატურია, ზედაპირული;<br>- წინაპირობა არ არის / წინაპირობა არაადეკვატურია. |
| 1 | **პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა;**<br>- დასახელებულია სტრატეგია, მაგრამ არ არის **აღწერილი**;<br>- დასაბუთების კომპონენტი სქემატურია, აკლია დამაჯერებლობა;<br>- არ არის დასახელებული წინაპირობა / წინაპირობა არაადეკვატურია.<br>ან<br>- აპლიკანტი სქემატურად **აღწერს** პრაქტიკულ სტრატეგიას ან ნაკლებად ადეკვატურ, "უნივერსალურ" სტრატეგიას;<br>- პასუხი დასაბუთებული არ არის;<br>- არ არის დასახელებული წინაპირობა / წინაპირობა არაადეკვატურია.<br>ან<br>- მხოლოდ დასახელებულია სტრატეგია;<br>- დასაბუთება არ არის;<br>- დასახელებულია წინაპირობა.<br>ან<br>- დასახელებულია რამდენიმე ადეკვატური სტრატეგია დასაბუთებისა და წინაპირობის გარეშე. |
| 0 | **პასუხი არაადეკვატურია** აპლიკანტი ვერ პასუხ ბს დავალების **მოთხოვნებს.** დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. |

## დავალება №20

*მაქსიმალური ქულა – 5*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 5 | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა. პასუხი კონკრეტული და ამომწურავია და არა ზოგად მსჯელობაზე დაფუძნებული. მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია</u>.<br>- აპლიკანტი უპასუხებს დავალების პირობაში მოცემულ ყველა მითითებას: აღწერს დასჯის უარყოფით ეფექტს სასწავლო პროცესისათვის და მოსწავლის განვითარების კუთხით. ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს. ამასთან მისი პასუხი არის ამომწურავი და ლოგიკურად გამართული. |
| 4 | <u>პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. პასუხი კონკრეტული და ამომწურავია.</u><br>- აპლიკანტი აღწერს დასჯის უარყოფით ეფექტს სასწავლო პროცესისათვის და მოსწავლის განვითარების კუთხით და ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს. თუმცა პასუხს აკლია სიცხადე და თამიმიდევრულობა მსჯელობაში. |
| 3 | <u>პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა.</u><br>- აპლიკანტი უპასუხებს მოცემულ მთითებათაგან ერთ-ერთს. კერძოდ, აღწერს დასჯის უარყოფით ეფექტს სასწავლო პროცესისათვის, აღწერს დასჯის უარყოფით ეფექტს მოსწავლის განვითარების კუთხით და ასაბუთებს აქედან მხოლოდ ერთ-ერთს, ან ასაბუთებს ორივე ეფექტს ერთი და იმავე არგუმენტით. აგრეთვე მისი პასუხი არ არის ამომწურავი და სრულყოფილი. მასში არ ჩანს კავშირი პირველ და მეორე კომპონენტებს შორის. |
| 2 | <u>პასუხში ჩანს საკითხის არასრულყოფილი ცოდნა.</u><br>- აპლიკანტი მხოლოდ აღწერს დასჯის უარყოფით ეფექტს სასწავლო პროცესისა და მოსწავლის განვითარების კუთხით, თუმცა არ ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს.<br>ან<br>- აღწერს და ასაბუთებს დასჯის მხოლოდ ერთ-ერთ უარყოფით შედეგს და ასაბუთებს მას. |
| 1 | <u>პასუხში ჩანს საკითხის ზედაპირული, არასრულყოფილი ცოდნა.</u><br>- აპლიკანტი აღწერს დასჯის უარყოფით ეფექტს მხოლოდ სასწავლო პროცესისათვის ან მხოლოდ მოსწავლის განვითარების კუთხით და არ ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს. |
| 0 | აპლიკანტის პასუხი მთლიანობაში ბუნდოვანია და/ან არასწორი, არაადეკვატური. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა.<br>დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. |

## დავალება №21.1 *მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს, საკითხის <u>სრულყოფილი ცოდნა.</u> პასუხში ჩანს, მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. <u>**პასუხი არის სრული, არგუმენტირებული**</u> <u>(შეიცავს არგუმენტის ახსნის/განმარტების კომპონენტს).</u><br>- აპლიკანტი აღწერს ინკლუზიური განათლების დადებით ეფექტს სსსმ ბავშვებისათვის და ასაბუთებს/განმარტავს საკუთარ მოსაზრებას. ამასთან პასუხში ჩანს, რომ მას კარგად ესმის ინკლუზიური განათლების არსი, მისი მსჯელობა არის ადეკვატური, მკაფიო და ლოგიკურად გამართული. |
| 2 | პასუხში ჩანს <u>საკითხის ცოდნა.</u> აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ **ზოგადი/სქემატური, არ** შეიცავს დასაბუთების/განმარტების კომპონენტს.<br>- აპლიკანტი სწორად აღწერს ინკლუზიური განათლების დადებით ეფექტს სსსმ ბავშვებისათვის, თუმცა პასუხი სქემატურია, **არ არის განმარტებული,** არ შეიცავს დასაბუთების/განმარტების კომპონენტს. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის ინკლუზიური განათლების არსი, მსჯელობა ადეკვატურია, მაგრამ არასრული. |
| 1 | პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს <u>**არასრულყოფილი (ნაწილობრივი, ზედაპირული)**</u> ცოდნა; აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ მნიშვნელოვან მითითებას. დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული – ნაწერი ნაწილობრივ შეესაბამება მოცემულ საკითხს – არის ისეთი ჩანართები და გადახვევები, რომლებიც მოცემული საკითხის გააზრებისათვის შინაარსობრივად არ არის ადეკვატური/აკლია დავალების პირობის რომელიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი<br>- არგუმენტი მხოლოდ **დასახელებულია** ყოველგვარი **ახსნა-განმარტების გარეშე**<br>ან<br>- დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული – ნაწერი ნაწილობრივ შეესაბამება მოცემულ საკითხს. აპლიკანტი პასუხი გარკვეულად აცდენილია კითხვას. მაგალითად, აპლიკანტი მსჯელობს ინკლუზიური განათლების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე და პასუხში არ ჩანს, რა დადებითი ეფექტი აქვს სსსმ ბავშვებისთვის ჩვეულებრივ მოსწავლესთან ერთად სწავლას. თუმცა ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს |

| | |
|---|---|
| | გარკვეული ცოდნა ინკლუზიური განათლების შესახებ. |
| 0 | - <u>პასუხი არაადეკვატურია</u> აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხში არაფერია მოცემული რაც მიუთითებს/დაგვარწმუნებს რომ აპლიკანტს აქვს ინკლუზიური განათლების შესახებ გარკვეული ცოდნა.<br>ან<br>- პირობაში მოცემულ ინფორმაციას იმეორებს კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. |

**დავალება №21.2** *მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | <u>პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი, სიღრმისეული ცოდნა და პრობლემის გადაწყვეტის უნარი.</u> პასუხი არის სრული და კარგად არგუმენტირებული. აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა – დასახელებული და აღწერილია პრობლემის გადაჭრის კონკრეტული და ადეკვატური სტრატეგია, ამავდროულად დასაბუთებულია ამ სტრატეგიის ეფექტიანობა. პასუხში მოცემულია საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. |
| 2 | <u>პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა და პრობლემის გადაწყვეტის უნარი. წარმოდგენილია საკითხის ზოგადი (სქემატური), მაგრამ ადეკვატური ანალიზი.</u><br>- აპლიკანტი **კარგად აანალიზებს არსებულ პრობლემას და დეტალურად აღწერს პრობლემის დაძლევის კონკრეტულ სტრატეგიას/სტრატეგიებს**, თუმცა **არ წარმოადგენს საკუთარი მსჯელობის დასაბუთებას** ან დასაბუთება იმდენად ბუნდოვანია, რომ შეუძლებელია აპლიკანტის პასუხის ამოკითხვა;<br>ან<br>- აპლიკანტის პასუხში **აღწერილია ერთი კონკრეტული აქტივობა და მოცემულია მისი ადეკვატურობის დასაბუთება**, თუმცა მსჯელობა **დასაბუთებისას ზოგადი და ზედაპირულია**. მოყვანილია უნივერსალური არგუმენტები (ხელს უწყობს პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას, აამაღლებს თვითრწმენას და ა.შ.)<br>ან<br>- აპლიკანტი უპასუხებს დავალების ორივე მითითებას – **აღწერს პრობლემის დაძლევის კონკრეტულ სტრატეგიას** |

| | |
|---|---|
| | და ასაბუთებს საკუთარ პასუხს – თუმცა **ორივე კომპონენტი ნაკლებად დეტალიზებულია.** |
| 1 | <u>პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა და ნაწილობრივ პრობლემის გადაწყვეტის უნარი.</u> **პასუხი სქემატურია, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული.**აპლიკანტი არ უპასუხებს პირობაში მოცემულ ორივე მითითებას, მისი პასუხი ნაწილობრივ სცდება დასმულ პრობლემას, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ზოგადად ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.<br>- პასუხში **სქემატურად, არასრულყოფილად არის აღწერილი** წამოჭრილი პრობლემის დასაძლევად მიმართული ერთი კონკრეტული აქტივობა მისი **ადეკვატურობის დასაბუთების გარეშე.**<br>ან<br>- აპლიკანტი **მხოლოდ ასახელებს (არ აღწერს)** პრობლების გადაჭრისაკენ მიმართულ ადეკვატურ აქტივობას, ამასთან **მოცემული დასაბუთება ნაწილოვრივია,** სქემატური, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული *(მაგალითად, წავახალისებ მოსწავლეს, რაც აამაღლებს მის თვითშეფასებას).*<br>ან<br>- **აპლიკანტი ასახელებს (აღწერის გარეშე)** პრობლემის დაძლევის <u>**ორზე მეტ**</u> ადეკვატურ სტრატეგიას და არ ასაბუთებს, ან მოცემული დასაბუთებიდან შეუძლებელია აპლიკანტის პოზიციის ამოკითხვა, ან დასაბუთება არაადეკვატურია. |
| 0 ქულა | აპლიკანტის პასუხი <u>ბუნდოვანია და გაუგებარია.</u> შესაბამისად, არ იძლევა კონკრეტული პოზიციის/აზრის ამოკითხვის შესაძლებლობას დავალებაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;<br><br>- <u>პასუხი არსებითად წარმოადგენს დავალებაში მოცემული პირობის</u> **პერეფრაზს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს ესმის პირობა და აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა.<br>ან<br>- <u>პასუხი არარელევანტურია.</u> დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები; პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი/ არადამაჯერებელი არგუმენტები. |

## **დავალება №21.3** *მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | <u>პასუხში ჩანს **საკითხის სრულყოფილი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული,** აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა.</u> პასუხში მოცემულია საკითხის დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. <u>აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, **სპეციფიკური არგუმენტებით.**</u><br><br>აპლიკანტი აღწერს მასწავლებლის მინიმუმ ერთ კონკრეტულ აქტივობას და ასაბუთებს აღწერილი აქტივობის ეფექტიანობას.<br>- აპლიკანტი აღწერს პედაგოგის კონკრეტულ აქტივობას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სწავლით დაინტერესებას. ამასთან, პასუხი დასაბუთებულია შესაბამისი არგუმენტებით – ხსნის იმას, თუ კონკრეტულად რა კუთხით შეუწყობდა ხელს მის მიერ აღწერილი აქტივობა მოსწავლის მოტივაციას, უშუალოდ რა შედეგის მომტანი იქნებოდა იგი. ამასთან პასუხში ჩანს, რომ მას კარგად ესმის მოსწავლის მოტივაციის ამაღლების მნიშვნელობა სასწავლო პროცესის ეფექტიანობისათვის, მისი მსჯელობა არის ადეკვატური და ლოგიკურად გამართული. |
| 2 | <u>**პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა და /ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი / ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური.**</u><br>- აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას: აღწერს მასწავლებლის ერთ კონკრეტულ აქტივობას და ასაბუთებს აღწერილი აქტივობის ეფექტიანობას, თუმცა არგუმენტაციის კომპონენტი სქემატურია (აქტივობის შედეგიანობის დასასაბუთებლად მოყვანილია არა კონკრეტული არგუმენტები, არამედ ზოგადი მსჯელობები. *მაგალითად, გაიზრდებოდა მოსწავლის მოტივაცია* და ა.შ.). პასუხი ლოგიკურია, მაგრამ არ არის სრულყოფილი.<br>ან<br>- აპლიკანტის პასუხს აკლია დასაბუთების კომპონენტი, მაგრამ აქტივობა აღწერილია სრულყოფილად და ამომწურავად. |
| 1 | <u>პასუხში ჩანს საკითხის **ნაწილობრივი ცოდნა და /ან ნაწილობრივ პრობლემის გადაწყვეტის უნარი.**</u> აპლიკანტი <u>**არ უპასუხებს**</u> პირობაში მოცემულ მითითებებს ან მისი პასუხი ნაწილობრივ სცდება დასმულ პრობლემას, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ზოგადად ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.<br>- აპლიკანტი სქემატურად აღწერს მასწავლებლის აქტივობას და არ ასაბუთებს საკუთარ მსჯელობას. მისი მსჯელობა არის ადეკვატური, თუმცა არასრული.<br>ან<br>- აპლიკანტის კონკრეტული აქტივობის ნაცვლად აღწერს |

| | |
|---|---|
| | მოსწავლესთან მისი საუბრის შინაარსს სწავლის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე. ამასთან, ადეკვატურად ასაბუთებს მოსწავლესთან ამგვარი საუბრის ეფექტიანობას.<br>ან<br>• აპლიკანტი მსჯელობს, თუ რა მნიშვნელოვანია მოსწავლის მოტივაცია სასწავლო პროცესის ეფექტიანობისათვის. გამოყოფს მოტივაციის შინაგან და გარეგან ფორმებს, ანუ მსჯელობას წარმართავს ისე, რომ ნაწერიდან ჩანს, მას აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა. |
| 0 | **პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა.<br>• დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები;<br>ან<br>• პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი არგუმენტები.<br>ან<br>• პასუხში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია ან დასახელებულია არაფრისმთქმელი, ბუნდოვანი აქტივობები არგუმენტაციის გარეშე. |

დავალებები 21.4.1 და 21.4.2. თითოეულის მაქსიმალური ქულაა 2.

- 2 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი უპასუხებს ორივე მითითებას – აღწერილია პრობლემის დაძლევის ადეკვატური სტრატეგია და, ამასთან, პასუხი დასაბუთებულია.
- 5 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი უპასუხებს 21.4.1 და 21.4.2 დავალებების ყველა მითითებას, ამასთან პასუხი სრულია, ლოგიკური, თანმიმდევრული და ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა.

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 5 | <u>აპლიკანტი უპასუხებს 21.4.1 და 21.4.2 დავალებების ყველა მითითებას:</u><br>• **აღწერილია ერთი <u>კონკრეტული</u> აქტივობა/სტრატეგია,** რომელიც დავალების პირობაში წამოჭრილი პრობლემის მოგვარების ადეკვატური გზაა.<br>• **პასუხი არგუმენტირებულია** – აპლიკანტი ასაბუთებს აღწერილი აქტივობის/სტრატეგიის ეფექტიანობას.<br><br>პასუხი არის სრული, ამომწურავი, ლოგიკური. ჩანს, რომ აპლიკანტს გააჩნია საჭირო ცოდნა, სწორად იაზრებს პრობლემის არსს და შესწევს უნარი კვალიფიციურად მოაგვაროს მსგავსი პრობლემები, ამასთან, თითოეული პრობლემის მოსაგვარებლად განსხვავებული სტრატეგიებია აღწერილი. |
| 4 | <u>აპლიკანტი უპასუხებს დავალება 21.4.1-ის და დავალება 21.4.2-ის ორივე მითითებას. პირველი მითითებაზე აპლიკანტის პასუხი სრულყოფილია (აღწერილია ორი ადეკვატური აქტივობა), მაგრამ არგუმენტაციის ნაწილი სქემატურია ან არასრული</u>:<br>• <u>დავალებების 21.4.1, 21.4.2 I მითითების შესაბამისად, აღწერილია </u>ორი კონკრეტული აქტივობა, ამასთან, თითოეული ადეკვატურია დავალების პირობაში დასმული პრობლემების მოსაგვარებლად. პასუხი დასაბუთებულია, თუმცა დასაბუთება სქემატურია.<br>ან<br>• <u>დავალებების 21.4.1, 21.4.2 I მითითების შესაბამისად, აღწერილია </u>ორი კონკრეტული აქტივობა, ამასთან, თითოეული ადეკვატურია დავალების პირობაში დასმული პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ აპლიკანტი ასაბუთებს |

| | |
|---|---|
| | **მხოლოდ ერთ-ერთ აქტივობას, ამასთან დასაბუთება არ არის სქემატური** ან მოცემულია ისეთი ზოგადი არგუმენტი, რომელიც მართებულია ორივე აღწერილი აქტივობისათვის. |
| 3 | **აპლიკანტის პასუხი ნაწილობრივია, არ უპასუხებს დავალება 21.4.1-ის და დავალება 21.4.2-ის ყველა მითითებას, პასუხი არასრულია:**<br>▪ დავალებების 21.4.1, 21.4.2 პირველი მითითების შესაბამისად, აღწერილია ორი კონკრეტული ადეკვატური აქტივობა, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთია დასაბუთებული, ისიც სუსტი/სქემატური არგუმენტით.<br>ან<br>▪ დავალებების 21.4.1, 21.4.2 პირველი მითითების შესაბამისად, სრულად არის აღწერილი ორი კონკრეტული ადეკვატური აქტივობა, მაგრამ პასუხი არ არის არგუმენტირებული. |
| 2 | **აპლიკანტის პასუხი ნაწილობრივია და, ამასთან, სქემატური.**<br>▪ აპლიკანტი უპასუხებს ორი დავალებიდან (21.4.1 და 21.4.2) მხოლოდ ერთს. თუმცა უპასუხებს ერთი დავალების ორივე მითითებას: **აღწერილია** პრობლემის დაძლევაზე მიმართული კონკრეტული ადეკვატური აქტივობა და პასუხი **დასაბუთებულია.**<br>ან<br>▪ **დასახელებულია** დავალებების 21.4.1-ისა და 21.4.2-ის შესაბამისი **ორი** აქტივობა, ორივე აქტივობა ადეკვატურია, მაგრამ სქემატურადაა აღწერილი. |
| 1 | **აპლიკანტი ორი დავალებიდან (21.4.1 და 21.4.2) უპასუხებს მხოლოდ ერთს და, ამასთან, პასუხი ნაწილობრივია (არ უპასუხებს ორივე მითითებას) ან რომელიმე მითითებაზე პასუხი სქემატურია :**<br>▪ **პასუხი ნაწილობრივია:** აღწერს ადეკვატურ აქტივობას, მაგრამ პასუხი არგუმენტირებული არ არის.<br>ან<br>▪ **პასუხი მოიცავს ორივე კომპონენტს, თუმცა მთლიანობაში პასუხი ზედაპირული და ძალიან სქემატურია:** ასახელებს, მაგრამ არ აღწერს ადეკვატურ აქტივობას და ამასთან დასაბუთების კომპონენტი ძალიან სქემატურია. |
| 0 | **პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია ისეთი, რაც მიუთითებს, რომ აპლიკანტს ესმის დასმული მოთხოვნა და აქვს საკითხის გარკვეული ცოდნა. |

## დავალება №21.5

*მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა. მისი მსჯელობა ადეკვატურია და ლოგიკურად გამართული. აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით<br>- აპლიკანტი ამომწურავად აღწერს სტრატეგიას, რომელიც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას, ამავდროულად წარმოადგენს საკუთარი პასუხის დასაბუთებას – ხსნის, თუ რატომ და როგორ შეუწყობს ხელს პრობლემის მოგვარებას მის მიერ შემოთავაზებული სტრატეგია.<br>- წარმოდგენილ დასაბუთებაში აპლიკანტი საუბრობს მის მიერ დასახელებულ სტრატეგიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კონკრეტულ შედეგებზე/ეფექტებზე და არა ზოგადად ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობაზე.<br>**დასაბუთებად ვერ ჩაითვლება აპლიკანტის მიერ დავალების რაიმე ფორმით პერეფრაზირება ან მხოლოდ იმის მითითება (ახსნის გარეშე), რომ შემოთავაზებული სტრატეგია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას შეუწყობს ხელს.* |
| 2 | პასუხში ჩანს საკითხის ზოგადი ცოდნა და /ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, უპასუხებს ორივე მითითებას, მაგრამ პასუხი ზოგადია და ნაკლებად დეტალური.<br>აპლიკანტი ასახელებს და აღწერს რაციონალურ კონკრეტულ სტრატეგიას ან კონკრეტულ ადეკვატურ მაგალითს თავისი გამოცდილებიდან და ასაბუთებს, თუმცა დასაბუთება ზედაპირულია ან ძალიან ზოგადი და უნივერსალური. მთლიანობაში პასუხი კითხვაზე გაცემულია და აპლიკანტის პოზიცია სწორია. |
| 1 | პასუხში ჩანს აპლიკანტის საკითხის არასრულყოფილი, ზედაპირული ცოდნა.<br>- აპლიკანტის პასუხი მოიცავს სავალდებულო ორი კომპონენტიდან მხოლოდ ერთს – სტრატეგიის აღწერას. დასაბუთება ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ან |

| | |
|---|---|
| | ბუნდოვანია, რის გამოც შეუძლებელია მისი პოზიციის შესახებ დასკვნის გამოტანა. დაუსაბუთებელი სტრატეგია<br>ან<br>- **<u>დასახელებულია</u>** რამდენიმე ადეკვატური სტრატეგია დასაბუთების გარეშე. |
| 0 | - აპლიკანტის პასუხი ბუნდოვანია და გაუგებარი. ძალიან მოკლე ან არარელევანტური შინაარსისა და არ იძლევა კონკრეტული პოზიციის/აზრის ამოკითხვის შესაძლებლობას დავალებაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;<br>ან<br>- აპლიკანტის პასუხი არსებითად წარმოადგენს დავალებაში მოცემული პირობის პერეფრაზს (მაგალითად, აპლიკანტი საუბრობს იმაზე, რომ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია და რომ მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს ამაზე). |

## ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ 22–30

| დავალება № | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწორი პასუხი | გ | ა | ა | დ | ა | გ | დ | გ | ბ |

## ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №31

*მაქსიმალური ქულა – 1*

| | |
|---|---|
| 1 ქულა | თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით:<br><br>\| სირთულის დონე \| I – დაბალი \| II- საშუალო \| III - მაღალი \|<br>\| შემეცნებითი აქტივობა \| გ \| ა \| ბ \| |
| 0 ქულა | ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი |

## ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №32

*მაქსიმალური ქულა – 1*

| | |
|---|---|
| 1 ქულა | თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით:<br><br>\| ქცევის ახსნა **(A)** \| I \| II \| III \| IV \|<br>\| ქცევის მექანიზმი **(B)** \| ა \| გ \| ე \| ბ \| |
| 0 ქულა | ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი |

## დავალება №33

*მაქსიმალური ქულა – 3*

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს **კოლბერგის თეორიის სრულყოფილი ცოდნა და/ან ამ თეორიაზე დაყრდნობით პრობლემის გადაწყვეტის უნარი – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული,** აპლიკანტი უპასუხებს ყველა მითითებას, რომელთაც ითვალისწინებს დავალების პირობა. პასუხში მოცემულია პრობლემის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. აღწერილი აქტივობის მართებულობა დასაბუთებულია კონკრეტული, სპეციფიკური არგუმენტებით. არ არის დაშვებული ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა. აპლიკანტის პასუხი ლოგიკური, თანამიმდევრული და სრულყოფილია:<br><br>აპლიკანტი (ა) **სწორად ასახელებს** და აღწერს ლაშას მორალური განვითარების საფეხურს. ამავდროულად (ბ) წარმოადგენს ბავშვის მორალური განვითარების ხელშეწყობის **კონკრეტულ სტრატეგიას/აქტივობას** და (გ) ნათლად (გასაგებად) **ასაბუთებს/ხსნის,** თუ როგორ (ან რატომ) შეუწყობს მის მიერ წარმოდგენილი სტრატეგია ხელს ლაშას მორალურ განვითარებას. |
| 2 | **პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა და /ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი. აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური.** არ არის დაშვებული ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა:<br>- აპლიკანტი (ა) **სწორად ასახელებს და აღწერს ლაშას მორალური განვითარების საფეხურს**. ამავდროულად, (ბ) **წარმოადგენს** ბავშვის მორალური განვითარების ხელშეწყობის **კონკრეტულ სტრატეგიას**, თუმცა შემოთავაზებული სტრატეგია არასაკმარისად არის არგუმენტირებული. არ ჩანს, თუ კონკრეტულად როგორ და რატომ შეუწყობს ეს სტრატეგია ხელს ლაშას მორალურ განვითარებას.<br>ან<br>- აპლიკანტი (ა) **სწორად ასახელებს და აღწერს** ლაშას მორალური განვითარების საფეხურს. ამავდროულად, (ბ) **წარმოადგენს ბავშვის მორალური განვითარების ხელშეწყობის კონკრეტულ სტრატეგიას,** თუმცა პასუხი არ არის არგუმენტირებული. შესაბამისად, არ ჩანს, თუ როგორ და რატომ შეუწყობს ეს სტრატეგია ხელს ლაშას მორალურ განვითარებას.<br>ან<br>- თუ აპლიკანტი არასწორად ასახელებს (ან საერთოდ არ ასახელებს) ლაშას მორალური განვითარების საფეხურს, თუმცა |

| | |
|---|---|
| | სწორად აღწერს ამ საფეხურისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. ამავდროულად, აპლიკანტის **პასუხი მოიცავს ადეკვატურ და კონკრეტულ სტრატეგიას,** რომელიც დაეხმარება მასწავლებელს ლაშას მორალური განვითარების ხელშეწყობაში, თუმცა **დასაბუთებული არ არის,** თუ როგორ და რატომ არის შემოთავაზებული სტრატეგია ეფექტიანი. |
| 1 | **პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი (ნაწილობრივი, ზედაპირული) ცოდნა; აპლიკანტი არ უპასუხებს პირობაში მოცემულ ყველა მითითებას ან მისი პასუხი ნაწილობრივ სცდება დასმულ პრობლემას. თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ზოგადად ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი. დაშვებულია ერთი ფაქტობრივი შეცდომა.**<br>- სწორად არის დასახელებული და აღწერილი ლაშას მორალური განვითარების ეტაპი. ამავდროულად, პასუხში საერთოდ არ არის მითითებული ბავშვის მორალური განვითარების ხელმშემწყობი სტრატეგია და არ არის დასაბუთება.<br>ან<br>- არ არის დასახელებული მოსწავლის მორალური განვითარების კონკრეტული ეტაპი, მაგრამ მოცემულია მოსწავლის მორალური განვითარებისათვის ხელშემწყობი სტრატეგია. |
| 0 | აპლიკანტის პასუხი **ბუნდოვანია და გაუგებარი**. არ იკვეთება სავალდებულო კომპონენტებიდან არც ერთი. ძალიან მოკლე ან არარელევანტური შინაარსისაა და არ იძლევა კონკრეტული პოზიციის/აზრის ამოკითხვის შესაძლებლობას დავალებაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. |

## დავალება №34

*მაქსიმალური ქულა – 5*

- კითხვებზე – **34.1; 34.2.** და **34.5** – **1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„ჭეშმარიტია"** – (კომენტარს არ საჭიროებს);
- კითხვებზე **34.3** და **35.4.** – **1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„მცდარია"** და აპლიკანტს შესაბამის გრაფაში მოცემული აქვს არგუმენტირებული პასუხი, მცდარი პასუხი ჩაწერილი აქვს სწორი ფორმით:

| № | კომენტარი |
|---|---|
| 34.3 | ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სასემესტრო გამოცდა ენიშნება იმ მოსწავლეებს, რომლებსაც დაგროვილი აქვს გაცდენები თითოეულ საგნის ოდენობით და რომელიც არ არის თანახმა, რომ მას გაცდენების გამო დააკლდეს ნიშანი. ამავდროულად, სასემესტრო გამოცდის დანიშვნა და ორგანიზება ხდება უშუალოდ სკოლის მიერ. სკოლის დირექტორი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის გამოცდაზე დაშვება/არდაშვების თაობაზე. რესურს-ცენტრთან ან რომელიმე სხვა უწყებასთან ამ გადაწყვეტილების შეთანხმება საჭირო/სავალდებულო არ არის.<br><br>*წყარო: ეროვნული სასწავლო გეგმა, გვერდი 23 - გაცდენები და გამოცდების ტიპები.*<br><br>**შენიშვნა:** სწორ პასუხად ჩაითვლება უფრო მოკლედ ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული პასუხიც, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები. |
| 34.4 | ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა გულისხმობს ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით დადგენილი გაკვეთილების (საათების) გარდა მასწავლებლის მუშაობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად.<br><br>*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი მე-2 "ზ" ქვეპუნქტი.*<br><br>**შენიშვნა:** სწორ პასუხად ჩაითვლება უფრო მოკლედ ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული პასუხიც, რომელშიც ნათლად იქნება |

| | |
|---|---|
| | გამოკვეთილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები. |
| 0<br>ქულა | ▪ არასწორადაა მონიშნული პასუხი: (**„ჭეშმარიტია"**-ს ნაცვლად მონიშნულა **„მცდარი"** ან, პირიქით).<br>▪ პასუხი არ არის მონიშნული ან მონიშნულია ორივე (ჭეშმარიტია/მცდარია) პასუხი.<br>▪ **34.3** ან **34.4.** კითხვებზე – სწორად არის მონიშნული პასუხი (**„მცდარია"**), მაგრამ<br>  ▪ არ არის მითითებული კომენტარი;<br>  ▪ წარმოდგენილი კომენტარი არასწორია;<br>  ▪ წარმოდგენილი კომენტარი არსებითად წარმოადგენს კითხვის პერეფრაზს შებრუნებული ფორმით. |

## **დავალება №35** *მაქსიმალური ქულა – 5*

- კითხვებზე – **35.1; 35.2.** და **35.4** – **1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„ჭეშმარიტია"** – (კომენტარს არ საჭიროებს);
- კითხვებზე **35.3** და **35.5.** – **1 ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„მცდარია"** და შესაბამის გრაფაში მოცემულია არგუმენტირებული პასუხი. მცდარი პასუხი ჩაწერილი აქვს სწორი ფორმით:

| № | კომენტარი |
|---|---|
| **35.3** | ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, **დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით უნდა იყვნენ წარმოდგენილები მასწავლებლები და მშობლები, აგრეთვე საშუალო საფეხურის მოსწავლე**<br><br>*წყარო: კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 38, პირველი პუნქტის "ლ" ქვეპუნქტი*<br><br>**შენიშვნა:** სწორ პასუხად ჩაითვლება უფრო მოკლედ ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული პასუხიც, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები. |

| | |
|---|---|
| 35.5 | ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება, პირველ რიგში, შესაძლებელია სკოლის სააპელაციო საბჭოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სამეურვეო საბჭოში (თუკი სააპელაციო საბჭო არ არსებობს ან თუკი სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება არ აღმოჩნდა მისაღები).<br><br>*წყარო: ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 38 პირველი პუნქტის "ლ" ქვეპუნქტი.*<br><br>**შენიშვნა:** სწორ პასუხად ჩაითვლება უფრო მოკლედ ან სხვა სიტყვებით ფორმულირებული პასუხიც, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ აპლიკანტმა პასუხის დასაბუთებაში მიუთითოს შესაბამისი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის კონკრეტული მუხლები/პუნქტები. |
| 0 ქულა | - არასწორადაა მონიშნული პასუხი: (**„ჭეშმარიტიას"** ნაცვლად მონიშნულა **„მცდარი"** ან, პირიქით).<br>- პასუხი არ არის მონიშნული ან მონიშნულია ორივე (ჭეშმარიტია/მცდარია) პასუხი.<br>- 33.3 ან 34.5. კითხვებზე – სწორად არის მონიშნული პასუხი (**„მცდარია"**), მაგრამ:<br>  - არ არის მითითებული კომენტარი;<br>  - წარმოდგენილი კომენტარი არასწორია;<br>  - წარმოდგენილი კომენტარი არსებითად წარმოადგენს კითხვის პერიფრაზს შებრუნებული ფორმით. |

## ჩანაწერებისათვის